

3427

ლიკა მ. ფირცხალავა ბ. ყიფიანი

# ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები



ON THE MILITARY HISTORY  
OF ANCIENT GEORGIA



გელა გამყრელიძე, მარინე შირცხალავა, გურამ ყიფიანი

# ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები

(ანტიკური პერიოდი)

გარემო, წერილობითი წყაროები,  
სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია,  
ფორტიფიკაცია, შეიარაღება

GELA GAMKRELIDZE, MARINE PIRTSKHALAVA, GURAM KIPIANI

## ON THE MILITARY HISTORY OF ANCIENT GEORGIA IN THE 5<sup>th</sup> c. B.C. – 2<sup>nd</sup> c. A.D.

Environment, Written Sources, Political Situation,  
Fortification, Armament



გამომცემლობა არტანუჯი



- 3427 -

წიგნი მომზადდა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით

ძვირფასო მკითხველო, წინამდებარე წიგნში ძველი საქართველოს ანტიკური პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები კონკრეტული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზეა განხილული. თვალსაჩინოებისათვის მოტანილია არქეოლოგიური მასალის ჩანახატები, გეგმები და გრაფიკული რეკონსტრუქციები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის. იგი ახალ, საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის სამხედრო ისტორიის მკვლევარებს, სამხედრო სასწავლებლების კურსანტებს, რომლებმაც პროფესიად სამშობლოს დაცვა აირჩიეს.

The present book considers the military history of ancient Georgia. Particularly, it's based on concrete written and archaeological sources, which convey B.C. 5th - A.D. 2 rd centuries Georgian military, political and armament, fortification history. Also there are graphical plates reconstructed from written sources and archaeological data.

The book is designated for the specialists and also for the readers concerned with history, culture and military history of ancient Georgia. About the book in English see at the end of the book.

**რედაქტორი** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
თამაზ ბერაძე

**რეცენზენტები:** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო კილურაძე  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გოლეარძი ნარინიანიშვილი

**გამომცემელი** ბუბა კულაბა

## წინასიტყვაობა

საქართველოს მინა-წყალზე ქართველების ისტორიულ-კულტურული განვითარების, სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთობის ხანგრძლივი და თავისებური პროცესი ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. თანამედროვე საქართველოს გეზი სახელმწიფოებრიობის განმტკიცების და ევროატლანტიკური ერთობისაკენ აქვს აღებული. ქვეყნის მყარი სახელმწიფოებრიობის, სტაბილურობისა და წინსვლის მთავარ გარანტს მაღალი თავდაცვისუნარიანობა წარმოადგენს. ამიტომ, სამხედრო საქმის ისტორიული გამოცდილების შესწავლა-გააზრება პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველები განუწყვეტელ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული. ისინი მტერს გამირული შემართებით და შეუპოვრად ერკინებოდნენ. ამ ბრძოლებში ვითარდებოდა და იხვეწებოდა მათი სამხედრო-საბრძოლო გამოცდილება, სტრატეგია, ტაქტიკა და შეიარაღება.

ანტიკურ ეპოქაში ძველი საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთის და იბერიის სამეფოებმა მოიპოვეს, რომელთა ადგილსა და საფუძველზეც მომავალში წარმოიქმ-

ნა ერთიანი სახელმწიფო - საქართველო. წინამდებარე წიგნში სწორედ ამ ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური და საბრძოლო საქმის ისტორიაა განხილული. წიგნში, სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების (იხ. პეროდოტე, ქსენეფონტი, სტრაბონი, ტაციტუსი, აპიანე, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.), საბრძოლო შეიარაღების და ფორტიფიკაციის შესახებ არსებული არქეოლოგიური მასალის კვლევის საფუძველზე, იბერია-კოლხეთის კულტურულ-ისტორიული განვითარების კონტექსტში, სამხედრო-საბრძოლო საქმის ისტორიაა შესწავლილი. აქვე მოცემულია არქეოლოგიური მასალიდან გამომდინარე გრაფიკული რეკონსტრუქციები. წიგნში ყურადღება გამახვილებულია იბერიის და კოლხეთის პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის ანტიკური ხანის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ფაქტთა მონაცემები მცირეა. მიუხედავად ამისა, წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემების ურთიერთშედარებისა და კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გარკვეულ-

წილად ხერხდება საქართველოს ხსენებული ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის მეტ-ნაკლები აღდგენა-წარმოჩენა.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაფართოვდა საქართველოს ძველი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში გამოჩნდა ახალი ნაშრომები, მიძღვნილი საქართველოს მეზობელი ქვეყნების ისტორიის კონკრეტული და თეორიული ასპექტებისადმი, რაც ამ ეტაპზე საშუალებას იძლევა ანტიკური ხანის საქართველოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პერიპეტებს ისტორიულ-შედარებითი განვითარების ჩრჩილში დავაკვირდეთ.

წიგნში, საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალა — შეიარაღება: შუბი, სატყეარი, ცული, ისარი, ურნალი, შურდულის ქვა, ქვის ყუმბარა, მუზარადი, ჯაჭვ-ჯავშანი, ფარი, საბრძოლო ეტილი; ფორტიფიკაცია — ციხე-ქალაქი, გალავანი, კოშკი, კარიბჭე და სხვა თავდაცვითი ნაგებობები შესწავლილია სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად, სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული არქეოლოგიური მონაცემები შეჯერებულია წერილობით წყაროებთან. ასეთი მეთოდის გამოყენების შედეგად მივიღეთ საცნობარო-

მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი ანტიკური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და საბრძოლო ისტორიის შესახებ, რომელიც მომავალში ერთ-ერთი ნაწილი უნდა იყოს დიდი, მრავალტომიანი ნაშრომის — საქართველოს ომების და სამხედრო ხელოვნების ისტორია.

ძველი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის და, კერძოდ საბრძოლო საქმის ისტორია-არქეოლოგიის საკითხები არა ერთმა მეცნიერმა განიხილა. ამ ნაშრომებმა ფასდაუდებელი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოცემული პრობლემატიკის კვლევის საქმეში. წიგნში ხსენებული ნაშრომები დამონმებულია შესაბამის საკითხებზე მსჯელობისას.

ბუნებრივია, რომ ამ ვრცელი ნაშრომის ავტორები, ალბათ, ვერ ავცდით გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ ხარვეზებს, შიგადაშიგ გამეორებასაც. სამწუხაროდ, წიგნში მოცემული თემატიკის ყველა საკითხი, მონაცემების ნაკლულობის გამო, თანაბრად არ არის წარმოდგენილი. იმედია, კეთილგანწყობილი მკითხველი ამას დიდსულოვნად მოგვიტყევებს და სამაგიეროდ, მოგვანვდის საქმიან შენიშვნებს, რასაც მომავალში გავითვალისწინებთ.

## სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ისტორიიდან იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოში

**ბიოგეოგარემო და საომარ მოქმედებათა სარბიელი.** ბიოგეოგარემოს (resp. გეოგრაფიული გარემოს) როლი ზოგადად საზოგადოებისა და კონკრეტულად სამხედრო საქმის განვითარებაში ფრიად მნიშვნელოვანია. ამდენად, საომარ მოქმედებათა სარბიელის (თეატრის) შესწავლის გარეშე შეუძლებელია სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის აღდგენა-წარმოჩენა.

თანამედროვე საქართველო ტრანსკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ მხარეს მდებარეობს. ძველი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. ქართველები, ქართველური ეთნოსი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე განსახლებული იყო სამი მდინარის — მტკვრის, რიონისა და ჭოროხ-ოლთუს აუზებში. ეს კი ზოგადად, ვანის ტბიდან შავზღვამდე და კავკასიონის ქედის ჩათვლით ტერიტორიას მოიცავს. დაახლოებით ამ ტერიტორიაზე სახლობდა ძველი ქართველური მოდგმის ხალხი, რომელთა სხვადასხვა გაერთიანებებს ძველი წერილობითი წყაროები (პეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.) სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ. კერძოდ — კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსუნიკები, სასპერები, მაკრონები, ჰენიოხები, მოსხები, ტაოხები, აფსილები, ტიბარენები, სანიგები; შემდგომ, ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი და სხვ. (იხ.

საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი... 1993; ქავთარაძე, 1985, გვ. 65-141).

ანტიკურ ეპოქაში ზემოხსენებულ ტერიტორიაზე განვითარდა-დანინაურდა და პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვა ორმა ძველმა ქართულმა სახელმწიფომ — კოლხეთის სამეფომ და იბერიის (ქართლის) სამეფომ. ისევე, როგორც ბერძენთა სახელმწიფოები ათენი და სპარტა ან ებრაელთა სახელმწიფოები — იუდეა და ისრაელი. კოლხეთ-ლაზიკის და იბერიის (ქართლის) ადგილსა და საფუძველზე შემდგომ განვითარდა ერთიანი სახელმწიფო — საქართველო. ამიტომაცაა, რომ ძველი საქართველოს განვითარების ამ პერიოდს ჩვენ პირობითად ვუწოდეთ საქართველოს ისტორიის იბერიულ-კოლხური ხანა — ძვ. წ. VII — ახ. წ. IV სს. (resp. ანტიკური ხანა) (დანვრილებით იხ. გამყრელიძე 1985ა, გვ. 123-126).

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია — ჩრდილოეთით, კავკასიონის მაღალი ქედი; სამხრეთით, აჭარა-ლაზეთ-არსიანის მთიანეთი, ჯავახეთის ქედი, მდ. დებედას ხეობა; აღმოსავლეთით, მდ. აგრიჩაი-მინგეჩევირის აუზი; დასავლეთით, შავი ზღვა. მოცემულ ტერიტორიას ლიხის ქედი ყოფს. მის დასავლეთით კოლხეთის დაბლობი, მდ. რიონის აუზით, ხოლო აღმოსავლეთით მდებარეობს, ივერიის ბარი, მდ. მტკვრის აუზით. მთიანეთს შორის განლაგებულია შიდა

და ქვემო ქართლის, ალაზნის და კოლხეთის დაბლობ-ვაკეები. დიდი კავკასიონის განშტოებებს წარმოადგენს: გაგრის, ბზიფის, აფხაზეთის, კოდორის, სვანეთ-ვეგრისის, ლეჩხუმის, რაჭის, ალევის, ხევსურეთის, ქართლის, კახეთის და გომბორის ქედები. სამხრეთ საქართველოს ქედებია — მესხეთის, შავშეთის, არსიანის, თრიალეთის, სამსარის და ჯავახეთის.

ძველი საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესში წამყვანი როლი შეასრულა ბიოგეოგრაფიამ — კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი, მადნეული, ზღვა, ტბა, მდინარე, ფლორა და ფაუნა. უპირატესად ამაზე არის დამოკიდებული მოსახლეობის ფიზიონომიურ-ფსიქიკური, სამეურნეო-საწარმოო, დემოგრაფიული, სავაჭრო-კომუნიკაციური, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სულიერ-კულტურული, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი, სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა (იხ. გამყრელიძე, 1993, გვ. 5).

საქართველოს მთიანეთის ბორცვ-გორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები, ზეგნები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი მოსახერხებელ დასახლებელ ადგილებს ქმნის. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა: ხე, თიხა, ქვა და ა. შ. არის გრანიტი, კირქვა, თაბაშირი, კერამიკული თიხა, სხვადასხვა ფიქლები, კვარცის ქვიშა.

საქართველოში მეტალურგიული ნედლეულის (სპილენძი, რკინა, კალა) მოპოვების ძირითადი ადგილებია: რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა, ქვემო ქართლი, მდ. დიდი ლიხვის ზემო წელი, მდ. ძამას ხეობა. მდინარეების — ენგურის, ცხენისწყ-

ლის, ტეხურის, რიონისა და მაშავერას ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს (დანვრილებით იხ. ბოჭორიშვილი, 1946, გვ. 284; კოჭლავაშვილი, 1962, გვ. 257). ამას ადასტურებს I ს. ავტორი სტრაბონი: „წყლის ნაკადებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ადგილობრივი მაცხოვრებლები მას აგროვებენ დაჩვეული ვარცლებით და ბენვიანი ტყავებით“ (სტრაბონი, XI, II, 19). II საუკუნის ავტორი აპიანე აღნიშნავს: „კავკასიონიდან ჩამომდინარე ნაკადულებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეებში ხშირბენვიან ცხვრის ტყავებს აგებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც მათზე ილექება“ (აპიანე, მითრიდატეს ომები, 103). ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I საუკუნის ავტორი გაიუს პლინიუსიც: „კოლხეთში მეფობდა აიეტის მემკვიდრე სავლაკი, რომელიც თავის სამეუფეოში დიდძალ ოქროს და ვერცხლს მოიპოვებდა სვანეთის მიწასა და საერთოდ სახელმწიფოში...“ (NH, XXXIII).

საყოველთაოდ ცნობილია ხალიბების, მოსუნიკების, მოსხების როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში. კოლხეთის რეგიონი ლითონების წარმოება-დამუშავების ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრს წარმოადგენდა (დანვრილებით იხ. კვირკველია, 1976; Хахутайшвили, 1987). აქ, მოსახლეობის მიერ მადნეულის დამუშავება-გამოყენებამ საზოგადოება უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. ამდენად, საქართველოში სასარგებლო მადნეულის არსებობამ გამოიწვია პოზიტიური ძვრები წარმოების განვითარებაში, რაც, თავის

მხრივ, სამხედრო აღჭურვილობის წარმოებაშიც აისახა.

საქართველოს რელიეფი, ტექტონიკური განვითარების თავისებურებების გამო, ორ ძირითად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად (Атлас Грузии, 1964, გვ. 20; მარუაშვილი, 1970, გვ. 200). მთა-მთისწინეთი - კავკასიონის მთავარი ქედი და გვერდითი ქედებია; ხოლო აჭარა-მესხეთის მთიანეთი ორი ძირითადი ქედისაგან შედგება. ერთი მესხეთის, მეორე — შავშეთის ქედი. მათაც მრავალი განშტოება აქვთ, რომლებიც მთისწინა ზოლში გადადის და ბარისაკენ ეშვება. დიდ და მცირე კავკასიონს ერთმანეთთან აკავშირებს ლიხის, ანუ სურამის ქედი. მისი ყველაზე მაღალი ნაწილი 1920 მეტრს არ აღემატება. ლიხის, დიდი და მცირე კავკასიონის ქედებ-მთიანეთში გადადიოდა ბილიკ-გზები, რომლებითაც ძველი მოსახლეობა უკავშირდებოდა დანარჩენ სამყაროს. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ გადასასვლელებს ახლაც იყენებენ სავალად. ესენია: რიკოთის, ზეკარის, მეფისწყაროს, გოდერძის, მამისონის, ნაკრის, ქლუხორის, დარიალის და სხვ. მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი და იბერია თავისი რელიეფით (ქედები, ზეგნები, ხეობები, სერები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები) მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ძვ. წ. I ს-ის რომაელი მხედართმთავრის ლუკულუსის მითრიდატე ევპატორთან ომის დროს კავკასიონის მთიანეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო მოქმედების თეატრის შეფასება: „მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა

მონინა აღმდეგემ კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ წავიდეს. განათქვენ ვერ ხედავთ, რომ მის ზურგში გადაშლილია უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო„ (იგულისხმება ბოსფორისა და ყუბანის სტეპები - გ.გ.). იქვე ახლოს არის კავკასიონი მრავალი მაღალი მთით...“ (პლუტარქე, ლუკულუსი, 14). მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს აგრეთვე II ს. ავტორის, იმპერატორ ადრიანეს სამხედრო-ადმინისტრაციული წარმომადგენლის, ლეგატის, ძველი საქართველოს ზღვისპირეთის თვითმხილველის ფლავიუს არიანეს აღწერითი მოხსენება. ფასისის „... ციხესიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენება მეტად მიუდგომლად ადგილის ბუნებრივი გარემოს მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით, მეტად მოხერხებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომხდურთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორივე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული“. „... ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის, აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია...“ (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 39).

აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფ-ლანდშაფტის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადგილი ვინრო ხეობების, გადასახლახად რთული მაღალი მთების, გასა-



მაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი გაუვალი ტყეების, ძნელად დასაძლევ მდინარეების მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებით დაგვირგვინების გარანტია იყო. არანაკლები მნიშვნელობა სამხედრო მოქმედებისას ენიჭება კლიმატს და წელიწადის დროის ცვლას. მაგალითად, მითრიდატე ევპატორი პომპეუსთან ომის დროს „მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცა“ (სტრაბონი, XII, III, 28). მას ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა და ზამთარი დიოსკურიში გაატარა. ამ შემთხვევაში მითრიდატემ ზამთარი და მთები (რელიეფი და ჰავა) თავისი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა (აპიანე, „მითრიდატე,“ 101).

საქართველოს მთათა მცინვარებიდან გამოედინება მდინარეები; მათი ნაწილი შავი ზღვის აუზს ეკუთვნის, ხოლო ნაწილი — კასპიის ზღვისას. ისინი 2500-ზე მეტია. მათ შორის წყალუბობით უწინარესი ადგილი უჭირავთ — რიონს, ყვირილას, ცხენისწყალს, ტეხურას, ხობს, ენგურს, კოდორს, ბზიფს, ლალიძვას, ხანისწყალს, ფიჩორს, სუფსას, ნატანებს, ჭოროხს, მტკვარს, დიდლიახვს, ქსანს, არაგვს, იორს, ალაზანს, ხრამს. აქედან ხობს, ტეხურას, ფიჩორს, სუფსას, ჭოროხს და განსაკუთრებით, რიონ-ყვირილას და მტკვარს სატრანსპორტო გზებად იყენებდნენ. მათზე სავაჭრო-სატრანსპორტო და საბრძოლო ნაგებობები დაცურავდნენ.

მდინარე რიონი კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან, ფასის მთის მცინვარიდან გამოედინება. ქალაქ ქუთაისამდე იგი უმეტესწილად ვინრო

ხეობაში მოედინება; ქუთაისის ქვემოთ, კოლხეთის დაბლობზე ბარის მდინარის მდორე დინება აქვს. წერილობით წყაროებში მდ. რიონის შუა და ქვემო წელი ხშირად მოიხსენება ფასის სახელით. ის პირველად ჰესიოდეს „თეოგონიაში“ (ძვ.წ. VII ს.) ნახსენები.

მდინარე რიონ-ყვირილა (ფასისი) და მდინარე მტკვარი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო და სტრატეგიული გზა იყო (იხ. ბერძნიშვილი, 1969, გვ. 99; ლორთქიფანიძე, 1957, გვ. 377; Гамкрелидзе, 1992, გვ. 7). ცნობები მისი სატრანზიტო-სტრატეგიულ მაგისტრალად გამოყენების შესახებ, ძირითადად, სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული. სტრაბონი აღწერს ამ მაგისტრალს: „ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; შორაპნიდან ფეხით, საურმე გზით, ოთხ დღეში მისვლება მდ. მტკვრამდე“ (XI, II, 17). ამ გზის გაგრძელებას სტრაბონი ასე აგვიწერს: „... ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვარზე და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინის ზღვაში ჩააქვთ“ (სტრაბონი, XI, VII, 3). ამრიგად, ნათელია, რომ სტრაბონი აღწერს სავაჭრო-სტრატეგიულ გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდ. მტკვრის და მდ. რიონის გავლით შავი ზღვისაკენ. ამავე გზას აღწერს I ს. ავტორი პლინიუსი: „... პომპეუსის ლაშქრობის დროს, მისი ბრძანებით შესწავლილი იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში, მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქსს. აქედან ინდური

სავაჭრო საქონელი გადააქვთ კასპიის ზღვის იქით მდ. მტკვარზე და ხმელეთით არა უმეტეს ხუთი დღისა მათ შეუძლიათ მიაღწიონ ფასისს, რომელიც შავ ზღვას უერთდება” (პლინიუს სეკუნდუსი, VI, 52).

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი (კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონის და მინის ქურჭელი). ასეთი ნამოსახლარები მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე აღმოჩენილია შორაპანში, კლდეეთში, ვარციხე-პატრიკეთში, ვანში, შუამთაში, ფარცხანაყანევში, მთისძირში, დაბლაგომში, დაფნარში, საჯავახოში, პატარა ფოთში, ქალადში, ფოთთან (პალიასტომის ტბა) და სხვ. (დანვრილებით იხ. Гамкрелидзе, 1992). აღმოსავლეთ საქართველოში: ზღუდერში, ურბნისში, უფლისციხეში, ყანჩაეთში, ძალისაში, ციხიაგორაში, ნასტაკისში, სამადლოში, სარკინეში, მცხეთაში და სხვ. (იხ. ტაბ. I).

რიონ-ყვირილას (ფასისის) სავაჭრო-სატრანზიტო გზის ბოლო პუნქტი იყო ტბა პალიასტომთან მდებარე ქალაქი, რომლის შემდეგაც სავაჭრო კარჭაპები შავ ზღვაში გადიოდა კაბოტაჟური ცურვისათვის. გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა — ლაგუნა, ზღვიური რელიქტია. ძველად აქ მდინარე რიონის ლიმანი იყო (Вылканов, Данов ... 1983, გვ. 287). ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, საბრძოლო და სავაჭრო

ხომალდები შემოდებოდა. ხომალდებიდან შემდეგ ტვირთი ბრტყელძირა სამდინარო კარჭაპებში გადაიტვირთებოდა და პალიასტომის გავლით მდინარე რიონზე ანდა ფიჩორზე აგრძელებდა გზას.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით — „კვალად ფოთის სამხრეთით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქედამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვის. იპყრობს თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხუნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კვალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამხრეთით დის მდინარე სუფსეი” (ვახუშტი, 1973, გვ. 790). აგათია პალიასტომის შესახებ გადმოგვცემს - „იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც — პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევექსინის პონტოს უერთდება;” „... ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად” (აგათია; „გეორგიკა,” 1936, გვ. 102).

პალიასტომის ტბის ფართობი თვრამეტ კვადრატულ კილომეტრამდეა. პალიასტომს დაჭაობებული შემოგარენიდან მდორედ მომდინარე მდინარეები ერთვის. ამათგან ყველაზე უფრო წყალუხვია მდინარე ფიჩორი. წინათ, ვიდრე ჯებირებს ააგებდნენ, რიონის ერთი ტოტიც აქ შემოედინებოდა.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ პალიასტომის ტბაში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში III-VII სს. ნამოსახლარს მიაკვლია. შესაძლოა, რომ ამ ნამოსახლარის

სახით საქმე გვქონდეს პროკოფი კუ-  
სარიელის და აგათიას თხზულებებში  
აღწერილ ქალაქ ფასისის ფორტიფი-  
კაციის ნაშთებთან (დანვრილებით იხ.  
გამყრელიძე, 1987, გვ.98).

მდინარე რიონზე ჩამოცურებული  
სატრანსპორტო ნაგებიდან ტვირთი  
პალიასტომის ტბაზე მდებარე ნავსა-  
ყუდედში უკვე საზღვაო ხომალდებში  
გადაჰქონდათ და შავი ზღვის გავლით  
მიჰქონდათ სხვა ქვეყნებში. შავმა ზღ-  
ვამ დიდი როლი შეასრულა კოლხეთის  
სოციალურ-ეკონომიკურ განვითარე-  
ბაზე. წერილობითი და არქეოლოგიური  
მონაცემების მიხედვით, ზღვის სანა-  
პიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები  
და სხვა გამაგრებული დასახლებული  
პუნქტებია მიკვლეული: აფსაროსი  
(გონიოსთან), ციხისძირი, ქობულეთ-  
ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი (ფოთთან),  
ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი (ოჩამჩი-  
რესთან), დოსკურია-სებასტოპოლი-  
სი (სოხუმთან), ეშერა, პიტეუნტი (ბი-  
ჭვინტასთან) და ა. შ. ჩამოთვლილი  
დასახლებები, ბუნებრივია, ცხოვრების  
ნესით ზღვასთან მჭიდროდ იყო და-  
კავშირებული. ისინი წამყვან როლს  
ასრულებდნენ უცხოეთთან ეკონომი-  
კურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში.  
პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა  
ქალაქების მეშვეობით ხორციელდე-  
ბოდა კონტაქტები შავი და ხმელთაშუა  
ზღვების ქვეყნებთან და ქალაქებთან:  
მილეთთან, ქიოსთან, როდოსთან, ათ-  
ენთან, სინოპთან, რომთან (ოსტია); შემ-  
დგომ ბიზანტიასთან (კონსტანტინე-  
პოლთან), გენუასთან, ვენეციასთან და  
სხვ.

ზღვისპირა ქალაქში, ვაჭრობის  
გარდა, ხელოსნობის სხვადასხვა და-  
რგები (მეთუნეობა, მჭედლობა, ხუ-

როობა, ფეიქრობა და ა. შ.) იყო გუ-  
ვითარებული; მაგრამ აქ, ალბათ, გან-  
საკუთრებული ადგილი მაინც ზღვას-  
თან დაკავშირებულ საქმიანობას —  
ზღვაოსნობას, მეთევზეობას, ზღვის  
მარილის მოპოვებას და სხვ. ეჭირა.  
სტრაბონის „გეოგრაფიაში“ აღნიშნუ-  
ლია, რომ შავი ზღვის „ძველი ხალხე-  
ბი დაცურავდნენ მეკობრეობის და  
ვაჭრობისათვის ... ნაპირ-ნაპირ“ (კაბ-  
ოტაჟურად) (სტრაბონი, I, III, 2). ზღვის  
სხვა სანაპიროებზე საომარი თავდასხ-  
მები ზღვისპირა ხალხების შემოსავლის  
ერთ-ერთი წყარო იყო.

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგა-  
თია კოლხეთის შესახებ გადმოგვცემს:  
„ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები“.  
ისინი „... ამაყობენ კოლხთა ძველი სახ-  
ელით ...“; გამოირჩევიან „... თავისი სიმ-  
დიდრის სიუხვით, ასევე ქვეშევრდომ-  
თა სიმრავლით, მინა-წყლის სიჭარბით  
და მოსავლიანობით...“ „ეხლანდელი  
მცხოვრებლები დაცურავენ ... და  
ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებ-  
ელს“ (აგათია, III, 5).

შავი ზღვა ბოსფორ-დარდანელის  
სრუტეებით გადის ხმელთაშუა ზღ-  
ვაში. ბოსფორის სრუტის უფინროესი  
ადგილი მხოლოდ 700 მეტრამდეა,  
ამიტომ მისი გადაკვეთა-კონტროლი  
ადვილია. სრუტე სამხედრო-სტრატე-  
გიულად მოხერხებულია. ვის ხელშიაც  
ეს სრუტეები იყო, ის აკონტროლებდა  
ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მი-  
მოსვლას.

შავი ზღვის საქართველოს ნაპირი  
ყველგან ერთნაირი არარის. ის სამხრეთ  
და ჩრდილოეთის მონაკვეთზე მთიანია;  
სანაპირო ხაზზე გამოწეულია კონ-  
ცხები — მწვანე კონცხის, ციხისძირ-  
ბობოყვათის, ანაკლიის, კოდორის,

სოხუმის, ბიჭვინტის. ამ კონცხებთან შექმნილი ყურეები, გარკვეულნილად, მოსახერხებელია ნავსაყუდლების შესაქმნელად. სანაპიროზე ძლიერი, გრი-გალური ქარი არ იცის.

შავი ზღვა უდიდეს როლს თამაშობს კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს აგროკლიმატურ სიტუაციაზე და ადგილობრივი მცხოვრებლების სამეურნეო და თავდაცვით ყოფაზე. შავ ზღვაში, სარენ თევზთაგან აღსანიშნავია შავი ზღვის ორაგული, კოლხური ზუთხი, ჯარღალა, კეფალი, სვია, ქაფშია, ქაშაყი და ა. შ.

კოლხეთის ისტორიაზე მნიშვნელოვანი, უარყოფითი როლი ნაპირის ბიოგეოგარემოს შეცვლამ ითამაშა. გეომორფოლოგიების ვარაუდით, ახალშავზღვურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია (დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში), ხოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ისევ იწყება ზღვის დონის აწევა. ამის გამო, სანაპიროზე განლაგებული ძველი ქალაქ-დასახლებები წყლის ქვეშ მოხვდა და მათ შეწყვიტეს არსებობა (იხ. Gamkrelidze, 1992, გვ. 11).

საქართველოს ზღვისპირეთში, წერილობითი წყაროების (სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი, ფლავიუს არიანე, პომპონიუს მელა, კლავდიოს პტოლემეაოსი, პროკოპი კესარიელი, აგათია, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) მიხედვით, მთელი რიგი ქალაქებია მოხსენიებული: ფოთთან — ფასისი, ოჩამჩირესთან — გიენოსი, სოხუმთან — დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინტასთან — პიტიუნტი, ქობულეთ-ციხისძირი-პეტრა და ა. შ. ხსენებული

ნაქალაქარების ან მათი მიმდებარე ტერიტორიის წყალში დაძირვამ და ცხოვრების შეწყვეტამ ზღვისპირეთში სანარმოო-ეკონომიკური დონის დაქვეითება გამოიწვია.

ბერძნები შავ ზღვას პირველად არასტუმართმოყვარე ზღვას უწოდებდნენ. ბერძნებს სანაპიროებზე გადასვლისას ხშირად უწევდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ბრძოლა. მას შემდეგ, რაც ბერძნებმა უკეთ აითვისეს შავ ზღვაზე ნაოსნობა და სანაპიროებზე მცხოვრებლებთანაც უფრო ახლო კონტაქტი დაამყარეს, მათ შეიცვალეს აზრი და შავ ზღვას „ევქსინუს პონტოს“ — სტუმართმოყვარე ზღვა - შეარქვეს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავკასიონი, ანტიკავკასიონი, ლიხის ქედი და შავი ზღვა ქმნის ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიც კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ექცევა (ძველაია, 1973). ეს ტერიტორია კოლხეთის მთავარი აგრარულ-სამეურნეო რეგიონი იყო (გაგუა, 1988). კოლხეთის დასავლეთ, ზღვისპირა მონაკვეთში აღინიშნება განსაკუთრებული ჭაობიანობა, ხოლო აღმოსავლეთით უფრო ენერი ნიადაგებია. აგრარულ-სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე მეტად გამოყენებულია კოლხეთის დაბლობის შემადგენელი მონაკვეთი. სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩაბმული, აგრეთვე, მთისწინეთის ბორცვ-გორაკებიანი ნაწილიც.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ მხარედ წარმოგვიდგება: „ქვეყანაში კარგი ნაყოფი იცის; ... მოიპოვება გემთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინა-

რეებით ჩამოაქვთ; ამუშავებენ ბევრ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის წარმოება განთქმულია და გართავს კი გააქვთ” (სტრაბონი, XI, II, 17). ექსპორტზე საუბარი მარკუს მანილიუსის (I ს.) ცნობაშიც, სადაც ის გადმოგვცემს, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ქალებიო (Latyshev, 1904, გვ. 377). საყურადღებოა VI ს. ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის წერილობითი ცნობა: „მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლისიდან და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მინა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს; ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობს...” (პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 14). კოლხეთში მდებარე მოხირისის მხარე ეკონომიკურად ძლიერი რეგიონია. შესაბამისად, აქაურებს საბრძოლო მოქმედებებისათვის კარგი რესურსებიც ექნებოდათ. კოლხეთის დაბლობი რომ დანიშნაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც (იხ. Гамкрелидзе, 1992).

კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს მზის რადიაცია, ჰაერის ცირკულაცია, ზღვასთან სიახლოვე (დანვრ. იხ. კორძახია, 1961, გვ. 88-172). კოლხეთში ნოტიო-სუბტროპიკული ჰავა დომინირებს. კოლხეთში ქარის მიმართულებაზე ხეობების და ქედების განლაგება მოქმედებს. ხალხურ დაკვირვებაში შემორჩენილია ორი ქარის სახელი - „ზენა ქარი” და „ქვენა ქარი” (დასავლეთისა და აღმოსავლეთის), რომელთა მიხედვითაც მეურნე ცდილობდა ამინდის პროგ-

ნოზირებას და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვას.

დასავლეთ საქართველო მრავალფეროვანია მცენარეული საფარით. აქ დღესაც შევხვდებით რელიქტურ სახეობებს; არის ენდემური ჯიშები. ალპური სარტყლის ქვემოთ მთამთისწინეთი, და ნაწილობრივ ბარიც, ძირითადად ტყითაა შემოსილი. კოლხეთის ბარ-მთისწინეთში გაბატონებულია ფოთლოვანი ხეები: მუხა, რცხილა, ნაბლი, ნიფელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი. შემორჩენილია, აგრეთვე, ლაფანი, ძელქვა. არის ბუჩქნარები — ბზა, წყავი, შქერი. დაბლობებში ტყე ჩახლართულია ხეივანებით (სურო, ღვედეცი). მთა წინვიან მცენარეებს უჭირავს — ნაძვი, სოჭი (კეცხოველი, 1959).

ხის სამშენებლო მასალად გამოყენება არქეოლოგიური მონაცემებით ხშირად დასტურდება. კოლხეთის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ძვ. წ. III საუკუნის წინ, ხე ძირითადი სამშენებლო მასალაა. გათლილი მორისაგან იგებოდა საცხოვრებელი სახლები, შენდებოდა თავდაცვითი ნაგებობები და ქაობიან ადგილებში ქუჩა-ტროტუარების გასამართავადაც გამოიყენებოდა (გამყრელიძე, 2002, გვ. 111). სტრაბონის ცნობით, „ქვეყანაში ... იზრდება მრავალი ტყე” (სტრაბონი, XI, I, 17). ტყეების სიუხვესვე ადასტურებს ძვ. წ. I ს. რომაელი არქიტექტორი ვიტრუვიუსიც (იხ. ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ, II, I, 4).

ძველი საქართველოს სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთ მცენარეებს, როგორიც იყო ხორბალი, ქერი, ვაზი, ფეტვი, ჭვავი, ნაბლი, ღომი, კაკალი, თხილი, ლელვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ.

საქართველოში და განსაკუთრებით მის დაბლობ ნაწილში თბილი ზამთარი და ხანგრძლივი, ზომიერად ცხელი, ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო-აგარარული საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეობის, მებოსტნეობისა და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის.

ცხოველებიდან საქართველოში ადგილობრივის გარდა გავრცელებულია ევროპული და მცირეაზიური სახეობები (ჯანაშვილი, 1963, გვ. 65). ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე, გარკვეულწილად, დამყარებული იყო ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკვება და საბრძოლო მოქმედებებისას გარკვეული მარაგების შექმნა. ძველ საქართველოშინადირობდნენ ისეთ გარეულ ცხოველებზე, როგორცაა — არჩვი, ჯიხვი, ღორი, კურდღელი, ირემი, შველი, მურა დათვი და სხვ.; მგლის, დათვის, ტურის, მელას, ფოცხვერის ტყავს სამოსად იყენებდნენ. მდინარეებში ბევრია კალმახი, ლოქო, ორაგული, წვერა. საკვებად გამოსაყენებელ ფრინველთაგან გავრცელებულია გარეული იხვი, ბატი, გნოლი, მწყერი, ხოხობი. ხოხობის სახელი „ფასიანუს“ მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში ფასისიდან არის გავრცელებული.

საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ხშირია ოსტეოლოგიური ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი საქართველოს მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ნადირობას სამხედრო-საბრძოლო წვრთნა-მზადების ფორმაც ჰქონდა. რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში ხარის,

ძროხის, თხის, ცხვრის ძვლები მრავლად არის დადასტურებული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. ეს ოსტეოლოგიური მონაცემები დღევანდელი საქართველოსათვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობებს ჰგავს (ციციშვილი, 1972, გვ. 213). საგულისხმოა, რომ არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.) ნაშრომში „ცხოველთა ისტორია“ კოლხეთის ტანმორჩილ ძროხებს აღწერს: „მაგალითად, ფასისთან არიან მომცრო ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრძეს ინველის...“ (III, 21). გამწვე-სატრანსპორტო პირუტყვიდან არქეოლოგიურ მასალაში ძირითადად დადასტურებულია ხარისა და ცხენის ძვლები (გამრეკელი, 1979, გვ. 38).

დასავლეთ კოლხეთის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოს შესახებ ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს. განთქმული ბერძენი მეცნიერი პიპოკრატე გადმოგვცემს: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი წვიმები იცის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, მათ ხის ... სახლები წყალზე აქვთ“ (პიპოკრატე, „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“, § 15). ასევეახასიათებს კოლხეთის დაბლობის კლიმატურ პირობებს XVII ს. იტალიელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტიც: „კოლხეთს ადგილმდებარეობის გამო ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლისნაირი არსად არ მოიპოვება. მიზეზი ამისა ის არის, რომ დასავლეთით, შავი ზღვიდან ჰქრის ნამიანი ჰაერი და აღმოსავლეთით კი აკრავს კავკასიონი, საიდანაც მრავალი მდინარე ჩამოედინება. ამას ემატება ხშირი ტყეები, რომლის გამოც ჰაერი ცუდად მოძრაობს. ზღვის ქარი ძალიან ხშირია და მას ხშირადვე მოს-

დევს წვიმა" (ლამბერტი არქანჯელო, 1938, გვ. 19).

დასავლეთ საქართველოს ჰავისა და ტყიანი საფარის შესახებ ცნობებს გვანდის XVIII ს. მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვიათ არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თვინიერ სახვნელთაგან. არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი. ჰავითა კეთილ-მშუენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაითგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამ. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვი ანუ მეტყუელი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მხარი და უმეტესიცა. თუალთა ქუეშე შუენიერება ეგოდენ არა მზენარობს ტყის გამო, თვინიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ, უკეთუ დახედო მალლის მთიდამ, იხილავ სრულიადს...“ (ვახუშტი, 1973, გვ. 743).

აღმოსავლეთ საქართველოში, იბერიაში, ძირითადი სამეურნეოსამინათმოქმედო ფართობები განლაგებული იყო შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის ხეობაში, ტირიფონის და მუხრანის ნაყოფიერ ველებზე; ქვემო ქართლის ბარში და ალაზნის ველზე. უწყლობის გამო, რამდენადმე არანაყოფიერია ივრის ზეგანი და შირაქ-ელდარის ველები. აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა კოლხეთთან შედარებით მშრალი კონტინენტურია. ამიტომ ინტენსიური მინათმოქმედებისათვის საჭირო იქნებოდა სარწყავი არხები.

სტრაბონი, რომლის თხზულებებიც დამაჯერებელი საფუძვლიანობით გამოირჩევა, ანტიკური ხანის იბერიის შესახებ გადმოგვცემს: „იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით და სოფლებით; იქ არის კრამიტის სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა... ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული ... შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული; უდიდესი მათ შორის არის მტკვარი. ... ის მოედინება საძოვრებით მდიდარ ველზე, ერთვის სხვა მრავალ მდინარეს, რომელთა შორის არის ალაზანი, სანდობანი... ყველა ესენი სანაოსნონი არიან და უერთდებიან კასპიის ზღვას“ (სტრაბონი, XI, III, 1,2).

იბერია-კოლხეთში სამხედრო-საბრძოლო მოქმედებებისას, ადგილობრივი მებრძოლები ფლობდნენ და კარგად იყენებდნენ რელიეფს, მთებს, ხეობების ჩასაკეტად ვიწრო ადგილებს, მთა-გორებზე მოხერხებულად განლაგებულ თავდაცვით ნაგებობებს, ხშირ გაუვალ ტყეებს, მდინარეების ფონებს. იგივე ფაქტორები უარყოფითად აისახებოდა მომხდურთა სამხედრო ძალის მოქმედებებზე. ისინი, ბუნებრივია, არ იცნობდნენ და ტაქტიკურად სწორად ვერ იყენებდნენ ადგილობრივ ბიოგეოგარემოს — რელიეფს, კლიმატს, რესურსებს, ფლორა-ფაუნას და სხვ. შესაბამისად, ისინი ადგილობრივი პირობების შესახებ სრული ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ. კერძოდ, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მონინაალმდეგის სამეურნეო-ეკონომიკურ ბაზა-რესურსებზე, რაოდენობრივ-დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ფსიქიკურ განწყობაზე, კომუნიკაციურ და

სამხედრო-ტექნიკურ საშუალებებზე, საზოგადოების წყობაზე, სამხედრო-სტრატეგიულ ქმედებებზე.

ბიოგეოგარემოდან გამომდინარე იბერია-კოლხეთში თითქმის შეუძლებელი იყო ფართო, მასშტაბური, ფრონტალური, მრავალრიცხოვანი ჯარით (მაგ., მაკედონური ფალანგა) მოქმედება. აქ უფრო კარგად გაწვრთნილი, ადგილობრივ გარემოზე ინფორმირებული, მობილური, ე. წ. კომანდოსის ტიპის რაზმებით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა. ადგილობრივი მოსახლეობის საბრძოლო მოქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა კი, ძირითადად, სწორედ რელიეფის მოხერხებულ გამოყენებაზე იყო აგებული.

ძველი კოლხეთისა და იბერიის ბიოგეოგარემოს მიმოხილვიდან ჩანს, რომ ბიოგეოგარემომ წამყვანი როლი ითამაშა მათი ისტორიული განვითარების პროცესზე. კოლხეთი და ნაწილობრივ იბერია მთებით შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები იყო, რაც სამხედრო-სტრატეგიულად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეული, ფლორის და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე იყო დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამხედრო-სტრატეგიული განვითარების დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე და იბერიაში მდ. მტკვარზე ჩამოყალიბდა ფრიად თავისებური ისტორიულ-კულტურული არე. მისი ეკონომიკა და

პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. ანტიკური ხანის კოლხეთს და იბერიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრაც და შეჯახებაც.

\* \* \*

**წყარო-მონაცემები.** საქართველოს ისტორიის იბერიულ-კოლხური პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციისათვის მონაცემთა ბაზა, სამწუხაროდ, მცირეა. აქ უპირველესი მნიშვნელობა არქეოლოგიურ მონაცემებს, ქართულ და უცხოურ საისტორიო-ლიტერატურულ (წერილობით წყაროებს), ეპიგრაფიკულ ძეგლებს ენიჭება. ამ მონაცემების ურთიერთშედარების, სტატისტიკური აღწერისა და კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გარკვეულწილად ხერხდება საქართველოს მოცემული პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის აღდგენა-წარმოჩენა. ყოველივე ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ გავითვალისწინებთ, რომ უცხოეთში დღეისათვის ცალკე გამოიკვეთა არქეოლოგიის ახალი მიმართულება, სამხედრო არქეოლოგია (დან. იხ. კრებული — Военная археология, 1998).

იბერიულ-კოლხური ხანის სამხედრო-საბრძოლო ისტორიის შესწავლა უპირატესად არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზეა შესაძლებელი, რადგან ამ პერიოდის წერილობითი წყაროები ფრიად მცირეა და ხანდახან წინააღმდეგობრივი. საბრძოლო იარაღის



და თავდაცვითი ნაგებობების შესახებ ნლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაოდ მრავალფეროვანი მონაცემები დაგროვდა (იხ. ტაბ. I — XXXVII).

სამწუხაროდ, დღემდე, არქეოლოგიური მასალიდან მომდინარე მონაცემები სხვადასხვა არქეოლოგთა მიერ გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალის პუბლიკაციებშია გაბნეული და მთლიანობაში არ ასახავს საომარი ტექნიკა-ფორტიფიკაციის ისტორიას იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოში. არქეოლოგიური მონაცემები შემდეგი გათხრილი ძეგლებიდან მოგვეპოვება — გუადიხუ, კლდეეთი, დედოფლის გორა, ურბნისი, უფლისციხე, ყანჩათი, ყინვალი, ციხიაგორა, კამარახევი, მუხათგვერდი, მცხეთა, სოხუმი, ეშერა, ნებელდა, ჭალადიდი, ლები, საირხე, ითხვისი, შორაპანი, ვანი, მთისძირი, სიმაგრე, ქობულეთ-ფიჭვნარი, ალგეთი, მცხეთი-ჯვარი, ეცო, წითელი შუქურა, ყულანურხეა, სარკინე და სხვ. (იხ. ტაბ. I).

მნიშვნელოვანია აღნიშნულ არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული არქეოლოგიური მასალა - შეიარაღება (სატევრები, შუბები, საბრძოლო ცულები, მშვილდ-ისრები, შურდულები, ქვის ყუმბარები, მუზარადები, ჯაჭვ-ჯავშნები, ფარები, ცხენის აღკაზმულობები). ფორტიფიკაცია — ციხე-ქალაქები (თავდაცვითი თხრილები და კედლები, კოშკები, კარიბჭეები და სხვ). ეს არქეოლოგიური მონაცემები სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად, სისტემური ანალიზის გამოყენებით შეისწავლება.

არქეოლოგიური მასალა რომ წყაროდ იქცეს (ამ შემთხვევაში - შეიარაღება და ფორტიფიკაცია), ამისათვის ის შეისწავლება ცალ-ცალკე კომპონენტებად: შეიარაღება - არტიფაქტი, სტატისტიკურ-ტიპოლოგიური დახასიათება და კლასიფიკაცია, აღმოჩენის ტოპოგრაფია, თარიღი, გავრცელების არე; ფორტიფიკაცია — დასახლება, ტოპოგრაფია, სამშენებლო ტექნიკის დახასიათება, არქეოლოგიური კომენტარი და ლოკალიზაცია, ნაგებობის თარიღი. მხოლოდ ამის შემდგომ არის შესაძლებელი ცალკეული არქეოლოგიური მონაცემი შეჯერდეს წერილობით წყაროებთან, თუკი მოცემული ეპოქისათვის ის გაგვანჩია. არქეოლოგიური წყარო-მონაცემების შესახებ დაწვრილებით იხ. მომდევნო თავებში.


იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს ისტორიისათვის და კერძოდ, მისი სამხედრო-პოლიტიკური ისტორიისათვის ძირითად ქართულენოვან წერილობით წყაროს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნაწილი - „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ (ქართლის ცხოვრება — ქ. ც., 1955, გვ. 3-138), რომლის შემდგენელ-გადამწერიან ქართველი სწავლული ლეონტი მროველი (გაფრინდაშვილი, 1961, გვ. 239). ის თავის მხრივ წინამორბედთა მრავალფეროვანი წყაროებით სარგებლობდა, რომლებსაც ტექსტში ასახელებს — „წიგნი ბერძენთა“, „მოქცევაი ბერძენთა“, „ცხოვრება სპარსთა“; აგრეთვე „მოქცევაი ქართლისაი“ და სხვ. ლეონტი მროველი ქართულად და უცხოურად დაწერილი სხვადასხვა თხზულებებითაც სარგებლობდა, რომელთაგან ზოგიერთი შეს-

აძლოა ფარნავაზიანთა ეპოქის დროინდელიც კი იყო. „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში ...“ ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოყვანილი ცნობების (პერსონაჟების, პუნქტების და სხვ.) უმეტესი ნაწილი, სადღეისოდ დოკუმენტურად დადასტურებულია. მაგ.: ციხე-ქალაქები - ნასტაკისი, სარკინე, ციხე-გოჯი, არმაზი, შორაპანი, დიმნა; ისტორიული პერსონაჟები — არტაგი (არტოკე), ფარსმან I, ფარსმან ქველი, მითრიდატე (მიჰრდატი), ამაზასპი.

არქეოლოგიურად აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება ისტორიულ პირთა სახელები: მეფე ფარსმანი ნახსენებია 75 წლით დათარიღებულ ე.წ. ვესპასიანეს წარწერაში, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს „ზაპესთან“ აღმოჩნდა (ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 241). აქვე იხსენიება მეფე მითრიდატე (მიჰრდატე). ის აგრეთვე იხსენიება ე. წ. № 1 წარწერაში, რომელიც არმაზში აღმოჩნდა (წერეთელი, 1942, გვ. 42). მეფე მითრიდატე მოიხსენიება ქ. რომში აღმოჩენილ წარწერაშიც (ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 245). მეფე ფარსმანი ფიგურირებს ქ. რომის ნავსადგურ ოსტიაში აღმოჩენილ წარწერაში (გამყრელიძე, 1982, გვ. 148). იგივე მეფე ნახსენებია მცხეთაში, არმაზში არქეოლოგიურად გათხრილ ე. წ. „არმაზის ბილინგვაზეც“. ამავე ბილინგვაზევე მოხსენიებულია „იბერთა დიდი მეფე ქსეფარუნგი“ (წერეთელი, 1942, გვ. 16). „იბერთა დიდი მეფე ამაზასპე“ მოიხსენიება 1996 წელს არმაზციხე-ბაგინეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ წარწერაში (ყაუხჩიშვილი, 1998, გვ. 12).

„ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ ნახსენებ ისტორიულ პირთა მოქმედებანი მრვალგზის აღინიშნება და აღინერება აგრეთვე ბერძნულ-ლათინურ წყაროებში. მაგ.: იბერიის მეფე არტაგს (არტოკეს) ძვ. წ. 65 წელს პომპეუსის იბერიაში ბრძოლების აღწერისას ახსენებს — აპიანე (მითრიდატიკა, 103, 117), დიონ კასიუს კოკეიანოსი (რომის ისტორია XXXVII, 1; დიონ კასიუსი, 1966, გვ. 59). მეფე ფარნავაზს და მეფე მითრიდატეს ახსენებს დიონ კასიუსი (რომის ისტორია XIX, 24; VIII, 26). მეფე ფარსმანს — ტაციტუსი (ანალები, VI, 33, 34; გამყრელიძე, 1973, გვ. 55-56); დიონ კასიუსი (რომის ისტორია VIII, 26). მეფე ფარსმან II-ს იხსენიებს ფლავიუს არიანე (პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო, 11; ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 42); დიონ კასიუსი (რომის ისტორია XX, 2); აელიოს სპარტიანეს ადრიანოსი (Latyshev, 1904, გვ. 293); იული კაპიტოლინი (ანტონიუსი ...9; Latyshev, 1904, გვ. 294).

წერილობით და არქეოლოგიურად მოპოვებულ ეპიგრაფიკულ წყაროებში ნახსენები იბერიის მეფეები ქართლში სამხედრო საქმის ხელმძღვანელ-ორგანიზატორები იყვნენ. მეფე ფარნავაზის მიერ გატარებულმა სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო იბერიის (ქართლის) სამეფოს — „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24; 6-8). შემდგომ ეს რეფორმები ფარნავაზიანთა დინასტიის სხვა მეფე-



ბმა განავრცეს. მნიშვნელოვანია, რომ ფარნავაზი, იბერიის მეფე, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი (ძვ. წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის პირველი ნახევარი), ნახსენებია არქეოლოგიურად აღმოჩენილ ე. წ. „არმაზის ბილინგვის“ არმაზულ-არამეულ ტექსტში. კერძოდ, მე-8 სტრიქონში. უნინ ამ სიტყვის გაშიფრვა არ ხერხდებოდა. ახლა აქ სახელ — ფარნავაზის ამოკითხვა, მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ, ერთხმად არის გაზიარებული (იხ. გიორგაძე, 1986, გვ. 151; წერეთელი, 1992, გვ. 33).

ძველი ქართული საისტორიო წყარო „ქართლის ცხოვრება“ ძირითადად სანდოდ მიიჩნის ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილმა ევროპელმა მეცნიერ-ისტორიკოსებმა — ფ. სენ-მარტინმა და მარი ბროსემ (Brosset, 1858, გვ. 24). XIX ს-ის ქართველი ისტორიკოსებისათვის „ქართლის ცხოვრება“ ძირითადი წყარო იყო საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის რეკონსტრუქციისათვის (იხ. ბაგრატიონი თ., „ისტორია ივერიისა,“ 1848, ს-პეტერბურგი; ბარათაშვილი ს., საქართველოს ისტორია, I, ქუთაისი, 1895, რუსული გამოცემა 1865, ს-პეტერბურგი; ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889). „ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ-კრიტიკული შესწავლის და ახალი არქეოლოგიურ-ეპიგრაფიკული მონაცემების საფუძველზე თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა მართებული თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრებაზე,“ როგორც საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ნარატიულ წყაროზე (იხ. წერეთელი, 1942, გვ. 1-83; მელიქიშვილი, 1978, გვ. 54; Мухелишвили, 1986, გვ. 57; ალექსიძე,

1984, გვ. 152; ბარამიძე, 1992, გვ. 3; ხომტარია-ბროსე, 1996, გვ. 4; ქავთარია, 1999, გვ. 64-125; Ачарадзе, 1990, გვ. 10-32; გამყრელიძე, 1985, გვ. 86-97 და მათში მითითებული ლიტ.).

„ქართლის ცხოვრების“ ნაწილის — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ — ერთად იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა „მოქცევაი ქართლისაი“ (იხ. ძველი ქართული... 1963, გვ. 81-163).

მასში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თხზულების პირველი ნაწილი, სადაც მოკლე ქრონიკის სახით ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიაა გადმოცემული. აქვე მოთხრობილია იბერიის მეფეების სამხედრო-ფორტიფიკაციის, ზღუდე-ციხეების მშენებლობის ამბები. „მოქცევაი ქართლისაიში“ მოყვანილი ისტორიული ცნობების რეალობა ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრებისა,“ არქეოლოგიური, ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროებით და ეპიგრაფიკული მონაცემებით დასტურდება. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ შედგენილია V ს-ში (Обращение Груз. ... ჩხარტიშვილი, 1989, გვ. 14). შესაძლებელია, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრებისა,“ იბერიულ-კოლხური ხანის შესახებ ჩვენამდე მოუღწეველი ისტორიული თხზულებებით სარგებლობდა.

ამდენად, ამჟამად, მხოლოდ ამ ორ ქართულენოვან თხზულებაში — „ქართლის ცხოვრებაში“ და „მოქცევაი ქართლისაი-ში“ არის შემონახული ფასდაუდებელი მეცნიერული ინფორ-

მაცის მქონე ცნობები, რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ მთლიანად საქართველოს იბერიულ-კოლხური ხანის ისტორიის და, კერძოდ, სამხედრო-პოლიტიკური საკითხების კვლევისას.

ქართულთან ერთად იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის კვლევა-ძიებისას გამორჩეული მნიშვნელობა ბერძნულ-ლათინურენოვან წყაროებს ენიჭება.

სამხედრო-პოლიტიკურისაკითხების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის წარმომავლობით მცირეაზიელი, ბერძენი ისტორიკოსი, ისტორიული მეცნიერების დამფუძნებლად აღიარებული ჰეროდოტე (ძვ. წ. 484-425 წწ.), რომელიც კოლხეთშიც იყო ნამყოფი. ჰეროდოტემ თავის სქელტანიან თხზულებაში „ისტორია“ (ჰეროდოტე, ტ. I, II, თბ., 1975; 1976) ძირითადად თავისი თანადროული, ძვ. წ. V ს. ამბები აღწერა. თხზულებაში ის, მის მიერ ნანახის გარდა, იმდროისათვის არსებულ წყაროებსაც იშველიებს. მონაცემები, რომლებიც ჰეროდოტეს „ისტორიაშია“ შემონახული, დიდხნოვანი კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, ძირითადად სანდოდაა მიჩნეული. ჰეროდოტემ მიზნად დაისახა ბერძენ-ირანელთა ომების აღწერა და ამ ომების (ძვ. წ. 500-449 წწ.) მიზეზების კვლევა. მასთან ქართველური მოსახლეობის შესახებ ცნობები საერთო სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის ფონზეა მოცემული. ის მოგვითხრობს ქართველური მოსახლეობის ირანის ჯარში სამსახურის და მათი სამხედრო აღჭურვილობის შესახებ. მაგ. — „... კოლხებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ; გამოუქნელი ტყავის მცირე ფარები ჰქონდათ და მოკლე

შუბები; აგრეთვე დანები“ (ჰეროდოტე, ისტორია, VII, 79).

ქართველური მოსახლეობის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანეს, ფასდაუდებელ წერილობით წყაროს წარმოადგენს ბერძენი ავტორის ქსენოფონტის (ძვ. წ. 435-355 წწ.) „ანაბასისი“ (მიქელაძე, 1967; Ксенофонт, 1951). ქსენოფონტი ირანელი უფლისწულის, კიროსის არმიამი მალალ სამხედრო თანამდებობაზე მსახურობდა. ის კიროსის კონდოტიერთა, დაქირავებულ მეომართა, ერთ-ერთი მეთაური იყო, მეფე არტაქსერქსე II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ანაბასისი“ არის მახვილთვალისანი თვითმხილველის დღიური, რომელსაც ომიდან 10.000 მეომართან ერთად შინ მიმავალი ქსენოფონტი წერდა. ქსენოფონტის ჯარს ქართველური მოსახლეობის (კოლხების, ხალიბების, მოსინიკების, ტიბარენების, ტაოხების და სხვ.) ტერიტორიებზე გავლამ მოუწია. ის „ანაბასისში“ აღწერს მათ სამხედრო აღჭურვილობას და გამაგრებულ-საფორტიფიკაციო ნაგებობებს. იძლევა აგრეთვე სამხედრო-ფსიქოლოგიურ შეფასებებს. მაგ. — მამაცნი, უმამაცესნი, თავისუფალნი, საშიშნი, სწრაფმარდები და ა. შ.

ქართველური მოსახლეობის სამხედრო-პოლიტიკური ქმედებების შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული, ძვ. წ. I ს-ის ისტორიკოს დიოდორე სიცილიელის თხზულებაში — „ისტორიული ბიბლიოთეკა“ (ყაუხჩიშვილი, 1976-7, გვ. 37-117). ის წინამორბედთა თხზულებებს იმონმებს. კერძოდ — აპოლოდოროსს, ეფოროსს, აგათარქიდესს, არტემიდოროსს და სხვ.

მნიშვნელოვანია ძვ. წ. I ს-ის ავტორის, მცირე აზიაში დაბადებული მემნონის „ჰერაკლის ისტორია“ (ყაუხჩიშვილი, 1962, გვ. 137-194). მასში ის პონტო-რომის ომების ისტორიას გადმოგვცემს. შესაძლოა, მემნონი ამ ომის მომსწრეც კი იყო. ის აქვე მითრიდატე ევპატორის დასავლეთ კოლხეთში მოქმედების და იბერთა მეფესთან სამხედრო-პოლიტიკურ შეთანხმებაზელშეკრულებაზე მოგვითხრობს (გამყრელიძე, 1985, გვ. 50).

ისტორიოგრაფიაში სანდო და პოპულარულავტორად არის მიჩნეული ბერძენი მწერალი, კოლხეთი ანაქსოს, სამხრეთ შავი ზღვისპირეთში, მდ. იეშილირმაქთან მდებარე ქალაქ ამასიაში დაბადებული სტრაბონი (ძვ. წ. 64-ახ. წ. 24 წწ.). ის ბრწყინვალე წარმომავლობის (მითრიდატე პონტოელის სარდლის დორილაოსის და კოლხეთის მმართველის მოაფერნეს ნათესავი იყო), კარგი განათლების მქონე ნიჭიერი პიროვნება გახლდათ. სტრაბონს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეჭირა და ბევრს მოგზაურობდა. სავარაუდოა რომ ის კოლხეთშიც არის ნამყოფი. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სქელტანიანი თხზულება-ნაშრომი „გეოგრაფია“ (ყაუხჩიშვილი, 1957), რომლის წერისას ის იყენებს სხვადასხვა დღევანდლამდე მოუღწეველ წყაროებს — პოსეიდონიოსს, თეოფანე მითილენელს, ჰიფსიკრატეს, აგრეთვე ევრიპიდეს და სხვ. სტრაბონის „გეოგრაფია“ იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, შედარებით ვრცელი წყაროა.

ჩვენთვის საყურადღებოა მასში მოცემული სამხედრო-პოლიტიკური

მონაცემები. კერძოდ, სამხედრო-საზღვაო მოქმედების: საბრძოლო ნაევების, კამარებისაგან შემდგარი ფლოტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად კოლხეთიდან აპყავდათ საზღვაო ძალებში სამსახურისათვის ხალხი. კოლხეთიდან გაჰქონდათ სტრატეგიული ნედლეული — გემთსაშენი მასალა (ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი). სტრაბონის მიხედვით იბერია-კოლხეთში იყო გამაგრებული ციხე-ქალაქები — სარაპანა (შორაპანი), ჰარმოზიკე (არმაზციხე), სევსამორა (წინამური), იდესა.

სტრაბონის მიერ დასახელებული გამაგრებული პუნქტები არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა. სტრაბონი გადმოგვცემს იბერიის სამეფოს სამხედრო ფენაზე და მათ ხელმძღვანელებზე; მოგვითხრობს მამაც და ძლიერ სვანებზე, რომელთაც საომრად მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოყვანა შეეძლოთ. სტრაბონი საუბრობს სპეციფიკურ იარაღზე, შხამიან ისრებზე, რომლის მოხვედრის შემთხვევაში მოწინააღმდეგეები სწრაფად კვდებოდნენ. აქვე ცნობებია მთიელი მებრძოლი იბერების შესახებ, რომლებსაც ომიანობის დროს „მრავალი ათასი“ მეომრის გამოყვანა შეეძლოთ; იბერები შეიარაღებულები არიან ტყავის აბჯრებით, შუბებით, მშვილდებით და სხვ. სტრაბონთან მოთხრობილია მითრიდატე ევპატორის, პომპეუსის, ფარნაკეს, მითრიდატე პერგამონელის ბრძოლების შესახებ.

სტრაბონი XI, III, 6 თავში დასძენს, რომ იბერიის სამეფო სოციალურ-იერარქიულად სტრატეგიცირებულია (იხ. ვაშაკიძე, 1991, გვ. 134). იერარქიული კიბის თავში გამაერთიანებელი ხე-

ლისუფალი, მეფე იდგა. მას მოსდევდა არისტოკრატია — „მოსამართლეები, სარდლები, ქურუმები;“ შემდეგ — „მეომრები და მინათმოქმედები“.

სტრაბონის მრავალმხრივი ცნობები ძირითადად უტყუარი წყაროა იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად.

საინტერესო ცნობები აქვს ბერძენ ავტორს პლუტარქეს (46-120 წწ.) იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიისათვის თხზულებაში „პარალელური ბიოგრაფიები“ (პლუტარქე, 1975), რომლებიც ძირითადად „ლუკულუსის“, „პომპეუსის“ და „ანტონიუსის“ ბიოგრაფიების თხრობისას გვხვდება. პირველ ორ თხზულებაში აღწერილია რომაელი სარდლების ლუკულუსისა და პომპეუსის ომები მითრიდატე ევპატორთან. ამ ომებში ჩართული იყო იბერია და კოლხეთი. პლუტარქე მოგვითხრობს იბერების სპეციალური შუბოსანი რაზმის შესახებ. ისინი, მისი აზრით, საუკეთესო და სანდო მეზობლებად იყვნენ მიჩნეული. აქვე აღწერილია პომპეუსის საბრძოლო მოქმედებები იბერიის სამეფოში და შემდგომ, კოლხეთში. კოლხეთში, მდ. ფასის-რიონის ზღვასთან შერთვის ადგილას, მას ელოდებოდა სერვილიუსი თავისი სამხედრო ფლოტით.

მნიშვნელოვანი მონაცემები მოეპოვება ძველი საქართველოს და, კერძოდ, ჩვენი შესასწავლი თემის შესახებ რომაელ ისტორიკოსს, კორნელიუს ტაციტუსს (50-117 წწ.). მას საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული და გარკვეულ პერიოდში აზიის პროვინციის პროკონსულის თანამდებობაც

ეჭირა. კორნელიუს ტაციტუსი თავის თხზულებებში ეყრდნობა პირველწყაროებს. მას ხელი მიუწვდებოდა რომის სენატის სხდომების ოქმებზე, სახელმწიფო დოკუმენტებზე, სასამართლოს ოქმებზე და სხვ.

ტაციტუსი, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაცემებს გადმოგვცემს თხზულება „ანალებში“ (გამყრელიძე, 1973), სადაც ძირითადად აღწერს მის თანადროულ მოვლენებს და მათ კრიტიკულად განიხილავს. ზოგიერთი ცნობა ძველი საქართველოს შესახებ მხოლოდ ტაციტუსის თხზულებებში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ტაციტუსის თხრობის მთავარი ობიექტი რომაული სამყაროა, მაინც მცირე აზია — კავკასიის ამბებს საკმაო ადგილი ეთმობა. იბერია-კოლხეთში მიმდინარე მოვლენები ტაციტუსთან განხილულია რომი-პართიის ურთიერთჭიდილის ფონზე. ტაციტუსის „ანალებში“ მოიპოვება ცნობები მცირე აზია-კავკასიაში რომაელთა ლეგიონების განლაგების; კორბულონთან ერთად იბერების ბრძოლის; კავკასიონის ქედზე სტრატეგიული გადასასვლელების; იბერიელთა მეფის ძმის მითრიდატეს ქ. რომში ყოფნის; იბერიის მიერ არმენიის ქალაქ არტაქსატას (არტაშატის) აღების; პართელთა და იბერიელთა, მეფე ფარსმანის და სარდალ ოროდის ურთიერთბრძოლის შესახებ. აქვე აღნიშნულია იბერიელი მეომრების ამტანობის, მამაცობისა და ბრძოლის ასპარეზის კარგად ცოდნის; იბერიის მეფის ფარსმანის ბრძოლის წინა სიტყვიერი მიმართვა-მონოდეების; იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე პართიის მეფის არტაბანის სამხედრო ბრძოლა-ოპერაციების შესახებ.

ტაციტუსის თხზულებაში ფრიად საყურადღებოა ანიკეტის ამბოხის ისტორია. ანიკეტი ადრე სამეფო ფლოტის მეთაური და გავლენიანი პირი იყო. მან მოახერხა ადგილობრივი მოსახლეობის (შესაძლოა ქართველურის) გადებირება, აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი და იქ რომაელთა კოჰორტა გაჟლიტა. სამწუხაროდ, ამ მოვლენების შესამოწმებლად სხვა წყარო არ გავაჩნია.

მოცემული თემისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მონაცემებია დაცული რომაელი ისტორიკოსის აპიანეს (90 - 170 წწ.) თხზულებაში „რომის ისტორია.“ მასში განსაკუთრებით საყურადღებოა XII წიგნი - „მითრიდატიკა“ (აპიანე, 1959), რომელიც პონტოს მეფე მითრიდატე ეპატორის ომების ისტორიას გადმოგვცემს. ამ მონაკვეთის მიხედვით სამეფო არა მხოლოდ ტერიტორიულად იყო ახლოიბერია-კოლხეთთან, არამედ ძირითადად ქართველური მოსახლეობით იყო დასახლებული.

აპიანეს წყაროებად მიჩნეული არიან — პოლიბიოსი, დიონისიოსი, ფაბიუს პიქტორი, ტიტუს ლივიუსი, იულიუს კეისარი, პლუტარქე, დიოდორე, სალუსტიუსი. აპიანე იწოდებოდა გვანდის: მითრიდატე-პომპეუსის ბრძოლების; დასავლეთ კოლხეთში მითრიდატეს მოქმედებების და დიოსკურიასში (სოხუმში) გამოზამთრების; იბერიის მეფის არტოკეს 70.000 მეომრიანი ჯარის; პომპეუსის და იბერიის მეფე არტოკეს მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყართან ბრძოლების; პომპეუსის რომში ტრიუმფის შესახებ, სადაც ნახსენებია კოლხთა სკეპტუხი ოლთაკე და იბერთა სამი მეთაური; პომპეუსის მიერ კოლხეთში გამგებლად დანიშნული არისტარქეს (აღმოჩენილია არის-

ტარქეს სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები); იბერიელთა აღჭურვილობისა და საომარი ტაქტიკის შესახებ და სხვ.

იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს და მისი სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მონაცემებია შემონახული არიანეს თხზულებაში — „შავი ზღვის გარშემო პერიპლუსი“ (ფლავიუს არიანე, 1961), რომელიც იმპერატორ ადრიანესადმი გაგზავნილ სამხედრო-სამსახურეობრივ ანგარიშს წარმოადგენს.

კვინტუს ეპიუს ფლავიუს არიანე (95 - 175 წწ.) დაიბადა მცირე აზიის ქალაქ ნიკომედიაში, წარჩინებულ ოჯახში. მან კარგი განათლება მიიღო. არიანემ წარმატებული სამხედრო კარიერა გაიკეთა. ის 131-137 წწ. კაპადოკიაში რომის იმპერატორის ლეგატი იყო და ამ პროვინციას სამხედრო-ადმინისტრაციულად მართავდა. „პერიპლუსი,“ არიანეს მიერ მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით საინსპექციო დათვალიერება-საქმიანობის ანგარიშია, რომელიც გაეგზავნა იმპერატორ ადრიანეს. არიანემ ქალაქ ტრაპეზუნტიდან ქ. სებასტოპოლისამდე (დღევანდელი სოხუმი) პირადად მოიარა შავი ზღვის სანაპირო და ზოგიერთი გამაგრებული პუნქტი დაწვრილებით აღწერა. ქ. სოხუმში არიანეს ლეგატობისდროინდელი საინსპექციო საქმიანობის დამადასტურებელი, ქვაზე ამოკვეთილი წარწერაა აღმოჩენილი (იხ. Ломоური, 1981, გვ. 25 და იქ დასახ. ლიტ.). არიანეს „პერიპლუსის“ დიდი ღირსებაა ის, რომ ავტორი თვითმხილველია იმისა, რის შესახებაც

მოგვითხრობს. არიანეს მიხედვით, აფსაროსი (დღევანდელი გონიო) იმპერიის სასაზღვრო სიმაგრეთა სისტემაში ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია. აქ ხუთი კოჰორტა იყო განლაგებული. მეომრებს იარაღ-საჭურველი საკმაო რაოდენობით ჰქონდათ. აფსაროსის ციხესიმაგრეს მტკიცე კედლები ჰქონია, რომლებიც თხრილებით ყოფილა გამაგრებული. აქვე სამხედრო ჰოსპიტალი და სურსათის სტრატეგიული მარაგის შესანახი ნაგებობები იყო.

არიანე, ფასისის (ფოთის) ციხესიმაგრეზე საკმაოდ დაწვრილებით ცნობებს გვანდის (იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 70-110). ის მდებარეობს ციხესიმაგრის მოხერხებულ-მიუდგომელ თავდაცვით განლაგებაზე მიუთითებს. მოიხსენიებს საფორტიფიკაციო კედლებს და კოშკებს, რომლებზედაც „სამხედრო მანქანებია განლაგებული.“ აღნიშნავს ციხესიმაგრის კედლებთან ორმაგი თავდაცვითი თხრილის არსებობას. აქვე მიუთითებს ციხესიმაგრის დამცველი ოთხასი რჩეული მეომრის და პენსიაზე გასული მეომრების შესახებ. არიანე მოგვითხრობს, აგრეთვე ადგილობრივ მებრძოლთა რაზმებზე, რომლებიც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდნენ ქალაქ ფასისში გამაგრებულ რომაელებს. არიანეს ხელმძღვანელობით ციხესიმაგრე ფასისში სხვადასხვა სახის საფორტიფიკაციო სამუშაოები ჩატარებულა.

სებასტოპოლისის (სოხუმი) ციხესიმაგრეში ყოფნისას არიანე აღწერს ჯარის მდგომარეობას; ციხესიმაგრის ფორტიფიკაციას; მებრძოლთა სურსათით და იარაღ-საჭურველით მომარაგების მდგომარეობას და სხვ. არიანე გადმოგვცემს: „იმავე დღეს მოხერხდა

ჯარისკაცებისათვის გასამრჯელოს მიცემა, ცხენების და საჭურველის დათვალიერება, ცხენოსნების ვარჯიში; დაჭრილ-ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება; ციხესიმაგრის კედლისა და თხრილის შემოვლა-დათვალიერება“ (ფლავიუს არიანე, „პერიპლუსი ...“ 10).

არიანეს თხზულებაში „ალანთა წინააღმდეგ“ დაცულია მნიშვნელოვანი ცნობა კოლხთა სამხედრო რაზმის შესახებ — „ჰოპლიტთა შემდეგ მოკავშირეთა ჯარი დაეწყო. ისინი, რომლებიც მცირე არმენიიდან არიან, ჰოპლიტები ტრაპეზუნტიდან; **კოლხები** და რიზელი შუბოსნები“ (არიანე, „ალანთა...“, 7).

ისტორიოგრაფიაში დიონ კასიუსი ძირითადად სანდო და მცოდნე ისტორიკოსად არის მიჩნეული. კასიუს დიონ კოკეიანუსი (153-235 წწ.) მცირე აზიის ქალაქ ნიკეიდან იყო წარმოშობით. დაიბადა და აღიზარდა წარჩინებული სენატორის ოჯახში, მიიღო კარგი განათლება. მისი კარიერა წარმატებული გამოდგა; კონსული და იმპერატორთან დაახლოებული პიროვნება იყო.

დიონ კასიუსის თხზულებებიდან მხოლოდ „რომის ისტორია“ შემორჩა (დიონ კასიუსის ... 1966). ეს ნაწარმოები ძირითადად მოიცავს რომის სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიას, სადაც ყურადღება, უპირატესად ფაქტების გადმოცემაზეა გამახვილებული, ხოლო მოვლენების ახსნა-განმარტებები შედარებით უკანა ადგილზე დგას.

ძველი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა დიონ კასიუსის თხზულების ის მონაკვეთები, სადაც ტრანსკავკასიაში რომის სამხ-



ედრო მოქმედებებია აღწერილი. მათში განსაკუთრებით ვრცლად რომი-პონტოს სამეფოს მესამე ომი, ლუკულუსისა და პომპეუსის ბრძოლებია გადმოცემული. აქვეა იბერიაში და კოლხეთში პომპეუსის ლაშქრობის ამბები. კერძოდ, დიონ კასიუსს, ყველა დანარჩენ ავტორებთან შედარებით, ვრცლად აქვს მოცემული პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის მარშრუტი და პერიპეტიები; იბერიის მეფე არტოკესთან ომი და შემდეგ დიპლომატიური მოლაპარაკება. დიონ კასიუსი ასახელებს იბერიის რამდენიმე მეფეს. აქვე, იბერიის მეფის, არტოკეს, ჯარის საომარი ტაქტიკაა აღწერილი. დიონ კასიუსს აგრეთვე მოეპოვება საყურადღებო ცნობა იბერიის მეფე ფარსმან ქველზე.

იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს ისტორიისა და კერძოდ, სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების შესახებ მოკლე, ირიბ ცნობებს გვანდინან სხვა ავტორებიც. კერძოდ: ჰიპოკრატე, არისტოტელე, ფსევდო სკილაქს კარიანდელი, პოლიბიოსი, ჰეკატეოს მილეთელი, პავსანია, ნიკოლოზ დამასკელი, სკიმნოს ქიოსელი, პომპონიუს მელა, იოსებ ფლავიუსი, კლავდიოს პტოლემეაიოსი, დიონისიოს პერიგეტი, ლუკიანე სამოსატელი, ალკიფრონი, პომპეიუს ტროგუსი, გაიუს პატერკულუსი, მარკუს მანილიუსი, ლუციუს სენეკა, კვინტუს რუფუსი, გაიუს პლინიუს სეკუნდუსი, გაიუს სვეტონიუს ტრანკვილი (იხ. Latyshev, 1904; ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I-VI), მოვსეს ხორენაცი და სხვ.

იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოში საომარი მოქმედებების, საჭურველ-იარაღის და ფორტი-

ფიკაციის შესახებ ზემოთ აღნიშნულ წერილობით წყაროებში მწირი ცნობებია შემონახული. მათში ზოგჯერ ძნელი გასარჩევია ნამდვილი და გამოგონილი, მითიური, ნაწილში კი ცნობათა უმრავლესობა ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს და ერთსა და იმავეს იმეორებს.

წყარო-მონაცემთა შორის ეპიგრაფიკულ მასალას თითქმის დოკუმენტის ღირებულება გააჩნია. ჩვენ თემატიკასთან დაკავშირებული წარწერები უმეტესად შესრულებულია ქვაზე ან ლითონზე და ხშირად არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული.

ემერის ძვ. წ. III-I სს. ნაქალაქარის (ქ. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით მკმ-ზე) მონუმენტური ნაგებობის არქეოლოგიური გათხრებისას ბრინჯაოს ფირფიტის ნატყეები აღმოჩნდა, რომელზედაც ბერძნულად შესრულებული წარწერაა. ასოების სიდიდე  $\approx 0,7 \times 0,6$  სმ-ია. ამ წარწერიდან, მისი ფრაგმენტულობის გამო, ძალიან ძნელია შინაარსის გაგება. წარწერიანი ნატყეები ქ. სოხუმის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში ინახება.

ემერის ბერძნულენოვან წარწერაზე იკითხება სიტყვები, რომელთა თარგმანი ასეთია - „სამხედრო ძალა ...; შეძლება ...; სამეფო ხელისუფლება ...; აღება-დაუფლება ...; ქალაქი ...; საბრძოლო წყობა ...; წარმართვა ...; პირდაპირი ...; მამაცი ...“. წარწერას პალეოგრაფიულად ძვ. წ. III ს-ით ათარიღებენ. მისი შემორჩენილი, ზემოთ მოყვანილი სიტყვების მიხედვით შინაარსი შეიძლება ასეც აღვადგინოთ: საბრძოლო მოქმედებების შედეგად, მომხდურმა მტერმა აიღო ქალაქი („ემერი“), შემდგომ ქალაქის მამაცმა

მებრძოლთა რაზმებმა, სამეფო ხელისუფლების სამხედრო დახმარებით შეძლეს, დაებრუნებინათ და აღედგინათ ქალაქი. შესაძლოა, რომ სწორედ ამ მოვლენის, ქალაქის აღება-აღდგენის, აღსანიშნავადაა ეს წარწერა შექმნილი (შეადარე, იხ. Каухчишвили, 1985, გვ. 218; Инадзе, 1988, გვ. 148).

მცხეთაში, საქართველოს ძველ დედაქალაქში, მდ. მტკვრის მარჯვენა, არმაზციხე-ბაგინეთის მიმდებარე ტერიტორიაზე 75 წლით დათარიღებული ბერძნულენოვანი ე. წ. ვესპასიანეს წარწერა აღმოჩნდა. მასში ნახსენებია — იმპერატორი ვესპასიანე (69-79 წწ.), მისი შვილები ტიტე (იმპერატორი 79-81 წწ.), დომიციანე (იმპერატორი 81-96 წწ.). აქვე, აგრეთვე, ნახსენებია იბერთა მეფე მითრიდატე, ფარსმან მეფის შვილი.

განსაკუთრებით საყურადღებოა „ვესპასიანეს წარწერის“ ბოლო ნაწილი, კერძოდ: „... იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და ამაზასპუსის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელების მომხრეს, და ხალხს (იბერიელებს) ეს კედლები გაუმაგრეს“ (წერეთელი, 1958, გვ. 14, ტაბ. I). როგორც ჩანს, მეფე მითრიდატეს რომაული ორიენტაციის გამო რომის იმპერატორი ვესპასიანე იბერიის სამეფოს საფორტიფიკაციო აღმშენებლობაში ეხმარება და თავდაცვით კედლებს უმაგრებს, ანდა მათ გასამაგრებლად გარკვეულ თანხას იხდის.

ე. წ. ვესპასიანეს წარწერაა ადასტურებს იმ სამხედრო-პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთინტერესს, რომელიც რომს და გაძლიერებულ იბერიის სამეფოს ჰქონდა. ახ. წ. I ს-ში, პართიის სახელმწიფოს და მისი მომხრე არმენიის სამეფოს საპირისპიროდ.

წარწერა, როგორც ჩანს, არმაზციხის საფორტიფიკაციო ნაგებობაში, შესაძლოა კარიბჭეში იყო ჩამონტაჟებული, რათა რომი-იბერიის პოლიტიკური მეგობრობა საზოგადოებისათვის უფრო თვალნათელი ყოფილიყო.

თურქეთის ქ. ანკარასთან, ძვ. წ. III ს-ის კიბელას სახელზე აგებული ტაძრის კედელზე შემორჩენილია მონუმენტური წარწერა, რომელიც „მონუმენტუმ ანკურანუმის“ სახელითაა ცნობილი. წარწერა ახ. წ. 14 წლისაა; ლათინურად ინტერიერში და პარალელური — ბერძნულად ექსტერიერშია ამოკვეთილი.

„მონუმენტუმ ანკურანუმის“ წარწერა 35 ნაკვეთისაგან შედგება და წარმოადგენს იმპერატორ ოქტავიანუს ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 - ახ. წ. 14 წწ) მოღვაწეობის და ომების ამბების აღწერას. 31-ე მონაკვეთში, ჩვენი თემის თვალსაზრისით, საყურადღებო ცნობებია დაცული. თარგმანში, კერძოდ — „ჩვენი (რომაელების) მეგობრობა მოითხოვეს ელჩების მეშვეობით... ბასტარნებმა, სკვითებმა და იმ სარმატთა მეფეებმა, რომლებიც ტანაისის გამოღმა და გაღმა არიან; ასევე ალბანთა, იბერთა და მიდიელთა მეფეებმა“ (Res gestae divi Augusti; Latyshev, 1904, გვ. 41; ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 240).

წარწერა მიგვანიშნებს იმაზე, რომ I ს-ში რომსა და იბერიის სამეფოს შორის ურთიერთმომგებიანი რაღაც ხელშეკრულება იყო დადებული. პომპეუსის იბერია-კოლხეთში 6 წელს ლაშქრობის შედეგად რომაელებმა ტრანსკავკასიაში მტკიცედ ვერ მოიკიდეს ფეხი. ამას აგრეთვე რომის პართიასთან ქიშპობაც უშლიდა ხელს. საყურადღებოა, რომ ამ წარწერაში იბერიის სამეფო, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერ მიდიელებთან

ერთად, ერთ კონტექსტშია მოხსენიებული.

ქ. რომში აღმოჩნდა სამარხის სტელა, რომელზედაც ბერძნულად ამოკვეთილია 12 სტრიქონიანი ეპიტაფია; თარგმანი ასეთია — „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწა არის კასპიის კართან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც ააგო ნიკატორმა მიგდონის ზეთისხილოვან მდინარესთან. გარდაიცვალა თანამგზავრი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა, მისული პართელებთან საბრძოლველად, მიიცვალა უწინ, ვიდრე გაისვრიდა ხელს, ძლიერ ხელს, მტრის სისხლში შუბის, მშვილდისა და მახვილის პირზე; ქვეითიცა და მხედარიც იყო... „ (ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 245).

ამ წარწერიდან ჩანს, რომ II ს-ის პირველ ნახევარში რომსა და იბერიის სამეფოს შორის კარგი ურთიერთობაა, იბერიის სამეფო პრორომაული ორიენტაციის სახელმწიფოა და რომს ეხმარება პართიის სახელმწიფოს წინააღმდეგ. წარწერის მიხედვით, იბერიელთა ლაშქარი, იბერთა მეფის მითრიდატეს ძმის, ამაზასპის მეთაურობით, რომაელების მხარეზე პართელების წინააღმდეგ იბრძვის.

იტალიაშივე, რომის სანავსადგურო ქალაქ ოსტიაში, მდ. ტიბრის შესართავის მარცხენა ნაპირზე — მარმარილოს ბრტყელ, დაზიანებულ, ფილას მიაკვლიეს — 17 x 14 x 2,2 სმ. ფილასზე ლათინურად დაწერილი შვიდი სტრიქონია შემორჩენილი. ასოების ამოკვეთილი მოხაზულობა I-II სს-ის ასომთავრულისათვის არის დამახასიათებელი. თარგმანი ასეთია - „...სიანუს ... ფაბიანუს ... ფარსმანი (მეფე იბერთა)

... ით და მეუღლით ფრ... მისცა აპრილის კალენდებამდე ხუთი დღით ადრე მაისის ნონებამდე ერთი ... დღით ადრე გლადიატორთა ... (გამყრელიძე, 1959, გვ. 135).

წარწერაში ნახსენებია იბერიის მეფე და სამხედრო ხელმძღვანელი ფარსმან II (ქველი), რომელიც წერილობით წყაროებში კარგ, მორჭმულ სახელმწიფო მოღვაწედ არის შეფასებული. ეს ფარსმანია ნახსენები არმაზის ცნობილ ბილინგვის წარწერაში (წერეთელი, 1942, გვ. 23). დიონ კასიუსი გადმოგვცემს - „... როცა ფარსმან იბერიელი ცოლთან ერთად რომში ჩავიდა (იმპერატორმა) გაუფართოვა, განუერცო სამფლობელო, პატივი დასდო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეენირა; მისი ცხენზე მჯდომი ქანდაკება ენიალიონზე დადგა და მისი ვაჟკაცობის და სხვა შეჭურვილი წარჩინებული იბერების სამხედრო-საბრძოლო ვარჯიშებს უცქერდა-აკვირდებოდა“ (დიონ კასიუსი, LXX, 2, 3).

მცბეთაში, არმაზში № 4 სამარხის არქეოლოგიური შესწავლისას აღმოჩნდა ბაზალტის ქვის სტელა, რომელზედაც ბილინგვაა და სამეცნიერო ლიტერატურაში „არმაზის ბილინგვის“ სახელითაა ცნობილი. პირველი, ზედა წარწერა ბერძნულია, ხოლო მეორე, ქვედა ე. წ. არმაზულ-არამეული დამწერლობით არის შესრულებული (იხ. წერეთელი, 1942, გვ. 1-84; ყაუხჩიშვილი, 1951, გვ. 250; წერეთელი, 1992, გვ. 3-48). ჩვენთვის საყურადღებო ნაწყვეტი ქართულად ასეა — „... ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა, (რომელიც) იმარჯვებდა და ამრავლებდა ადრე ჩადენილ საგმირო საქმეებს, (და არის) ეზოსმოდგარი ქსეფარნუგ

მეფისა, ძე აგრიპასი, ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა (რომელმაც) სძლია მძღვევლნი, რაც ფარნავაზმა (ან წინა ფარნავაზიანებმა) ვერ დაასრულა..." (სრული თარგმანი იხ. გიორგაძე, 1986, გვ. 159; ნერეთელი, 1992, გვ. 48).

ამ წარწერიდან უპირველეს ყოვლისა ფრიად საყურადღებოა, რომ ამოიხსნა არამეული ტექსტის აქამდე გაუშიფრავი მერვე სტრიქონი, სადაც აღმოჩნდა, რომ ნახსენებია იბერიის მეფის, ქართლში სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმების გამტარების, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის ფარნავაზის სახელი (იხ. გიორგაძე, 1986, გვ. 151). აგრეთვე საყურადღებოა, რომ ამ ტექსტში მოხსენიებულია იბერიის მეფე ფარსმან II ქველი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია „ქართლის ცხოვრებიდან“, „მოქცევაი ქართლისაიდან“ და დიონ კასიუსის თხზულებიდან. ამგვარად, ეს ბილინგვა მნიშვნელოვანი წყაროა იბერიის სამეფოს I-II სს-ის სამხედრო-პოლიტიკური იერარქიისა და სახელმწიფო წყობილების შესასწავლად.

მცხეთაში, არმაზში № 4 სამარხის არქეოლოგიური კვლევისას, „არმაზის ბილინგვასთან“ ერთად აღმოჩნდა, ე. წ. №1 წარწერად წოდებული მონოლინგვა, ე. წ. არმაზულ-არამეული წარწერით, რომელიც დღემდე მთლიანად გაუშიფრავია. ამ ტექსტის შესახებ სპეციალისტებს გამოთქმული აქვთ ზოგადი შენიშვნები. მათი აზრით, წარწერა I ს-ა და ეხება მიჰრდატ (მითრიდატე) იბერიის დიდი მეფის პიტიახშის სამხედრო გამარჯვებებს, რომელიც მან იბერიის სამეფოს მოსაზღვრე სახელმწიფოებზე მოიპოვა.

წარწერაში გამაგრებული ადგილები და ციხესიმაგრეებია დასახელებული. ტექსტიდან ისიც ჩანს, რომ მეფე მითრიდატე, ისევე როგორც მამამისი ფარსმანი, არმენიის სანიხალმდეგოდ რომსა და პარტიას შორის ომში იყო ჩაბმული. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ტექსტში მოყვანილ გამაგრებულ ადგილთა და ციხესიმაგრეთა სახელების დამაჯერებელი და საბოლოო ამოკითხვა ვერ ხერხდება (იხ. გიორგაძე, 1999, გვ. 186).

ქალაქ სოხუმში (სებასტოპოლისში) 132 წლით დათარიღებული ლათინურ წარწერიანი ფილა აღმოჩნდა - „HADR(ადრიანესდროს)PER. FL(avium) A(trianum) .LEG (ლეგატი კაპადოკიის)“ - რომელზეც ნახსენებია რომის იმპერატორ ადრიანეს, კაპადოკიის ლეგატი, სამხედრო-ადმინისტრატორი კვინტუს ეპიუს ფლავიუს არიანე (95-175 წწ.). ჩანს, ეს წარწერა არიანეს სებასტოპოლისის ციხესიმაგრეში წარმატებული სამხედრო-საფორტიფიკაციო საქმიანობის აღსანიშნავად არის ქვის ფილაზე ამოკვეთილი (Ломоური, 1981, გვ. 25 და იქ დასახ. ლიტ.).

ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა რომაული სამხედრო შენაერთების არქეოლოგიურად დადასტურებული დამლები. ეს სამხედრო ნაწილები ადგილობრივ სამხედრო ძალასთან საბრძოლველად საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად შავი ზღვისპირეთში, კოლხეთში იყვნენ განლაგებული. კერძოდ, ბიჭვინტა-პიტეუნტში, სოხუმ-სებასტოპოლისში, ფოთ-ფასისში, ციხისძირ-პეტრაში, გონიო-აფსაროსში და ა. შ.

პიტეუნტის კასტელუმის ტერიტორიაზე, II ს-ის ფენაში აღმოჩნდა

თიხის ფილის ფრაგმენტი, რომელზეც ოთხკუთხა დამლაა — GXV. კასტელუმის დასავლეთ კარიბჭესთან დადასტურდა მეორე დამლა; სადაც მხოლოდ ასო - G-ა შემორჩენილი. ეს დამლები ანალოგიების მიხედვით შესაძლოა ასე გაიშიფროს - LEG(io) XV(Apollinaris). ამ ლეგიონის ძირითადი დისლოცირების ადგილი იყო კაპადოკიაში, სატალაში (Кигурадზე, Лордкиანიძე, Тодუა, 1987, გვ. 88).

პიტიუნტ-ბიჭვინტაშივე, ინკიტის ტბასთან მდგარ საფორტიფიკაციო კოშკში, II-III სს-ის ფენაში გაითხარა თიხის ფილა, რომელზედაც ოთხკუთხა დამლაა — LEG(io) (ლორთქიფანიძე, 1963, გვ. 105).

ლანჩხუთის რ-ნის სოფ. მოედნის ნამოსახლარზეც ოთხკუთხა დამლიანი თიხის ფილაა აღმოჩენილი — LEG (თოდუა, მურვანიძე, 1997, გვ. 108, ტაბ. X, 2). ოთხკუთხა დამლიანი თიხის ფილა დადასტურებულია ქობულეთის რ-ნის სოფ. ციხისძირის ციხესიმაგრის III-IV სს-ის ფენის გათხრისას — “VEX. FA”; VEX (illatio) FA (siana), რომელსაც ქალაქ ფასისის ციხესიმაგრისათვის დამზადებულად მიიჩნევენ (შპაიდელი, 1985, გვ. 134; გამყრელიძე, 2002, გვ. 86 და იქ დასახ. ლიტ.).

გონიო-აფსაროსში, ციხესიმაგრის ცენტრალურ ნაწილში, მოზრდილ ნაგებობაში არქეოლოგიურად გაითხარა დამლიანი აგურები. ერთზე იკითხება COH(ors) II; ხოლო მეორეზე — (C) OH (ors) II. ისინი შეიძლება გაიშიფროს — Cohors II claudiana. აქვე აღმოჩნდა აგურის ნატეხი, რომელზედაც იკითხება Sagi(taria), რომელიც მშვილდოსანთა კოჰორტას უნდა უკავშირდებოდეს. აფსაროსის ციხესიმაგრის ერთ-ერთი

კოშკის გათხრისას დადასტურდა სანათურ-ჭრაქი. მის ქვედა ფრიზზე ამოტვიფრულია ლათინური წარწერა — C.CO.H.AVR.C.R. წარწერა შეიძლება გაიშიფროს შემდეგნაირად — C — სახელის შემოკლება; COH(ors) — კოჰორტას აღნიშნავს; AVR(elius) — რომის იმპერატორი ავრელიუსისი (161-180 წწ.); C(ivium) R(omanorum) — რომის მოქალაქე (იხ. მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 163).

იბერია-კოლხური ხანის საქართველოს ისტორიის და კერძოდ, სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად საყურადღებო წყაროა ე.წ. „შაპურის წარწერა.“ წარწერა სამხრეთ-დასავლეთ ირანში, ძველ პერსეპოლისში (თახთაჯემშიდი; ამჟამად ქ. ისთახართან), ქ. შირაზიდან 50 კმ-ზე, ზოროასტრული რელიგიის „ზოროასტრის ქაბის,“ მთავარი ტაძრის კედელზე აღმოჩნდა. წარწერა შესრულებულია პართულ-ფალაურ, სასანურ-ფალაურ და ძველ ბერძნულ ენებზე (Sprengling, 1953, გვ. 25; ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 255 და იქ დასახ. ლიტ.).

„შაპურის წარწერაში“ მოთხრობილია სასანური ირანის მეფის შაპურ I-ის (240-272 წწ.) სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. აქ ნახსენებია მის სამეფოში შემავალი ქვეყნები; მის მიერ წარმოებული ძლევამოსილი ომები და სხვ. აქვე ნახსენებია იბერია, რომელიც პროსასანიდურ ქვეყნად ჩანს; აღნიშნულია იბერიის მეფე ჰამაზასპის შესახებ. კონტექსტის მიხედვით, მეფე ჰამაზასპი სანაური ირანის ხელმწიფის მოკავშირე გავლენიანი პირი ყოფილა. ჰამაზასპი (ამაზასპი), რომელიც პროსასანური ორიენტაციისაა, ვიცით „ქართლის

ცხოვრებიდანაც," სადაც იგი მოხსენიებულია ძლევა მოსილ მეფედ, კარგ სამხედრო მოღვაწედ. მას მის დიდ პაპას, ფარსმან ქველს ადარებენ. ამაზასპი რომაელებს ებრძოდა და მათთან ომში ბრძოლის ველზე დაეცა.

ამრიგად, როგორც ზემოთ გამოჩნდა, ასეთია ის მცირე წყარო-მონაცემთა ბაზა, რომელთა ინტერპრეტაციასა და კრიტიკულ განხილვას ეყრდნობა იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქცია. გარკვეულწილად მათ ემატება ანთროპოლოგიური და ფოლკლორული მონაცემებიც. კომპლექსში - წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების, ანთროპოლოგიური და ფოლკლორული მონაცემების კრიტიკულად განხილვის და მათი ურთიერთშეჯერების შედეგად შესაძლებელია გაბმული ისტორიის, კერძოდ, იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური მეტ-ნაკლებად ერთიანი სურათის წარმოდგენა.

\* \* \*

**სამხედრო-პოლიტიკური ვითარება.** ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნებისათვის, როგორც კოლხეთი და იბერია იყო, სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია იბერია-კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხების ასახსნელად. სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორი ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილის ნაწილია. მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ზო-

გჯერ კი უკეთურ გავლენას ახდენენ. კონსტრუქციულია, მაგალითად, სამეურნეო-კულტურული ინოვაციები; დესტრუქციულია — საომარი თავდასხმის შედეგად ქვეყნის დაპყრობა, საზოგადოებრივი წყობის ტრადიციული სტრუქტურების შეცვლა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად სოფლების და ქალაქების დანგრევა, მატერიალურ ფასეულობათა ძარცვა-განადგურება, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლის მოშლა.

ომისათვის მზადება, საომარ მდგომარეობაში ყოფნა, გამორჩეულ წინამძღოლ-პიროვნებათა აღზევებას, საზოგადოების შეკვრა-მობილიზებას და მეტ ორგანიზებულობას იწვევდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში და სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში გამოიხატებოდა (Claessen, Skalnik, 1978, გვ. 620). ჩამოყალიბებულ, განვითარებულ სახელმწიფოში „საომარი ფაქტორი“ დადებით — ქვეყნის კონსოლიდაცია-დარაზმულობა, საზოგადოებრივი წესრიგის ამაღლება, საფორტიფიკაციო-კომუნიკაციური მშენებლობა ან უარყოფით — სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლა, ეკონომიკური ზარალი - შედეგს იწვევდა.

აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე ძველი საქართველო (იბერია-კოლხეთი) სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის, ერთი მხრივ, ირანული და, მეორე მხრივ, ანტიკური ორიენტაციის ქვეყნების საომარი მოქმედებების ასპარეზი იყო. ასეთ გარემოცვაში მყოფი საქართველო ძლიერი მეზობელი ქვეყნებისაგან ხშირ აგრესიას განიცდიდა.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს (იხ. Меликишвили, 1954) აგრესიულმა მეზობლობამ ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია. მოცემულ საომარ ფაქტორს შემდგომში, კოლხეთის და იბერიის სამეფოების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში, საგრძნობი როლი უნდა შეესრულებინა.

დაახლოებით ძვ. წ. 720 წლიდან წინა აზიაში ე. წ. კიმერიულ-სკვითური ტომების (ალბათ ერთი მოდემისანი არიან), პერმანენტული ბრძოლებით შემოჭრა იწყება. ეს ნომადური, მეომარი ტომები მომთაბარეობას ეწეოდნენ და ცხენების მეშვეობით სწრაფად გადაადგილდებოდნენ. ისინი მთელი ჯალაბობითა და ქონებით მოძრაობდნენ. კიმერიულ-სკვითების საომარი ტაქტიკის ძირითადი საფუძველი იყო — მსუბუქად შეიარაღებული სწრაფი ცხენოსნები, რომლებიც ელვისებურად მოქმედებდნენ; მათი დიდი რაოდენობა (ყველა მამაკაცი მოლაშქრე იყო); რკინის სპეციფიკური შეიარაღება (მშვილდ-ისრები, სატევრები, ცულები და სხვ.).

კიმერიულ-სკვითების ნომადური, აგრესიული ტომობრივი გაერთიანებები სამხრეთ რუსეთის ტრამალებიდან შავი ზღვის ჩრდილოეთი და დასავლეთი სანაპიროს გაყოლებით ბრძოლებით მოძრაობდნენ. ისინი ბოსფორდარდანელის სრუტის გადმოლახვით შეიჭრნენ წინა აზიაში (იხ. Тереножкин, 1976; კვიციელია, 1985, გვ. 111) და იმ დროის მდიდარ, მონინავე ქვეყნებს დაერივნენ. კიმერიულ-სკვითების

გაერთიანებებმა დაარბიეს და დააქციეს მთელი რიგი ქვეყნები. ბრძოლებით გაიარეს წინა აზია და აქ გეოპოლიტიკური სიტუაცია გარკვეულწილად შეცვალეს.

ქართველური მოსახლეობით დასახლებული სამხრეთ ტრანსკავკასიის ტერიტორიაზე მისვლისას მათი საომარ-აგრესიული პოტენციალი პერმანენტული ბრძოლების შედეგად უკვე მნიშვნელოვნად დასუსტდა. შესაძლოა, რომ ამ დროისათვის კიმერიულ-სკვითების ნაწილი ასიმილირდა ადგილობრივ მოსახლეობაში. ნაწილი კი ჩადგა ადგილობრივ ხელისუფალთა სამსახურში — მაგალითად, ურარტუს მეფე რუსა II-ის (ძვ. წ. 685-645 წწ.) ჯარში კიმერიელებიც იბრძოდნენ (Меликишвили, 1954, გვ. 364).

კიმერიულ-სკვითთა დიდი ლაშქრობები არ შეხებია ტრანსკავკასიას. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში არ ჩანს კიმერიულ-სკვითური ტომების პირველი ტალღის დამადასტურებელი არტეფაქტები. აქ ზოგადად ძვ. წ. VII ს. ბოლოთი და VI ს. დათარიღებული ე. წ. სკვითური მატერიალური კულტურის ელემენტები მცირე რაოდენობით ჩანს (აკინაკები, ქარქაშის ბუნიკები, ცულები, ცხენის ლაგმები). იხ. არქეოლოგიური არტეფაქტები — სოფ. კოლხიდიდან, ყულანურხვიდან, ჩობანლუკიდან, გუადიხუდან, წითელი შუქურიდან, სოხუმიდან, მერხეულიდან, პალურიდან, ნიგვზიანიდან, ბრილიდან, თლიადან, როკიდან, დვანიდან, წინამურიდან, სამთავროდან, ხოვლედან, დიღმიდან, ბეშთაშენიდან, კუმისიდან, შულავერიდან, მელაანიდან (დანერვილებით იხ. ფირცხალავა, 1978,

გვ. 31-52 და ტაბ. 9-14). საყურადღებოა აგრეთვე, რომ საქართველოს არქეოლოგიურ მონაცემებში არ ჩანს ე. წ. სკვითების რაიმე საომარი მოქმედების კვალი. თუმცა არქეოლოგიური მასალიდან ისიც ირკვევა, რომ ადგილობრივი კულტურისათვის დამახასიათებელ ელემენტებთან ერთად, ზოგიერთ სამარხში, იშვიათად, ე. წ. სკვითურისათვის მიკუთვნიებული ესა თუ ის ნივთიც ჩნდება. ამდენად, მათი მცირე ნაწილის ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია არ არის გამოსარიცხი. ალბათ, ეს სწორედ ის ნაწილია, რომელმაც ადგილობრივ მოსახლეობას, სამხედრო საქმის თვალსაზრისით, ახალი, მსუბუქად შეიარაღებული, სწრაფი ცხენოსან-მეომართა ტაქტიკა და იარაღი გააცნო.

ძვ. წ. VI საუკუნეში ქართველური ხალხით დასახლებულ ცენტრალურ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიას აქემენიდური ირანის იმპერია დაუმეზობლდა. აქემენიდებმა ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე და სპარსეთის ყურიდან არალის ზღვამდე ტერიტორიები გააერთიანეს (იხ. Дандамаев, 1985). ამ უზარმაზარმა იმპერიამ, ბუნებრივია, დიდი როლი ითამაშა ტრანსკავკასიის ქვეყნების განვითარებაზე. აქემენიდებმა ტრანსკავკასიის სრული დამორჩილება ვერ შეძლეს, ალბათ რთული რელიეფისა და გეოპოლიტიკური ვითარების გამო, მაგრამ სამხრეთ ტრანსკავკასიაზე კი განავრცეს თავიანთი ზეგავლენა. მათ დაიმორჩილეს ეს ტერიტორიები და იმპერიის XIX სატრაპიაში შეიყვანეს; წლიურად 300 ტალანტს ოქროთი ახდევინებდნენ (პეროდოტე, ისტ. III, 94).



სურ. 1. ქსენოფონტი

ძვ. წ. 400-410 წლებისთვის აქემენიდებს კოლხები, მოსუფინიკები და ხალიბები აღარ ემორჩილებოდნენ (ქსენოფონტი, ანაბასისი, VII, 8, 25). მეფე არტაქსერქსე II-ს (ძვ. წ. 404-359 წწ.) აუმხედრდა ძმა — კიროსი, რამაც განაპირობა აქემენიდიანთა გავლენის ერთგვარი დასუსტება იმპერიის პერიფერიებში, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაშიც.

ძვ. წ. 401 წელს კაპადოკიისა და ლიდიის (მცირე აზიაში) მმართველმა უფლისწულმა კიროსმა ირანის მეფე არტაქსერქსე II-ს წინააღმდეგ სამეფო ტახტის წასართმევად ომი წამოიწყო. როგორც შემოთაც ვახსენეთ, ამ ომში ბერძენი დაქირავებული მეომრების ერთ-ერთი სამხედრო ხელმძღვანელი იყო ქსენოფონტი (სურ. 1), რომელმაც აღწერა ბრძოლები და ის ტერიტორიები, სადაც ქართველური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა. ქალაქ ბაბილონთან მომხდარი ბრძოლის შედეგად უფლისწული კიროსი დაიღუპა, ხოლო მისი ჯარი დაიშალა; დაქირავებული, ომებში გამობრძმედილი დაახლოებით 10.000 მეომარი ბერძენი გამოემართა სამშობლოში. გზად მათ სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაზე გაიარეს, სადაც ადგილობრივ ქართველურ მოსახლეობასთან, უმეტესად ბრძოლით, ხოლო ზოგჯერ მოლაპარაკებებით



მძიმედ და რთულად იკაფავდნენ გზას. 10.000-იან ჯარს დიდი რაოდენობით სურსათი დასჭირდებოდა, რაც ბერძენი მეომრების ადგილობრივებთან ბრძოლის ძირითადი მიზეზი იყო. ზოგ გამაგრებულ ქალაქს, რომელიც მოიცავდა სიმაგრეთა მთელ სისტემას, ბრძოლებით, შტურმით იღებდნენ, ზოგს კი ვერ იღებდნენ და ამიტომ გვერდს უვლიდნენ. ბერძენმა მეომრებმა გაიარეს მრავალი გამაგრებული ქალაქი, რომელთა გამაგრების სისტემა ქსენოფონტის გადმოცემით სხვადასხვანაირი იყო. მაგალითად, მათ ვერ შეძლეს ერთ-ერთი ციხესიმაგრის აღება: „როდესაც ბერძენები ამ მთიან ქვეყანაში მივიდნენ (ადგილობრივმა მცხოვრებლებმა)... გადანვეს და მიატოვეს თავისი სიმაგრეები, რომლებიც ადვილად ასაღებად ეჩვენებოდათ...“. „... ერთი ციხე-სიმაგრე მათი დედაქალაქი იყო...“, „... მას გარშემო ღრმა თხრილი ჰქონდა და ამიტომ მისადგომად სახიფათო იყო. ჰოპლიტმა მეომრებმა ... იერიში მიიტანეს ციხე-სიმაგრეზე. მათ უკან მისდევდნენ მელაფეები, რომლებიც სურსათს და სხვა ქონებას აგროვებდნენ.“ ... „როცა ბერძენებმა საბრძოლო იერიშით ვერ შეძლეს ციხე-სიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო განიერი თხრილი და მიწის ყრილი ჰქონდა შემოვლებული; მათზე კი ხის კედლები და მრავალი კოშკი იყო აღმართული, გადანყვიტეს გასცლოდნენ სიმაგრეს; მაგრამ ადგილობრივები თავს დაესხნენ ბერძენებს. გაქცევა შეუძლებელი იყო, რადგან სიმაგრეებიდან ხრამის გადალახვა მხოლოდ სათითაოდ შეიძლებოდა.“ ... „... სიმაგრე სავსეა მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი აღება შეუძლებელია, რადგან იგი


მიუვალა და არც აქედან უკან დახევაა ადვილი, რადგან (დამცველები) სწრაფად გამოვარდებიან ხოლმე ციხე-სიმაგრეებიდან და ხელჩართულ ბრძოლას გვიმართავენ“ (ანაბასისი, V, 2, 3-7). ამ ბრძოლებში ბერძენთა რაზმები უკუიქცნენ, ბევრი დაიღუპა და დაიჭრა (ანაბასისი, V, 2, 7).

ქსენოფონტის, რომელიც სამხედრო საქმის კარგი მცოდნე იყო, ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაში მცხოვრები ქართველური მოსახლეობა კარგად ფლობდა მაშინდელი სამხედრო საქმის ძირითად ელემენტებს. კერძოდ, მათ ჰქონდათ სასიმაგრო-ფორტიფიკაციული სპეციალური ნაგებობები — თხრილები, ხის სასიმაგრო კედლები, კოშკები, შიდა ციხეები, მიწაყრილები; გააჩნდათ იმ დროისათვის მოწინავე რკინის იარაღები — შუბი, სატევარი, ცული, მშვილდ-ისარი; ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებები — ფარი, მუზარადი, ჯავშანი; ფლობდნენ საომარ-ტაქტიკურ ხერხებს — სწრაფი იერიში, გადაჯგუფება, რელიეფის მოხერხებულად გამოყენება; იყვნენ ბრძოლაში მამაცნი, მოხერხებულნი და შეუპოვარნი (იხ. ანაბასისი III-V).

ძვ. წ. 401 წელს კოლხთა და ბერძენთა ჯარის შერკინების შესახებ, სამხედრო საქმის კარგი მცოდნის, ამ ომში ბერძენების მხედრობის ერთ-ერთი მეთაურის, ქსენოფონტის წერილობითი აღწერაა შემონახული. კერძოდ, ეს ბრძოლა კოლხეთის სამფლობელოების საზღვართან, მალლობზე მომხდარა. ამ მალლობის ტრადიციული ბერძნული ფალანგით (ბერძენთა ჯარის მთავარი ტაქტიკური დანაყოფი) აღება რთული, მთავორიანი რელიეფის გამო მარტივი

არ იქნებოდა. მთაგორიან ადგილზე ფალანგის ქვეითთა მწკრივები უთუოდ აირეოდა და დამარცხდებოდა. ამიტომ ბერძენთა ჯარის სარდლობის (სტრატეგოსები — ქსენოფონტი, ხეირისოფოსი, ესქინე აკარნანელი, კლევანორე ერქომენელი) გადანწყვეტილებით „ფალანგა“ დაყვეს ცალ-ცალკე ასეულებად — ლოხებად (დაახლოებით 80-მდე) და ისინი ფრონტალურად ცალ-ცალკე დააწყვეს მონინაალმდეგის განლაგების მთელ პერიმეტრზე. ეს მოხდა იმდგვარად, რომ კოლხების წყობის ხაზს სჭარბობდა, რაც შემდგომ ფლანგებიდან შეტევის საშუალებას მისცემდათ. ლოხების ერთი მეორისაგან დაცილ-

ბული მწკრივის წინ განალაგეს სამი (თითოეულში 600-მდე მსუბუქად შეიარაღებული მეომარი - პელტასტი) მობილური, სწრაფი დანაყოფი. ამ ჭარბმა ძალებმა იერიში მიიტანეს მალლობზე მდგარ კოლხთა განლაგებაზე და შეუპოვარი ბრძოლის ფასად სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლე აიღეს. ამ ბრძოლის შედეგად ბერძენები კოლხების ქვეყანაში შეიჭრნენ და შავი ზღვისაკენ გზა გაიკაფეს. შემდეგ ისინი სანაპიროზე, კოლხების ქვეყანაში, მჭიდროდ დასახლებულ ქალაქ ტრაპეზუნტში შევიდნენ (იხ. ანაბასისი IV-VIII, 17-19, 22).



პურ. 2. ძვ. წ. 401 წ. ქსენოფონტის მიხედვით კოლხებსა და ბერძნებს შორის ბრძოლის სქემა

კოლხეთის სამხედრო ხელმძღვანელობას ეტყობა დაზვერვის ცნობები ჰქონდა ბერძენთა საომარი გადაადგილების შესახებ. ამიტომ კოლხთა ლაშქარი საბრძოლველად მზად იყო და კოლხების საზღვართან სტრატეგიულ მალღობებზე იდგა. ეს ადგილი აღმოსავლეთ პონტოს და ლაზეთის მთიანეთში უნდა ყოფილიყო (ახლა მდებარეობს თურქეთში). კოლხები მართებულად მოიქცნენ, როცა სტრატეგიულ სიმაღლეზე განლაგეს თავის მხედრობა. კოლხთა ძირითადი დანაყოფის სპეციალურ წყობას, სამხედრო საქმის კარგამცოდნემ, ბერძნების მხრიდანამ ბრძოლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა უწოდა „ფალანგა“ (იხ. ანაბასისი IV, VIII, 17), ანუ „კოლხური ფალანგა“ (ამის შესახებ იხ. საყურადღებო გამოკვლევა — ლორთქიფანიძე გ., 1979, გვ. 98). ბერძენთა ჯარის ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად ჩათვალა კოლხთა ლაშქრის ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიცია და ტაქტიკური წყობა. ამის გამო ბერძნებმა ბრძოლის ტრადიციული ტაქტიკა შეცვალეს. ეს კი იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ „კოლხური ფალანგა“ საკმაოდ საშიში ძალა იყო (სურ. 2).

ბერძენულ-დორიულ ფალანგას (იხ. Жмодиков, 1998, გვ. 89) მძიმედ შეიარაღებული (მახვილებით, შუბებით, ფარებით, მუზარადებით, საბარკულებით, ლითონის ჯავშნებით) მეომრების, ჰოპლიტების, მწკრივებად (დაახლოებით 15) დალაგებულ მწყობრს უწოდებდნენ, რომელიც მთელ საბრძოლო ხაზზე იყო განლაგებული. ფალანგა ბერძენთა ჯარის ძირითად ტაქტიკურ დანაყოფს წარმოადგენდა და სწორ რელიეფზე მოქმედებისას შემჭიდროვე-

ბულ დამრტყმელ ფრონტის ხაზს ქმნიდა, რაც მას მრისხანე ძალად აქცევდა (იხ. Connolly, 1988, გვ. 41-51). ფალანგის მწკრივების სისწორისათვის აუცილებელი იყო ფეხანყობილი სიარული, რაც მკაცრი წვრთნით, დისციპლინითა და მუსიკალური საკრავებით ტაქტის დაცვით მიიღწეოდა. ბერძენულმა სამხედრო წყობამ — ფალანგამ, იმ ეპოქაში არაერთხელ ნათელყო უპირატესობა ცალკეულ ჯგუფებად მოქმედ მეომრებთან შედარებით.

ძვ. წ. 401 წელს მომხდარი ბრძოლის დროს, როგორც ამას ქსენოფონტი გადმოგვცემს, კოლხების ფალანგა ბერძნების შეტევისას სწრაფად, მწყობრად ორად გაიყო. ამის შედეგად ფალანგის ერთი ნაწილი მარჯვნივ, ხოლო მეორე მარცხნივ გადაჯგუფდა. ამ ქმედებით კოლხების ხელმძღვანელობამ გარკვეული მანევრი ჩაატარა. მათ ფალანგის ცენტრალური ნაწილის გახსნით ისეთი მდგომარეობა შექმნეს, რომ ბერძნები შეეტყუებინათ და შემდგომ ფლანგებიდან აპირებდნენ შეტევას. მოცემული მანევრით კოლხებმა თავიდან აიცილეს ბერძნების ლოხებისაგან გარშემოვლის საშიშროება. კოლხებმა ტაქტიკურად სწორი მანევრი განახორციელეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ბერძენთა მებრძოლების რიცხობრივმა სიმრავლემ ითამაშა. ისინი 10.000-მდე იყვნენ.

ზემოხსენებული, კოლხთა ფალანგის მანევრი, მათი წინასწარ სტრატეგიულ სიმაღლეზე განლაგება, იმის მაჩვენებელია, რომ კოლხებს სამხედრო საქმე არც თუ ცუდად ჰქონდათ დაყენებული. ჩანს, ისინი ბერძენულ, იმ დროისათვის მოწინავე სამხედრო ხელოვნებასაც კარგად იცნობდნენ.

კოლხების და ბერძნების ბრძოლის ამბავს ქსენოფონტი მოკლედ შემდეგნაირად გადმოგვცემს: „როდესაც მოწინააღმდეგემ (ბერძენი მეომრები) შენიშნა, ისინი (კოლხი მეომრები) გამოემართნენ მათკენ და ამის მერე გაიშალნენ ნაწილი მარჯვნივ, ხოლო ნაწილი — მარცხნივ; ამგვარი გადაჯგუფებით თავისი ფალანგის ცენტრში ფართე დერეფანი შექმნეს“ (ანაბასისი, IV, VIII, 17).

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კოლხებმა ჯერ კიდევ ძვ. წ. 401 წ. ზემოხსენებულ ბრძოლაში, მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ, ე. წ. ქიმიური იარაღის მაგვარი რამ გამოიყენეს. კერძოდ, როცა ბერძენმა ჯარისკაცებმა აიღეს კოლხების დასახლებული პუნქტები და იქ შევიდნენ, ადგილობრივებმა იქ დატოვეს სპეციფიკური თაფლი. ბერძენ „მეომართაგან ყველამ, ვინც კი თაფლის ფიჭა შეჭამა, გონება დაკარგა, აღებინა, კუჭი აეშალა და არც ერთს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. ისინი, ვინც ცოტა ჭამა მაგრად მთვრალეებს ჰგვანდნენ, ხოლო ვინც ბევრი — შეშლილებს ან მომაკვდავებს. უმრავლესობა ევარა ისე, როგორც დამარცხების შემდეგ ბრძოლის ველზე“ (ანაბასისი IV, 8, 20-21). კოლხი მებრძოლების ამ ტაქტიკურმა ფანდმა ბერძენი მეომრები მწყობრიდან გამოიყვანა და მათი შეტევა რამდენიმე დღით შეაჩერა.

სპეციფიკური თაფლის საომარი მიზნით გამოყენება წერილობით წყაროებში აგრეთვე ძვ. წ. I ს-შია დადასტურებული. ეს ამბავი დაახლოებით იმავე ადგილებში მოხდა. კერძოდ, რომელ სარდალს პომპეუსს „... ამოუწვევტეს სამი სპეირა (დაახლოებით 350 მეომრიანი რაზმი — გ. გ.), რომლებიც

მოძრაობდნენ ამ მთებში. მათ (მეომრების) გზებზე კრატერებით (სპეციფიკური ფართოპირიანი ჭურჭელი) დადგეს შერეული გამაცოფებელი თაფლი,“ რომელმა მეომრებმა „... შეჭამეს ის და გაცოფდნენ; მაშინ მათ თავს დაესხნენ და ადვილად დახოცეს“ (სტრაბონი XII, III, 18).

ასევე ე. წ. ქიმიურ იარაღად შეიძლება ჩაითვალოს სპეციფიკური შხამიანი ისრები. კერძოდ, სპეციალური მომწამვლელი ნივთიერებით დაფარული ისრისპირები, რომლის მოხვედრის შემთხვევაში მოწინააღმდეგის მეომრები მცირე ჭრილობითაც სწრაფად იღუპებოდნენ — მაგ.: „სვანები ისრისპირებისათვის სანამლავს ხმარობენ ...“ (იხ. სტრაბონი XI, II, 19).

კოლხეთში სამხედრო მოქმედებების დროს გამოიყენებოდა „მედეას ზეთი,“ ნავთობი (დანვრილებით იხ. გამყრელიძე, 2001, გვ. 26-32) და სხვა კომპონენტები, რომელიც თანამედროვე „ნაპალმს“ ჰგავდა თავისი მოქმედებით. კერძოდ, ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღწერს კოლხეთში ქ. ფასისიდან სამხრეთით, ციხე-ქალაქ პეტრასთან (დღევანდელი ციხისძირი ქ. ქობულეთთან) 550 წელს რომაელებისა და ირანელების ბრძოლას, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას — „მათ აავსეს ქოთნები გოგირდით, ასფალტით და ერთი სანამლავით, რომელსაც მიდიელები ნავთს ეძახიან, ელინები კი მედეას ზეთს, მოუკიდეს მათ ცეცხლი და ესროდნენ კედლის დამანგრეველ მანქანებს, რომლებიც თითქმის უმეტესობა დაწვეს“, „... მაგრამ მათ დიდხანს ვერ გაუძლეს ამას; ვინაიდან ცეცხლი, სადაც კი მოედებოდა, მაშინვე აგიზგიზდებოდა,

თუ ის მაშინვე არ იყო უკუგდებული,"  
 «ცეცხლი ავარდა, მოედო და კოლხი  
 მედეას სახელით ცნობილი ზეთისა  
 და სხვა მომარაგებულ ნივთიერებათა  
 წყალობით მთელი კოშკი და იქ მყოფი  
 სპარსი მეომრები გადაწვა» (პროკოპი  
 კესარიელი, BG, VIII, 11, 36-40).

სამხედრო საქმის განვითარების  
 გარკვეულ დონეზე მიუთითებს ალბათ  
 ისიც, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. 400 წლებში  
 მოიხსენიებიან ქართველური წარმო-  
 მავლობის მეომრები, რომლებიც აქე-  
 მენიდათა ირანის სახელმწიფოს ჯარში  
 მოქირავნებად მსახურობდნენ - «...  
 ტირიბაზს ყავს ჯარი და მოქირავნეები:  
 ხალიბები და ტაოხები» (ანაბასისი IV,  
 4, 18). ისინი ომობდნენ გასამრჯელო-  
 სათვის, კონდოტიერების მსგავსად  
 და, ბუნებრივია, პროფესიონალი მეომ-  
 რები იყვნენ; ისევე, როგორც ქსენო-  
 ფონტის ბერძენი მეომრები, რომლე-  
 ბიც უფლისწულმა კიროსმა დაიქირავა.  
 შესაძლოა მოქირავნეებზევეა ლაპარა-  
 კი ჰეროდოტესთანაც, როცა ის აღწერს  
 ირანის მეფე ქსერქსეს მიერ ძვ.წ. 480  
 წელს საბერძნეთში ლაშქრობას (ისტო-  
 რია VII, 53-79). დაქირავებული მეომ-



სურ. 3. შუბოსანი იბერიელი

რები უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე,  
 შემდეგ, მითრიდატეს და ტიგრანის  
 ჯარში მყოფი იბერი მეომრებიც (სურ.  
 3), რომლებიც ომობდნენ „საჩუქართა  
 მიღების სურვილის გამო“ (პლუტარქე,  
 „ლუკულუსი“ 26). იქვე აღნიშნულია,  
 რომ „ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის  
 რჩეული და მრავალრიცხოვანი ჯარი  
 იდგა. ჯარს წინ ცხენოსანი მშვილდოს-  
 ნები - მარდები და შუბოსანი იბერები  
 (სპეციალური დანაყოფი) უძლოდნენ.  
 უცხო მეომართა შორის ყველაზე დიდ  
 ნდობას, როგორც საუკეთესო მეომ-  
 რებს ...“ (პლუტარქე, „ლუკულუსი“ 30)  
 სარდლობა სწორედ მათ უცხადებდა.

ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარში წინა  
 აზიაში მნიშვნელოვანი გეოპოლი-  
 ტიკური ცვლილებები მოხდა. აქე-  
 მენადათა ირანის იმპერია ალექსანდრე  
 მაკედონელის ბერძენ-მაკედონელთა  
 ძლიერ არმიასთან ბრძოლებში დაე-  
 მხო. ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ.  
 356-323 წწ.) სახელმწიფო და სამხედრო  
 მოღვაწეობის შედეგად ხმელთაშუაზ-  
 ღვიდან მდ. ინდამდე სამყარო შეიცვ-  
 ალა (იხ. Шахермайр, 1986; Левек, 1989;  
 Шлюмберже, 1985; Эллинизм, 1990).  
 აღმოსავლეთის ქვეყნები ბერძენ-მაკე-  
 დონელთა პოლიტიკური და ეკონომი-  
 კური ინტერესების არეში მოექცა.

ალექსანდრე დიდის სამხედრო-  
 პოლიტიკური სტრატეგიისათვის დამ-  
 ახასიათებელი იყო — მოწინააღმდეგის  
 რესურსების და სამხედრო ძალების წი-  
 ნასწარი ყოველმხრივი შესწავლა-დაზ-  
 ვერვა; ახალი სამხედრო ტაქტიკა (ე. წ.  
 მაკედონური ფალანგა) და ტექნიკა (ინ-  
 დივიდუალური შეიარაღება და სააღყო  
 მანქანები); ზურგის საიმედო მომა-  
 რაგების და კომუნიკაციების უზრუნ-  
 ველყოფა; მოწინააღმდეგის მთავარი

ძალის განადგურებისაკენ სწრაფვა; სტრატეგიული ჩანაფიქრის სისტემური, თანმიმდევრული და მიზანსწრაფული განხორციელება.

ძვ. წ. 334 წელს მცირე აზიაში ომისთვის ალექსანდრე მაკედონელს კარგად ორგანიზებული და მკაცრად დისციპლინირებული 48.000-იანი რეგულარული არმია ჰყავდა მომზადებული (იხ. პლუტარქე, ალექსანდრე მაკედონელი, 15). მისი არმია შედგებოდა — შეიარაღების მიხედვით: მძიმე, საშუალო და მსუბუქი ქვეითებისაგან და მხედრებისაგან. ამგვარი, ახალი ორგანიზაციული დაყოფა, მთლიანობაში არმიის ტაქტიკური მანევრების საშუალებას მკვეთრად ზრდიდა. მძიმედ შეიარაღებული ქვეითები და მხედრები ელიტურ დანაყოფებს წარმოადგენდნენ. ალექსანდრეს არმიის მთავარი დანაყოფი „მაკედონური ფალანგა“ იყო, რომელიც 15-დან 20-მდე მწკრივისაგან შედგებოდა. პირველი მწკრივის მეომრების შუბებს უკანა მწკრივის გრძელი შუბებიც ემატებოდა. ამგვარად, შუბის წვერების მრისხანე კედელი იქმნებოდა. ფალანგის წინ მსუბუქად შეიარაღებული მობილური ჯგუფები მიდიოდნენ, ხოლო ფალანგებს მძიმედ შეიარაღებული მხედრები უმაგრებდნენ; არიერგარდში მსუბუქად შეიარაღებული მხედრები მოძრაობდნენ (იხ. Connolly, 1988, გვ. 64-83).

აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი რაოდენობის და ტაქტიკური დანაწილების არმიისათვის, ალბათ, ძნელი იქნებოდა მთავორიანი რელიეფის მქონე ქვეყანაში წარმატებული მოქმედება (მაგ., კავკასიაში). ალბათ, ურთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რატომაც ალექსანდრე მაკედონელს, პირადად,

კავკასიაში არ ულაშქრია. მაგრამ აქ, შესაძლოა, მაკედონელების მხარდაჭერით სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის ერთ-ერთმა ქართველური გაერთიანების (მაგ. არიან ქართლის) ხელმძღვანელმა, პატრიკმა აზონმა ილაშქრა — „შემდგომად ამისსა გაძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრო ყოველი ქვეყანა, და აღმოვიდა ქვეყანასა ქართლისასა (ალბათ, უნდა ვიგულისხმეთ მაკედონელების მიერ მხარდაჭერილი პატრიკი-აზონი — გ. გ.); და პოვნა ციხე-ქალაქი ესე ძლიერნი შუა-ქართლ — წუნდა, ხერთუისი მტკურისა, ოძრხე მოკიდებული კლდესა ღაღოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქუიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უზანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უზანი ურიათა და რუსთავი, და დედა-ციხე სიმშუილდე, და მტუერის ციხე, რომელს არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქი. ამათ ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი; და განუყო ლაშქარი თუისი და ყოველთა ამათ ციხე-ქალაქთა გარემოადგინნა, და თუით დადგა მცხეთას. და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ, და თუით დადგა ქსანს ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქუიან ნასტაკისი (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 17-18; აქ დასახელებული ციხე-ქალაქების უმეტესი ნაწილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად სადღეისოდ დოკუმენტურად არის დადასტურებული).

მეორე წერილობითი წყარო გამოგვცემს „... თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზო(ნი), ძე არიან ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდგა

მას ჰერეთი და ეგრის წყალი..." (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ., 1963, გვ. 81). ციხე-ქალაქ სარკინეს აღებით ქართველური მოდგმის გაერთიანებებს შორის ქიშპობა დასრულდა. ქართლში მაკედონელთა მიერ აღზევებულმა აზონმა ხელთ იგდო ძალაუფლება (იხ. ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 17-19). ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ქართლში აზონის მიერ განსხვავებული წესრიგის დამყარება დაიწყო და მმართველობის ახალი ფორმები შემოვიდა (პრობერძნულ-მაკედონური). აზონის ხელისუფლებას „ასი ათასი კაცი" (ქ. ც., გვ. 18) იცავდა. ქართლის (იბერიის) სამეფოს კონსოლიდაციის პროცესი, ჩანს, მტკიცეწეულად მიმდინარეობდა. ცალკეული მხარეების წარჩინებულ მეომართა გუნდები უცხო ძალის გამოყენებაში ხედავდნენ გამოსავალს, რათა უპირველესები გამხდარიყვნენ და მთელი ძალაუფლება ხელთ ეგდოთ. ამ დაუნდობელ ბრძოლებში ხან ბუნთურქებს (ალბათ, კიმერიელ-სკვითებს), ხან ირანელებს, ხანაც ბერძენ-მაკედონელებს იყენებდნენ. რალაც ეტაპზე პატრიკიოსმა (მამაუფალმა) აზონმა ბერძენ-მაკედონელთა დახმარებით იმძლავრა. თავისი ძალაუფლების გასამაგრებლად აზონმა ცალკეულ წარჩინებულთა და მათ მხარდამჭერთა მიმართ უმკაცრესი ღონისძიებები გაატარა (იხ. ქ. ც., გვ. 20).

აზონს დაუპირისპირდა მცხეთელი წარჩინებული ფარნავაზი თავისი მომხრეებით, რომელიც აგრეთვე გარკვეულწილად უცხო ძალას დაეყრდნო. ამ დაპირისპირებას აზონის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. ფარნავაზს შეუკავშირდა კოლხეთის (ეგრისის) გავლენიანი წარჩინებული პირი

— ქუჯი და აზონის წინააღმდეგ საომარი სამზადისი დაიწყო. ალბათ, მათ აზონის მკაცრი პოლიტიკით უკმაყოფილო სხვა წარჩინებული მხედრებიც მიიმხრეს და უცხო ტომის ხალხსაც უხმეს; ამით „განიმრავლეს სპანი" და „ეგრისით შეკრიბეს ურიცხვანი სპანი და მომართეს აზონს" (ქ. ც., გვ. 23). ჩანს, კოლხეთი ფარნავაზის წინააღმდეგობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. აზონის და ფარნავაზ-ქუჯის შეიარაღებულ მომხრეთა შორის შეტაკება-საბრძოლო მოქმედებებით გამოწვეული ნგრევის მონობაა, ალბათ, საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ძვ. წ. IV ს. მიწურულის გადამწვარი ნამოსახლარები. ასეთი დანგრეულ-გადამწვარი ნამოსახლარები არქეოლოგების მიერ შესწავლილია — სოფ. მთისძირში, ადგიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლო (იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 111-121); სოფ. ვარციხესთან ვარდიგორა (ჯაფარიძე, 1977, გვ. 43-50); ვანის ნაქალაქარზე — ე. წ. თეთრი შენობა და 211, 193 ნაკვეთების ძეგურბათქაშიანი ნაგებობა; სამადლოს (იხ. Гагошидзе, 1979), ციხიაგორას (იხ. Цкитишвили, 1976, გვ. 60-65), ურბნისის (იხ. ჭილაშვილი, 1968, გვ. 35-37) გადამწვარი სასიმაგრო ნაგებობები (იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 37-38, 111-121).

ბრძოლებში დამარცხებული აზონი კლარჯეთისკენ (სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიაში) იხევს და იქ თავის სამემკვიდრეო მამულში მაგრდება. ფარნავაზს და აზონს შორის გადამწყვეტი ბრძოლა ქალაქ არტაანთან (მდებარეობს მდ. მტკვრის ზემო დინებაზე, ახლა თურქეთში - ქ. არდაჰანი) მოხდა. აქ „... იქმნა ბრძოლა დიდძალი; და მოსწდეს ორგნითვე ურიცხუი; ხოლო

იდლივენეს ბერძენნი (ალბათ, აზონის დამხმარე ძალები — გ. გ.) ფარნავაზისგან. ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ, და ურიცხვანი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე ქმნეს” (ქ. ც., გვ. 23).

წერილობით წყაროებში ასახულ ამ საომარ პერიპეტეიებში აშკარად ჩანს ალექსანდრე მაკედონელის ბერძენ-მაკედონელთა იმპერიისა და მისი მემკვიდრეების აგრესიული ინტერესები კავკასიაში. ამ ინტერესებს ისინი ადგილობრივი წარჩინებულის, კლარჯი აზონის ხელით ახორციელებდნენ.

ძვ. წ. 323 წლიდან, ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ, მის სარდლებს შორის დაიწყო ომები, რაც საბოლოოდ იმპერიის ნანგრევებზე რამდენიმე სახელმწიფოს წარმოშობით დასრულდა. იბერია-კოლხეთის მეზობლად სელევკიდების (იხ. Бикерман, 1985) ვრცელი სამეფო აღმოჩნდა. ქართლის (იბერიის) გაერთიანებისათვის და მასში პირველობისათვის ადგილობრივ წარჩინებულთა შორის მიმდინარეობდა ბრძოლები. ეს ის პერიოდი, როდესაც ომებმა ალექსანდრეს მემკვიდრეებს შორის იმპერიის განაწილებისათვის კულმინაციას მიაღწია. აზონიც და ფარნავაზიც ურთიერთქიშპისას იყენებდნენ გარეშე სამხედრო ძალებს (ე. წ. საგარეო ფაქტორი). როგორც ჩანს, ალექსანდრეს სარდლები აქტიურად ეწეოდნენ იბერიელ წარჩინებულთა პირველობისთვის ბრძოლებში. ისინი და ინტერესებულნი იყვნენ, რომ თავიანთი ზეგავლენა წინა აზიის უკიდურეს ჩრდილოეთით — ტრანსკავკასიაში გაეფართოვებინათ.

ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში ფარნავაზმა მოახერხა მთელი ქართლისა და კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის

გაერთიანება. მან საფუძველი ჩაუყარა ფარნავაზიანების სამეფო დინასტიას. წერილობითი წყაროები მას მიაწერს იბერიის სამეფოს სამხედრო ორგანიზაციის რეფორმებს. მეფე ფარნავაზმა სახელმწიფო სამხედრო-ადმინისტრაციულ პროვინციებად (საერისტავოებად) დაყო, რომელთა სათავეში საერო და სამხედრო ხელისუფლებით აღჭურვილი, ერთგული წარჩინებულები დააყენა (იხ. ქ. ც., გვ. 24-26).

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ეგრისმა (კოლხეთმა) და ქართლმა (იბერიამ) რთული ისტორიული გზა განვლეს. ეგრისის სახელით ქართულწერილობით წყაროებში ზოგჯერ მთელი დასავლეთ საქართველო აღინიშნება — „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა ან ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ ... სადა წარსწუთების წუერი კავკასისა” (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 5). მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების” მიხედვით, ეგრისს გარკვეულ პერიოდში აღმოსავლეთით საზღვრავს ლიხის ქედი; დასავლეთით — ზღვა, ჩრდილოეთით — კავკასიონის მთები, რომელიც აღწევს ზღვამდე მდ. ფსოუსთან; ხოლო სამხრეთით — აჭარა-ლაზეთის მთიანეთი — „მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა” (ქ. ც., 1955, გვ. 24). ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების შედარებისას ეგრის-ქართლის კონკრეტული საზღვრები ძნელად გასარკვევი ჩანს.

ეგრისი უმეტესად იხსენიება, როგორც საერისთავო — „და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა” (ქ. ც., 1955, გვ.



24). „და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არის ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“ (ქ. ც., 1955, გვ. 23-24). ეგრისი ჰერეთის-ნაირი სტატუსის მქონე ოლქად არის ნახსენები — „და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანამდე. და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თვინიერ კლარჯეთისა და ჰერეთი და ეგრისი“ (ქ. ც., 1955, გვ. 136). ანდა „და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“ (ქ. ც., 1955, გვ. 65; შეად. ჯანაშია, 1952: გვ. 307; ლომოური, 1968).

გარკვეული დროიდან სახელი ეგრისი დასავლეთ საქართველოს კრებითი სახელია (ისეთივე, როგორც ბერძნულ-ლათინური წყაროების „კოლხიდა“). ის ხან დიდი ტერიტორიის მომცველია (მთელი დასავლეთ საქართველო), ხან კი მცირე; მაგ., ეგერ-სვანები (იხ. Бузанд, 1953, გვ. 15) ან „ქართლის ცხოვრების“ „შიდა ეგრისი“ (ქ. ც., 1955, გვ. 185), ანდა კიდევ, კლავდიოს პტოლემეაიოსის ეკრიტიკე (ლომოური, 1955, გვ. 45), რომელსაც ეგერ-ეგრისის დამახინჯებულ ფორმად მიიჩნევენ (ჯავახიშვილი, 1960, გვ. 404; ჯანაშია, 1959, გვ. 6). „სომხურ გეოგრაფიაში,“ რომელიც ადრინდელი, ბერძნული გეოგრაფიების გავლენითაა დაწერილი, ეგრისის ტერიტორიაზე აღინიშნება ოთხი მხარე - „კოლხიდა, რომელიც არის ეგერი, მდებარეობს პონტოს ზღვის აღმოსავლეთით .... საზღვრავს იბერიას. ეგერი იყოფა ოთხ მხარედ: მანრილი, ეგრისი-ეგრევიკა, ლაზეთი, ჭანივი, რომელიც არის ქალდეა. აქ არის ბევრი მთა, მდინარე,

ქალაქი, ციხე, სოფლები და სავაჭრო ადგილები“ (Армянская география, 1877, გვ. 38).

ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, რომელთა მიხედვითაც აზოს და შემდგომში ფარნავაზის დროს (ძვ. წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი) კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული, სანდოდ გამოიყურება (Меликишвили, 1959, გვ. 290). ამ დროისათვის ძვ. წ. V-IV სს. კოლხეთის სამეფო დასუსტებულია და ველარ უძღვებს, ერთი მხრივ, მთიდან, ხოლო მეორე მხრივ, აღმოსავლეთიდან შემოსევებს. იგი თანდათან სუსტდება ტერიტორიებს. ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ შიდა კოლხეთზეც ვრცელდება იბერიის პოლიტიკური გავლენა.

ზემოხსენებულს მხარს უბამს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაცემები. კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, რომელიც ადრე ერთგვაროვანი იყო, შეინიშნება ცვლილებები; ძვ. წ. III საუკუნეში ეს ცვლილებები კიდევ უფრო გაღრმავდა. მკვეთრი განსხვავება შეიმჩნევა შიდა და ზღვისპირა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 40). ამ პერიოდში შიდა კოლხეთის მატერიალური კულტურა იბერიულ გავლენას განიცდის. პირველად ეს აისახა დაკრძალვის ახალი წესის გაჩენაში — ესაა ქვევრსამარხები. კოლხეთში ქვევრში დაკრძალვის წესის გაჩენა, უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძვ. წ. IV ს. მიწურულიდან, იბერიიდან არის სავარაუდო. ამგვარი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რამდენადმე განსხვავდება ადრე არსებულისაგან და მიგვითითებს

ცვლილებებზე შიდა კოლხეთის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 40). ქვევრსამარხებში ნაპოვნი ნივთები უმეტეს შემთხვევაში მცირერიცხოვანია და ღარიბული. მათში არ გვხვდება საბრძოლო იარაღი.

უიარაღო ქვევრსამარხებთან დაკავშირებით საყურადღებოა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც აზოს ბრძანებით უნდა დასჯილიყო ყველა ქართველი, ვისაც იარაღი ჰქონდა: „აზო იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დაანესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი“ (ქ. ც., 1955, გვ. 20).

შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ცვლილება პირველად საირხის ლომინაურში (ნადირაძე, 1975, გვ. 99), ითხვისში (აბრამიშვილი, 1963, გვ. 7) და ვანში (ლორთქიფანიძე, 1977, გვ. 20) ნითლად მოხატული იბერიულისნაირი კერამიკის გაჩენით აღინიშნა. განსაკუთრებით საყურადღებოა მსბლისებურტანიანი, ბრტყელძირა, ცალყურა, პირგადაშლილი და ნითელი საღებავით გაფორმებული დოქების აღმოჩენა. ნითლად მოხატული ამგვარი ჭურჭელი სრულიად უცხოა ძვ. წ. VI-IV სს-ის კოლხეთისათვის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ისინი ბევრია დადასტურებული — ციხიაგორას დაჭრილების სამაროვანი (ნაკაიძე, 1980, გვ. 28), თეთრინყარო (ბოხოჩაძე, 1963, გვ. 27), თბილისი (ქორიძე, 1958, გვ. 47), ასურეთი (Куртин, 1948, გვ. 8) და ა.შ. ამგვარი ჭურჭლის პირველი, მოცეითალოდ ანგობირებული ნიმუშები (ვანის № 9 სამარხი და ითხვისის № 2 სამარხი) იბერიიდან არის შემოტანი-

ლი. შემდგომში ამგვარი ფორმის და გაფორმების კერამიკა (უანგობო), ადგილობრივ დამზადებული, უკვე მრავლად გვხვდება დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ქვევრსამარხებში.

ცვლილება შეიმჩნევა კოლხური ხელოსნობის ისეთ მკვეთრად გამოხატულ დარგში, როგორიც ოქროს და ვერცხლის მხატვრული დამუშავებაა. ძვ.წ. V-IV სს. ოქროს და ვერცხლის ნივთების დამზადებაში შეიმჩნევა გეომეტრიული ფორმების (სამკუთხედი, რომბი, კონუსი, წრე) და გაფორმების ტექნიკის (ცვარა, დაკეჭვანა, გრეხვა) მდგრადობა. გავრცელებულია რომბიანი დიადემები, სხივანა საყურეები, ჭვირულბურთულებიანი საყურეები, ყელსაბამები, სასაფეთქლები - ვანი, ითხვისი, მთისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ბრილი, საირხე, სოხუმი, ზუგდიდი და ა.შ. (დანვრილებით იხ. ჭყონია, 1981, გვ. 6). კოლხური ოქრომჭედლობა ძვ.წ. IV ს. ბოლოდან გარკვეულ კრიზისს განიცდის. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს სამხედრო მოქმედებების შედეგად ქვეყნის ეკონომიკის დაცემით. ძვ. წ. III საუკუნიდან იცვლება ფორმები და გაფორმების ხერხები, შემოდის ახალი სიუჟეტები.

დასავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებაში, კერძოდ, შიდა კოლხეთის არქიტექტურულ მასალაზე, იბერიის გავლენა აისახა, მაგალითად - საირხეში, ვანში, მთისძირში. მსგავსება შეიმჩნევა იბერიის — არმაზციხე, წინამური, ღართის კარი (Апакидзе, Николаишвили, 1985, გვ. 44), ციხიაგორა (Цкитишвили, 1976, გვ. 60), სამადლო (Гагоშიძე, 1979, გვ. 62), უფლისციხე (ხახუტაიშვილი, 1970, გვ. 22) და კოლხეთის სამშენებლო წესებში (ალიზის

აგურისა და ქვათლილები გამოყენება; ქვათლილების მშრალი წყობა და ერთმანეთთან დაკავშირების წესი). ფორმის მხრივ გარკვეული სიახლოვე შეინიშნება სამადლოს და ვანის კრამიტს შორის (იხ. Гагошидзе, 1979, გვ. 62): ვანის, სოფ. მთისძირის, ციხიაგორას, სამადლოს და მცხეთის კრამიტების ნიშნებშიც თითქოს მსგავსება აღინიშნება. საინტერესო ფაქტია, რომ რიყის ქვით საძირკვლის გაკეთება აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებულია დედოფლის მინდორზე, ურბნისში, საყარაულო სერზე, ხოლო კოლხეთში ის მხოლოდ ძვ. წ. III ს. გვხვდება. ანგარიშგასანევია მსგავსება სამადლოს, სარკინეს და ვანის ნაქალაქარების ტერასებზე დაგეგმარებაში. სამადლოს ზოგიერთი სამშენებლო ქვის პეტროგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ასეთი ჯიშის ქვა (ეკლარის კირქვა) მოიპოვება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ქ. ქუთაისის მახლობლად. აქ ახლაც ამუშავებენ ეკლარის ქვის საბადოებს. ამ კარიერზე უფრო ახლოს სამადლოსთან ამგვარი ჯიშის ქვა არ მოიპოვება (ანალიზები ჩაატარეს გეოლოგებმა მ. ხუჭუამ და თ. ქუთათელაძემ; Гагошидзе, 1979, გვ. 53).

კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გარდატეხის მიმანიშნებელია ისიც, რომ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან აღარ იჭრება კოლხური თეთრი, რომელიც აქამდე მთავარი მონეტაა კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში (იხ. Дундуа, 1987, გვ. 9). იბერიასა და შიდა კოლხეთში ძვ. წ. III საუკუნიდან ძირითადად ვრცელდება ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმახეს სახელზე მოჭრილი მონეტები. შემდგომში ამ სტატერების მინაბაძების ადგილობრივი ნიმუშები საკმაო რაოდენობით გვხ-

ვდება საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში.

ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულის საომარი მოქმედებების შედეგად დაინგრა, ალბათ, მაგალითად, ვარციხის „გიორგობიანების გორის“, ვანის და მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ნაგებობები. სამწუხაროდ, შიდა კოლხეთში ამ პერიოდის სხვა ნაგებობები ჯერჯერობით ცოტაა მიკვლეული და გათხრილი. ვფიქრობთ, რომ შეუსწავლელ ნამოსახლარებზეც იგივე სიტუაცია აღინიშნება. სოფ. ვარციხის „გიორგობიანების გორაზე“ აღმოჩენილი ნაგებობა დანგრეულ-გადამწვარია ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარში (ჯაფარიძე, 1977, გვ. 43). ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარშია გადამწვარი ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის თეთრი ქვით ნაგები შენობა და ზედა ტერასაზე (ნაკ. 211 და 193) გათხრილი ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობა. ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულისათვისაა დანგრეული სოფ. მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ძელურ-ბათქაშიანი თავდაცვითი ნაგებობა (შენობის დანგრევის დრო რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდითაა განსაზღვრული; გამყრელიძე, 1982, გვ. 56-63, 93).

კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება, ერთი მხრივ, აზოს (აზონ) და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით აიხსნას. როგორც ცნობილია, ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების რთული პროცესი სწორედ ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობს. ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც ქართლის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება.

არიან-ქართლიდან, ანუ ირანის ქართლიდან (მდინარე მტკვრის, ქოროხისა და არაქსის სათავეების ახლო-მახლო ტერიტორია, ჰეროდოტე, III, 94) მოსულმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღზევებულმა აზომ ჯერ ქართლის გეოგრაფიულ-სტრატეგიული, მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყარი, ცენტრი — მცხეთის ტერიტორია დაიმორჩილა, ხოლო შემდგომ ქართველური მოდემის ხალხით დასახლებული სხვა მხერეებიც დაიქვემდებარა. ერთგვარად აზო ქართველურ ენაზე მოლაპარაკეთაგამაერთიანებლად გვევლინება: „და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდგა მას ჰერთი და ეგრის წყალი...“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული..., 1963, გვ. 81).

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესოა აზოსდროინდელი ქართლის (იბერიის) დასავლეთი საზღვრის დადგენა. ამ მხრივ გასარკვევია, თუ დასავლეთ საქართველოს რომელ მდინარეს ეწოდებოდა „ეგრის წყალი.“ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეგრისწყლის მდებარეობის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება (იხ. ბერძენი, 1967, გვ. 131). შესაძლოა, რომ ეგრისწყალში იგულისხმებოდეს დღევანდელი ერისწყალი (იხ. ლომოური, 1981, გვ. 31).

„მოქცევაი ქართლისაის“ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ეგრისის დასავლეთ საზღვრად ეგრისწყალია დასახვლებული. აქ ნახსენები არ არის ზღვა, რომელიც აქვე ახლოა და ისეთი ბუნებრივი საზღვარია, რომ მისი აღუნიშნაობა გარკვეულ ახსნას მოითხოვს. „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორმა, აღმათ, რაიმე რეალური მიზეზი იცოდა, რის მიხედვითაც კოლხეთის ზღ-

ვისპირეთი არ შევიდა აზო-ფარნავაზის, დროინდელი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. ამის ასახსნელად ფრიად საინტერესოა არქეოლოგიური მონაცემები, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს ძვ. წ. III ს. ზღვის სანაპიროს და შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში აღინიშნება მკვეთრი განსხვავება (იხ. ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 40). „მოქცევაი ქართლისაი“-ზე უფრო გვიანდელი წერილობითი წყარო „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთაში“ აზოს სამფლობელოს დასავლეთ საზღვრად ზღვაა დასახვლებული (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 19).

მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა კლარჯეთში გაქცეული აზო საბოლოოდ დაამარცხა, იგი უკან, ქართლში მობრუნდა და დაიწყო აღმინისტრაციული რეფორმების ჩატარება (ქ. ც., 1955, გვ. 23-24). ფარნავაზმა ქუჯის საერისთავოდ დაუმტკიცა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვიდან მთამდე მდებარე ტერიტორია. აქვე აღნიშნულია, რომ ეგრისწყლის იქით, ზღვამდე მონაკვეთი, ეგრისის საერისთავოს აღარ ეკუთვნის - „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. ... და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ (ქ. ც., 1955, გვ. 24).

ზღვისპირეთში, მდ. რიონსა და ეგრისწყალს შუა მდებარე მონაკვეთის გარდა, აზო-ფარნავაზის ეპოქაში, საფიქრებელია, ანტიკურ ქვეყნებსა და

იბერიას შორის ბუფერული „ქალაქ-პოლისები“ წარმოიშვა. მათ გაჩენაში გარკვეული როლი ითამაშა კოლხურ დასახლებებთან „ბერძნული კოლონიზაციის“ შედეგად წარმოქმნილმა სავაჭრო ემპორიონებმა, რომლებიც კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ტრანსფორმირდნენ პოლისური ტიპის დასახლებებად. ამის თაობაზე საინტერესოა ქალაქ ფასისის შესახებ ჰერაკლიდეს ცნობა ფასისის სახელმწიფო წყობის (პოლიტიის) შესახებ. სპეციალისტ წყაროთმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ „პოლიტიების“ შემუშავების თარიღი ძვ. წ. IV საუკუნის შემდგომ პერიოდს უნდა ასახავდეს (დანვრ. იხ. ყაუხჩიშვილი, 1969, გვ. 189).

ზღვიდან მთამდე და რიონიდან ეგრისწყლამდე ტერიტორია ეგრისის საერისთავოს ეკუთვნოდა. ფარნავაზ მეფის სიძემ, ეგრის-სვანეთის ერისთავმა აქ, სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილას, მდ. ტეხურის შუა წელზე, ააგო ციხე-გოჯი (ქ. ც., 1955, გვ. 24). წერილობითი და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ციხე-გოჯი დამაჯერებლადაა გაიგივებული მდ. ტეხურას მარცხენა ნაპირზე მდებარე ნოქალაქევთან. სოფ. ნოქალაქევის ნაქალაქარის შიდა ციხეში მიკვლეულია ფარნავაზის დროინდელი კულტურული ფენა (სადაც აღმოჩნდა — კრამიტები, პირამიდისებური სანაფები, ადგილობრივი ამფორები და სხვ.; იხ. გრიგოლია, ფხაკაძე, ბარამიძე, ლორთქიფანიძე, 1973, გვ. 17) და გალავნის გადაღმა გათხრილი ამავე პერიოდის ქვევრსამარხები და ორმოსამარხები (Гвинчидзе, 1978). ციხე-გოჯი, ერთი მხრივ, სამდინარო გზით უკავშირდებოდა მდ. რიონს, ძირითად

სატრანსპორტო მაგისტრალს, ხოლო მეორე მხრივ, ეგრისის ქედის იქით სვანეთსაც აკონტროლებდა (მდ. ენგურისა და მდ. ცხენისწყლის აყოლებით).

ციხე-გოჯის გარდა, დასავლეთ საქართველოში ლეონტი მროველს ნახსენები აქვს შორაპნის და დიშნის ციხეები: „ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ(რ)ადმდე (ეგრისისა), რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ ალაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიშნა“ (ქ. ც., 1955, გვ. 24). შორაპანი თანამედროვე დაბა შორაპნის ციხესთან, ხოლო დიშნი სოფ. ზედა დიშის ნაციხართან არის გაიგივებული (იხ. ცქიტიშვილი, 1964, გვ. 71; ჯაფარიძე, 1990; ბრავგაძე, 1990, გვ. 137).

აზო-ფარნავაზის პერიოდის კოლხეთი, ზოგიერთი ზღვისპირა მონაკვეთის გარდა, ქართლის სამეფოში ეგრის-სვანეთის საერისთავოს სახით იყო გაერთიანებული (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 86). როგორც ჩანს, კოლხეთში იმხანად იმძლავრა ცალკეული სკეპტუხიების გათიშულობა-დაპირისპირებამ, ხოლო ქართლში, პირიქით, მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსოლიდაცია მოხდა და ძლიერი, ცენტრალიზებული სუფლებიანი სამეფო განვითარდა. ქართლის სამეფომ ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესში კოლხეთის ნაწილის ინკორპორაცია განახორციელა (დანვრილებით იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 87-89). ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა დაახლოებით ძვ. წ. II-I სს. მიჯნამდე, ვიდრე კოლხეთის გარკვეული ნაწილი მითრიდატე VI ევპატორის სამეფოს გავლენის ქვეშ არ მოექცა.

ანტიკურ ქვეყნებსა და იბერიის სამეფოს შორის კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან განვითარდა პოლისური ტიპის ქალაქები — დიოსკურია (არქეოლოგიური მასალა სოხუმიდან იხ. Трапш, 1969; Шамба, 1980; Воронов, 1980), გიენოსი (არქეოლოგიური მასალა ოჩამჩირიდან იხ. Качарава, 1972), ფასისი (არქეოლოგიური მასალა ფოთის მიდამოებიდან იხ. გამყრელიძე, 2002; Gamkrelidze, 1990, გვ. 223), ქობულეთ-ფიჭვნარი (არქეოლოგიური მასალა იხ. კახიძე, 1971), ხოლო შიდა კოლხეთი (resp. ეგრისი) იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაექვემდებარა (დანვრილებით იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 86-97). იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ მყოფი შიდა კოლხეთის სტრაბონისეული (იხ. XI, II, 18) სკეპტუხიები (resp. საერისთავოები) — საირხე (იხ. ნადირაძე, 1990), ქუთაისი (იხ. ლანჩავა, 1975; ჯიქია, 1977, გვ. 26), ნოქალაქევი (იხ. ზაქარაია, 1981, ლომოური, 1981, გვ. 18), ვანი (არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. „ვანი,“ 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1982, 1983) და სხვები გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ (იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 27-58). ამგვარი ტერიტორიული დანაწილება განვითარდა, პირველ რიგში, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-კომუნიკაციური და სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის საფუძველზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი თემი უფრო დანაწილდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად. შემდგომ სწორედ ეს ცენტრები დაედო საფუძველად სკეპტუხიებად დანაწილებას. ეტყობა, იმიტომაც აგებდა იბერია შორაპნის და დიონის ციხე-ფორპოსტებს, რომ ეს

სეპარატისტული გამოვლინებები დაეთრგუნა.

კოლხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების შესახებ ფრიად ცოტა საისტორიო წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემი მოგვეპოვება. ამ კუთხით საყურადღებოა კოლხეთის შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახული ცნობა: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა...“ „...შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (სტრაბონი, XI, II, 18). როგორც სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ ნაწყვეტიდან ჩანს და არქეოლოგიური მონაცემებიც ამას მოწმობს, დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნისათვის კოლხეთში უკვე გაფორმებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კომუნიკაციურ საფუძველებზე წარმოქმნილი ტერიტორიული ერთეულები, რომელთა სათავეში ადგილობრივი დანაწილებული გვარის წარმომადგენლები იდგნენ. ამ ტერიტორიებიდან შემდგომ ზოგიერთი უფრო დანაწილდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ რეგიონად საქალაქო ცენტრით. ასეთებია, მაგალითად, „ვანი,“ „ქუთაისი,“ „საირხე“ და სხვ. სტრაბონის „გეოგრაფიის“ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, რომ კოლხეთი სკეპტუხიებად დანაწილდეს, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს ქვეყნის დაყოფა გარკვეულ ტერიტორიულ-სამმართველო ერთეულებად. ეს დანაწილება, ალბათ, ხელისუფლებამ ჩაატარა, რათა, ერთი მხრივ, გაადვილებოდა სამხედრო-ადმინისტრაციული მართვა, ხოლო მეორე მხრივ, მეტი პოლიტიკური ცენტრალიზაციისათვის მიეღწია (იხ. ინაძე, 1961, გვ. 783).

საფიქრებელია, რომ პირველ ეტაპზე ისინი უფრო ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულებია, ხოლო თანდათან ერთ-ერთი ამ ერთეულის არისტოკრატიული გვარი წინაურდება და ახერხებს დანარჩენების დაქვემდებარებას. სწორედ ეს არისტოკრატიული გვარი შემდეგ სამეფოს უკეთ სამართავად და ხელისუფლების განსამტკიცებლად ადმინისტრაციულ რეფორმებს ატარებს. აქ, ალბათ, ისეთივე რეფორმები ტარდება, როგორც შემდგომ ქართლში გაატარა მეფე ფარნავაზმა (ქ. ც., 1955, გვ. 24). დროთა განმავლობაში კოლხეთის საგამგებლო ერთეულებს შორის მოხდა გარკვეული დიფერენციაცია, რადგან აქაური რეგიონული ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური პირობები არათანაბარია (მაგ., რიონის დაბლობის სკეპტუხიები უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მთიანი გურიის). ამან შემდგომში, დაახლოებით ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში, საგამგებლოებს შორის ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში კოლხეთის სამეფოს დასუსტებით და იბერიასთან მისი ინკორპორაციით დასრულდა.

საისტორიო ტრადიციის მიხედვით, იბერიის მეფე ფარნავაზმა ეგრისის საერისთავო დაუმტკიცა ქუჯის, რომელიც, როგორც ჩანს, ადრეც ფლობდა კოლხეთის ნაწილ ტერიტორიას. ახლა ფარნავაზმა მას ტერიტორიები გაუფართოვა, სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციული უფლებებიც უბოძა; და გააყოლა ცოლად და ამით სამეფო დიდმოხელედ აქცია. საყურადღებოა, რომ რვა ერისთავიდან საისტორიო წყაროში მხოლოდ ქუჯია მოხსენიებული (იხ. ქ. ც., 1955, გვ. 24).

ქუჯი წარმომავლობით ძველი არისტოკრატიული გვარიდან იყო და ქართლის მეფის კოლხეთში ხელისუფლები-სათვის ბრძოლაში წვლილი მიუძღოდა. საფიქრებელია, რომ ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ძვ. წ. V ს. კოლხეთში, სადაც ადმინისტრაციული რეგიონების სათავეში მეფის ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლები რჩებიან, რომელთაც მეფემ სახელმწიფო მოხელის ფუნქციაც მიანიჭა. ამდაგვარი უნდა ყოფილიყო კოლხეთში ის იერარქიული კიბე, რომლის თავშიც გამაერთიანებელი ხელისუფალი - მეფე იდგა, ხოლო მას დიდმოხელე სამხედრო არისტოკრატები მოსდევდნენ. ეს, ეტყობა, მაშინ ხდება, როდესაც არისტოკრატია არცთუ ისე ძლიერია და მათი სოციალური სტატუსიც ჯერჯერობით მკვეთრად არ არის გამოხატული. სტრაბონის თქმით, ქვეყანაში მათ „ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (სტრაბონი, XI, II, 18). შემდგომში, როცა ისინი მომძლავრდნენ, დაიწყო ცალკეული სკეპტუხიების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, რაც ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს კოლხეთის სამეფოს დასუსტება-დაშლით დამთავრდა და სკეპტუხიები ცენტრალურ ხელისუფლებაზე ფორმალურად დამოკიდებულ ერთეულებად გარდაიქმნენ. ეტყობა, სწორედ ამის მერე კოლხეთში ჯერ აზომ, ხოლო შემდეგ ქუჯის, ადგილობრივი ერთ-ერთი ძველი სკეპტუხიის არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლის, საშუალებით ქართლის მეფე ფარნავაზმა იმძლავრა.

ძვ. წ. II-I სს. მიჯნიდან კოლხეთის პოლიტიკურ ჰორიზონტზე ახალი საგარეო-საომარი ფაქტორი, პონტოს

მეფე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა. მითრიდატეს დროის პონტოკოლხეთის ურთიერთობის საკითხებს მრავალი მკვლევარი შეეხო, მაგრამ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა (ისტორიოგრაფია იხ. Reinach, 1890; Манандян, 1940, გვ. 89; Максимова, 1956; Инадзе, 1968; Лордкипანიძე Г., 1970; Молев, 1976; Ломоури, 1979; Шелов, 1980, გვ. 28-43; Немировский, 1980, გვ. 154; Дундуа, Лордкипანიძე, 1985, გვ. 601; Тодუა, 1990; სანიკიძე, 1956; გოზალიშვილი, 1965; ღუნდუა, 1974, გვ. 146; გამყრელიძე, 1989, გვ. 59-69 და მათში მითითებული ლიტერატურა).

შავი ზღვისპირეთში პონტოს სამეფოს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა. სწორედ აქ იყო განლაგებული დიოსკურიის, გიენოსის, ფასისის, ქობულეთ-ფიჭვნარის ქალაქები, რომლებიც შიდა რეგიონებისაგან ბერძნული ეთნიკური ელემენტის სიჭარბით გამოირჩეოდა. ამ ქალაქების შემოერთებაში აისახა მითრიდატე ევპატორის ძირითადი მიზნის — მთელი შავი ზღვისპირეთის გაერთიანების გრანდიოზული იდეის (იხ. Шелов, 1980, გვ. 28) თანამიმდევრული განხორციელება. ზღვისპირა კოლხეთის ქალაქები მითრიდატემ პონტოს სამეფოს ძვ. წ. II-I სს. მიჯნაზე შეუერთა (Лордкиპანიძე Г., 1970, გვ. 20). ხსენებული ქალაქები, ერთი მხრივ, საზღვაო ვაჭრობის - მათი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენის — არასტაბილურობით, ხოლო მეორე მხრივ, — კოლხეთის მთიანეთში მცხოვრები მუდმიარი დაჯგუფებების თავდასხმებით იყვნენ შეწუხებული (სტრაბონი,


XVII, III, 24; პლინიუსი VI, 15). ისეთი ძლიერი ხელისუფალის მმართველობაში შესვლა, როგორც მითრიდატე იყო, ვაჭრობა-ეკონომიკასა და თავდაცვაში სტაბილურობის განმტკიცებას მოასწავებდა. აქ, შესაძლოა, დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა წარმოიშვა, როგორც იყო დიოფანტეს ლაშქრობის შედეგად პონტოს სამეფოსთან ბოსფორის სამეფოსა და ხერსონესის შემოერთების დროს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ სანაპირო ნაქალაქარებზე, რომლებიც დღესდღეობით მეტ-ნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი, ეშერას გარდა — სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი — არ არის დადასტურებული ძვ. წ. II-I სს. მიჯნის გადამწვარი ფენები ან რაიმე საბრძოლო მოქმედების კვალი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქალაქებში, ისევე როგორც ბოსფორსა და ხერსონესში, მითრიდატე გარკვეულ წინააღმდეგობას არ წააწყდა. მაგალითად, მემნონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოები (მდ. ფასისის ქვემო წელი — გ. გ.). ამ მიდამოების მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთ-ფიჭვნარში ნაქალაქარი დარბეულია ძვ. წ. II ს. ბოლოსათვის (იხ. Хахуцаишвили, Кахидзе, 1985, გვ. 517). შიდა კოლხეთი მითრიდატეს არ შეუერთებია პონტოს სამეფოსთვის. ამასთანავე არ არის გამორიცხული, რომ იგი იქ შეიჭრა მაშინ, როცა პომპეუსს გამოექცა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). ნიშანდობლივია ისიც, რომ არც ერთ წერილობით წყაროში არ აისახა მითრიდატეს მიერ შიდა კოლხეთის დაპყრობა-შემოერთება.




მითრიდატულ ისტორიოგრაფიაში (იხ. ჯანაშია, 1949, გვ. 178; სანიკიძე, 1956, გვ. 26; გოზალიშვილი, 1965, გვ. 299; Лордкипанидзе Г., 1970, გვ. 21; Ломоური, 1979, გვ. 185) არსებობს მოსაზრება, რომ იბერია მუდამ პონტოს მოკავშირე იყო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკა ცვალებადი რამ არის, მით უმეტეს, მითრიდატე ევპატორის ეპოქაში (მაგ., მითრიდატე და ტიგრანი ჯერ მოკავშირეები იყვნენ, ხოლო შემდეგ — მოსისხლე მტრები; ანდა, მახარემ უღალატა მამას და რომაელების მხარეზე გადავიდა და სხვ.), იბერიის სამეფოს პოლიტიკაც პონტოს მიმართ ცვალებადი უნდა ყოფილიყო. თუ გადავხედავთ ქართულ წერილობით წყაროებს და ახალ არქეოლოგიურ მონაცემებს, იბერიის სამეფოს უსათუოდ უნდა ჰქონოდა გარკვეული პოლიტიკური ინტერესი კოლხეთში (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 97). მემნონი (30), აპიანე (15) (აპიანეს ისტ. წყაროდ გამოყენების სანდოობის შესახებ იხ. Шелов, 1986, გვ. 113-117), იუსტინუსი (XXXVIII, 7, 10), სტრაბონი (XI, II, 18; XII, III, 28) გვამცნობენ, რომ მითრიდატემ შეიერთა კოლხეთი, მაგრამ სახელდობრ კოლხეთის რა ნაწილი, არ არის აღნიშნული (სურ. 4). თუ სტრაბონისავე ცნობას დავუჯერებთ, კოლხეთი მეტწილად ზღვასთან მდებარეობს (XI, II, 17); შემდეგ იგი გადმოგვცემს: „მთელი ეს სანაპირო ეპყრა ევპატორს, კოლხეთიდან ჰერაკლემდე, ...“ (XII, III, 2). შესაბამისად, სტრაბონის მიხედვით მითრიდატეს ძირითადად სანაპირო ზოლი უნდა დაეკავებინა. სტრაბონის ცნობებიდანვე ჩანს, რომ მითრიდატე ძირითადად დაინტერესებული იყო კოლხეთის სანაპიროთი, საიდანაც მას

მისდიოდა მეტი წილი ძალებისა სამხედრო-სანაოსნო სამსახურისათვის: ხეცყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი - გემების ასაგებად (XI, II, 17, 18).

ძველი საქართველოს ზღვასთან ახლო მდებარე რეგიონებში მცხოვრებლებს, სახმელეთო ბრძოლების გარდა, საზღვაო ბრძოლების გამოცდილებაც ჰქონდათ. ამის შესახებ ცნობები შემონახულია ბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში. ქსენოფონტი გადმოგვცემს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ძვ.წ. 401 წელს ბერძენთა ჯარს საომარი ოპერაციების დროს ერთ-ერთმა ქართველურმა მოსახლეობამ - მოსუნიკებმა ე. წ. საზღვაო სადესანტო მხედრობა მიაშველეს. კერძოდ: „... გამოგვიგზავნოთ ნავეები და მებრძოლები, რომელნიც თქვენთან ერთად იომებენ...“, „... ისინი (მოსუნიკები) მოვიდნენ მთლიანი მორისაგან გამოთლილი სამასამდე ნავით. ყველა ამ ნავში სამ-სამი მებრძოლი იჯდა; ორი ამთგანი იარაღს ისხამდა და ნაპირზე გადმოდიოდა, ხოლო ერთი კი რჩებოდა ნავეში;“ „... ნაპირზე გადმოსულები (დესანტირებულები) დაეწყვნენ ამგვარად: დაიყვნენ ასულებად ცალკეული და ნაყოფების მსგავსად, მწყობრად“, „... ყველას ხელში ეჭირა სუროს ფოთლისნაირი ფარი, ... შუბი.“ „... მათ ემოსათ მკვრივი ტილოს ქიტონები, ... თავზე ტყავის მუზარადები ეხურათ“ ... „მათ ჰქონდათ აგრეთვე რკინის ორლესული საბრძოლო ცულები; როცა მწყობრად დაეწყვნენ ერთ-ერთმა მათგანმა სიმლერა წამოიწყო, სხვებმა (ამ სიმლერას) ტაქტს ფეხი აუწყეს და გაემართნენ საბრძოლველად“ (იხ. ანაბასისი V, IV, 9-14). ჰიპოკრატეც აღნიშნავს, რომ მდ. რიონის (ფასისის) ქვემო წელზე ადგი-



სურ. 4. სიტუაციური რუკა



სურ. 5. კატარლა-კამარას გამოსახულება

ლობრივი მცხოვრებლები „დაცურავენ ალმა-დაღმა მთლიანი მორისაგან გამოთლილი ნავებით, რადგან აქ არსები ბევრია“ (ჰაერთა, წყალთა... 15).

სტრაბონი მოგვითხრობს, რომ კავკასიონის გასწვრივ ზღვასთან, კოლხეთში მცხოვრებნი - „... ზღვაზე ყაჩაღობენ, აქვთ მომცრო, ვიწრო და მსუბუქი ნავები, რომლებშიც დაახლოებით ოცდახუთი მეზრძოლი ეტევა, ... ბერძნები მათ კამარებს უწოდებენ.“ „...ესენი კამარებისაგან (ნავებისაგან) ფლოტილებს ქმნიან და თავს ესხმიან სატვირთო ხომალდებს, ... ქალაქებს და ამგვარად აკონტროლებენ ზღვას“ (იხ. სტრაბონი XI, II, 12).

ტაციტუსის ცნობით: „...კამარებს უწოდებენ დაბალ გვერდებიან, ფართო ძირიან (სპეციალურ სამხედრო ნავებს); ისინი ბრინჯაოს ანდა რკინის სამაჯურების გარეშე არიან შეკრული; როცა ზღვა ღელავს, ტალღების სიდიდის მიხედვით ნავებს ფიცრებით სიმალღეს უმატებენ, ვიდრე სახურავის თალივით (კამარასავით) არ გადაიხურება... (ნავებს) ორივე მხარეს ერთნაირი ცხვირები და ერთნაირი ნიჩბები აქვთ“ (ანალები, III, 47). ნავ-კამარები ძირითადად ბრძოლის დროს მოძრაობდნენ ნიჩბების საშუალებით, ხოლო აფრას გრძელ მანძილზე გადაადგილების დროს იყენებდნენ. ამ ტიპის ნავები გამოირჩეოდა კარგი სანავიგაციო თვისებებით და ნაპირთან სწრაფი

მიდგომის უნარით, რაც ნაპირზე სამხედრო დესანტირებისას ფრიად მოხერხებული უნდა ყოფილიყო.

კოლხების სამხედრო ფლოტილის შესახებ ცნობა მოიპოვება, აგრეთვე, ძვ. წ. III ს. ავტორ აპოლონიოს როდოსელთანაც (იხ. არგონავტიკა, II, 1090; IV, 235). აქვე აღსანიშნავია, რომ სოფ. ყოლოთოში აღმოჩენილ ძვ. წ. III ს. ბრინჯაოს ინტალიოზე (ინახება საქ. სახ. მუზეუმის გლიბტიკის კაბინეტში, ინვ. № 696) გამოსახულია ნიჩბებიანი კატარლა, რომელიც შესაძლოა ნავ-კამარა იყოს (სურ. 5).

კოლხეთში მოიპოვება „გემთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება მრავალრიცხოვანი ტყეები...“ ამუშავებენ დიდძალ — სელს, კანაფს, ცვილს და ფისს“ (იხ. სტრაბონი XI, II, 17). მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტრაბონი შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს „კოლხეთის ზღვას“ უწოდებს (იხ. სტრაბონი, XI, I, 6; Агбунов, 1987, გვ. 19-48, 65-111), რითაც ხაზს უსვამს ძველი საქართველოს ამ რეგიონის მნიშვნელობას საზღვაო საქმის ცოდნის თვალთახედვით.

პონტოს სამეფოს სამხედრო — საზღვაო ძალები ძირითადად კოლხეთის მოსახლეობისაგან კომპლექტდებოდა (გემების ეკიპაჟები) და ხომალდების ცალკეული ნაწილები, აღჭურვილობაც აქედან მიეწოდებოდათ, კერძოდ - სელის და კანაფის თოკები, აფრები; ხის მასალა და ფისი. სტრაბონი აღნიშნავს, რომ სწორედ კოლხეთიდან მითრიდატე ევპატორს — „... მისდიოდა უმეტესი ნაწილი საზღვაოსანაოსნო ძალებში სამსახურისათვის“ (იხ. სტრაბონი XI, II, 18).


ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ანიკეტის ამბოხის ამბავი. ანიკეტი უნინ სამხედრო ფლოტის მეთაური უოფილა. შესაძლოა, რომ იგი წარმოშავლობით ადგილობრივი, კოლხი იყო. მას შემდეგ, რაც პოლემონის სამეფო რომაელებმა პროვინციად აქციეს, ანიკეტმა ამის გამო პროტესტი განაცხადა, რისთვისაც მკაცრად დასაჯეს და დაატყვევეს. ანიკეტი გაიქცა, მიიმხრო და სათავეში ჩაუდგა პონტოს ადგილობრივ უკმაყოფილო და უპოვარ მცხოვრებლებს. ის ამბოხებულებით სწრაფად შეიჭრა აღმოსავლეთ პონტოში და აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი. აქ, ერთი რომაული კოჰორტა ამოხოცა და ტრაპეზუნტის ნავსადგურში მდგარი ფლოტის ნაწილი ხელთ იგდო, ხოლო ნაწილი დაწვა. მან ტრაპეზუნტის გასწვრივ ზღვაზე კონტროლი დააწესა; სადაც „... ადგილობრივები გაბედულად მოძრაობდნენ სახელდახელოდ აგებული ნაევებით, რომლებსაც კამარებს უწოდებენ..." (იხ. ტაციტუსი, ანალები, III, 47). ამის შემდეგ „ანიკეტი მდინარე ზობის (ახლანდელი მდ. ხობი) შესართავში" (ანალები, III, 48) თავისი საზღვაო ფლოტილიით დაბანაკდა.

როგორც ჩანს, იბერიულ-კოლხურ ხანაში საქართველოს სამხედრო საზღვაო ფლოტის ძირითადი ძალა ნიჩბიანი კატარღები იყო. შემდგომ აქ ეტყობა ბერძნული და რომაული (იხ. Петерс, 1982; TorCecil, 1964; Casson, 1960), იმ დროისათვის მოწინავე საზღვაო ტექნიკის გამოყენებაც დაიწყეს და მათი მსგავსი მოზრდილი ხომალდების აგებაც (სურ. 6). საერთოდ, ბუნებრივია, რომ საზღვაო საქმის განვითარებას ძველ საქართველოში ხელს უწყობდა მისი შავ ზღვასთან მდებარეობა და

სანაპიროზე ფართო სამდინარო ქსელის არსებობა (იხ. Берадзе, 1989, გვ. 66, 199).

მომდევნო პერიოდში კოლხეთში ნაოსნობის განვითარების შესახებ აღნიშნავს ბიზანტიელი ავტორი აგათიაც. კერძოდ, „ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები; ისინი სხვა მეომარ ხალხებზეც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით..." „... ეხლანდელი მცხოვრებლები ზღვაოსნობენ, რამდენადაც შესაძლოა და ამით ვაჭრობაში სარგებელს ნახულობენ..." (იხ. აგათია, III, 5).

კოლხეთის სანაპირო ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა პონტოს სამეფოს თავისი ჩრდილოშავიზღვისპირა ტერიტორიების ზედამხედველობისათვის. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ მითრიდატემ, დაიკავა რა კოლხეთი (დასავლეთი კოლხეთი), მის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია ქალაქი დიოსკურია, რომელსაც მისცა მონეტის მოჭრის უფლება (მონეტების შესახებ იხ. Лорджкиანიძე Г., 1970, გვ. 18). სწორედ აქ დასვა მითრიდატემ მის მიერ გამოგზავნილი მმართველი (სტრაბონი, XI, II, 18). სწორედ აქ, თავის კოლხურ რეზიდენციაში, დაიზამთრა



სურ. 6. აღმოსავლეთ შავი ზღვის სამხედრო გემი



სურ. 7. მითრიდატე VI ევპატორი

პომპეუსისგან დევნილმა მითრიდატემ (აპიანე, 101).

ზღვის სანაპიროს დაკავების დრო-ისათვის პონტოს სამეფო სამხედრო-ეკონომიკურად ძლიერი იყო. სწორედ ეს იყო, ალბათ, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ იბერიის სამეფო მოლაპარაკების შემდეგ (იხ. მემონი, 30) გაჩუმდა და მითრიდატემ (სურ. 7) კოლხეთის სანაპირო ქალაქები შეიერთა. იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ კი შიდა კოლხეთი დარჩა (იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 86-97). ანგარიშგასანევია, აგრეთვე, პლუტარქეს ცნობა: „იბერები პონტომდე აღწევნენ“ და იბერები ალბანეთთან ერთად „ყველაზე უფრო უდიდესნი“ არიანო (პომპეუსი, 34). მემონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ მოკავშირეებად შეიამხანაგა პართები, მიდიელები, ფრიგიელი მეფეები და იბერი მეფე, საიდანაც ჩანს, რომ მითრიდატეს და იბერთა მეფეს ჰქონდა თრალაც მოლაპარაკება-შეთანხმება. მითრიდატეს და ტიგრანის ჯარში მყოფი იბერი მეომრები, ეტყობა, დაქირავებული იყვნენ და იბერიის მეფის სამხედრო ძალას არ წარმოადგენდნენ. ისინი ომობდნენ „საჩუქართა მიღების სურვილით“ (პლუტარქე, „ლუკულუსი,“ 26, 31; იხ. Ломоури, 1979, გვ. 183). სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა კოლხეთში პონტორომის პირველი ომის დასასრულისათ-

ვის, როცა მითრიდატემ მარცხი განიცადა საბერძნეთში. აქ იფეთქა აჯანყება. აჯანყებულებმა მოითხოვეს, რომ მითრიდატეს მეფედ შვილი დაენიშნა. მითრიდატე იძულებული გახდა შეესრულებინა აჯანყებულების მოთხოვნა და კოლხეთის მეფედ გაამნესა შვილი - მითრიდატე ფილოპატორი ფილადელფი. ამ აჯანყება-არეულობაში, სავარაუდოა, რომ იბერიის ხელისუფალთა ხელიც ერია; ისარგებლეს რა მითრიდატეს წარუმატებლობებით, ისინი შეეცადნენ დასავლეთ კოლხეთში მისი გავლენა დაესუსტებინათ და ამით თავისთვის მომგებიანი მდგომარეობა შეექმნათ. ძვ. წ. 85 წ. დარდანოსის ზავის შემდეგ მითრიდატემ მოიცალა კოლხეთისათვის: ურჩი შვილი, რომელიც მამის საწინააღმდეგო ინტრიგებში (კოლხეთში მითრიდატეს მონიხაღმდეგეები; იბერიის სამეფოს პოლიტიკა) ჩაება, სიკვდილით დასაჯა და დასავლეთ კოლხეთში უწინდელი მდგომარეობა აღადგინა (იხ. აპიანე, 64).

რომთან ომების დროს, ბუნებრივია, მითრიდატე ეცდებოდა საიმედო ზურგი ჰქონოდა. ამიტომ ის მოერიდებოდა იბერიის სამეფოსთან ურთიერთობის გამწვავებას. იბერთა ხელისუფალიც, ალბათ, კარგად იყენებდა მითრიდატეს ამგვარ განწყობას, ხან სამოკავშირეო ხელშეკრულებას უდებდა (იხ. მემონი, 30), ხან დასავლეთ კოლხეთში ხალხს უჯანყებდა (აპიანე, 64), ხანაც პომპეუსისაგან დევნილ მითრიდატეს ებრძოდა (აპიანე, მითრიდატე, 101). გაუმართლებლად გვეჩვენება აზრი, რომ იბერებს ეშინოდათ — მითრიდატეს დამარცხების შემდეგ რომი ჩვენ მოგვადგებოდა და მხოლოდ ამიტომ მიემხრნენ მითრიდატეს. პონ-

ტო-რომის პირველი ომის დროს იბერიის რომის პოლიტიკური ინტერესების არეალში არ იყო.

იბერიის და მითრიდატეს ურთიერთობა პლუტარქეს („პომპეუსი,“ 34) ფრიად მიამიტურად აქვს გადმოცემული — იბერებს „ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ.“ მით უმეტეს, რომ პლუტარქე იქვე დასძენს: „იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსელებს ექვემდებარებოდნენ და, თავის დროზე, მაკედონელთა მხრდანებლობაც აიცდინეს თავიდან...“ (პლუტარქე, 1957, გვ. 117). მაშ, რად უნდოდათ ასეთ დაუმორჩილებლებს დამარცხებული „მითრიდატესთვის ეამებინათ“ „პომპეუსის“ ცხოვრების ეს ადგილი არადამაჯერებლად გამოიყურება, მით უმეტეს, რომ სხვა წერილობითი წყაროები ამავე ამბის თხრობისას იბერების მიერ მითრიდატეს მამებლობის ცდას არ აღნიშნავენ (იხ. აპიანე, 103; დიონ კასიუსი, XXXVII, 1, 2; სტრაბონი, XI, 1, 6).

იბერების დამარცხების შემდეგ პომპეუსი შეუფერხებლად გადავიდა კოლხეთში (პლუტარქე, „პომპეუსი,“ 34). როგორც ჩანს, იბერიისაგან განსხვავებით, კოლხეთში ორგანიზებული წინააღმდეგობა არ გაუნწვიათ, შესაძლოა იმიტომაც, რომ სკეპტუხუბად დანაწილებული შიდა კოლხეთი პოლიტიკურად იბერიის გავლენის ქვეშ იყო და მათ მეფე არტაგის მსგავსი (იხ. აპიანე, 103; დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“ XXXVII, 1, 2; პლუტარქე, „პომპეუსი,“ 34). ამის შემდეგ, როდესაც პომპეუსმა გაიგო, რომ ფასისი არ

არის შორს, გადანყვიტა მის გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო“ (დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“, XXXVII, 3). ამ ნაწყვეტიდან ისე ჩანს, რომ კოლხეთი მდ. ფასისის ქვემო ნელზე, ზღვასთან იგულისხმებოდა. პომპეუსი „დაიძრა განზრახული მიმართულებით და გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე, თან მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით“ (დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“ XXXVII, 3) და ბრძოლით.

პონტო-რომის მესამე ომის დასასრულს პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე სამი ათასი მეომრით მიდის ქალაქ სინორიაში (სინორეგა), რათა სული მოითქვას და მხედრობას აღჭურვილობა შეუვსოს (იხ. აპიანე, „მითრიდატე.“ 101). აქედან მითრიდატე ჯარითურთ თავისი სიძის — ტიგრანისკენ გაემართა, „მაგრამ ტიგრანმა იგი არ მიიღო და თანაც ასი ტალანტი ჯილდოდ შეჰპირდა მას, ვინც მის თავს მიუტანდა. ამიტომ მითრიდატემ ევფრატის სათავეს გზა აუქცია და კოლხეთში გადავიდა“ (პლუტარქე, „პომპეუსი,“ 32). ამასვე ადასტურებს დიონ კასიუსი კოკეიანოსი - „თავის იმედებში მოტყუებული მითრიდატე გაემართა კოლხეთისაკენ...“ („რომის ისტ.“, XXXVI, 50).


მითრიდატე გადავიდა მდინარე აფსაროსზე (ჭოროხ-ოლთუ) და იქიდან მდ. მტკვრის ხეობაში. იგი ზღვის სანაპირო გზით არ წასულა, რადგან იცოდა, რომ აქ პომპეუსის ბრძანებით ჩასაფრებული იყო სერვილიუსი სამხედრო-საზღვაო ფლოტით (იხ. პლუტარქე, „პომპეუსი,“ 34). სერვილიუსს, ეტყობა, მთასა და ზღვას შორის ვიწრო სანაპირო (აფსაროსის ვიწრო გასასვლელის შესახებ იხ. Latyshev, 1904, გვ.

447) ჰქონდა ბლოკირებული და მითრიდატეს რაზმებს ელოდებოდა. მითრიდატე შეიჭრა ხოტენეში, ბრძოლით გაიკაფა გზა (აპიანე, „მითრიდატ.“ 101) და შემდეგ დაუყვა მდ. მტკვრის ხეობას, აქედან ფოცხოვი-ქვაბლიანი-ჭუბრაულის ხეობაში გადაინაცვლა, რადგან მტკვართან იბერებთან შეტაკება მოუხდა (აპიანე, „მითრიდატ.“, 101). ეტყობა, მათთანაც, როგორც ტიგრანთან, საქმე გართულებული ჰქონდა, და გაემართა „მეფისწყაროს“ გადასასვლელისაკენ (შესაძლოა, აგრეთვე, რომ მითრიდატე გადავიდა ზეკარის გადასასვლელზე და შემდეგ ხანისწყალ-რიონის გზით მიადგა ვანს). ეს გზა შემდეგ მდ. სულორის წყალგამყოფ ქედამდე აღწევს და ხეობაში ეშვება. იგი არცთუ ძნელად სავალია და სირთულით დაახლოებით ლიხის ქედის გადასასვლელების მსგავსია. ადგილობრივი მცხოვრებლები მას ახლაც იყენებენ სასიარულოდ (ამ გზაზე სოფ. სულორთან „საკაკილემი“ ძვ. წ. IV-I სს.; მდ. ყუმურის ხეობაში სოფ. გაილოურთან „მსხალთაში“ ძვ.წ. III-I სს. არქეოლოგიური მასალებია დადასტურებული; იხ. გამყრელიძე, 1982, გვ. 32). ამ ადგილებზე მოუთითებს, ალბათ, სტრაბონი, როცა გადმოგვცემს, რომ მითრიდატე „მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცაო“ (იხ. სტრაბონი, XII, III, 28).

მითრიდატეს ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა. მას ხომ ისევ რომთან ბრძოლის დიდი გეგმები უტრიალებდა თავში (იხ. აპიანე, „მითრიდატ.“, 102), რაც უზარმაზარ თანხებს მოითხოვდა. მითრიდატეს გზაზე კი მდ. სულორის ხეობაში მდიდარი ქალაქი სური (ვანი) მდებარეობდა (ვანი-სურის შესახებ იხ.

Хоштариа, 1960, გვ. 47; ყაუხჩიშვილი, 1987, გვ. 131). პლინიუს სეკუნდუსი აღნიშნავს: „... ფასისს, რომელსაც ერთვის დიდი მდინარეები ჰიპოსი (ცხენისწყალი, - გ. გ.) და კიანეოსი, ახლა არსებობს მხოლოდ სურიუმი, რომელსაც სახელი ჰქვია მდინარის, რომელთანაც მდებარეობს (ეტყობა მდ. სულორი, - გ. გ.). ეს მდინარე ფასისს ერთვის იქ, სადამდეც შეიძლება ნავებით ნაოსნობა“ (იხ. Latyshev, 1904, გვ. 178). ვანის ნაქალაქარის საერთოდ, და კონკრეტულად მისი საფორტიფიკაციო სისტემის, თავდასხმების შედეგად დანგრევის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი (იხ. Хоштариа, 1960, გვ. 47; კაკაბაძე, 1959, გვ. 35; Лорджანიძე Г., 1970, გვ. 129; Дундуа, 1987, გვ. 127; Тодუა, 1990, გვ. 68; გამყრელიძე, 1989, გვ. 66; ბოხოჩაძე, 1967, გვ. 547; ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 133). შესაძლებელია, რომ სური (ვანი) ყოფილიყო თეოკრატიული მმართველობის ქალაქი - „სკეპტუხიის“ ცენტრი (მეადარე, Лорджანიძე, 1972, გვ. 106-125; ინაძე, 1986, გვ. 32-53; გამყრელიძე, 1989, გვ. 59-69).

ვანის ნაქალაქარზე (ახლანდელ ქ. ვანთან) აღმოჩენილია ძვ. წ. II-I სს. საზოგადოებრივი, სატაძრო-საკულტო და ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები. ქალაქს ჰქონდა მძლავრი სამშენებლო პოტენციალი: კრამიტის, ალიზის აგურის დამამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლელები; მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა. შ. რაც მთავარია, ყველაფერი ამის ამოქმედება მოითხოვდა გარკვეულ ორგანიზაციულ გამოცდილებას და სამშენებლო-საინჟინრო ცოდნას. ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში



სურ. 8. ქ. „ვანის“ კარიბჭის რეკონსტრუქცია (გ. ლეჟავას მიხედვით)

დიდადი ადგილობრივი წარმოების ცენტრები, ამფორები, ქოთნები, დოქები, ჯამები და სხვ.) და შემოტანილი უცხოური (სინოპეს, როდოსის, ქიოსის, კნიდის, კოსის კერამიკული ტარა; მკირეაზიური, შავი და წითელლაკიანი კერამიკა და სხვ.) კერამიკა ნანახი, რაც წარმატებულ სავაჭრო საქმიანობაზე მიუთითებს. ნაპოვნია, აგრეთვე, ტრაკოტების დასამზადებელი ყალიბები, გვხვდება დიდი რაოდენობის ურტიკალური საქსოვი დაზგის სანაჯები; ადგილობრივად დამზადებული და უცხოეთიდან შემოტანილი ოქრომჭედლობის ნიმუშები; სატევრები, შუშები, საბრძოლო ცულები, ისრის პირები, ჯავშნის ფირფიტები, ფარები, ცხენის აღკაზმულობა, ქვის ყუმბარები,

შურდულის ქვები, ურნალის თავი და სხვ. (არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. „ვანი,“ 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1983). ეკონომიკურად ძლიერი იყო ქალაქი „ვანი“ (სურ. 8). აქ ხელოსნობა და ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული. მას ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწები — დაბლაგომი, მთისძირი, შუამთა, გაილოური, კეჭინარა, გორა, ბაგინეთი, ინაშური, სულორი „საკაკილე,“ ძულუხი, ბზვანი და მათ ურბანისტულ ცენტრს წარმოადგენდა (იხ. გამყრელიძე, 1982, გვ. 36, 55). ქალაქს მძლავრი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა და, ბუნებრივია, დამცველი რაზმებიც ეყოლებოდა. ეს რაზმები ახორციელებდნენ, ალბათ, სასოფლო-სამეურნეო მიწების ზედამხედველობას.





სურ. 9. ქალაქ „ვანის“ დამცველები

მთების გადალახვის შემდეგ („მეფისწყაროს“ ან „ზეკარის“ გადასასვლელი) სამი ათას ერთგულ მეომართან ერთად, მითრიდატემ (აპიანე, „მითრიდატ.“, 101; სტრაბონი, XII, III, 28) დაარბია და გაძარცვა „ვანის“ მდიდარი ქალაქი. არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ ქალაქი ძვ. წ. I ს. შუა ხანებში დანგრეულია, ძირითადად, ორჯერ (იხ. ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 141). საფიქრებელია, რომ პირველად ის დაანგრია და გაძარცვა მითრიდატემ, ხოლო მეორედ — პომპეუსმა, რომელმაც დაამარცხა იბერიის მეფე არტოკი და შეიჭრა კოლხეთში. პომპეუსმა ქალაქის მიმართ „იმოქმედა დაშინებით“ (დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“, XXXVII, 3) და ბრძოლით. ის „კოლხეთში შეიჭრა“ (პლუტარქე, „პომპეუსი“, 34). პომპეუსმა „კოლხეთთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან ... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით განავრცო რომაელთა

ძალაუფლება...” (აპიანე, „მითრიდატეს ომები“, 114; იხ. გამყრელიძე, 1993, გვ. 62).

ვანის ნაქალაქარზე კარგად ჩანს მეორე ნგრევის კვალიც (იხ. ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 141). პირველი ნგრევის ფენაში ძირითადად გვხვდება არქიტექტურული დეტალების ნატეხები, კერამიკული მასალა, მონეტები. პონტოს მონეტები, ეტყობა, მითრიდატეს მეომრებისაა (სურ. 9).

მითრიდატე, ქალაქის გაძარცვის შემდეგ, თავისი მეომრებით გადავიდა მდ. ფასისზე (რიონი) და გაემართა ქალაქ დიოსკურიისაკენ (იხ. Лордкипანიძე Г., 1970, გვ. 19). მან აქ რომის წინააღმდეგ ახალი გეგმების შემუშავებაში გაატარა ზამთარი (აპიანე, „მითრიდატ.“ 101), ხოლო შემდეგ „ხმელეთის გზით“ წავიდა ბოსფორში (დიონ კასიუსი, „რომის ისტ.“ XXXVI, 50), რადგან საზღვაო გზა რომაელებს ჰქონდათ ბლოკირებული. „დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფასისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა“ (პლუტარქე, 1957, გვ. 117). პომპეუსმა კოლხეთში დაამარცხა და ტყვედ იგდო სკეპტუხი ოლთაკე - Ολθακης (აპიანე, „მითრიდატ.“ 117). საინტერესოა, რომ ამდაგვარივე სახელის (Otaees) იბერთა სამხედრო რაზმის წინამძღოლს იხსენიებს რომაელი ავტორი ვალერიუს ფლაკუსიც (იხ. Latyshev, 1904, გვ. 210). შესაძლოა აქ ერთი და იმავე სამხედრო პირზე იყოს საუბარი. მითრიდატეს მიერ ქალაქის გაძარცვის და დიოსკურიისაკენ წასვლის შემდეგ, ქალაქის მესვეურებმა, ალბათ, დაიწყეს მისი თავდაცვითი სისტემის სახ-

ვლდახელო აღდგენა-გამაგრება. ისინი წყაროდნენ, რადგან დაზვერვის შედეგად იცოდნენ, რომ როცა პომპეუსი იბრუნებოდა, კოლხეთში ვადმოვიდოდა საომრად.

ეტყობა, პომპეუსს არ გასჭირვებია მითრიდატეს მიერ გაძარცვული ქალაქის ხელმეორედ აღება. მეორე ნგრევის კვალი მხოლოდ ზოგიერთ არქეოლოგიურ უბანზე დასტურდება (იხ. ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 141). ნაქალაქარზე ნაპოვნია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული არნივის 8 სმ-იანი გამოსახულება, რომელსაც ჯოხზე დასამაგრებელი ღრუ აქვს. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს იყო რომაული რაზმის signum-ი, რომლითაც შემკული იყო vexillum-ის შტანდარტის თავი (იხ. Museum Caucasicum, 1902, გვ. 108; Метаксипанидзе Г., 1970, გვ. 33; ჩარკვიანი, 2002, გვ. 61, სურ. 10; Bandinelli, 1961, ტაბ. 18). ნაქალაქარზე ამ ნგრევის ფენაში ნაპოვნია რომაული მონეტები (იხ. ღუნდუა, ლორთქიფანიძე გ., 1977, გვ. 124) და რომაული საბრძოლო შუბი — *Pilum*-ი (ტაბ. XXXII, 10). ქალაქი არსებობდა პომპეუსის დალაშქვრის შემდეგაც დარბელებს, მაგრამ მისი ეკონომიკური საფუძველი უკვე მოშლილია.

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ყუმბარსატყორცნი (ლოდსატყორცნი), ონაყრის ან ბალისტას ტიპის მანქანებს (ამ ტიპის მანქანების შესახებ იხ. Marsden, 1997), როგორც თავდამსხმელები, ასევე ქალაქის დამცველები იყენებდნენ. თავდამსხმელები ყუმბარებით ქალაქის ნაღებობებს, ხოლო ქალაქის გარნიზონში მომხდურებს ყუმბარებით სააღყო მანქანა-მონყობილობებს უზიანებდა. ეტყობა, ყუმბარები, უმეტესწილად, ვანის

ნაქალაქარის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, თავდაცვითი კედლის და კარიბჭის კომპლექსის ნანგრევებში დადასტურდა. ყუმბარსატყორცნი მანქანები, ალბათ, ძირითადად გალავანთან იყო განლაგებული, რათა მონინალმდეგის დასაზიანებელ ობიექტებთან უფრო ახლოს ყოფილიყო. ყუმბარსატყორცნიდან ნასროლი ჭურვი მონინალმდეგეს 150-200 მ-ზე წვდებოდა და აზიანებდა.

ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტუფის ქვისაგან გამოთლილი მრგვალი ბირთვების, ყუმბარების დიამეტრი 10-დან 30 სმ-მდეა. შესაბამისად, ისინი სხვადასხ-



სურ. 10. პომპეუსი

ვა კალიბრისა იყო (ტაბ. XXVI). ასეთი, სპეციალურად, მრგვალად გამოთლილი ყუმბარები, ეტყობა, ძირითადად ქალაქის გარნიზონის იყო. მომხდურები უფრო ჩვეულებრივ, არამრგვალ ლოდებს იყენებდნენ სატყორცნად, რომლებიც მდ. რიონის ტალღებიდან მოჰქონდათ. ყუმბარ-ჭურვების სატყორცნი მანქანები გალავანზე და კოშკებზე იყო განთავსებული. მათ გვერდზე ყუმბარების მარაგი ეწყო. ვანის ნაქალაქარზე 300-მდე ქვის მრგვალად გათლილი ყუმბარაა აღმოჩენილი. საერთოდ, ყუმ-


ბარსაყორცნების დამზადებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყო საჭირო. მათი ამოქმედება კი გარკვეულ სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქში ყუმბარმტყორცნელთა ანუ არტილერიისტთა სპეციალურად განვრთნილი მეომრები ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი იარაღი და მისი გამომყენებელი მეზრძოლები, მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ქალაქებს და სახელმწიფოებს ჰქონდათ (დანვრილებით იხ. ლორთქიფანიძე გ. 1976, გვ. 170; ახვლედიანი, 2003, გვ. 7).

ტრანსკავკასიაში ძვ. წ. 65 წელს პირველად გამოჩნდნენ რომის რესპუბლიკის ლეგიონერები გნეუს პომპეუს მაგნუსის ხელმძღვანელობით (სურ. 10). რომს კავკასიაში ძირითადად იზიდავდა ეკონომიკურ-სტრატეგიული გამორჩენა; ახალი ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა; ახალი სავაჭრო გზებისა და საქონლის გასასაღებელი ბაზრების ხელში ჩაგდება. ფრიად საყურადღებო იყო შუა აზიიდან მომავალი გზა, კასპიის ზღვიდან მდ. მტკვარზე ლიხის ქედის გადასვლით, მდ. ფასისზე გავლით შავ ზღვამდე (პლინიუსი, VI, 50). ეს გზა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის შემდეგ, რაც გაძლიერებულმა პართიის სახელმწიფომ თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჩინეთიდან და ინდოეთიდან მომავალი სამხრეთის სატრანზიტო მაგისტრალები (იხ. Саникидзе, 1953, გვ. 5).

კავკასიონის ქედი კარგი წინააღმდეგობა იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-მეომარი ტომების ტრანსკავკასიასა და მცირე აზიაში შემოჭრის რეგულირებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მამისო-

ნის, დარიალისა და დერბენტის გადასასვლელები. ვის ხელშიაც ეს გზები იყო, მას შეეძლო კონტროლი გაეწეოდა ჩრდილოკავკასიური მეომარი ტომების მოძრაობისათვის (ჯანაშია, 1952, გვ. 181). ამასთანავე, პომპეუსს პარტიკული პატივმოყვარული ინტერესებიც ანუ რავებდა. გაიუს მანილიუსის კანონი - Lex Manilia (იხ. Ciceronis, 1911, გვ. 1-21; Цицерон, 1962, გვ. 172) მიხედვით, პომპეუსმა აღმოსავლეთში შეუზღუდავი, ერთპიროვნული ძალაუფლება მიიღო. მას აღმოსავლეთის პროვინციებში მყოფი ყველა ლეგიონი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ექვემდებარებოდა. პომპეუსს თავისი შეხედულების მიხედვით შეეძლო დაენიშნა ან გადაეყენებინა მმართველები, ენარმოებინა ომები, დაედო ზავი. აქამდე რომის რესპუბლიკაში ასეთი დიდი ძალაუფლება არავის მიუღია (აპიანე, 97).

აღმოსავლეთის ქვეყნებში პომპეუსის ჩასვლის დროისათვის ლუკულუსს მითრიდატე ევპატორთან ომი თითქმის ბოლომდე ჰქონდა მიყვანილი. პომპეუსს კი დიდება-სახელისათვის და მომავალი ტრიუმფებისათვის ახალ-ახალი ომები სჭირდებოდა. პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობა, რასაკვირველია, მხოლოდ მითრიდატე ევპატორის დევნითა და მასზე საბოლოო გამარჯვების მოპოვების წყურვილით არ აიხსნება, თუმცაღა ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა ყოფილიყო. პომპეუსი შეიჭრა მეფე არტოკეს სამფლობელოში. იგი მალევე მიადგა სატახტო ქალაქ მცხეთას. არტოკემ, ეტყობა, ვერმოახერხა თავისი ძალების სწრაფად მობილიზება მტრის წინააღმდეგ და გაცლა არჩია. მცხეთის აკროპოლისი მიატოვა, გადავიდა მტკვარზე და ხიდი დანვა (დიონ კასიუსი,



სურ. 11. ქ. მცხეთის კომპებიანი გალავანი (გ. ლეჟავას მიხედვით)

... 1, 2). არტოკე, რომელმაც ადრე პომპეუსს „მეგობრობა“ შესთავაზა და პირველმა დაიწყო საომარი მომზადება, ალბათ, დაზვერვის შედეგად ადრეს კურსში იყო რომაელების საომარი გადაადგილების თაობაზე. მიუხედავად ამისა, არტოკემ, ბუნებრივია, აღმოაჩინებელი უძლიერესი სახელმწიფოს კარგად შეიარაღებული და განუთნილი, ბრძოლებში გამობრძნული ჯარისათვის ორგანიზებული ნააღმდეგობის განევა ვერ მოახერხა. ამიტომ იგი ამ შემთხვევაში ერთადერთ სწორ გზას — დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა, რადგან მიხვდა, რომაელებთან პირდაპირ შეჯახებაში მათი გამკლავება გაუჭირდებოდა. ბრძოლებში ცხრა ათასი იბერიელი დაიღუპა (პლუტარქე, პომპეუსი, 34). ბოლოს არტოკემ პომპეუსს ზავი შესთავაზა. პომპეუსმა შეატყო, რომ იბერებთან პარტიზანული ხასიათის გაუთავებელი ბრძოლები მოელოდა, რაც საომარ კამ-

პანიას გააჭიანურებდა და უარყოფითად იმოქმედებდა ლეგიონერების საბრძოლო განწყობილებაზე, და ამიტომ ზავზე დათანხმდა. იბერია „რომის მეგობრად და მოკავშირედ“ გამოცხადდა. ამგვარად, იბერია რომის მიმართ ნახევრად ვასალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ქვეყანა გადარჩა სრულ დარბევას და არტოკემ სამეფო ტახტი შეინარჩუნა.

იბერიასთან მოგვარებული ურთიერთობების შემდეგ პომპეუსი გადავიდა ლიხის ქედზე და „კოლხეთში შეიჭრა“ (პლუტარქე, პომპეუსი, 34). როგორც ჩანს, ძლიერ ციხესიმაგრე შორაპანს (არქეოლოგიური მასალა იხ. ჯაფარიძე, 1990, გვ. 6) არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისათვის, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროისათვის შორაპანი, ეტყობა, არტოკეს ექვემდებარებოდა, მას კი რომთან სამოკავშირეო ხელშეკრულება შეკონდა დადებული. სტრაბონი

სარაპანისის (შორაპნის) შესახებ გამოგვეცემს: „სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა“ (XI, II, 17); „კოლხეთიდან იბერიაში შესავალი დახშულია კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობებით“-ო (XI, III, 4). რომაელების გამოჩენის დროს შიდა კოლხეთი დანაწილებული იყო სკეპტუხიებად. საფიქრებელია, რომ მათი ნაწილი იბერიის პოლიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა (მაგ., შორაპანი, რომელიც უბრძოლველად გაიარა პომპეუსმა), ხოლო ნაწილი კი, ეტყობა, სეპარატისტულ, შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა (მაგ., „ვანის“ სკეპტუხია, რომელიც, ალბათ, ერთერთ ძლიერ რეგიონს წარმოადგენდა). მითრიდატე ევპატორის მოხელეს - მოაფერნეს კი დასავლეთი კოლხეთი (resp. პონტოს კოლხეთი) ექვემდებარებოდა (სტრაბონი, XI, II, 18).

პომპეუსი რომ მარტო მშვიდობიანი გზით არ მოქმედებდა კოლხეთში, ამაზე მიუთითებს აპიანეს ცნობა, პომპეუსმა „კოლხებთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით განავრცო რომაელთა ძალაუფლება...“-ო (აპიანე, „მითრიდატეს ომები,“ 114). ამასვე აღნიშნავს ფლორუსი („მითრიდატეს ომები,“ 40) პომპეუსმა „დაამარცხა კოლხები“-ო (Latyshev, 1904, გვ. 258).

რომაელთა აგრესიულობის დასტურია ისიც, რომ რომში პომპეუსის ტრიუმფის დროს ტყვეთა შორის წარმოდგენილია „კოლხების სკეპტუხი ოლთაკე“ (აპიანე, 117). შესაძლებელია, რომ ოლთაკე „ვანის“ სკეპტუხითა გვარიდან იყო, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია პომპეუსს (იხ. ინაძე, 1987,

გვ. 59; გაეხსენოთ ვანის ნაქალაქარის მეორე ნგრევის კვალი). აპიანე (მითრიდატეს ომები, 117) ტრიუმფის მონაწილეებს იერარქიული თანამიმდევრობით ჩამოთვლის; აქ აშკარად ჩანს, რომ ოლთაკე ჩვეულებრივი სარდალი კი არ არის, არამედ ძველი კოლხეთის ხელისუფალთა გვარისაა. იგი სიაში მეფეებსა და მათ შვილთა შორის არის დასახელებული (ყაუხჩიშვილი, 1959, გვ. 36). ასეთი წარმომავლობა, საფიქრებელია, მას აძლევდა უფლებას, რომ ცალკე, არტოკეს პომპეუსთან დაზავების შემდეგ, კიდევ გაეგრძელებინა საკუთარი სამფლობელოების დაცვა. რომაელებს არ დაემორჩილა და კავკასიონის მთებს შეაფარა თავი კოლხთა მმართველმა ოროზმა, როგორც ამას გადმოგვეცემს რომაელი ავტორი ფლორუსი („მითრიდატეს ომები,“ X, 28) (იხ. Latyshev, 1904, გვ. 258; The loeb classical library, 1957, გვ. 186-188). ოროზი, ჩანს, კოლხეთის რომელიღაც მხარის წინამძღოლ-მმართველი იყო, დაახლოებით ოლთაკესნაირი, რომელიც არ დაემორჩილა რომაელებს.


მითრიდატე ევპატორს დასავლეთ კოლხეთში მოაფერნე ჰყავდა მმართველად დაყენებული. მას კი წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისთვის. ყოველ შემთხვევაში, მოაფერნეს საბრძოლო მოქმედება წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. საყურადღებოა, რომ იგი არ არის პომპეუსის ტრიუმფის სიაში. შესაძლებელია, მოაფერნემ ჯერ მითრიდატესთან ერთად დაიზამთრა დიოსკურიაში, ხოლო შემდეგ მასთან ერთად ბოსფორისაკენ გაიქცა. პომპეუსი მდ. ფასისის გაყოლებით ჩადის ზღვამდე (ეტყობა ქ. ფასისში), სადაც მას სერვილიუსი ფლოტი შეეგება

(პლუტარქე, პომპეუსი, 34). რომაელები დიოსკურიის, მითრიდატე ევპატორის კოლხური რეზიდენციის მიმართულებით აღარ წავიდნენ, რადგან შესაძლებელია, რომ მითრიდატეს გაქცევის შემდეგ ქალაქი თავისი ნებით გადავიდა პომპეუსის მხარეზე და წარმომადგენლები აახლა. სოხუმის (დიოსკურიის) არქეოლოგიურ ძეგლზე ძვ. წ. I საუკუნის კულტურული ფენები სუსტად არის წარმოდგენილი. აქ რაიმე ნგრევის კვალი ჯერჯერობით არ ჩანს. ზღვამდე მისულმა პომპეუსმა მითრიდატეს დევნა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა. პლუტარქეს თქმით, „ბოსფორისა და მეოტიდის მახლობლად მცხოვრებ ტომებში თავშეფარებული მითრიდატეს დევნა ჭრად დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს, პომპეუსს აუწყეს: ალბანელები ხელახლა აჯანყდნენო. რისხვითა და შურისძიების სურვილით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა“ (პლუტარქე, პომპეუსი, 34). პომპეუსს „სრულებითაც არ უნდოდა მტრის დევნა ამოღ. იგი სხვა საშუალებებს აკეთებდა, რომლებიც, ასე თუ ისე, მითრიდატეს ომთან იყო დაკავშირებული და დროს აჭიანურებდა“ (პლუტარქე, პომპეუსი, 41).

კლდე-ღრეებში მითრიდატეს დევნას პომპეუსმა მოქნილი პოლიტიკა აწვდინა. როგორც ჩანს, მან მითრიდატეს შვილთან ფარნაკესთან კავშირი გააბა და მისი ხელით მოუსწრაფა მას ალბანელები. პლუტარქე აღნიშნავს, რომ მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ ალბანური ფარნაკემ მისაკუთრა და პომპეუსს შეატყობინა — „ყველაფერი უნებურად და რომაელებისათვის მიუღწეველი“ (პლუტარქე, პომპეუსი, 41). მისი „მკვლელი“ ფარნაკე პომპეუსმა

„რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ გახადა და უბოძა ბოსფორის მეფობა...“ (აპიანე, მითრიდატეს ომები, 113). წავიდა რა პომპეუსი აფსაროსის გასასვლელის და აღმოსავლეთ ანატოლიის გავლით გაურჩეული ალბანელების დასაშოშმინებლად (დიონ კასიუსი, XXXVII, 3; პლუტარქე, პომპეუსი, 35), კოლხეთის გამგებლად არისტარქე დატოვა (აპიანე, 114). პომპეუსის მიერ აღზევებული არისტარქე შესაძლოა არ იყო ისეთი მაღალი, მეფური გვარის, წარმომავლობის, რომ კოლხ სეპტუბებს ელიარებინათ მისი სუზერენობა და ამიტომ ამჯობინა არ გაელიზიანებინა ისინი. საფიქრებელია, ამიტომ, არისტარქე შიდა კოლხეთში კი არ ჯდებოდა, არამედ დიოსკურიას ირჩევს მთავარ რეზიდენციად, რომელიც ადრე მითრიდატეს კოლხური რეზიდენცია იყო. ქალაქი სანაპიროზე კომუნიკაციური თვალსაზრისით არისტარქესთვის რეზიდენციად უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. აქედან უფრო კარგად შეიძლებოდა, ერთი მხრივ, კოლხეთის კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ, რომაელებთან კავშირი (სურ. 12).

არისტარქეს რეზიდენციის (დიოსკურია) სანაპიროზე მდებარეობის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ თვითონ სახელი არისტარქე — ბერძნულია. ბერძნული ეთნიკური ელემენტის სიჭარბე კი ძირითადად ზღვის სანაპიროსთვის იყო დამახასიათებელი. შესაძლოა, რომ არისტარქე წარმოშობით რომელიმე სანაპირო ქალაქის (გამყრელიძე, 1985, გვ. 95) არისტოკრატიული გვარიდან იყო და ამიტომ, ბუნებრივია, აქ უფრო მყარი პოლიტიკური დასაყრდენი ექნებოდა. საინტერესოა, რომ ამავე ეპოქის კოლხი



სურ. 12. რომაელები იბერია-კოლხეთში

სკეპტუხი ოლთაკეს სახელი ბერძნული არაა. სამწუხაროდ ის, თუ როგორი იყო არისტარქეს რეალური ძალაუფლება ან კონკრეტულად კოლხეთის რა ნაწილი ექვემდებარებოდა მას, საისტორიო წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. ჩვენთვის აგრეთვე, უცნობია, არისტარქეს მმართველობა ზუსტად რამდენ ხანს გრძელდებოდა. საგულგებელია, რომ არისტარქე მმართველობს ძვ. წ. 48 წლამდე, ბოსფორის მეფის ფარნაკეს დასავლეთ კოლხეთში შემოჭრამდე (იხ. სტრაბონი XI, II, 17).

ცნობილია, რომ რომაელები ექსპანსიის დასაწყისში მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში კი არ ცვლიდნენ არსებულ სამმართველო-კანონმდებლური აპარატის სტრუქტურას, არამედ მას თავიანთ სამსახურში აყენებდნენ (იხ. Ранович, 1949, გვ. 70). ისინი, ასევე მოიქცნენ კოლხეთში (Ломоури, 1981, გვ. 116). მათ მმართვე-

ლად დანიშნეს არისტარქე და მას საგამგებლო აპარატის სტრუქტურა ძველი დაუტოვეს, მითრიდატესნაირი, ალბათ კოლხეთის მმართველის რეზიდენცია იგივე დარჩა, მითრიდატესული - დიოსკურია. საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთის „სკეპტუხიებზე“ (მაგ., ოლთაკეს სკეპტუხიაზე) არისტარქეს ძალაუფლება ეფემერული იყო. ჯერ კიდევ ლუკულუსი მითრიდატესთან ომის დროს აღნიშნავდა ამ მხარის სრულად დამორჩილების სიძნელებებს (პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში რომის რესპუბლიკაში შიდაპოლიტიკურმა ბრძოლამ განსაკუთრებულ სიმწვავეს მიაღწია (იხ. Утченко, 1965, გვ. 51). პომპეუსის დამარცხების შემდეგ ძალაუფლება გაიუს იულიუს კეისარმა იგდო ხელთ. ძვ. წ. 44 წელს იულიუს კეისარი მოკლეს. ამის შემდეგ შეიქმნა ტრიუმვირატი — ოქტავიანე, ანტონიუსი, ლეპიდუსი. მალე ტრიუმვირებიც ერთიმეორეს დაერივნენ. გახანგრძლივებულმა შიდაპოლიტიკურმა ბრძოლებმა დაასუსტა რომის ძალაუფლება პერიფერიებში. თავი ნაშოყვეს სეპარატისტულად განწყობილმა ხელისუფლებმა. შექმნილი მდგომარეობის გამოყენება სცადა მითრიდატე ევპატორის შვილმა, ბოსფორის მეფემ ფარნაკემაც. მან გადაწყვიტა პონტოს სამეფოს მამისეულ ფარგლებში აღდგენა. დიონ კასიოსი გადმოგვცემს: „როგორც ნათქვამი იყო, მან (ფარნაკემ) მოინდომა მთელი მამისეული სამეფოს დაბრუნება და აჯანყდა სწორედ კეისარისა და პომპეუსის ურთიერთშორის ბრძოლის დროს, რადგან რომაელები მაშინ საკუთარი საქმეებით იყვნენ გართული“ (XLII, 45). ნავიდა რა მამამისის

ყოფილი აზიური სამფლობელოებისაკენ, ფარნაკეს, ბუნებრივია, თუ ზღვით არ წავიდოდა, უმოკლესი გზით, კოლხეთზე უნდა გაეველო.

ფარნაკემ არისტარქე დაამარცხა თუ შეიკავშირა, უცნობია. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ფარნაკემ აფელა იქაური მეფე და ტეტრარქოსი საამბოხოდ წააქეზაო" (კეისარი, 50). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფარნაკეს მოქმედების შესახებ მხოლოდ ერთადერთი ცნობაა შემონახული, სადაც აღნიშნულია, რომ მან გაძარცვა ლევკოთეას სამლოცველო. სხვა არც ერთი წერილობითი წყარო, რომელიც ფარნაკეს ბრძოლებს ეხება, ლევკოთეას გაძარცვის შესახებ არაფერს ამბობს (იხ. დიონ კასიუსი, პლუტარქე, აპიანე). სტრაბონთან აღნიშნულია, რომ - „... ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული, და მისი სამისნო ...; ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული" (XI, II, 17).

სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ ნათლად ჩანს, რომ ლევკოთეას სამისნო მოსტების ქვეყანაში ფარნაკეს და შემდეგ მითრიდატე პერგამონელის საომარი მოქმედებების ასპარეზზეა საძე-  
მული. ეს ასპარეზი კი ფარნაკესთვის თრითადად უნდა ყოფილიყო ბითინი-  
ის კაპადოკია და ზღვისპირა ქალაქები პლუტარქე, კეისარი, 50; აპიანე, 120). ამ დაპყრობებს წერილობითი წყაროე-  
ბიდან მხოლოდ დიონ კასიუსი ამატებს კოლხეთს (XLII, 45). მაგრამ ამავე დიონ კასიუსის თქმით, კოლხეთი სადღაც უფრო მდ. ფასისის ქვემო წელზე, ზღ-  
ვითაა მდებარე. იხ. — „პომპეუსმა დაიპყრო, რომ ფასისი არ არის შორს და

გადანყვიტა მისი გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო" (XXXVII, 3).

ზემოთ ნათქვამიდან ისე ჩანს, რომ, როცა დიონ კასიუსი კოლხეთის დაპყრობაზე ლაპარაკობს, იგულისხმება უფრო დასავლეთი, ზღვისპირა კოლხეთი, ლოგიკის მიხედვით, სწორედ ეს ნაწილი უნდა დაერბია ფარნაკეს. საფიქრებელია, რომ ამ გზაზე გაძარცვა მან ლევკოთეას მდიდარი სამისნო და წავიდა მცირე აზიისაკენ თავისი ძირითადი მიზნის განსახორციელებლად — მამისეული სამფლობელოების დაბრუნებისათვის საბრძოლველად.

ვიდრე ფარნაკე მცირე აზიაში იბრძოდა, ბოსფორში მის მიერვე დანიშნული მმართველი ასანდრი აჯანყდა. მას უნდოდა ფარნაკეს წინააღმდეგ გამოსვლით რომაელების გული მოეგო და მათი ხელშეწყობა-თანხმობით ბოსფორში ხელისუფლება ეგდო ხელთ (დიონ კასიუსი, XLII, 46). ძვ. წ. 47 წელს ქალაქ ზელასთან (აღმოსავლეთ ანატოლია) იულიუს კეისარმა სასტიკად დაამარცხა ფარნაკე (იხ. პლუტარქე, კეისარი, 50; დიონ კასიუსი, XLII, 47; აპიანე, 120). დამარცხებული ფარნაკე ზღვისკენ წავიდა ბოსფორში გადასასვლელად. ბოსფორში მას აჯანყებული ასანდრი შეებრძოლა და დაამარცხა (აპიანე, 120; დიონ კასიუსი, XLII, 47). ამის მიუხედავად, ასანდრი რომაელებმა ბოსფორის მმართველად მაინც არ დანიშნეს. ბოსფორის სამეფო იულიუს კეისარმა, სხვა ტერიტორიებთან ერთად, თავის მოკავშირე მითრიდატე პერგამონელს უბოძა. მაგრამ ბოსფორი მითრიდატე პერგამონელს ასანდრისაგან ხმლით უნდა მოეპოვებინა (დიონ კასიუსი, XLII, 48). დაიძრა რა მითრიდატე პერგამონელი საბრძოლვე-



ლად ბოსფორისაკენ, გზად კოლხეთზე გაიარა, სადაც გურიის მთიანეთში ლევკოთეას სამისნო გაძარცვა (სტრაბონი, XI, II, 17). ასანდრმა მითრიდატე პერგამონელი დაამარცხა ბოსფორში ლაშქრობისას (სტრაბონი, XIII, IV, 3).

რა ხდებოდა კოლხეთში ზემოხსენებული ომების დროს, წერილობითი წყაროებიდან უცნობია. ერთადერთი ცნობა ამის შესახებ არის ლევკოთეას სამლოცველოს დარბევა (სტრაბონი, XI, II, 17). ცნობების უქონლობა ამ ბრძოლების შესახებ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ კოლხეთი, დასავლეთ კოლხეთი, ამ ომებში მხოლოდ სტრატეგიული მხარეა, სადაც უმოკლესი გზა გადიოდა ბოსფორიდან მცირე აზიისაკენ. საყურადღებოა, რომ ბოსფორსა და მცირე აზიის ბრძოლების აღწერას კი საისტორიო წყაროებში უფრო მეტი ადგილი ეთმობა. საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთში შეჭრა და ადგილობრივი სკეპტუხიების ამხედრება ამ შემთხვევაში არ შედიოდა მეომარი მხარეების ინტერესებში. ბუნებრივია, არც ერთ მეომარ მხარეს არ ენდომებოდა ზურგში აჯანყებულები დაეტოვებინა, მით უმეტეს, რომ ცნობილია, მართო ერთმა - ასანდრის აჯანყებამ, ბოსფორში როგორი ტრაგიკული შედეგები გამოიწვია ფარნაკესთვის. ამიტომ შესაძლებელია, რომ შიდა კოლხეთის „სამთავროები“ — „სკეპტუხიები“ მთელი ამ ომების დროს გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

ოქტავიანე ავგუსტუსის დროს რომის აღმოსავლური პოლიტიკა კიდევ უფრო აქტიური და მოქნილი გახდა. რომაელების მომხრე მეფე პოლემონს მიეცა განკარგულება, რომ ბოსფორში ასანდრის გარდაცვალების შემ-

დეგ რომის ფაქტიური ძალაუფლება აღედგინა (დიონ კასიუსი, IV, 24, 4). დასავლეთ კოლხეთი ამჯერად უკვე პოლემონის საბრძოლო ოპერაციების არეალში უნდა მოხვედრილიყო, რადგან ბოსფორისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. პოლემონმა დასავლეთ კოლხეთი ოქტავიანე ავგუსტუსის დასტურით შეუერთა პონტოს. სტრაბონი გადმოგვცემს: „პოლემონს ჰქონდა კოლხეთი, ხოლო როდესაც ის მოკვდა (ძვ. წ. 8 წ.) მისი მეუღლე პითოდორის ფლობდა კოლხეთს... „ (XI, II, 18). სანუხაროდ, პოლემონის მოქმედების შესახებ კოლხეთში არავითარი წერილობითი ცნობა არ არსებობს.

შავიზღვისპირეთს რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ადგილი ეკავა. შავიზღვისპირეთის კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას. რომს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გაჰქონდა ლითონი, ხე-ტყე, მარცვლეული, ტყავეული, სელი, ღვინო (იხ. სტრაბონი, XI, II, 17). I საუკუნის რომაელი ავტორი მარკუს მანილიუსი აღნიშნავს, რომ რომაელებს კვებავეს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ქალები (V, 376). დასავლეთ კოლხეთი პოლემონის პონტოს შემადგენლობაში იმპერატორ ავგუსტუსის დროს შედის. ამ დროისათვის დასავლეთ კოლხეთი, მართალია, უშუალოდ არ ექვემდებარებოდა რომს, მაგრამ პონტოს სამეფოს საშუალებით რომის პოლიტიკურ გავლენაში მაინც ექცევა. ამ ხანებში რომის ლეგიონერები კოლხეთის მიწაზე არ იდგნენ.

რომის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო აღმოსავ-

ლეთის საზღვრებთან შეექმნა ფაქტობრივად მასზე დამოკიდებული, ხოლო ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნები, რომელთა ხელითაც რომი სასაზღვრო რეგიონებში სათავისო პოლიტიკას გაატარებდა (Ломоури, 1980, გვ. 136). ერთ-ერთი ასეთი სამეფო პოლემონის პონტო იყო, რომელშიც ზღვისპირა კოლხეთის ნაწილიც შედიოდა. პოლემონის პონტოს მნიშვნელოვანი ცენტრი — ქალაქი ტრაპეზუნტი ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა მასთან.

რომმა, მიუხედავად ძლევამოსილებისა, მაინც ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტარქეს, ვერც მითრიდატე პერგამონელის და ვერც პოლემონის ხელით. რამდენადმე გამართლდა ლუკულუსის წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნავდა — ამ მხარის დამორჩილება ძალიან ძნელია (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 14). მართლაც, შიდა კოლხეთი თავისი მოკვლევადობით — ხეობებით, მთებით, სწრაფი, ძნელად გადასალახი მდინარეებით, უღრანი ტყეებით - ადვილად დასამორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. ამას ემატებოდა, აგრეთვე, ფრთხილად განწყობილი, ძლიერი სამთავროები — სკეპტუხიები და მთის მთხარე მოსახლეობა. ზღვისპირეთისათვის კი რომაელები გარკვეული კონტროლის განევას ახერხებდნენ. ამას მათი ძირითადი საყრდენი უნდა ყოფილიყო სანაპირო ქალაქები, რომლებშიც, შიდა კოლხეთისაგან განსხვავებით, შედარებით ძლიერი იყო მთავარი სამეურნეო-კულტურული ცენტრები (შეადარე - Ломоури, 1981, გვ. 136). ზღვისპირეთი იყო ის სტრატეგი-

ულ-კომუნიკაციური მხარე, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად მცირე აზიასა და ბოსფორში.

ამრიგად, თვალშისაცემია, რომ საომარი ფაქტორი მნიშვნელოვან, ზოგჯერ გადამწყვეტ როლს თამაშობდა კოლხეთ-იბერიის ისტორიული განვითარების პროცესში. იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ კოლხეთის სამეფოს საბოლოოდ დაშლა და პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. კოლხეთისათვის უარყოფითი გამოდგა პონტოს სამეფოს ექსპანსიაც, რომელსაც ზღვისპირეთის ანექსია მოჰყვა. შიდა კოლხეთში დაინგრა და გაიძარცვა „ვანის“ მდიდარი ქალაქი. კოლხეთი გადაიქცა პონტოს სამეფოსა და რომს შორის საომარი მოქმედებების ასპარეზად, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდად უნდა დაზარალებულიყო. რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის და შემდეგ იბერიის განვითარების პროცესზე. ერთი მხრივ, ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოდგა — ზღვისპირეთი რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი, რომაელთა მოქნილი პოლიტიკის შედეგად, არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული „სამთავროების“ განვითარებით დასრულდა (მაგ., სანიგეთი, მაკრონეთი, ჰენიოხეთი, ლაზეთი, აფსილეთი, აბასკეთი; იხ. არიანე, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, 11). მეორე მხრივ, რომმა — იმ დროისათვის მაღალგანვითარებულმა მონინავე სახელმწიფომ, რამდენადმე დადებითი როლი ითამაშა; კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა



სურ. 13. იბერიელი მხედარი

უფრო ახლო გაეცნო იმ დროისათვის მოწინავე რომაულ კულტურას; სანაპირო ქალაქებში რომაული სავაჭრო კაპიტალი გამოჩნდა; გაეცნენ ახალ საომარ ტექნიკას და ტექნიკას.

ძვ. წ. I ს. მინურულიდან იბერიის სამეფოს აღმავლობის და ძლიერების ხანა დაიწყო. ამას გარკვეულწილად ხელს უწყობდა ახალი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური სიტუაცია. კერძოდ, რომსა და პართიას შორის გაუთავებელი ქიშპი და ომი. იბერიის ხელისუფლება რომის და პართიის ურთიერთწინააღმდეგობას თავის სასარგებლოდ მოხერხებულად იყენებდა. I ს. პირველ ნახევარში იბერიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ გააფართოვა თავისი საზღვრები და მდგარი ბრძოლით აიღო მდ. არაქსთან მდებარე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი არტაქსატა. ამ დროისათვის იბერიამ დაიბრუნა სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ჭოროხის, მდ. მტკვრის და მდ. არაქსის სათავეების ტერიტორიები და თითქმის ზღვის სანაპიროზე გავიდა (იხ. Ломоури, 1981, გვ. 152).

ახ. წ. 30-იან წლებში იბერიის მეფე ფარსმან I, რომაელებთან შეთანხმებით, სარმატთა (ჩრდილო კავკასიურ ტომი) და ალბანელთა დარაზმით მდ. არაქსისპირეთში პართელებთან საომრად გაემართა. მოწინააღმდეგის ჯარს პართიის მეფის შვილი ოროდი სარდლობდა. პართელთა დიდი ლაშქარი ძირითადად ცხენოსნებისაგან შედგებოდა. იბერიის მეფის ჯარი ამ დროისათვის კი ძლიერ ქვეითთა ლაშქარს და ცხენოსანთა სწრაფ რაზმებს ფლობდა. ამას, აგრეთვე, იბერიის მიერ დაქირავებული სარმატი და ალბანელი მეომრები ემატებოდნენ. იბერთა მეფემ ფარსმან I-მა ჩინებულად გამოიყენა ადგილობრივი გარემო-პირობები და ბრძოლის ნაცვადი ხერხები. პართიის ცხენოსანი ჯარი კი ასეთ მთავორიან გარემოში მოქმედებას მიუჩვეველი იყო. იბერიელთა ცხენოსნებმა ჯერ ისრები სტყორცნეს პართელებს, ხოლო შემდეგ ქვეითმა ჯარმა მწყობრად მიიტანა იერიში, რამაც პართელების სრული მარცხი განაპირობა (ტაციტუსი, ანალები, IV, 33-35). ბრძოლის პირველ ეტაპზე ფარსმანმა ალყა შემოარტყა მტრის საგუშაგოებს და ხელთ იგდო სტრატეგიული — საკვების, ფურაჟის და სხვა მარაგი. ტაციტუსი გადმოგვცემს — ფარსმანი „... ამხედრებული მიადგა (პართელთა სამხედრო) ბანაკს, დაარბია ფურაჟის საცავეები და ალყა შემოარტყა გამაგრებულ საგუშაგოებს...“ ბრძოლის წინ ფარსმანმა სიტყვით მიმართა თავის მხედრობას: „პართელების ბატონობა არ გვიწვევია, თუ ცდას არ დავაკლებთ, დიდ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით; ხოლო თუ (მტერს) ზურგი ვუჩვენეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებით... აქ ვაჟკაცი მხედრო-

მაა, იქ კი საშოვარიო" (იხ. ტაციტუსი, ანალები, VI, 34).


ამ ბრძოლაში იბერთა მეფე ფარსმანი ჯარს პირადად მიუძღოდა. მან სწორად გათვლილი მანევრით მოახურბა პართელების დამარცხება. ამის შემდგომ პართელებმა კიდევ რამდენჯერმე სცადეს იბერებთან შებმა, მაგრამ კვლავ მარცხი იწვნის.

ახ. წ. 50-იან წლებში მეფე ფარსმანმა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა რომაელ სარდალს გნეუს დომიციუს კორბულონს, რომელიც სამხრეთ ტრანსკავკასიაში პართელებს ეომებოდა. სამაგიეროდ, იბერიამ მდ. არაქსამდე მიწები შემოიმტკიცა (იხ. ტაციტუსი, ანალები, XIV, 23).

II ს. პირველ ნახევარში იბერიის სამეფო ტახტზე ფარსმან II ქველი ავიდა (იხ. მოქცევაი ქართლისაი, სტრ. 36). ფარსმანის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ მიგვითითებს: „... ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებული და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე შედარი და შემმართველი ბრძოლისა, უმაში ვითარცა უხორცო...“ (ქ. ც. I, 53-51).

მეფე ფარსმან II უკვე შეუფარავად ებრძვის რომის იმპერიას და ცდილობს მის განდევნას ზღვისპირა კოლხეთიდან და სამხრეთ ტრანსკავკასიიდან. იბერია თავისი ინტერესების დაცვისათვის გაბედულად უპირისპირდება იმ დროისათვის სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოებს — რომსა და პართიას (სურ. 14). ხსენებული სახელმწიფოები, როგორც ჩანს, იბერიის სამეფოს ანგარიშგასაწევ ძლიერ ქვეყნად მიიჩნევდნენ, ამიტომ, იმპერატორ ანტონინუს პიუსის (ახ. წ. 138-161 წწ.) დროს იბერიას და რომს შორის ურთიერთობები გამოსწორდა.

რომაელი ისტორიკოსი ელიუს სპარტიანი მოგვითხობს, რომ რომის იმპერატორი პატივს სცემდა იბერთა მეფე ფარსმან II-ს, რადგან მისი სამხედრო მხარდაჭერა სჭირდებოდა სამხრეთ ტრანსკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. ამის გამო, იბერთა მეფეს ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი (შესაძლოა, რომ სწორედ ეს ძვირფასი ნივთებია სადღეისოდ, არქეოლოგიურად აღმოჩენილი მცხეთაში; იხ. მცხეთა I, 1955), საბრძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი მებრძოლთა რაზმი



სურ. 14. იბერიელები უტყვენ რომაელების მოწინავე რაზმს



სურ. 15. იბერიელთა სალაშქრო წყობა

უბოძა (იხ. Latyshev, 1904, გვ. 293). ახ. ნ. 140 წელს ფარსმან II, ამალით, დიპლომატიური მისიით, იმპერიის სატახტო ქალაქ რომში ჩავიდა. აქ მას ზემოთ შეხვდნენ და პატივისცემის ნიშნად ფარსმანის ქანდაკებაც კი აღმართეს (იხ. დიონ კასიოსი, რომის ისტორია, LXX, 2; გამყრელიძე ალ., 1959, გვ. 135).

იბერიის სამეფომ მოქნილი პოლიტიკის (რომსა და პარტიას შორის ლავირება) და წარმატებული ომების შედეგად საზღვრები გაიფართოვა. ქვეყანაში დიდძალი სიმდიდრე შემოვიდა, რამაც ეკონომიკური წინსვლა და წარმოების სწრაფი ტემპით განვითარება გამოიწვია.

საყურადღებოა, რომ კოლხეთ-იბერიაში ხშირი საბრძოლო მოქმედებები და ოპტიმალური, სტრესული სიტუაციები, რომლის დროსაც საჭირო იყო ორგანიზაციული საკითხების სწრაფი გადაწყვეტა, ხელს უწყობდა ადგილობრივ მოსახლეობაში საზოგადოებრივ კონსოლიდაციას და სოციალურად კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

ფარნავაზიანთა ეპოქის ქართლის ანუ იბერიის სამეფოს, რომელშიც კოლხეთის ნაწილიც შედიოდა, სამხედრო ორგანიზაციის საკმაოდ კარგი

სისტემა ჰქონდა. როგორც ჩანს, იბერიელები ინფორმირებულები იყვნენ ბერძენთა, ირანელთა და რომაელთა მონინავე სამხედრო ხელოვნების შესახებ. ისინი ამ ცოდნას მოხერხებულად უხამებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს (სურ. 15).

ომის დროს ქვეყანას დაახლოებით 50.000 ქვეითის და 20.000 ცხენოსნის მობილიზება შეეძლო (იხ. სტრაბონი, XI, IV, 5). სტრაბონი გადმოგვცემს, რომ — „დაბლობზე იბერთაგან უმეტესად მინათმოქმედები სახლობენ, ესენი... მიდიელთაგან იცვამენ (იჭურვებიან). უფრო დიდ ნაწილს, რომლებიც მეომარი ბუნების არიან, უკავიათ მთიანი მხარე ... მისდევენ მინათმოქმედებასაც; როცა შფოთი და ომიანობაა ... თავისი სახსრებით მრავალი ათასი (მეომარი) გამოჰყავთ“ (სტრაბონი, XI, III, 3). მეფეს, აგრეთვე, მომთაბარე მთიელების, ჩრდილო კავკასიური დაქირავებული რაზმები ჰყავდა. სტრაბონივე აღნიშნავს, რომ ალბანელები — „ომის დროს ეხმარებიან მთის ნომადური (მომთაბარე) მოსახლეობა... ისევე როგორც იბერებს“ (იხ. სტრაბონი, XI, IV, 5; ქ. ც. I, გვ. 23). ამრიგად, როგორც ჩანს, იბერიის მეფეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი შეეძლო საომრად გამოეყვანა. ამ ჯარის ნაწილი კარგად განვრთნილი იყო და ფრიად მრისხანე ძალას წარმოადგენდა.

პომპეუსთან ომის დროს იბერიას აპიანეს მონაცემებით, შემდეგი რაოდენობის მეზრძოლი ჰყავდა — „... არტოკი (არტაგი; იხ. ქ. ც. I, გვ. 30), იბერთა მეფე 70.000 მეზრძოლით შეეზრძოლა (პომპეუსს) ... მდინარე კირნოსთან (მტკვართან)“ (იხ. აპიანე, მითრიდატიკა, 103). მაშინ, როდესაც იმ დროისათვის რომის

უძლიერეს, პომპეუსის არმიას, მახლო-  
ბულ აღმოსავლეთში მითრიდატესთან  
საომრად და წესრიგის დასამყარებლად  
20.000 ქვეითი, 4.000 ცხენოსანი და 25  
მძალი რანგის სარდალი ჰყავდა (იხ.  
ახიანე, მითრიდატიკა, 94).

იბერიის სამეფოს უმაღლესი მთა-  
ჯარსარდალი მეფე იყო, რომლის ხელ-  
შიც სახელმწიფოებრივი მართვის მთა-  
ჯარი სადავეები იყრიდა თავს. მეფეს  
მოკლე სამხედრო-ადმინისტრაციული  
სისტემა ემორჩილებოდა. ხშირად,  
ბრძოლის დროს მეფე ჯარს თავად მი-  
უძღვოდა.

სტრაბონის მონაცემებით, მეფის  
შემდეგ მეორე პირი იყო მხედართმთა-  
ჯარი იყო, რომელიც სამეფო გვარიდან  
აღნიშნებოდა (იხ. სტრაბონი, XI, III, 6).  
აქტივით, მთავარი სამხედრო პირი, რო-  
მელიც უშუალოდ ხელმძღვანელობ-  
და ქვეყანაში სამხედრო საქმეს, ნახ-  
სუნებია „ქართლის ცხოვრებაშიც“ (ქ.ც.  
I, გვ. 24). იქვე აღნიშნულია, რომ მას  
ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციული  
მართვის ხელმძღვანელები — ერის-  
თავები ექვემდებარებოდნენ. თავის  
მხრივ ერისთავებს ექვემდებარებოდ-  
ნენ ათასისთავები (იხ. ქ. ც. I, გვ. 24-25)  
და ახისთავები. აქედან გამომდინარე  
უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჯარი, პირო-  
ბითად, ასეულებად და ათასეულებად  
ყოფილი დაყოფილი.

მეფის შემდეგ მეორე პირის არ-  
სებობა, რომელსაც სამხედრო უწყება  
უბარა, იმაზე მიუთითებს, რომ სახ-  
ელმწიფოში უპირველესი მნიშვნელობა  
სამხედრო საქმეს ენიჭებოდა. მთა-  
ჯარსარდალი, ერისთავთ-ერისთავი  
ვინაგებდა ამ უწყებას და ევალებოდა  
სამეფოს შეიარაღებული ძალების მარ-  
თვა. იხ. აგრეთვე, პასუხს აგებდა ჯა-

რის მობილიზებაზე, მონინალმდეგის  
შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის  
მოპოვებაზე და საბრძოლო წრთვან-  
მზადყოფნაზე. ასეთივე მოვალეობები  
ეკისრებოდათ გარკვეული ტერიტო-  
რიების მფლობელ ერისთავებს, რომ-  
ლებიც მათდამი დაქვემდებარებულ  
ტერიტორიებს და აქედან გამოსულ მე-  
ბრძოლებს ხელმძღვანელობდნენ.

სამხედრო-არისტოკრატიული გვა-  
რის შვილები ბავშვობიდანვე ეჩვეოდ-  
ნენ სამხედრო წრთობას, რადგან მო-  
მავალში, ეს მათი ძირითადი საქმე და  
მოვალეობა იყო. აღზრდა-წვრთნაში  
წამყვანი ადგილი ნადირობას ენიჭე-  
ბოდა. ნადირობა ომისათვის მზადების  
საუკეთესო ხერხი იყო და სამხედრო-  
ფიზიკური მომზადების კომპლექსურ  
საშუალებას წამოადგენდა. ის მომავალ  
მეომარს იარაღის ხმარებას — შუბისა  
და ისრის მიზანში ტყორცნის უნარს,  
ცხენოსნობას; სხვადასხვა საბრძოლო  
ხერხს, სწრაფ მანევრირებას, მამა-  
ცობას, ფიზიკურ გამძლეობას უვი-  
თარებდა და აჩვევდა. ყოველივე ამას  
ნადირობისას სწავლობდნენ, რაც შემ-  
დგომ, ომებში, თავის გამოჩენის და მე-  
ფის კარზე დაწინაურების საშუალებას  
აძლევდათ.

იბერიის სამეფო ტერიტორიულ-  
ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო  
დაყოფილი (იხ. ქ. ც. I, გვ. 24). მათ ად-  
გილობრივი სამხედრო-არისტოკრატი-  
ის წარმომადგენლები, ერისთავები,  
მართავდნენ, რომელთაც ბერძნული  
და არამეული წერილობითი წყაროე-  
ბი სკეპტუხებად ან პიტიაზშებად  
მოიხსენიებს (იხ. სტრაბონი, XI, II, 18;  
ნერეთელი, 1943, გვ. 37-43). ერისთავი,  
მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტო-  
რიაზე, სამეფო ხელისუფლების უმაღ-



უშა (?)



ასპავრუქი



უცნობი



ზევახი



ზევახი



უშა



უცნობი

სურ. 16. სამხედრო-არისტოკრატიის წარმომადგენელთა პორტრეტები (I-III სს. არქეოლოგიური მასალიდან)

ლესი ნარმოადგენელი იყო (სურ. 16). იგი აქ საჯარო და სამხედრო ხელისუფლებას ახორციელებდა; ომის დროს სარდლობდა საერისთავოდან გამოსულ ლაშქარს. ერისთავის ინსიგნიებს, რომელსაც ის მეფისაგან იღებდა, ნარმოადგენდა — კვერთხი-სკიპტრა, განსაკუთრებული საბეჭდავი-ბეჭედი, მდიდრული სარტყელი, შეიარაღება და სხვ. (ხსენებული ნივთები დოკუმენტურად დადასტურებულია საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში; იხ. მაგ., მცხეთაში აღმოჩენილი პიტიახშების სამარხები; იხ. მცხეთა I, 1955).

იბერიის სამეფოს სახელმწიფო აპარატის მოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი სამხედრო კონტინგენტის (თავისუფალი მეთემეების, სამხედრო-არისტოკრატიული გვარშივილების, მეზობელი ქვეყნებიდან პოლიტიკური მოკავშირეების, დაქირავებული პროფესიონალი მეომრების) შევსება იყო (სურ. 17).

მეფეს მუდმივი, ძირითადი, სამხედრო რაზმები და პირადი მცველი რაზმი ჰყავდა. ეს რაზმები დაკომპლექტებული იყო სამხედრო-არისტოკრატიული გვარის შვილებით (შუა საუკუნეების ტერმინოლოგიით მათ აზნაურებს უწოდებენ) და დაქირავებული პროფესიონალი მეომრებით. ისინი მეფის სამსახურისათვის მაღალ გასამრჯელოსა და მიწის ფართობებს იღებდნენ. ამათგან შედგებოდა სამეფოს მართვის რეპრესენტული ძალები. მათი ხელით ხდებოდა გადასახადების ამოღება და ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება. ამ კატეგორიის მეომრები უფრო სწრაფად ნინაურდებოდნენ. ამის მთავარი პირობა კი იყო დამსახურება სამხედრო სარბიელზე, ომიანობის დროს თავის გა-




სურ. 17. იბერიელები ბრძოლისას

მოჩენა და მეფის კარზე ერთგული სამსახური. ომის დროს ისინი ძირითადად კომპლექტდნენ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმებს, რომელთაც შეეძლოთ სწრაფი მანევრირება. ამათგან შედგებოდა საშუალო და უმცროსი ოფიცრობა, კერძოდ, ათასისთავები და ასისტავები. მათი ნაწილი მშვიდობიან პერიოდში სამოქალაქო ფუნქციას ასრულებდა და გარკვეულ მცირე ტერიტორიულ ერთეულებს განაგებდა. ომის დროს კი მეთაურობდნენ ამ საგამგებლოებიდან მობილიზებულ სამხედრო რაზმებს, რომლებიც მეთემეებისაგან კომპლექტდებოდა. სტრაბონი ამ მეთემეებს „მეომართა და მიწათმოქმედთა“ (იხ. სტრაბონი, XI, III, 6) ფენას უწოდებდა. ეს, იბერიის სამეფოს მიწათმოქმედი მეთემეების ის სოციალური ფენაა, რომელიც საომარი საფრთხის შემთხვევაში, სამხედრო სამსახურს ეწეოდა და კოლექტიურად იცავდა თავის კარმიდამოსა და მთლიანად სამეფოს.

სწორედ ამ საგვარეულო თემებიდან გამოჰყავდათ ხალხი, რომელიც საომრად თავისი შეიარაღებით მიდიოდა და სახელმწიფო ჯარის უმეტეს ნაწილს ნარმოადგენდა. ამათგან ძირითადად კომპლექტდებოდა მსუბუქად





სურ. 18. ქ. მცხეთის ერთ-ერთი კარიბჭის რეკონსტრუქცია (გ. ლეჟავას მიხედვით)

შეიარაღებული ქვეითი ლაშქარი. ასეთი კატეგორიის მეთემეები ომის დასრულების შემდეგ უბრუნდებოდნენ თავიანთ კარმიდამოს და სამინათმოქმედო საქმიანობას.

იბერიის სამეფოს შეიარაღებული ძალების იერარქიული სტრუქტურა ზოგადად ასეთი უნდა ყოფილიყო: უმაღლესი მთავარსარდალი — მეფე; მთავარსარდალი — სამეფო სამხედრო უწყების უშუალო ხელმძღვანელი, ერისთავთერისთავი; დღევანდელი ტერმინოლოგიით უფროსი ოფიცრობა — უმაღლესი სარდლობა, ტერიტორიული ერთეულებიდან გამოსული მეომრების სარდლები, ერისთავები; საშუალო და უმცროსი ოფიცრობა - ათასისთავეები, ციხისთავეები (სამეფო სიმაგრეების გარნიზონის ხელმძღვანელები), ასისთავეები (არისტოკრატიული გვარის უმცროსი შვილები), დაქირავებული პროფესიონალი სამხედროები (მეზობელი ქვეყნებიდან); ჯარისკაცები - ომის შემთხვევაში მობილიზებული მეთემეები, ადგილობრივი და უცხოელი, ე. წ. კონდოტიერები.

იბერიის სამეფოს ჯარი (იხ. სტრაბონი, XI, III, 3; XI, IV, 5; აპიანე, მითრიდა-

ტიკა, 103; ქ. ც. I, გვ. 24-25; პლუტარქე, ლუკულუსი, 31) ძირითადად ორი გვარეობისაგან — ქვეითი და ცხენოსანი დანაყოფებისაგან შედგებოდა. ესენია: მეფის მცველი მძიმედ შეიარაღებული და კარგად განვრთნილი რაზმი. ისინი შეიარაღებული იყვნენ — შუბებით, სატევრებით, საბრძოლო ცულებით, მშვილდ-ისრებით, ჯაჭვ-ჯავშნებით, მუზარადებით, ფარებით (დანვრილებით იხ. მომდევნო თავები); ცხენოსანთა და ქვეითთა კარგად შეიარაღებული ასეულები. ამ ორივე გვარეობის ჯარის შეიარაღებაც, ალბათ, ძირითადად მეფის რაზმისნაირი იყო. მათ შეიარაღებაში საბრძოლო ეტლები და ქვის ყუმბარების სატყორცნი მანქანებიც ჰქონდათ (ტაბ. XXVI, XXXI); ქვეითთა მსუბუქად, დამცავი ჯაჭვ-ჯავშნის გარეშე, შეიარაღებული ლაშქარი ძირითადად, შუბებით, შურდულებით, მშვილდ-ისრებითა და ხის ფარებით იბრძოდა. ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ.

იბერიის სამეფოს თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი საფორტიფიკაციო ნაგებობებს (დანვრილებით იხ. მომდევნო თავები) ეკავა, რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ და საჭირო ადგილებზე იყო განლაგებული — მაგ.: მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, სარკინე, ნასტაკისი, შორაპანი, დიშნა და სხვ. განსაკუთრებით სატახტო ქალაქი მცხეთა იყო დაცული. აქ მთავარ ციხესიმაგრესთან (არმაზციხე) ერთად სხვა, მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემა იყო აგებული. საფორტიფიკაციო ნაგებობებით გამაგრებულ-გადაკეტილი იყო, აგრეთვე, საერთოდ ქვეყანაში შემომავალი გზები. ბუნებრივია, ციხ-

უხიმაგრეებში და ციხე-ქალაქებში სპეციალური, მცველ-მეციხოვნეთა გარნიზონები იდგა (სურ. 18).

ნერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ იბერიის სამეფოს სამხედრო ძალები კარგად ფლობდნენ მაშინდელი საომარი საქმის ძირითად ელემენტებს. მათ იცოდნენ და წარმატებით იყენებდნენ საომარ-ტაქტიკურ ხერხებს — სწრაფ იერიშს, გადაჯგუფებას, რელიეფის მოხერხებულად გამოყენებას, ე. წ. პარტიზანული ბრძოლის ელემენტებს (იხ. დიონ კასიუსი, XXXVII, 1, 2; აპიანე, მითრიდატიკა 103; პლუტარქე, პომპეუსი, 34; ქ. ც. I, გვ. 28). ისინი ომში მამაცნი, მოხერხებულნი და შეუპოვარნი იყვნენ. ყოველივე ამის განსახორციელებლად კი მათ, შეტევის და თავდაცვის, იმ დროისათვის მოწინავე, რკინის შეიარაღება ჰქონდათ (იხ. ტაბ. XXVIII—XXXVII).

\*\*\*

**ბრძოლის სცენები.** იბერიულ-კლდეური ხანის სამხედრო საქმისა და ბრძოლ, შეიარაღების შესწავლისათვის მნიშვნელოვან მონაცემს გვაწვდის ურთიერთბრძოლის სცენის ამსახველი ფრიზი სასმისზე, რომელიც აღმოჩნდა სოფ. გომში. ურთიერთბრძოლის ეს სურვეტი ერთადერთია და ამიტომ უნიკალური, საკვლევი პერიოდის საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში. ამის გამო მის განხილვაზე დაწვრილებით შეუჭრდებით, რადგან მკითხველს უფრო ნათელი სურათი შეექმნას იმდროინდელი შეიარაღების შესახებ.

საქართველოს მთიან მხარეში, ზემო რაჭაში, სოფ. გომში აღმოჩენილი ბრძოლის სცენის გამოსახულები-

ბიანი ვერცხლის სასმისი ტორეგტიკის ფრიად უნიკალური ნიმუშია. სასმისი წაგრძელებული კონუსის ფორმისაა; შემორჩენილი სიმაღლე 13 სმ; პირის დმ, 6,5 სმ; წონა — 86 გრ.; მოტეხილია ქვედა ნაწილი. ამჟამად სასმისი ქ. ქუთაისის სახ. მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში ინახება (ინვ. № 111) (სურ. 19) (სასმისის შესახებ დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 39-49).

სასმისს სამი სარტყელი ამკობს. ზემოდან პირველი — კანელურებიანი ფრიზი; მეორე — ოთხი ადამიანის ურთიერთბრძოლის სცენა; მესამე — ორი ცხოველი და ხე. მოცემული გამოსახულებები სასმისის კედლებზე სიმეტრიულადაა განლაგებული. კანელურების ქვემოთ ორი ორთაბრძოლის სცენაა გამოსახული. მარცხნიდან პირველწვეროსან ადამიანს თავზე მუზარადი ახურავს; ზეანულ ხელში, საძგერებლად გამზადებული, მოკლე შუბი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში ოთხკუთხა ფარი უჭირავს. მეომარს სხეულზე მოკლე ტანსაცმელი მოსავს, ხოლო მის ქვემოთ შიშველი ფეხები მოუჩანს. ფეხზე, კოჭთან, სარტყლებით გადმოცემული ფეხსაცმელი აცვია.

მეორე მეომარი სახით პირველისკენაა გამოსახული და მშვილდისარს უმიზნებს მას. თავზე მუზარადი, ტანზე უსახელო სამოსი და პირველი მეომრისნაირი ფეხსაცმელი აცვია. მესამე მეომარი მეორისადმი ზურგით დგას, თავზე მუზარადი ახურავს; მარჯვენა ხელში სატევარი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში პირველი მეომრისნაირი ფარი უჭირავს. მეოთხე მეომრის ფიგურა სახით მესამისკენაა მიმართული და ხელში შუბი უჭირავს. ფიგურების ზოგიერთი ნაწილი დაზიანებული-დეფორმირებულია.



სურ. 19. გამოსახულებები სოფ. გომის (ონის რ-ნი) სასმისზე

მეომართა ქვემოთ რვატოტიანი ხე და ერთმანეთის პირისპირ მდგომი შველი და მგელია.

სასმისზე გამოსახულებების გადმოცემის ტექნიკა დაჭდევის, ამოკანვრის და რელიეფის შიგნიდან ამოზნექის ხერხებითაა წარმოჩენილი. ამოზნექილი ფიგურების კონტურები კიმკვეთრადაა შემოვლებული. ფიგურები სქემატურ-ნატურალისტური; დაბალი რელიეფით და ჩაჭდეული ხაზებითაა გაკეთებული. რელიეფი არც თუ მაღალი კლასის ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული. ოთხივე მებრძოლის ტანი სამმეთხედში, ხოლო თავი პროფილშია გამოხატული. მეომრების წვერ-ულვაში ხაზებითაა გადმოცემული. ზედა და ქვედა კომპოზიციის სივრცობრივი გადანწყვეტა მარტივია. ქვედა სიუჟეტში შვლის უკან ჩანს ხე, რითაც იქმნება ორი სხვადასხვა სიბრტყის ილუზია. მებრძოლების ოთხკუთხა ფარებზე ჰორიზონტალური შტრიხებით კი იქმნება

შთაბეჭდილება, რომ ხელოსანი ეცადა შეექმნა მხატვრული პერსპექტივის ილუზია. ბრძოლის სცენის კომპოზიციის მეომართა დინამიკური პოზები აგრესიული ექსპრესიის განწყობას ქმნის. ცენტრში, უკან პლანზე გამოსახული ხე ზედა და ქვედა სიუჟეტების დამაკავშირებელ, მთავარ სიმბოლოდ აღიქმება. სასმისზე გამოხატულ სიუჟეტებს ფერფერობით კავკასიაში და მის გარშემო ზუსტი მხატვრულ-სტილისტური ანალოგია არ მოეპოვება. შეიძლება ზოგადი მსგავსება ვეძებოთ მხოლოდ მის საკრალურ (ხე, ცხოველები) და ნივთიერ (საჭურველ-იარაღი) მონაცემებში.

სოფ. გომში აღმოჩენილი სასმისის ფორმა — ცილინდრული ყელი და მოგრძო, ქვემოთკენ დავიწროებული ტანი გვაფიქრებინებს, რომ ის რიტონი უნდა იყოს (იხ. Gamkrelidze, 1998, გვ. 211).

სოფ. ვომში აღმოჩენილი სასმისი ფანისებური რიტონის ტიპს მიეკუთვნება. მასზე გამოსახული ოთხიდან ორ მუომარს ერთნაირი კონფიგურაციის ფარი უჭირავს, რომლებიც მენჯიდან მარამდე ფარავთ. ფარი ოთხკუთხაა და მარჯვენა ზედა კუთხე ამოჭრილი აქვს. ფარი ნახატზე ისეა გამოსახული, რომ მკლავზე მარყუჟით დამაგრებული წანს და ხელის ჩასაჭიდიც უნდა ჰქონოდა ამგვარად, მეზრძოლს ფარი უფრო მარჯვედ, მოხერხებულად ეკავა და თუ დასჭირდებოდა, ბრძოლის დროს ორივე ხელის ხმარება შეეძლო. ფარის ასეთ სამაგრს პირველად ჰოპლიტები იყენებდნენ. გომის სასმისის ფარის მარჯვენა კუთხე ამოჭრილი იყო, რაც მუომარს ლავირების დროს გამოხედვის საშუალებას აძლევდა და მოხერხებული უნდა ყოფილიყო. ფარის ამგვარი დეტალი მხოლოდ ამ გამოსახულებებზეა აღნიშნული და სხვაგან არ გვხვდება. ამიტომ, სავარაუდოა, ეს გამოსახედი საბრძოლო აღჭურვილობის განვითარებაში ადგილობრივ ნოვაციად მივიჩნიოთ. გამოსახედიანი ფარები სხვაგანაცაა აღმოჩენილი, მაგრამ მათზე ამბეტრია არაა დარღვეული. მაგ.: ე. წ. ნახევარმთვარისებური ფარები (ტაბ. V, სურ. 4) ან გამოსახედიანი ფარი, რომელიც ქ. ქერსონესში I ს-ის რელიეფზე გამოხატულ მუომარს უკავია (ტაბ. V, სურ. 7). სასმისის ქედურობაზე ფარი მოცემულია ვერტიკალური ხაზებით და ხის ფაქტურას მოგვაგონებს. ხის მუგრძო ნაჭრები ჰორიზონტალურად, ალბათ, ლითონის ორი სარტყლითაა შევსოთ და ქვემოთ) შეკრული. სარტყლებს შორის ლათინური ვე-ს მაგვარი, ჰორიზონტალურად გადმოცემული წიშანი (<), რაღაც ემბლემა შეიმჩნევა.

ოთხკუთხა, მომრგვალებულკუთხეებიანი, ფარები დადასტურებულია ყარაშამბას ვერცხლის თასზე, რომელიც მდ. რაზდანის შუა წელზე, ძვ. წ. II ათასწლეულით დათარიღებულ სამარხში აღმოჩნდა (Оганесян, 1988, გვ. 145); ტრაპეციულისნაირი ფარები სტეფანავანში, გვიანბრინჯაოს ხანის სამარხში აღმოჩენილ სარტყელზეა (Мартиросян, 1964, სურ. 65); კარმირბლურში, კარების ბრინჯაოს გარსაკრავზე გამოსახულია ქ. სუგუნის ალება, სადაც ასურელ მეომრებს ხელში მოგრძო, კუთხეებიანი ფარები უჭირავთ (Пиотровский, 1959, ტაბ. IV); ჩელტის ოთხკუთხა ფარები აქვთ აბუ-სიმბელის ტაძარში დადასტურებულ ძვ.წ. 1312 წ. ქადეშის ბრძოლის სცენაზე, საბრძოლო ეტლებზე ამხედრებულ რამსეს II მონინაალმდევე მეომრებს (История Еврейского..., 1914, გვ. 132, სურ. 1); მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხა ფარი აქვს ხელში სოლოხას სახელით ცნობილ სამარხში აღმოჩენილ ოქროს სავარცხელზე გამოხატულ ე. წ. სკვით მუომარს (Манцевич, 1987, სურ. 34). აქვე აღსანიშნავია, რომ სკვითურ-სარმატული სამყაროსთვის ფარები ნაკლებადაა დამახასიათებელი. თითქმის არ გვხვდება ისინი არც მათ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალაში. სამარხებიდან ცნობილია მხოლოდ ხუთიოდე მათგანი, რომლებიც მიჩნეულია ფარის ნაშთებად (იხ. Мелюкова, 1964, გვ. 78; Хазанов, 1971, გვ. 63).

ჰეროდოტეს მიხედვით, ქსერქსეს ჯარში ირანელები ჩელტის წრიული ფარებით იყვნენ აღჭურვილი (VII, 61). ეგეოსურ-ბერძნული სამყაროსათვის ოთხკუთხა ფარები დამახასიათებელი

ლი არაა. ადრეული რომაული ფარები წრიულია, ხოლო დაახლოებით ძვ. წ. III ს-დან ჩნდება ოთხკუთხა, ვერტიკალზე ოდნავ მოღუნული ფარები. პოლიბიოსი „ისტორიაში“ (VI, 23, 2-4) გადმოგვცემს, რომ ფარები შედგება ხის ფირფიტებისაგან და დაფარულია ტყავით (ზომები დაახლოებით 120x80 სმ). ფარს, ზედა და ქვედა მხარეს, შესაკვრელად რკინის გარსაკრავები ერტყა. შემდგომ, კუთხეებიანთან ერთად თანაარსებობდა ოვალური და მოგრძო ნაკვეთილობებიანი რომბისებური, ექვსკუთხა ფარებიც. ფარის ცენტრში წრიული ლითონის უმბონი იყო. სამივე (ოთხკუთხა, ექვსკუთხა, ოვალური) ტიპის ფარი ქ. რომში ლუციუს სეპტიმიუს სევერუსის ტრიუმფალური თალის რელიეფებზეა გამოხატული. ოთხკუთხა ფარებია გამოხატული ქ. პომპეიში აღმოჩენილ გლადიატორთა ბრძოლის სცენებზეც (ტაბ. V, სურ. 2).

მარკუს ფურიუს კამილუსის დიქტატორობისას, რომელი ქვეითის ძირითად ფარად იქცა ოთხკუთხა ფარი — სკუტუმი (scutum) (ტაბ. V, სურ. 1). აქედან მოყოლებული, დაახლოებით ახ.წ. III საუკუნემდე ამ ტიპის ფარები დომინირებს რომის ქვეითთა არმიაშიც (ცხენოსნებს ოვალური აქვთ). ამგვარი ოთხკუთხა ფარები უნდა ჰქონოდათ პომპეუსის ლეგიონერებს, როცა ძვ.წ. 65 წელს პირველად გამოჩნდნენ ტრანსკავკასიაში და იბერიის მეფე არტოკესთან მოუხდათ შეტაკება (იხ. გამყრელიძე, 2001, გვ. 57-69). რომის იმპერიის ეპოქაში ფარის ზომები შემცირდა და ძირითადად მეომრის ტორსს ფარავდა (Connolly, 1988, გვ. 230-234). დასავლეთ საქართველოში, ნებელდამი, სტეკლიანის გორაზე გათხრილ IV ს-ით დათარი-

ლებულ არქეოლოგიურ კომპლექსში, აღმოჩნდა ოთხკუთხა ხის ფარი, კუთხეებში რკინის სამაგრებით და ლურსმნებიანი გარსაკრავით (ზომა - 48x68 სმ; იხ. Воронов, 1975, გვ. 95, სურ. 33).

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ არქეოლოგიურ მონაცემებში ხშირად ჩნდება ფარის წრიული, ბრინჯაოს ან რკინის „გული“, უმბონი (ტაბ. XXXV, 3, 4). ფარის ხისა და ტყავის სხვა ნაწილები მინაში ცუდად ინახებოდა. უმბონის წრიულობა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ფარიც აუცილებლად წრიული იყო (მაგ., წრიულუმბონიანი რომაული ოთხკუთხა სკუტუმები). ფარის წრიულობის შესახებ მოსაზრება საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა. ამ ფარების დიამეტრი 30-40 სმ-მდეა (ჩოლოყაშვილი, 1954, გვ. 227-232). ვფიქრობთ, ვარსიმაანთკარის არქეოლოგიურ ძეგლებზე მხოლოდ ფარის გულებია შემორჩენილი და არა ფარები (შუადარე, მუხიგულაშვილი, 1986, გვ. 67-72).

საქართველოში ფარის ლითონის წრიული უმბონები და გარსაკრავები არქეოლოგიურ ძეგლებზე ძირითადად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ჩანს; კერძოდ, ბადიაურში, ლილოში, მელაანში, ვანთაში, ურეკში, ყაზბეგში, სამთავროში, კამარახევი (ტაბ. XXXV, 6), ვარსიმაანთკარში, ვანში (№ 9 სამარხში), ხუტუბანში, ნებელდამი, ემერაში (ტაბ. XXXV, 1), ბრილში და სხვ.

საყურადღებოა, რომ ჰოპლიტური, წრიული ფარებია აღმოჩენილი ნითელი შუქურას № 7 სამარხში და ახულაბაას სამარხში (კვირკველია, 2001, გვ. 32-40). ალბათ, ლითონისუმბონიან, ლითონითვე შეჭედილ და უცხოურ

(მაგ., ჰოპლიტურ) ფარებს შეძლებული, წარჩინებული მეომრები ატარებდნენ. ეს შეიმჩნევა, მაგალითად, ვარსიმეანთკარის არქეოლოგიურ ძეგლებზეც, სადაც 166 სამარხიდან მხოლოდ ორში დადასტურდა ფარის „გული“ (დმ - 30 სმ; იხ. მუხიგულაშვილი, 1986, გვ. 71). რიგითი მეომრები ჩელტის, ტოტებისაგან დაწნული ლასტის ან ხის ტყავგადაკრულ ფარებს ატარებდნენ, რომლებიც მინაში მოხვედრისას არქეოლოგიურად თითქმის არაა შემორჩენილი.

ბერძნულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება ქართველური მოხაზულობის (კოლხების, მოსინიკების, მოსხების, ხალიბების) ფარები. კერძოდ, ჰეროდოტე აღნიშნავს — „კოლხებს თავზე ხის მუზარადები შეზნადა, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, ამის გარდა დანები“ (VII, 79; იხ. აგრეთვე VII, 78). ქსენოფონტის „ანაბასისში“ ხალიბების ხარის ტყავისაგან გაკეთებული ფარებში მოიხსენიება (IV, 7, 22). აქვე ნახსენებია, რომ მოსინიკების მეომრებს „ყოველს ხელში ეკავა სუროს ფოთლისნაირი ფარი, ხარის თეთრბეწვიანი ტყავით დაფარული“ (V, 12). სტრაბონი „გეოგრაფიაში“ გადმოგვცემს, ალბანელები „არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ ტყავის აბჯრები და ფარები იბერების მსგავსად“ (XI, 4, 5). აქ ნახსენებია რომაული სკუტუმის მსგავსი ფარი — *θυρεος* (იხ. Древнегреческо..., 1958, გვ. 802). მნიშვნელოვანია, რომ „გეოგრაფიის“ ეს მონაკვეთი ქრონოლოგიურად კავკასიაში რომაელი სარდლის, პომპეუსის, ალბანელებთან და იბერებთან ბრძოლის ხანას ეხება.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, კოლხები, ხალიბები, მო-

სინიკები, იბერები ხმარობდნენ — ხარის ტყავის მცირე ფარებს; სუროს ფოთლის ფორმის ფარებს; სკუტუმის მსგავს კუთხეებიან ფარებს. ეს ფარები ზოგი ჩელტის იყო, ზოგიც ხის და ტყავგადაკრული. არქეოლოგიურ მასალაში უმბონების დადასტურება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფარის კონსტრუქციაში ხშირად ლითონიც გამოიყენებოდა. სოფ. გომის სასამისზე კი მომცრო სკუტუმის მსგავსი ფარებია გამოსახული; მხოლოდ, მათ მარჯვენა ზედა კუთხის ადგილზე გამოსახული აქვთ. ამ ფარების კონსტრუქციის ეს ელემენტი მიგვითითებს სამხედრო აღჭურვილობის გამორჩეულ მხარეზე.

გომის სასამისზე გამოსახულ მეომრებს აცვიათ მოკლე სამოსი, რომელიც სხეულს მენჯს ქვემოთ ფარავდა. ტანისამოსი გადმოცემულია ვერტიკალური ხაზებით. პირველ და მეორე მეომარს თითქოს ზემოდან უსახელო სამოსიც მოსავს. პირველ და მესამე მეომარს წელზე ქამრები აქვთ. გამორიცხული არაა, რომ მეგრძოლებს აბჯარი ეცვათ. არც ის არის გამოსარიცხი, რომ ხაზებით გადმოცემულია რომაული ლორიკას (*lorica*) მსგავარი აბჯარი (ტაბ. V, სურ. 1).

მესამე მეომარს შარვალიც აცვია, რაც ე. წ. სკვითურ-სარმატული სამყაროსთვის დამახასიათებელი ელემენტია. გავიხსენოთ მოკლე ზედა ტანისა და შარვლის კომბინაცია, მაგ., სოლოხას სავარცხელზე გამოხატული მეომრის ფარიანი ფიგურა (ტაბ. V, სურ. 5).

ქსენოფონტი „ანაბასისში“ მოგვითხრობს — მოსინიკებს „... ეცვათ ტილოს მკვრივი მოკლე ქიტონები, რომელნიც მუხლებს არ სწვდებოდა...“

(V, 4, 13). ქსენოფონტი აქვე აღნიშნავს, ხალიბებს „... ჰქონდათ სელის აბჯრები, მუცლის ქვედა ნაწილამდე, ხოლო ქვემოთ მჭიდროდ დაგრებილი თოკები” (IV, 7, 15), ნელზე ქამრები ერტყათ.

საყურადღებოა, რომ ოთხიდან სამ მებრძოლს ფეხები, რომელი ლეგიონერებით შიშველი აქვს და ფეხზე კოჭთან შეკრული ფეხსაცმელი აცვია. ცნობილია, რომ ბერძენი მეომრები ხშირად კნემიდებით იფარავდნენ ფეხებს. ხალიბებსაც ჰქონდათ კნემიდები (ქსენოფონტი, „ანაბასისი”, IV, 7, 16).

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებულია ბრინჯაოს და რკინის საჯავშნე ფირფიტები და ჯაჭვის რგოლები. კერძოდ, ისინი აღმოჩნდა - ვანში, ეშერში, თაგილონში, კლდეეთში, ნებელდაში (მაპკა). ვანის ნაქალაქარზე გათხრილ, მეომრის (№ 2) სამარხში დადასტურდა ასამდე რკინის ნახვრეტისანი ფირფიტა. ასეთი ფირფიტებისაგან შეკრულ აბჯარს ქერცლისებურს უწოდებენ. ნახვრეტებისანი ფირფიტები მაგრდებოდა ტყავზე ან მკვრივ ტილოზე და ფარავდა მეომრის ტორსს (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 183-184). შესაძლოა, რომ სწორედ ამდაგვარი აბჯარი, რომელიც ჩაჭდეული ხაზებითაა გადმოცემული, ემოსათ გომის სასმისის მებრძოლებს (ტაბ. XXVIII).

სასმისზე გამოხატულ ოთხივე მეომარს თავზე ახურავს ნახევარსფერული მუზარადი. ზოგიერთს თითქოს ცხვირსაფარი და ყბების საფარი მოუჩანს. ანტიკურის წინა ეპოქაში ცხვირსაფარი და ყბისაფარი მუზარადებზე არ აქვთ (Есаян, 1966, გვ. 101, ტაბ. XVI). ისინი არაა დამახასიათებელი არც ირანული სამყაროსათვის. ბერძნული

და შემდეგ რომაული სამყაროსათვის კი ყბასაფარები შედარებით ხშირია (იხ. Bottini, Egg, 1988, გვ. 65-136, 327-365).

საქართველოში არქეოლოგიურად აღმოჩენილია ე. წ. ქალკიდური, ჰოპლიტური მუზარადები — სოხუმთან, ქუთაისთან, სოფ. კოხთან (აჭარა), ქ. ლანჩხუთთან. ახლახან რომაული ნახევარსფერული მუზარადი აღმოჩნდა კახეთში, დედოფლისწყაროს რ-ნში სოფ. ზემო ქედში (ტაბ. XXX, 5).

რომის რესპუბლიკის ეპოქაში მუზარადებს შუბლთან სიმტკიცისათვის უკეთებდნენ დამატებით ლითონის სარტყელს. ისეთს, როგორც გომის სასმისზეპირველდამეორემეომრისმუზარადებს მოუჩანთ. რესპუბლიკის და იმპერიის ხანის რომაული მუზარადებისათვის ცხვირსაფარები ნაკლებადაა დამახასიათებელი (Bottini, Egg, 1988, გვ. 327-365; Connolly, 1988, გვ. 228). გომის სასმისზე, ალბათ, შერეული ტიპის (ბერძნულ-რომაული) ან კოლხური ხის მუზარადებია მოცემული. კოლხურის შესახებ ცნობას გვანვდის შეროდოტე (VII, 79). ხის მუზარადები მოსხებსაც ეხურათ (შეროდოტე, VII, 78). უფრო მოგვიანო, კერძოდ, პომპეუსის იბერებთან ბრძოლისდროინდელ ამბებზე თხრობისას, სტრაბონი აღნიშნავს, იბერებს ტყავის მუზარადები ეხურათ (XI, 4, 5).

გომის სასმისზე გამოსახულ პირველ მეომარს, ზეანულ ხელში, ნვერით ქვემოთ, საძგერებლად გამზადებული შუბი უჭირავს. შუბი მოკლეა და რომბისებური შუბისპირი აქვს. შუბისპირის დამაგრების ადგილი ორი ჰორიზონტალური ხაზითაა გადმოცემული. ამდაგვარი შუბიანი მებრძოლია გამოსახული იმპერატორ

კონსტანტინეს ტრიუმფალურ თაღზე რომში (Велишский, 2000, სურ. 279) (ტაბ. V, სურ. 3). შუბის წვერით ქვემოთ დაბრა თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს შუბი საძვერებელია და არა სატყორცნი.

საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მონაცემებში შუბისპირები, სხვა იარაღთან შედარებით, პროცენტულად პირველ ადგილზე წანს, რაც იმის ნიშანია, რომ იმ დროს შუბი ძირითად საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. ამასვე ადასტურებს წერილობითი ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც — შუბი წამყვანი იარაღია კოლხების, ხალიბების, მოსხების და იბერებისათვის (იხ. ჰეროდოტე, VII, 73, 79; ქსენოფონტი, „ანაბასისი“, V, 2, 22; V, 4, 12; V, 4, 25; სტრაბონი, XI, 4, 5). „შუბოსანი იბერების“ სპეციალური რაზმის შესახებ აღნიშნავს პლუტარქეს (ლუკულსი 31).

გომის სასმისზე მეორე მეომარს მარცხენა ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს და შუბიან მეომარს უმიზნებს. მშვილდი მომცრო და თანაბრად მორკაალებულია; ლარის მიბმის ადგილები პორიზონტალურადაა გამოხატული; ისრისპირი, სამკუთხა, დაქანებულფრთებიანია. ამგვარი ისრისპირები გვიანდელისტურ-რომაული სამყაროსთვისაა უფრო დამახასიათებელი (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 180). საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ისრისპირები პროცენტულად ცოტაა აღმოჩენილი. ალბათ, იმ პერიოდში მშვილდ-ისარს სამხედრო შეიარაღებაში შეორებარისხოვანი ადგილი ეჭირა. ამასვე ადასტურებს ჰეროდოტეს (VII, 73, 79) და ქსენოფონტის (IV, 7, 15-16; IV, 3; V, 2, 22; V, 4, 12) ცნობებიც. ისინი

კოლხების, მოსხების, მოსინიკების, ხალიბების შეიარაღების ჩამოთვლა-აღწერისას მშვილდ-ისარს არ ახსენებენ. სამაგიეროდ, შემდეგ, რომაელების (პომპეუსის) ლაშქრობის დროს, იბერია-ალბანეთში სტრაბონი იბერების შეიარაღების ჩამოთვლისას მშვილდ-ისარსაც ახსენებს (XI, 4, 5). მშვილდოსანი იბერების შესახებ გადმოგვცემს აპიანეც (მითრიდატეს ომები, 101) და დიონ კასიოსიც (XXXVII, 2). სვანების მონამლული ისრების შესახებ აღნიშნავს სტრაბონი (XI, 2, 19).

სასმისზე მესამე და მეოთხე მებრძოლიერთმანეთს მოკლეორღესული სატყვერითა და შუბით ერკინებიან. რკინის სატყვეარი საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალაში შუბთან შედარებით ცოტაა; ის შედარებით მეტია გვიანანტიკურ ხანაში. მაგ.: არმაზისხევი, კლდეეთი, ჩხორონყუ, ბრილი, ნებელდა და სხვ. (ფუთურიძე, 1959, გვ. 74-75). ჰეროდოტე შუბებთან ერთად ახსენებს მოკლე სატყვერებს („დანებს“) (VII, 79). ქსენოფონტი „ანაბასისში“ მიუთითებს, რომ ხალიბებს ქამარზე მოკლე სატყვერები ეკიდათ (IV, 7, 16).

გომის სასმისის ქვედა სარტყელზე პირისპირ დედალი, ურქო შველი დამგეულია (მტაცებელი) გამოსახული. ამ ჯიშის ცხოველები კავკასიონის ხეობებში დღესაც ბინადრობენ. შველის უკან ხე მოჩანს. ვფიქრობთ, აქ ალეგორიულად დუალისტური კეთილისა და ბოროტის ბრძოლა აისახა (რაც ძირითადად ახასიათებდა ზოროასტრულ და შემდგომ მანიქეველურ რელიგიებს). ხეს, ამ შემთხვევაში, კეთილის მხარესაა (უკანაა). ზედა, მეომართა ბრძოლის სიუჟეტის, ალეგორიული გამოსახვა უნდა იყოს ქვედა სცენა, სადაც შველი სიკეთეს,



კარგს, მგელი, ბოროტებას, ცუდს და ხე, ნაყოფიერებას, სიცოცხლის გამარჯვებასა და მტრის დამარცხებას გამოხატავს.

გომის რიტონ-სასმისი, ალბათ, სპეციალურად ბრძოლაში დალუპული, წარჩინებული მეომრისთვის შესანიშნავად იყო დამზადებული და დაკრძალვის რიტუალში გამოიყენეს. ვფიქრობთ, მეომრებიანი სარტყლის ახსნაში, უფრო მიწიერი, ჩვეულებრივი, შესაძლოა ჩრდილო კავკასიელებთან, სარმატებთან ან ალანებთან ბრძოლაა გადმოცემული (იხ. Хазанов, 1971, გვ. 3-4). სასმისის დამამზადებელმა, ადგილობრივმა ხელოსანმა, მისი შესაძლებლობის ფარგლებში, ასახა ის, რაც ნანახი ჰქონდა. ქვემოთა, ცხოველებიან სარტყელში კი ჩადო ზედა სარტყლის თავისეული მსოფლმხედველობითი, საკრალური შინაარსი, რომელიც იმ ეპოქას ახასიათებდა.

საქართველოს ხსენებული ხანის ტორევიტიკა რომაული სამყაროს გარკვეულ ზეგავლენას განიცდის (Macha-

ბელი, 1976, გვ. 138-147). გომის სასმისზე ეს, ალბათ, მხოლოდ კანელურების გადმოცემაში აისახა. ამ პერიოდის კანელურებიანი ჭურჭელი საქართველოში აღმოჩენილია - თავილონში, ხაიშში, ბანძაში, ციხისძირში (იხ. Мачабели, 1976, გვ. 28-29; ფუთურიძე, 1959, გვ. 72-74; ჯავახიშვილი, 1958, გვ. 149-150).

ამგვარად, კავკასიონის სამხრეთ ფერდზე, ზემო რაჭაში, სოფ. გომში დადასტურებული ვერცხლის ყან-რიტონი, ადგილობრივი ნაწარმია, ზოგადად ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნით თარიღდება. დაკრძალვის რიტუალისათვის დამზადებულ ვერცხლის სასმისზე გამოსახული სიუჟეტი ხელოსნის მიერ სოციოგარემოს აღქმის გამოხატულებას წარმოადგენს, რაც ერთი მხრივ, ჩრდილო კავკასიურ (სარმატულ-ალანური), მეორე მხრივ, რომაულ სამყაროსთან იჩენს გარკვეულ სიახლოვეს (დანვრილებით იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 39-49).

## გამაგრებული სამოსახლოები და ზორტიზიკაცია

გამაგრებული ხის სამოსახლოები. იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო საქმის, კერძოდ, ხის სასიმაგრო ნაგებობების შესწავლისათვის საინტერესოა ბერძნულ-ლათინური და არქეოლოგიური წყაროების მონაცემები. ეს მცირე მონაცემები საყურადღებო ფაქტებს შეიცავს. ისინი ძირითადად დაცულია შევათოს მილეთელის, პოპოკრატეს, პეროდოტეს, ქსენოფონტის, სტრაბონის, აპოლონიოს როდოსელის, ჯოდორე სიცილიელის, პომპონიუს პლას, ვიტრუვიუსის, პლინიუსის თხზულებებში. მათ შორის შედარებით კრეკლი მონაცემებია ქსენოფონტთან და ვიტრუვიუსთან. ზემოხსენებულ ავტორთა თხზულებებში საუბარია ამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის გამაგრებულ სამოსახლოებზე. კერძოდ, კოლხურ-მოსუნიური, ძელურ-ბათქაშიანი, კოშკურა ტიპის გამაგრებულ ნაგებობებზე. აქვე, საყურადღებო ცნობებია გამაგრებული სამოსახლოების აგებისას რელიეფის გამოყენების და ამ სამოსახლოთა ურთიერთმიმართების შესახებ. ქსენოფონტის მინიშნებით სასიმაგრო ნაგებობები შედგებოდა თხრილისაგან, ძირითადი გზისაგან, რომელიც აკრებოდა დასახლებას შიდა ციხე-კოშკთან და სხვა შედარებით მომცრო კოშკებთან. ყველაფერი ეს შემოსახლოებული იყო ძელებიანი მესერიით. ამ უღლებით ნაგებ კედელში დატანებული იყო ძირითადი ჭიშკარი. ხელისუფალთაურის კოშკი შემალღებულ ადგილას იყო განლაგებული და განსხვავდე-

ბოდა რიგითი მცხოვრების კოშკისაგან. ყველა სასიმაგრო-თავდაცვითი კოშკი საცხოვრებელსაც წარმოადგენდა.

ქსენოფონტის მიხედვით ძვ. წ. V ს-ში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რამდენიმე ქალაქი და ძირითადად სოფლური ტიპის გამაგრებული ნაგებობები იყო განლაგებული. ქსენოფონტის გადმოცემით, ზოგიერთი გამაგრებული პუნქტის ალება რეგულარულმა ბერძნულმა ჯარმაც კი ვერ შეძლო. კერძოდ, მაგ.: „როცა ბერძნებმა ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის ალება, რადგან მას გარშემო განიერი თხრილი და მიწაყრილი ერტყა, ხოლო ამ მიწაყრილზე აღმართული იყო ძელებიანი მესერი, რომელშიც ჩატანებული იყო მრავალი ხის კოშკი, გადაწყვიტეს გასცლოდნენ სიმაგრეს...“ ...”სიმაგრე სავსე იყო მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი ალება შეუძლებელია, რადგან იგი მიუვალაია...” (ანაბასისი, V, 2; 6, 7).

არქეოლოგიური კვლევის შედეგად დასტურდება ძვ. წ. V-IV სს-ის კოლხეთში გამაგრებული სამოსახლოების გარკვეული, ჩამოყალიბებული სისტემის არსებობა. საკმაოდ მჭიდროდ ჩანს დასახლებული როგორც დაბლობი, ასევე მთისწინეთი და მთის ხეობები. ძვ. წ. VI-IV სს-ის, ისევე როგორც წინამორბედი დროის კოლხური დასახლებები განცალკევებულ-სოფლური ტიპისაა. ისინი განლაგებულია ბუნებრივ ბორცვებზე ან ხელოვნურად გაკეთებულ მიწაყრილებზე, რომლებიც გარკვეულ სისტემას ქმნიდნენ და გარშემორტყმული იყვნენ თავდაცვითი თხრილებით. მთავარ სამშენებლო



სურ. 20. ხის გამაგრებული სამოსახლო  
(გ. ლეჟავას მიხედვით)

მასალას ხის ძელები წარმოადგენდა, რაც კოლხეთში ტყეების სიმრავლით იყო განპირობებული (სურ. 20).

დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიურად დადასტურებული უძველესი ხის ნაგებობები ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება. შენობის აგების ძირითადი წესი კი ჯარგვალური იყო. ამგვარი ძელოური ნაგებობები დღესაც გვხვდება დასავლეთ საქართველოში.

ქსენოფონტისაგან განსხვავებით ვიტრუვიუსი, როგორც არქიტექტორი, თავის თხზულებაში „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ უფრო ზედმიწევნით აღწერს კოლხეთის კოშკურა ძელებიანი ნაგებობების კონსტრუქციას: „კოლხეთში ხე-ტყის სიუხვის გამო მინაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთელ ხის ძელებს ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ფარდი მანძილის დატოვებით აწყობენ; მათ კი შემდგომ გარდიგარდმო სხვა ძელებს ადებენ; ამგვარად იზღუდება ნაგებობის შიდა სივრცე. შემდგომ, ოთხივე მხრივ კუთხეებით შეკრული ძელების წყობით თანდათან ამოჰყავთ ძელებიანი კედლები; ასე აგებენ კოშკებს; ძელებს შორის შუალედებს კი, რომლებიც ძელებს

შორის სიმრუდის გამო რჩება, ავსებენ ნაფოტებით და თიხით. ამგვარადვე ამოჰყავთ გადახურვა, რომლის ძელებიც თანდათანობით მოკლდება და პირამიდულ სახეს იღებს. ასეთი გადახურვა დამახასიათებელია ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის” (ვიტრუვიუსი II, I, 4, 50).

ძველი საქართველოს სამხედრო საქმის და ხის არქიტექტურის შესწავლისათვის საინტერესოა ადგიშვილების გორის ზედა ტერასაზე არქეოლოგიურად შესწავლილი, შედარებით კარგად შემონახული, ძელოურ-ბათქაშისანი საგებობის ნაშთები (ტაბ. VI, 3), რომელსაც აქ მაგალითად მოვიყვანთ. აქ ნაგებობის ასაგებ ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია ქვა და ძელები. გვხვდება თირის, თეთრი კირქვის და რიყის ქვები, ხოლო ძელებად ნახმარია თელის ხე. ნაგებობის ნანგრევებში ბევრია ბათქაშის ნატეხი. მათ ზოგიერთ ფრაგმენტს ეტყობა ხის ძელების ანაბეჭდი. ქვის და ხის ძელების გარდა დიდი რაოდენობით არის ნახმარი თიხამინა, რაც გამოიყენებოდა შემაკავშირებელ-ამოსავსებ მასალად. ნაგებობას ძლიერი ხანძარი აქვს გადატანილი; ქვები სიმხურვალისაგან დამსკდარი, ხოლო ძელები თითქმის დანახშირებულია. ეს ძვ. წ. IV ს-ის ნაგებობა, ვანის ძველი ნაქალაქარიდან დასავლეთით, რვა კილომეტრზე სოფ. მთისძირში, ადგიშვილების გორაზე მდებარეობს. აქ სამოსახლო ადგიშვილების გორის ტერასებზე იყო გამართული და ქმნიდა ერთიან სასიმაგრო-თავდაცვით სისტემას, რომელიც ვანისაკენ მიმავალ გზას კრავდა. ამდაგვარი გორების ტერასებზე აგებული ძელოურ-ბათქაშისანი სამოსახლოები ძირითადად ძვ. წ. III ს.

წინა პერიოდის კოლხეთისათვის არის დამახასიათებელი.


ნაგებობა ოთხკუთხა და შედგება ორი სათავისაგან. სამხრეთ სათავის ფართობია — 26, 88 კვ. მ, ხოლო ჩრდილოეთის — 13, 44 კვ. მ. ამ სათავის დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია ძელებით მოგებული იატაკი, რომელზედაც ზედა სართულის გადახურვის ძელების ფრაგმენტები შეიმჩნევა. ნაგებობა ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. კედლების ფუნდამენტის სიგანე — 2,60 მ-ია. ნაგებობის კედლების ფუნდამენტი გამართულია კლდის ბუდეებში ჩასმული ქვიშაქვის ქვებით, ხოლო მათ მოსდევს კირქვის ქვების წყობა. კედლის ცოკოლი ნაგებია ფლეთილი ქვების წყობით. მათ დასაკავშირებლად გამოყენებულია თიხამინა. ცოკოლის შიდა მხარე წარმოდგენილია ძელებით (ღიამეტრი 18 სმ-მდე). თეთრი კირქვის წყობაზე აღმოჩნდა ბათქაშით შეღესილი ძელების ფრაგმენტები, რაც, ალბათ, კედლის ნაშთებია. კედლის ფუნდამენტის შიდა ფართობი ამოვსებულია ქვებით და თიხამინით. აქ გვხვდება რიყის ქვები და კირქვა. ფუნდამენტში ჩატანებულია კიდევ ერთი ძელი, რომელიც ნაგებობის ინტერიერის მხარის ძელების პარალელურია; ვარდიგარდმო, სხვადასხვა დონეზე, ჩატანებულია 7 სმ დიამეტრის ძელები. ამგვარად იქმნებოდა არმატურის ნაირი, ხის ძელებით შემოსაზღვრული კვადრატების კარკასი, რაც ნაგებობის ცოკოლს მეტ სიმტკიცეს აძლევდა (იხ. ტაბ. II, 1, 2, 3). საყურადღებოა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების შიდა კუთხე, რომელიც სხვებისაგან განსხვავებით უკეთაა შემორჩენილი. აქ და-

დასტურდა ძელებით კუთხეების აგების ორი ხერხი: ერთი — ძელები უბრალოდ ერთმანეთზეა დადებული ამოჭრის გარეშე (დასტურდება მხოლოდ ცოკოლის ძელებიან კარკასში), ხოლო მეორე — ჩაჭრილი ძელებით შესრულებული კუთხე.

ნაგებობისათვის მეტი მდგრადობის მისაცემად მოხერხებულად არის გამოყენებული ბუნებრივი რელიეფი. ნაგებობის საძირკველში კლდის სტრუქტურა ირიბია და ზედაპირთან თითქმის სწორ კუთხეს ქმნის. ამით ნაგებობას მეტი სიმტკიცე ექმნება და მისი ჩამოშლის საშიშროება თავიდანაა აცილებული. კლდის ირიბი სტრუქტურავე ქმნის ოღროჩოღრო რელიეფს, რაც კარგად არის გამოყენებული ხელოვნურ ბუდეებთან ერთად, საძირკვლის ქვების ჩასაწყობად (Гамკრელიძე, 1977, გვ. 501-504).

ადგიშვილების გორის ძეღურბათქაშიანი ნაგებობა არქეოლოგიურად, ატიკური შავლაკიანი ქურჭლით, ქიოსური, მენდეს ამფორით და ადგილობრივი კერამიკით ძვ. წ. IV ს. თარიღდება. ამ მონაცემებს მხარს უჭერს რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდით მიღებული თარიღიც, რომლითაც დანგრევის დრო ძვ. წ. 330±40 წ. არის განსაზღვრული (იხ. გამყრელიძე, 1982, გვ. 63-69).

ამგვარად, ზემოთ აღწერილი ნაგებობის ნაშთი წარმოადგენს ცოკოლზე დადგმულ ძეღურ, თიხით შეღესილ ძვ. წ. IV ს. შენობას. შესაძლოა, რომ აქ საქმე გვაქვს ანტიკური ეპოქის ავტორების (ჰიპოკრატესთან, ქსენოფონტესთან, აპოლონიოს როდოსელთან, პომპონიუს მელასთან, დიონისიოს



სურ. 21. კოლხური გამაგრებული სამოსახლო „მთისძირი“

ჰალიკარნასელთან და სხვ.) თხზულებებში ნახსენებ კოლხეთის ხის ნაგებობების ნაირსახეობასთან.

ნაგებობაში კოლხური და უცხოური კერამიკის გარდა სალესი ქვები, ისრისპირები და ბრინჯაოს ზარაკი აღმოჩნდა. შესაძლოა, რომ ეს ზარაკი ჩამოკიდებული იყო შტანდარტზე, რომელიც ძველი „მთისძირის“ რომელიმე ნარჩინებული მეომრის ინსიგნიას წარმოადგენდა. ოსტეოლოგიური მასალიდან ნაგებობაში დადასტურდა გარეული ტახის ეშვები და ძროხის ბეჭის ძვალი.

ძვ. წ. IV ს. მინურულის, ერთი მხრივ, აზოს და, მეორე მხრივ, ფარნავა-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამონეული საომარი მოქმედებების შედეგებით შეიძლება აიხსნას სოფ. მთისძირის ადგიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლოს დანგრევა. შესაძლოა, ამავე დროს დაანგრეს ვარდიგორის (ვარციხესთან) (ჯაფარიძე, 1977, გვ. 43-50), ვანის

ე. წ. თეთრი შენობა და მათი თანადროული ნაგებობები. როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების რთული პროცესი სწორედ ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მიმდინარეობს. ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც იბერიის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება (იხ. „ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“; იხ. გამყრელიძე, 1993, გვ. 55-56).

კოლხეთში ხისძელებიანი ნაგებობები მრავლად არის არქეოლოგიურად დადასტურებული: სოფ. ანაკლია (დიხა-გუძუბა I, II), სოფ. რეკი (ნაოხვამო), სოფ. საქორქიო (სიმაგრე), ქობულეთი (ჩოლოქთან), სოფ. ნოსირი, ვანის ნაქალაქარი, სოფ. ვარციხე (ვარდიგორა), ქუთაისი (დათეშიძე-გაბაშვილის გორა); ხოლო მათი ნაშთები ხის ძელებისა და ბათქაშის სახით, დასავლეთ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე გვხვდება (Гамკელიძე, 1992, გვ. 13-29, 69). ეს არქეოლოგიური ძეგლები ქრონოლოგიურად გან-

სხვაგვარადა ერთიმეორისაგან, მაგრამ მათში გარკვეული არქიტექტურული შემკვიდრეობა იგრძნობა. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ჯარგვალის ტიპის ხის ძელებიანი სახლები დღესაც გვხვდება კოლხეთში. მათი კუთხეები ისევე, როგორც წინათ, ძელების ბოლოებში წაჭრით არის ნაკეთები.

ძელურ-ბათქაშიანი სამოსახლოები დამახასიათებელია კოლხეთისათვის, სადაც ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული ადგილობრით ნამოსახლარია დადასტურებული. მრავალრიცხოვანი სამოსახლო ბორცვებით („გორა“, „ზურგა“ და „დიხაგუძება“) არის მოფენილი კოლხეთის დაბლობის როგორც ზღვისპირეთი, ასევე შიდა მხარეც. კოლხეთის დაბლობის ამ სამოსახლო ბორცვებისათვის დამახასიათებელია გარშემო თხრილი. ასეთ მრავალფენიან ძეგლებზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსახლეობა თითქმის უწყვეტადაა წარმოდგენილი (სურ. 21).

უკანასკნელ წლებში ინტენსიურად წარმოებს მრავალფენიანი სამოსახლო ბორცვების შესწავლა. ჩატარებული არქეოლოგიურმა გათხრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თხრილებით გარშემოვლებულ ხელოვნურ ბორცვებზე სამოსახლოს განვითარებას კოლხეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. დასახლების ამნაირი ტიპი კოლხეთში შემთხვევით არ განვითარებულა. იგი აქ არსებული ბიოგეოგრაფიული იყო განპირობებული — დაბალი რელიეფი, ნიადაგის ხშირი დაწევა, კონტის წყლები, ჭაობიანობა, ნალექიანობა. ასეთ სიტუაციაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების შესწარმუნებლად აუცილებელი ხდებოდა

ხელოვნური შემადლებების გაკეთება. თხრილის შექმნა ბორცვის გარშემო განპირობებული უნდა ყოფილიყო იმიტომაც, რომ ხელოვნური ბორცვისათვის მიწა დიდი რაოდენობით იყო საჭირო; სრულიად ბუნებრივია, რომ მას ბორცვის გარშემო, ახლო ადგილიდან ამოიღებდნენ. გარდა ამისა, თხრილს ჰქონდა თავდაცვითი მნიშვნელობა. ის მოსახლეობას იცავდა მტრისაგან, მტაცებელი ცხოველისა და წყლის სტიქიისაგან.

როგორც ჩანს, კოლხეთის საზოგადოება მოხერხებულად იყენებდა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს (ბუნებრივი ბორცვ-გორების ტერასებს) და თვითონაც აქტიურად ზემოქმედებდა მასზე (ხელოვნური, თხრილშემოვლებული ბორცვები). ქრონოლოგიურად ორივე ეს ტიპი თანაარსებობდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ამგვარი სამოსახლობის გამართვის წესი კოლხეთში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იკიდებს ფეხს (ჯიბლაძე, 1977). საყურადღებოა, რომ დასახლების მოწყობის მეორე წესი, ხელოვნური ბორცვების მოზინვით, სპეციფიკურ კოლხურ მოვლენად არის მიჩნეული.

ანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, კოლხურმა სამოსახლოებმა ცვლილებები განიცადა. ზოგიერთი სამოსახლო, რომელსაც უფრო კარგი, მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური ადგილმდებარეობა ეკავა, დაწინაურდა და გარკვეული რეგიონის ქალაქური ტიპის ცენტრად ჩამოყალიბდა. ამ ცენტრს ჰქონდა მასზე დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო (ხორასნაირი) ტერიტორია. ამ შემთხვევაში

საფიქრებელია, რომ „ვანი“ საქალაქო ცენტრი იყო, ხოლო „მთისძირი“ მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო ტერიტორიაში შედიოდა. საქალაქო ცენტრს, თავის ხორით, გარშემო ჰქონდა, გარკვეული თავდაცვითი სისტემა, რომელიც მის უშიშროებას ემსახურებოდა. ამდაგვარი გამაგრებული სოფელი, საფიქრებელია, იყო ძველი „მთისძირიც.“ ასეთი გამაგრებული სოფლები, ალბათ, განლაგებული იყო ქალაქისკენ მიმავალი კომუნიკაციების ჩასაკეტად. „მთისძირი“ კი ერთი მხრივ, კონტროლს უწევდა მდ. რიონის ხეობაზე (მარცხენა ნაპირზე) გამავალ გზას, ხოლო მეორე მხრივ, მდ. ყუმურის ხეობიდან მომავალ გზას კეტავდა.

ძვ. წ. I ს. არქიტექტორის, ვიტრუვიუსის (II, I, 4) (იხ. ყიფიანი, 1995; ჩიქოვანი, 1966) მიერ აღწერილი, კოლხური ძელებიანი ნაგებობისაგან ადგიშვილების გორის ნაგებობა ძირითადად განსხვავდება ცოკოლით. არ გამოვრიცხავ, რომ აქ ცოკოლზე და კედლის ჰორიზონტალურ ძელებზე დაყრდნობილი სახურავი, ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი პირამიდულ-გვირგვინოვანი კონსტრუქციული სქემით აიგო; ან თივა-სელით გადაიხურა. ნაგებობის ხის კედლების კუთხეები ჩაჭრილი მრგვალი ძელებით იკვრებოდა, ხოლო შემდეგ ძელები თიხით ილესებოდა (ბათქაშით). გათხრებისას ბათქაშების ნატეხებზე მრგვალი ძელების ანაბეჭდები აღმოჩნდა.

სოფ. მთისძირის, ადგიშვილების გორის, არქეოლოგიურად შესწავლილი ნაგებობა განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს სოფ. ვარციხის (ვარდიგორის), ქუთაისის (დათეშიძე-გაბაშვილის გორის) და ვანის საქალაქარის ცენ-

ტრალური ტერასის ე.წ. თეთრ შენობასთან. ისინი, ადგიშვილის გორის შენობასავით, ცოკოლზე მდგარი, ხის ძელებიანი ნაგებობებია. ამ ტიპის ნაგებობები კონსტრუქციულად ხის არქიტექტურის რამდენადმე ახალ, უფრო განვითარებულ ეტაპზე მიუთითებს. კოლხეთში თლილი ქვა, ალიზის აგური და კრამიტი ფართოდ მხოლოდ შუა იბერიულ-კოლხურ ხანაში (იხ. გამყრელიძე, 1985ა, გვ. 123) იკიდებს ფეხს. როგორც ჩანს, კოლხეთში, ძვ. წ. III ს-მდე, ხე ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილა. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდე-მესერებს, გამაგრებულ სამოსახლოებს და სხვ. კოლხეთში ხის მასალა უხვად იყო. ცნობილი გეოგრაფი სტრაბონი გადმოგვცემს — „... აქ იზრდება მრავალი ტყე“ (XI, II, 17). ამასვე აღნიშნავს ვიტრუვიუსი — „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო...“ (II, I, 4) აშენებენ ხის ნაგებობებს.

ადგიშვილების გორის ძეღურბათქაშიანი, გამაგრებული სამოსახლოს, კოშკებიან კომპლექსთან კონტექსტში, ფრიად საყურადღებოა ანტიკური ეპოქის მწერლების ცნობების განხილვა. სადაც ქართველური მოსახლეობით, კოლხებით და მოსუინიკებით დასახლებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიებია აღწერილი. ძვ. წ. IV ს. ავტორი ქსენოფონტი გადმოგვცემს: „აღმართული იყო ზღუდე-მესერი მრავალი ხის კოშკით...“ (ანაბასისი V, 2, 5). იქვე „ბასილევსმა არ ისურვა დაეტოვებინა მოსუინი (გამაგრებული სამოსახლო - გ. გ.), რომელიც გორაზე იყო აშენებული“ (ანაბასისი, V, 4, 26). იქვე „გადაიწვა მთელი დაბა, კოშკები გამაგრებული მესერიო

და სხვა, გარდა შიდა ციხისა" (ანაბასისი, V, 2, 27); აპოლონიოს როდოსელი: „ცხოვრობენ მოსუინიკები, რომელნიც საცხოვრებელს მართავენ ხის კოშკებში, რომლებიც კარგად არის ერთმანეთში შეკრული სასიმაგრო მესერიით. ამ ნაგებობებს ეძახიან მოსუინებს" (სტრონავტიკა, II, 378-380); დიონისიოს პალიკარნასელი: „... ცხოვრობენ კოშკებიან ხისძელებიან მაღალი ზღუდე-მესერიით გარემოცულ ფართობებზე, რომელსაც უწოდებენ მოსუინებს" (რომის სიძველეთმცოდნეობა, I, 26, 2); პომპონიუს მელა: „მოსუინები ცხოვრობენ ხის კოშკებში" (ქვეყნის აღწერილობა, I, 106).

ამგვარად, დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის და ძველი წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დაუდასტურებოდა: ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. III ს. წინა პერიოდში ფორცვლებული იყო ბორცვზე და უორაზე გამართული, ძელურ-ბათქაშისანი, ძელებიანი მესერითვე შემოზღუდული, კოშკებჩართული კომპლექსები; ხისაგან ნაგები გამაგრებული სამოსახლო, რომელსაც მოსუინი უწოდებოდა (დანვრილებით იხ. ყაუხჩიშვილი, 1977, გვ. 134; ყიფიანი, 1995).

სოციალურად, ადგიშვილების უორისნაირი გამაგრებული ბორცვ-გორები, ალბათ, ნათესაობრივ თემებს წარმოადგენდა, რომლის თავშიც ადგილობრივი ხელისუფალი, ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით, მასილევსი იდგა. შესაძლოა, ასეთ ადგილობრივ ხელისუფალს ეკუთვნოდა ადგიშვილების გორასთან აღმოჩენილი ნაგებობების თანადროული მდიდრუ-

ლი სამარხი (იხ. გამყრელიძე, 1982, გვ. 69-81).


ვფიქრობ, ადგიშვილების გორის ზედა ტერასაზე, არქეოლოგიურად შესწავლილი ნაგებობა, სწორედ ამგვარი, სათემო, გამაგრებული სამოსახლოს, სოფლის — მოსუინის ერთ-ერთი კომპი იყო.

\* \* \*

**ციხე-ქალაქების ფორტიფიკაცია.** სასიმაგრო ზოლი, ანუ თავდაცვითი სისტემა, ესაა კურტიანების, კოშკების, კარიბჭეების, საიდუმლო გასასვლელების (პოსტერნების), თავდაცვითი საფუშაგოების ერთობლიობა. საერთოდ ქვეყნისა და კონკრეტულად ქალაქების განვითარებასთან ერთად თავდაცვითი სისტემაც ვითარდება, რომელიც არქიტექტურის, სამშენებლო საქმის, რელიეფის და მექანიკის კომპლექსურ-ჰარმონიული გააზრების შედეგია. ქალაქის მნიშვნელობა ქვეყნისათვის, უპირველესად მისი საფორტიფიკაციო სისტემით აღიქმებოდა. ქალაქი იწყებოდა კარიბჭით, სასიმაგრო სისტემის ამ ყველაზე არსებითი ნაწილით.

წერილობითი წყაროები ანტიკური პერიოდის ქართლის (იბერიის) დედაქალაქად ქ. მცხეთას მიიჩნევს. ის მდ. მტკვრისა და არაგვის შესაყართან მდებარეობს (სურ. 22). ქ. მცხეთის ძირითადი სასიმაგრო უბნებია — არმაზციხე (მთა-ქართლი), ზადენი, წინამური, ღართისკარი, ზედაზენი, არაგვისა და მტკვრის ხერთვისი (სურ. 22; 23). მცხეთა და მისი გარემო, გენერალური გეგმა: 1. არმაზციხე, 2. წინამური, 3. ზადენი, (ჯვრის მონასტერთან), 4. მდ.





სურ. 22. მცხეთა და მისი გარემოს გენერალური გეგმა

არაგვი, 5. მდ. მტკვარი, 6. მცხეთის ძველი ხიდი მდ. მტკვარზე, 7. მცხეთის საქალაქო ტერიტორია. მცხეთის გენ. გეგმა — აქსიონომეტრიული რეკონსტრუქციის ცდა: 1. მცხეთის ძველი ხიდი მდ. მტკვარზე, 2. მთა-ქართლის ქედის გამყოლი სასიმაგრო სისტემა, 3. არმაზციხე, 4. „არაგვის კარი“, 5. ქალაქ მცხეთის დღევანდელი საქალაქო ტერიტორია, 6. ჩრდილოეთის სასიმაგრო ზოლი, 7. ჩრდილოეთის სასიმაგრო ზოლის დომინანტი, 8. ზადენი (ჯვრის მონასტერთან), 9. წინამური, 10. წინამურის მრგვალი კოშკი, 11. ღართისკარის ხევის გამყოლი სასიმაგრო ზოლი (არაგვის მარჯვენა ნაპირიდან), 12. ზედაზენის ქედის გამყოლი სასიმაგრო ზოლი არაგვის მარცხენა ნაპირიდან, 13. მდ. არაგვი, 14. მდ. მტკვარი.

**არმაზციხე და წინამური.** .... მდ. მტკვრის ვიწროებზე და არაგოს საზე (მდ. არაგვი). ვიდრე ერთმანეთს შეერთვის ეს მდინარეები, იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე, რომლებიც დაცილებული არიან ერთმანეთს დაახლოებით 16 სტადიონით; მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო მეორეზე — სევსამორა. სწორედ ამ შემოსასვლელებით ისარგებლა პომპეუსმა...” (იხ. სტრაბონი, XI, III, 5).


ამ წერილობითი წყაროდან ნათელია, რომ სტრაბონის მიხედვით არმაზციხიდან (ჰარმოზიკე) წინამურამდე (სევსამორა) 16 სტადიონია. თექვსმეტი რომაული სტადიონი — 185,4 მ-ია და უდრის 3 კმ-ს. პირდაპირი ხაზით არმაზციხიდან წინამურის ძი-

რამდე, სიმაგრედან - სიმაგრემდე 3 კმ-  
აა - 2,966,4 მ.

საყურადღებოა, რომ არმაზციხის-  
სა და წინამურის გარდა მტკერისა და  
არაგვის ხერთვისის თვალსაწიერში  
იმხანად არავითარი სხვა გამაგრებული  
ბუნქტი არ აღინიშნება. ეს, ალბათ, იმი-  
ტომ, რომ ისინი სტრაბონის გეოგრაფი-  
აში აღგქმულია ვიზუალურად საფორ-  
ტიფიკაციო სისტემის მეშვეობით. ეს  
სიტუაცია ძვ. წ. I ს. განეკუთვნება.  
არმაზციხის უმაღლესი წერტილი ზღ-  
ვს დონიდან 955 მ-ია, წინამურისა კი  
— 894 მ.

**არმაზციხე.** არმაზციხის ანუ ბაგ-  
ანეთის საფორტიფიკაციო ნაგებობებს  
ამჟერად, როგორც დამოუკიდებელ  
საქალაქო სივრცის კუთვნილად გან-  
უიხილავთ. I ს-დან, თავისი მდებარეო-  
ბის გამო არმაზციხე უთუოდ იქნეს ქა-  
ლაქ მცხეთის აკროპოლისის, ანუ ზედა  
ციხის, მთავარი ციხის ფუნქციას.

როგორც ქართული საისტორიო  
წყაროები გვაუწყებენ და ამას არქე-  
ოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს  
(იხ. აფაქიძე, 1963, გვ. 21) ამ ტერიტორი-  
აზე რთული საფორტიფიკაციო ქსელი  
იქმნება (ტაბ. VII). საისტორიო წყაროებ-  
ში არმაზციხისადმი განსაკუთრებული  
ყურადღება ჩანს. კერძოდ, მეფე ფარ-  
ნავაზიდან მოკიდებული ყველა მეფე,  
გარდა მეფე ფარნაჯომისა, არმაზის  
აღმშენებლობითაა დაკავებული. „მო-  
ქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით ფარ-  
ნავაზმა „მოქმნა ზღუდე წყლით კერ-  
ძო“. საურმაგმა „ინყო არმაზ შენებად“. მირვანმა „ალაშენა არმაზ“, არსოკმა —  
„ქალაქსა ზღუდენი მოაქმნა“ და არიკმა  
— „შიდა ციხე აღაშენა არმაზს“ (ძველი  
ქართული აგიოგრაფიული..., 1963, გვ.  
82). არმაზციხეზე შესანიშნავადაა წარ-  
მოდგენილი ქალაქთმშენებლობის დინ-  
ამიკა: დასაწყისიდანვე თავდაცვითი  
სისტემის წარმოქმნაში ბუნებრივი პი-



სურ. 23. მცხეთა და მისი გარემოს გეგმა — რეკონსტრუქცია

რობები ერთვება — ანუ მოხდა მდ. მტკვრის კონტურის თავდაცვით წინაღობად გააზრება და დამთავრდა იმით, რომ გასრულდა ქალაქის „შიდა ციხე“.


არმაზციხედ ნოდებულის ტერიტორია წარმოადგენდა მთა-ქართლის ქედის დასასრულს. „და შემდგომად დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხვირსა ზედა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული..., 1963, გვ. 82). „ცხვირი“ გეოგრაფიული ტერმინია (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, 1966, გვ. 348) და ქედის დასასრულს აღნიშნავს.

მდინარეები მტკვარი და არაგვი ხერთვისთან რთულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს ქმნის: დასავლეთიდან მომდინარე მტკვარი ელიფსურად შემოწმებს მთა-ქართლის (არმაზციხის) კიდეებს და გზას აგრძელებს ჯერ სამხრეთისაკენ, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. იქ, სადაც მტკვარი ელიფსურ მოყვანილობას შემოწმებს, მას ჩრდილოეთიდან მომდინარე არაგვი უერთდება განტოტების ფართო ქსელით. მათ შეუღლებაში ჩრდილო-დასავლეთიდან შემოჭრილია სამკუთხა ნახევარკუნძული — მცხეთისსაქალაქო ტერიტორია, ხოლო დასავლეთიდან მთა-ქართლი და არმაზციხე (სურ.22; 23). არმაზციხის ფერდი დაახლოებით 30 ჰა-ს მოიცავს. ის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ხევებით ისაზღვრება. ფერდობი ბუნებრივად ორ ნაწილადაა გაყოფილი: კლდოვან შემადგენლობად და დავაკებულ ფართობად, ანუ ტერიტორიის იმ ნაწილად, სადაც საკუთრივ ქალაქი იყო გაშენებული. „მოქცევაი“-ში ამ ადგილის ძველი ტოპოგრაფიული სურათი გამოსწვივის: „...წარმოვედ (წმინდა ნინო) წინა კერძო დასასრულსა მის კლდისასა სადა ძუელ ქალაქყოფილ

იყო“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული..., 1963, გვ. 122). „ძუელ ქალაქყოფილ იყო“, რა თქმა უნდა, ის საქალაქო ტერიტორიაა, რომელიც მცხეთაზე ადრე დაარსდა. სწორედ ამ ოდესღაც დამოუკიდებელი ქალაქის სასიმაგრო სისტემების მშენებლობაა ასახული „მოქცევაი“-ში ქართველ მეფეთა მიერ. სადღეისოდ, არქეოლოგიურად შედარებით უკეთაა შესწავლილი არმაზციხის სამხრეთი ზღუდეები (სურ. 23).

არმაზციხის სასიმაგრო ზოლებს სამხრეთიდან ორი, ერთმანეთის თითქმის პარალელური, ხევი საზღვრავს. „მოქცევაი“-ში ჩანს სასიმაგრო კედლების მშენებლობის ორი ძირითადი საფეხური, გარდა ფარნავაზის ქმედებებისა. კერძოდ, არსოკის მიერ ქალაქისთვის შემოვლებული ზღუდე და არიკის მიერ შიდა ციხის აგება. ორივე ხევის კონტურს კურტიწები და კოშკები აკონტროლებს. არქეოლოგიურად დადასტურებულია როგორც გარე, ძირითადი ზოლი, ასევე შიდა, გარე ზოლის პარალელური კედლები (ტაბ. X,1).

ორივე კედელი ზედმინეწით თანსდევს ხსენებულ შესაბამის ხევის კონტურს. ეს ზუსტად ის შემთხვევაა და თანაც კარგად გამოხატული, როცა სასიმაგრო კედლების გამართვაში შეიძლება დავინახოთ არქიტექტურის და სამშენებლო საქმის თეორეტიკოსთა რეკომენდაციების განხორციელება. ფილონ მექანიკოსის წინადადებით კურტიწები, კოშკების ურთიერთმაკავშირებელი კედლები, იგება მხოლოდ იქ, სადაც ბუნებრივი წინაღობა დასტურდება, რათა კედელმა გააძლიეროს მათი დაცვითი ეფექტი (იხ. Шуазли, 1935, გვ. 382).



სურ. 24. არმაზციხის სასიმაგრო სისტემათა რეკონსტრუქცია

არმაზციხის კედლების მიმართულუბანი და სიგრძე, გათხრილი მონაგვეთების გარდა, გათხრილია, არქეოლოგიური დაზვერვებითაც დგინდებოდა ისინი დაფიქსირებულია არაერთ ადგილას სასიმაგრო ზოლის ჩრდილოეთით, აქვეა აგრეთვე ხევის მსაზღვრავი კედელი. ამიტომ, არმაზციხის თავდაცვით სისტემაზე ზოგადი სურათის წარმოდგენა ძნელი არ არის. მეტი სიზრუნველსათვის არმაზციხის სამხრეთი მხარის გარე კედელი პირობითად A-თი ზოლო შიდა B-თი აღნიშნეთ (სურ. 24). არმაზციხე, სასიმაგრო სისტემათა რეკონსტრუქცია: I. აკროპოლისი; II. საქალაქო სივრცე. 1. მდ. მტკვარი, 2. ღვთაება არმაზის სავარაუდო მდებარეობის ადგილი, 3. მდინარის „პარალელური“ სასიმაგრო ზოლი (ნახსენებია საისტორიო წყაროში), 4. A სასიმაგრო ზოლი (ნახსენებია წყაროში და დადასტურებულია არქეოლოგიურად), 5. კარიბჭე, 6. B სასიმაგრო ზოლი დადასტურებულია არქეოლოგიურად

და აღნიშნულია საისტორიო წყაროში).

**კურტინები და კოშკები.** როგორც ზემოთ აღინიშნა არმაზციხეს სამხრეთიდან ორი, ერთმანეთის თითქმის პარალელური, ხევი საზღვრავს. ხევის კიდეებს კი სასიმაგრო სისტემები — კოშკებისა და კურტინების ერთობლიობა მიუყვება. კურტინა, სასიმაგრო კედელში ჩაშენებული, კოშკებს შორის თავდაცვითი ბაქნებიანი ნაგებობაა. ხევის მსაზღვრავ ქედებს შორის მანძილი (იგულისხმება ცენტრალური მონაკვეთის A სასიმაგრო ზოლის გარეპირიდან B ზოლის გარეპირამდე) 58 მ-ია, ხოლო A ზოლის კურტინის ფუძიდან ხევის სიღრმე 23 მ.

A და B ზოლი ტიპოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ მათ საერთო მახასიათებელიც აქვთ: არც ერთი მათგანი არ შეიცავს კაზემატებს, ანუ თავდაცვითი კედლის შიდა სივრცეში არსებულ სათავსოებს. A ზოლის კოშკები კურტინებიდან გარეთ არიან გაზიდულნი, ხოლო

B ზოლისა — საქალაქო ტერიტორიისაკენ (ტაბ. XXV,5). ორმაგ ზღუდეში კოშკთა ამდაგვარი განთავსება საკმაოდ იშვიათია. ერთ-ერთი, არმაზციხის მსგავსი ნაგებობა ქერსონესის ანტიკური ხანის სასიმაგრო სისტემიდანაა ცნობილი (იხ. Античные гос... 1984, გვ. 119. ტაბ. XXI,1).

გეგმარებისა და თავდაცვის სისტემის თვალსაზრისით არმაზციხეზე საინტერესო სურათი დასტურდება. A ზოლის კოშკი უპირისპირდება B ზოლის კურტიანის ცენტრალურ არეს, ანუ ორივე ზოლის თითოეული კოშკი აკონტროლებს მოპირდაპირე კურტიანას. A ზოლის კოშკებიცა და კურტიანებიც გაცილებით უფრო ფუნდამენტურადაა ნაგები. მათი ცოკოლები მონოლითურია და უზადოდ დამუშავებული კვადრებითაა ამოყვანილი (ტაბ. XXIII). ზემოდან ალიზის აგურის წყობაა. ამ ზოლის კურტიანებიდან გარეთ გაზიდული კოშკები, ალბათ, საარტილერიო ბაქნებია, ბალისტებისა და კატაპულტების განსათავსებელი ადგილები (იხ. Ober, 1987, გვ. 569); ხოლო ქალაქისაკენ გაზიდული B ზოლის შედარებით მცირე კოშკები საქალაქო ტერიტორიის საკონტროლო, უმეტესად სამეთვალყურეო, ნერტილებია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია B ზოლის კურტიანები (ტაბ. VIII, 1, 2). საფიქრებელია, რომ მთელი ეს ზოლი A ზოლის შექმნის შემდეგ აიგო. „მოქცევაი“-ს მიხედვით, VI მეფე არსოკმა არმაზი კედლებით შემოზღუდა. მისი მომდევნო მეფე არიკი აქ უკვე „შიდა ციხეს“ ქმნის. „შიდა ციხე“, ალბათ, არმაზციხის B სისტემასთან უნდა გაიგივდეს და არა აკროპოლისთან (შეად. ციციშვილი, 2000, გვ. 20). თა-

ვისთავად აკროპოლისი, ზედა ქალაქს ნიშნავს ან თუნდაც ზედა ციხეს, ე. ი. ისეთ სტრუქტურას, რომელიც ქვედა ქალაქს აკონტროლებს. ლეონტი მროველის ერთ-ერთი ცნობა, რომელიც ქართლში ორმეფობის პერიოდს ეხება (ამ დროს ქართლის მეფეები თავიანთ რეზიდენციებად მცხეთასა და არმაზციხეს ირჩევიდნენ), სულ სხვა სურათს გვანვდის: „...და შემდგომად მათსა მეფე იქმნეს შვილნი მათნი: არმაზს — ფარსმან და შიდა ქალაქსა — კაოს“ („ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ. 44). აქ შიდა ქალაქი მცხეთაა და ხომ ვერ წარმოვიდგენთ მას არმაზის აკროპოლისად. უბრალოდ, ის „შიდაა“ იმიტომ, რომ ამ პერიოდში ის უკვე ზემოდან და გარედან კონტროლდება არმაზციხით. როგორც აღინიშნა, B ზოლის კოშკები საქალაქო სივრცისკენაა გაზიდული. კურტიანათა ძირითადი მასის სიგანე 2,60 მ-ია. ეს, ერთი შეხედვით, სრულიად ვერ აკმაყოფილებს სამხედრო საქმის მინიმალურ მოთხოვნასაც კი; რაც იმაში მდგომარეობს, რომ საბრძოლო მოქმედებისას მის ზედაპირზე ორ შეიარაღებულ მეომარს ერთმანეთისთვის გვერდის აგლა დაუბრკოლებლად უნდა შეეძლოს (იხ. ვიტრუვიუსი, I, V, 3). ფილონი აკონკრეტებს კიდევაც კურტიანის გრძივი სასიარულო ბაქნის ოპტიმალურ სიგანეს — 10 წყრთა ანუ დაახლოებით 4,5 მ (იხ. Aam, 1940, გვ. 34). B ზოლის, ანუ შიდა ციხის კედლები არმაზციხეზე 1 — 1,20 მ-ია (სურ. 24). ისინი კედლის მასივიდან გამოზიდულ კონტრაფორსებს (კედლის შვერილი, რომელიც ზრდის კედლის მდგრადობას) შეიცავს კედლის ორივე მხრიდან. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ კურტიანები ამ ზოლში ბაქნის სა-


ნიარულო არის გაფართოების მიზნით შექმნილ დანამატებს ითვალისწინებდა როგორც გარე, ასევე შიდა მხრიდან (სურ. 25). კურტინებში კონტრფორსე-ბი უმეტესად შიდა მხრიდან იმართებო-და (იხ. შედარებითი სქემები, ტაბ. XXV, 5). ის ვანის ძველი ქალაქის სასიმაგრო ზოლის ერთ-ერთ მონაკვეთშიცაა და-დასტურებული (ყიფიანი, 1996, გვ. 43).

ძირითადად მსგავსი სასიმაგრო კედლები, რომლებიც გაფართოების მიზნით შექმნილ დანამატებს ანუ „იკ-რია“-ს შეიცავს, ძვ. წ. III ს-დან ვრცელ-დება განსაკუთრებით მცირე აზიასა და აპენინის ნახევარკუნძულზე (იხ. Krischen, 1941, გვ. 16, ტაბ. 26; Hol-land, 1950, გვ. 337; Schleuning, 1889, გვ. 169). აღსანიშნავია, რომ კონტინენ-ტურ საბერძნეთში კონტრფორსებიანი კედლები მაინცდამაინც პოპულარული არ იყო და იქ მხოლოდ ორიოდ შემთხ-ვევად ცნობილი ამგვარი კურტინებისა (ათენში და თესალიაში, იხ. Holland, 1950, გვ. 341; Winter, 1971, გვ. 140).

„იკრია“-ს დადასტურება არმა-ზციხის შიდა სასიმაგრო ზოლში იმას

გვაუწყებს, რომ მისი პერიმეტრი უნ-ყვეტი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომმაქ რთული რელიეფის გამო კურტინების სასიარულო ბაქნები ერთ დონეზე ვერაფრით გაიმართებოდა, ის ტეხილი იქნებოდა და დონეებს შო-რის მაკავშირებლად ხის კიბეს გამოიყ-ენებდნენ (იხ. B ზოლის რეკონსტრუქ-ცია, სურ. 25).

ელინისტური ხანიდან სასიმაგრო სისტემები ქალაქის გარშემოსავლელის ფუნქციასაც ასრულებდა, რის შედეგა-დაც დასაცავი ტერიტორია მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა (Holland, 1950, გვ. 338). კონტრფორსებს ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელო-ბა ენიჭებოდა: აპირობებდა შედარებით მცირე და, ძირითადად, ალიზის კედლის მდგრადობას, მისი საშუალებით იზ-რდებოდა სასიარულო ბაქნის სიგანე, და კონტრფორსებსშორისი კედლის ვერტიკალური სიბრტყეები დაცული იყო ბუნებრივი ნალექის, წყლის ზემო-ქმედებისაგან.



სურ. 25. არმაზციხის სასიმაგრო ზოლის რეკონსტრუქცია

არმაზციხის თავისებურებას განაპირობებს ის, რომ კონტრაფორსებით კურტინის ორივე მხარეა აღჭურვილი. ამასთანავე საუკეთესო მონობაა იმისა, რომ ის ძირითადი, გარემზღუდავი სასიმაგრო ზოლის (A) შემდგომ აიგო. წინააღმდეგ შემთხვევაში „იკრია“ პირდაპირ მტრისკენ იქნებოდა მიშვერილი, რაც თავდაცვისათვის დაუშვებელია.

ორმხრივკონტრაფორსებიანი კედლები ცნობილია ანტიკური სამყაროსათვის. ამ თვალსაზრისით საინტერესო ნიმუშია სასიმაგრო კედელი მანცინანადან (იხ. Boethius, 1978, გვ. 123, სურ. 120).

არმაზციხეზე, კედლების მიმართულებაში, განსაკუთრებით B ზოლში, რამდენიმე ადგილას მათი გამრუდება შეიმჩნევა. გააზრებული მრუდხაზოვნება ხშირად ახასიათებს რთულ რელიეფსა და ხეცების კონტურებს დამორჩილებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებს.

აღსანიშნავია უთუოდ ის, რომ არმაზციხეზე მხოლოდ სწორკუთხა კოშკები გვხვდება. მართალია, ფილონი აღნიშნავს რომ, თუ კოშკი აგურით შენდება იგი უმჯობესია ოთხკუთხედი იყოსო (Aam, 1940, გვ. 48), მაგრამ როგორც ჩანს, ეს რეკომენდაცია ანტიკურ სამყაროში ნაკლებად გაიზიარეს, რადგან აგურით (იგულისხმება ალიზის აგური) იგებოდა ნებისმიერი გეგმის მქონე კოშკი, როგორც ოთხკუთხა, ასევე მრგვალი და პოლიგონალური (იხ. Winter, 1971, გვ. 153).

**კარიბჭე.** კარიბჭე ჩანს არმაზციხის სამხრეთ-დასავლეთ არეში, სწორედ იმ ადგილას, სადაც კარსნისხევიდან შემომავალი კლდოვანი გზა დასტურ-

დება. A (გარე) სასიმაგრო ზოლის კურტინა შეზენეილ კოშკებს შორის მრუდს ქმნის. მის პარალელურად ასევე კურტინა მოემართება და კოშკით სრულდება. ეს ორი ურთიერთმოპირდაპირე კოშკი არმაზციხის ერთ-ერთ კარიბჭეს ქმნის (ტაბ. XXV, 7, 1). ორი, ურთიერთმოპირდაპირე კოშკით ქალაქში შესასვლელის კონტროლირება, სადაც ერთ-ერთი კოშკის ნიბო უმეტესად მოპირდაპირე კოშკის ნახნაგისკენაა მიმართული, იმ დროისათვის მოწინავე ბერძნული საფორტიფიკაციო არქიტექტურის ერთ-ერთი ნორმაა (იხ. Winter, 1971, სურ. 213; Boethius, 1978, გვ. 183) (იხ. ტაბ. XXV, 7).

**აკროპოლისი.** მცხეთის აკროპოლისის მდებარეობის საკითხი, ბუნებრივია, საყურადღებოა. როცა შენდება მცხეთა, არმაზციხე ხდება მისი ზედა ქალაქი (აკროპოლისი). „მოქცევაი“-ს ავტორი არმაზციხეზე გადმოგვცემს — „სადა ძუელ ქალაქი ყოფილიყო, და მას ადგილას ყოფილ არს ციხე“ (ძველი ქართული აგიოგრაფ. ..., 1963, გვ. 122). ე. ი. არმაზი მხოლოდ სიმაგრეა ნინოს დროისათვის (IV ს.) და უფრო ადრეც მაგრამ, როცა ის დამოუკიდებელი ქალაქია, ფარნავაზიდან მაინც, მას უნდა ჰქონოდა საკუთარი აკროპოლისიც და აქვს კიდევაც. ეს არის კლდოვანი შემაღლება, თითქმის შვეული ფლატეთი გამოყოფილი საქალაქო სივრციდან, რომლის თვალთახედვაში მთელი დარნარჩენი არმაზციხე თავსედება. ის ბუნებრივი საფორტიფიკაციო დომინანტია (იხ. Gearkan, 1924, გვ. 10). ის ფაქტი, რომ აკროპოლისი ქვედა ქალაქს კედლით არ ემიჯნება, სავსებით გამართლებულია, რადგან მათ ერთმანეთისაგან შვეული კლდე ყოფთ. არც

მცირეაზიულ ქალაქ პრიენასა აქვს გამ-  
მიჯვინელი კედელი ქვემო ქალაქთან,  
სწორედ იმიტომ, რომ იქაც, არმაზის  
ანალოგიურად, დასახლებას კლდის მა-  
სივი საზღვრავს (იხ. Winter, 1971, სურ.  
76; Martin, 1974, გვ. 115; Козина, 1961,  
გვ. 25).

აკროპოლისის როლიც და მნიშვნე-  
ლობაც ელინისტურ ხანაში საგრძნო-  
ბლადაა შეცვლილი კლასიკური ხა-  
ნის ზედაქალაქისაგან განსხვავებით,  
როცა ის წარმოადგენდა რელიგი-  
ური და პოლიტიკური ერთიანობის  
გამოხატულებას. ამ იდეის ყველაზე  
ნათელი დადასტურება ქ. ათენის აკ-  
როპოლისია. დროთა განმავლობაში  
ამ მხრივ მთელი რიგი ცვლილებები  
ხდება (იხ. Мэтро, 1983, გვ. 5-12). კერ-  
ძოდ, ელინისტურ ხანაში აკროპოლისი  
ძირითადად უკვე მხოლოდ საფორტი-  
ფიკაციო დომინანტად გვევლინება.  
აღბათ ბევრის მთქმელია ის ფაქტი,  
რომ ქ. პრიენას აკროპოლისი არც ერთ  
საკულტო და საზოგადოებრივ ნაგებო-  
ბას არ შეიცავს.

არმაზციხის ზემოთ მოხსენიებუ-  
ლი კედლების გარდა არქეოლოგიური  
დაზვერვებით დგინდება ის, რომ სა-  
სიმაგრო სისტემებით შემოფარგლულ  
ტერიტორიას ებმის მთა-ქართლის ქე-  
დის გაყოლებაზე მდებარე სასიმაგრო  
ზოლი. ასეთი შემთხვევები დადას-  
ტურებულია იმ დროის ქალაქთმშენე-  
ლობაში, როცა ქალაქის თავდაცვითი  
სისტემა ჩართულია ქვეყნის თავდაც-  
ვით სისტემაში. ერთ-ერთი მაგალითი  
— ქალაქი მილეტია, სადაც ქალაქის  
შეზღვევას კედელს ჩრდილოეთიდან ებ-  
მის სასაზღვრო კედელი კოშკების რი-  
გით (იხ. Болдырев, Боровский, 1948, გვ.  
312).

**სამშენებლო ტექნიკა.** არმაზციხის-  
ის კურტინებისა და კოშკების ფუძე-  
ს ქმნის თვით დედაქანი, კლდოვან  
დაფერდებულ ზედაპირზე საფეხ-  
ურისებურად ნაკვეთი ბუდეების სახე-  
ით. ბუდეებში განთავსებულია კოშკთა  
და კურტინათა ქვის ცოკოლის ქვედა  
რიგი. ამას გარდა, ყოველი კვადრის ის  
წახნაგი, რომელიც მომდევნო კვადრს  
ემიჯნება კბილანისებურადაა ნაკვეთი  
და უთავსდება მომდევნო კვადრის შე-  
საბამისად ნაკვეთ წახნაგს. კვადრების  
გადაბმის ეს ხერხი, განსაკუთრებით A  
სასიმაგრო ზოლში, არქეოლოგიურად  
დასტურდება.

საფორტიფიკაციო ნაგებობების  
კლდოვანი მასივიდან ამოყვანა ანტი-  
კური ხანის თეორეტიკოსთა უპირვე-  
ლესი მოთხოვნაა (იხ. Аам, 1940, გვ.  
47; ვიტრუვიუსი, I, V, 1). საერთოდ  
აღსანიშნავია, რომ არმაზციხის სასი-  
მაგრო სისტემის მშენებლები კარგად  
იცნობდნენ იმდროინდელი მონინავე  
ბერძნული ფორტიფიკაციის ძირითად  
კანონებს.

კოშკებისა და კურტინების ცოკო-  
ლის წყობის სტილი უმეტესად ისოდ-  
ომურია, ე. ი. ისეთი, როცა კვადრე-  
ბით შედგენილი ყოველი რიგი თანა-  
ბარი სიმაღლისაა, მაგრამ შიგადაშიგ  
ფსევდოისოდომური წყობის ნიშნებიც  
ჩანს. კერძოდ, ურთიერთმონაცვლეო-  
ბა მაღალი და შედარებით დაბალი  
კვადრებით გასრულებული რიგებისა  
(ისოდომური წყობის შესახებ იხ. Scran-  
ton, 1941, გვ. 99; Wrede, 1933, გვ. 43-57;  
Orlandos, 1968, გვ. 139).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ  
A ზოლის კურტინებისა და კოშკების  
ცოკოლები მონოლითურია. იგულისხ-  
მება ის, რომ მათში გამოყენებული ყვე-



ლა ქვის ექვსივე ნახნავია დამუშავებული. მათ რიგებში ყოველი კვადრი სამაგრიტ უკავშირდება მომიჯნავე კვადრს. ცოკოლის ზედამხარის ყოველი რიგი ნიველირებულია ალიზის აგურთა დასალაგებლად. სამაგრის ბუდეები აქ მხოლოდ „მერცხლისკუდისებურია“ (ტაბ. XXIII). თვით სამაგრი არ შემორჩა, რადგან ის ხის უნდა ყოფილიყო (იხ. ციციშვილი, 1955, გვ. 25).

„მერცხლისკუდისებური“ სამაგრი უძველესია და ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში (იხ. Clarke, Englbach, 1990, გვ. 112) ითვლებოდა სამაგრის საუკეთესო სახეობად (ჰორიზონტალურ სამაგრთა შესახებ იხ. Nylander, 1966; Orlandos, 1968, გვ. 102).

არმაზციხის B სასიმაგრო ზოლის ცოკოლის წყობა სრულიად სხვა ხასიათისაა. ესაა საპირე წყობის ტიპური ნიმუში, სადაც კედლის პირებს შორის სივრცე ხურდითაა ამოვსებული (ძირითადად ნაგლეჯი დაუმუშავებული ქვით, თიხით, კერამიკის ნატეხებით). ამ ზოლის ცოკოლი გაცილებით ნაკლებ სიმძლავრეზე შემოინახა, ვიდრე A-სი. მის უკიდურეს ქვედა წყობაში ხის გარდვიგარდმო ძელების არსებობა დადასტურდა (ტაბ. VIII, 1). ერთგვარი „ბიატონის“ წყობაში განივად გამართული ქვის კოჭის ბოლოები კედლის ორივე მხარეს ჩანს.

სასიმაგრო კედლებში ასეთი განივი ძელების გამოყენებას ფილონიც გვთავაზობს კედლების მეტი სიმტკიცისათვის (იხ. Шуази, 1935, გვ. 382). მათი გამოყენება განსაკუთრებით რთულ რელიეფზე იყო მიზანშეწონილი (იხ. Chert, 1986, გვ. 87).

არმაზციხის ალიზის აგურთა წყობა ტრადიციული იყო. ალიზის აგურის

ზომებია 52 x 52 x 12 სმ; გამოიყენებოდა ნახევარი აგურიც — 52 x 26 x 12 სმ (იხ. ციციშვილი, 1955, გვ. 25).

**არმაზციხის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები:** A სასიმაგრო ზოლის კოშკები — I კოშკი — სიგრძე 10 მ; სიგანე 8 მ; II კოშკი — სიგრძე 15 მ. სიგანე 12 მ. მათ შორის მანძილი ანუ კურტინის სიგრძე 45 მ. კურტინის სიგანე 5 მ; B სასიმაგრო ზოლის კოშკები — II კოშკი — სიგრძე 10 მ; სიგანე 7,5 მ; III კოშკი — სიგრძე 8 მ. სიგანე 11 მ; IV კოშკი — სიგრძე 11 მ. სიგანე 10 მ; I და II კოშკებს შორის მანძილი (კურტინის სიგრძე) — 27 მ; II და III კოშკებს შორის მანძილი (კურტინის სიგრძე) — 47 მ; III და IV კოშკებს შორის მანძილი (კურტინის სიგრძე) — 55 მ. კურტინის სიგანე 4-5 მ.

არმაზციხის თარიღის დაკონკრეტება მომავალი კომპლექსური კვლევა-ძიების საქმეა. ზოგადად ორივე სასიმაგრო ზოლის თარიღად გვიანელინისტური ხანა უნდა მივიჩნიოთ (არმაზციხის რეკონსტრუქციების შესახებ იხ. Закарая, 1990, სურ. 1; ლეჟავა, 1978, 11; ნიკოლაიშვილი, 1990, სურ. 2).

**წინამური.** სტრაბონისეული „სევსამორა“ კარგა ხანია, რაც ლოკალიზებულია წინამურის სერთან (იხ. აფაქიძე, 1963, გვ. 182), რომელიც არმაზციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ის დაშორებით იყო გაშენებული. ის მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, კალაპოტისადმი თითქმის სწორი კუთხით მიმართულ ქედზე და მის სამხრეთისაკენ დაშვებულ ფერდობებზე მდებარეობდა. ხსენებული ქედი სიგრძეში 2,5 კმ-ია და სამხრეთით, მთელს სიგრძეზე დაშვებულ არათანაბარბორცვებიან კალთებს ქმნის, რომელიც თან-

დათანობით ველში გადაიზრდება (იხ. ყიფიანი, 2003, გვ. 110).

წინამურის ქედის მთელ სიგრძეზე არქეოლოგიურად დადასტურდა სასიმაგრო ზოლი. შესაძლოა, აქ საფორტიფიკაციო დომინანტებით ათვისებული იყო ცალკეული ბორცვებიც. ეს ხდება ამ ზოლში, რომელიც დასახლებას მინდვრებისაგან საზღვრავდა. სევსამორას ძირითადი დასახლება ქედის ცენტრალურ არეში, სამხრეთის კალთაზე, უნდა წარმოვიდგინოთ. ჯერჯერობით, ერთადერთი არქეოლოგიურად შესწავლილი ნაგებობა წინამურის ქედის კედელზე აღმართული მრგვალი შენობაა (იხ. აფაქიძე, 1963, გვ. 190-195). მიუხედავად ფრაგმენტულობისა, სრული დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ ის საფორტიფიკაციო კოშკია. ამაზე მიგვანიშნებს მისი ადგილმდებარეობა — ქედის დასასრული, საიდანაც კოშკის მეშვეობით უნდა გაიზარდოს თვალთახედვის არე. გარდა ამისა, სწორედ მას უერთდება ქედის გაყოლებაზე დადასტურებული ალიზისა და კრამიტყრილის გრძივად განფენილი ვროვები.

კოშკის დიამეტრი დაახლოებით 14 მ-ია. ეს ფრიად შთამბეჭდავი მასშტაბია საფორტიფიკაციო კოშკისათვის. ასეთივეა მაგალითად, ასევე კედელზე განფენილი ქ. არტაშატის სასიმაგრო ზოლის კოშკების დიამეტრი (იხ. Личагрян, Тоникян, 1990, გვ. 28). წინამურის კოშკი თავისი მასშტაბის გამო, საუარაუდოდ, საარტილერიო კოშკია, რომელშიც სრულად უნდა ყოფილიყო განხორციელებული ამ ფუნქციის მქონე ნაგებობებისათვის საჭირო ყველა მოთხოვნა (იხ. Ober, 1987, გვ. 569).

სამწუხაროდ, კოშკის ფრაგმენტულობის გამო მხოლოდ სამშენებლო საქმეზე შეგვიძლია მსჯელობა (იხ. აფაქიძე, 1963, გვ. 190-195). კოშკის ქვიშაქვის ქვათლილები და ფილები, რომლითაც კოშკის ქვედა ნაწილია აგებული, კლდეში ნაკვეთ ბუდეებში ზის. ქვების ექვსივე ნახნავი გათლილია. კვადრებით შექმნილია ფუძე, შესაძლოა პოლიგონალური. მას ეფუძნება ფილების ის რიგი, რომელიც გეგმაში წრიულ მოყვანილობას ქმნიდა. ამ რიგების ყოველი ფილის გარე მხარის მრუდი გულმოდგინედ და დიდი სიზუსტითაა დამორჩილებული წრიულ, 14 მ დიამეტრის მქონე თარგს.

ნაგებობის ფუძე, პლატფორმა, ბერძნული სამშენებლო საქმის ის ნიმუშია, რომელიც ჩვეულებრივ მრგვალი ნაგებობების ფუძედ გაიზარებოდა. წრე დანაწევრებულია ქვათლილებით შედგენილი ურთიერთპარალელურ ქორდებად. ეს სამშენებლო ხერხი არაერთგზისაა დადასტურებული როგორც ცალკეულ მრგვალ ნაგებობებში (იხ. Nowicka, 1975, გვ. 103), ასევე საფორტიფიკაციო სისტემის შემადგენელ მრგვალ კოშკებში (იხ. Krischen, 1941).

ამ ნაგებობების კვადრები ურთიერთგადაბმული იყო როგორც ლითონის ჰორიზონტალური სამაგრებით, ასევე პირონებითაც (ვერტიკალური, ჩვეულებრივ ლითონის ღერძი). როგორც ირკვევა, სამაგრები და პირონები არ შემორჩენილა (იხ. აფაქიძე, 1963, გვ. 192), მაგრამ მათი ფორმა მათთვის განკუთვნილი ბუდეებით კარგად იკითხება. ისინი ორივე მხარეს ისრისპირისებური ფორმით სრულდება. შედარებით მოგრძო სამაგრები ცენტრში რომბისებურადაა შესქელებული (ტაბ. XXIV, 1).

აქ გვხვდება სამაგრები მომრგვალებულთავიანი ბოლოებითაც. სამაგრის ეს სახეობა კარგადაა ცნობილი ანტიკურ სამყაროში (იხ. Ginouvs, 1992, ტაბ. 28,d) და იგი შორაპნის ციხე-ქალაქის სასიმაგრო კედლებშიცაა დადასტურებული (იხ.ჯაფარიძე, 1990, გვ. 1-12).

ჰორიზონტალური სამაგრები, ალბათ, ლითონისა უნდა ყოფილიყო. ხისგან მათი დამზადება რთული ფორმის გამო სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა, განსხვავებით „მერცხლისკუდისებური“ სამაგრებისაგან, რომელთა ხეში განხორციელება თვით ხის კონსტრუქციული ბუნებითაა ნაკარნახევი. ვერტიკალური ღერძებით სავსებით შესაძლებელია ხისა ყოფილიყო.

მრგვალი კოშკი რომ არაერთი იყო ნინამურის სასიმაგრო ზოლში, ამაზე ქედზე მიმობნეულ კრამიტის ნატეხებში არქეოლოგიური დაზვერვებისას მიკვლეული ტრაპეციული ფორმის კერამიდეებიც მტყვევებს, რომლითაც ჩვეულებრივ მრგვალი ნაგებობები იხურებოდა (იხ. Orlandos, 1966, გვ. 88).

**ღართისკარი.** ღართისკარის სასიმაგრო სისტემა მცხეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ის მდ. არაგვის ხეობის დასასრულს, საგურამოს და სხალთის ქედების კალთებზე, ორ მშრალ ხევს შორის მოქცეულ ფართობზე — 30 ჰა-ზეა გაშენებული. აქ, ბრინჯიღელეს გასწვრივ, გაითხარა კოშკები და კოშკებს შორის არსებული კედლის კონსტრუქციები. სასიმაგრო სისტემის სამხრეთ ნაწილთან გაითხარა საკულტო, სამეურნეო და საზოგადოებრივი კომპლექსები (იხ. Апакидзе и др., 1986, გვ. 34).

ღართისკარის სასიმაგრო სისტემა მდ. არაგვის ორივე ნაპირზეა გაშენებუ-

ლი. მისი სასიმაგრო სისტემის კედლები დამრეც ფერდობებზეა განლაგებული. კედლების ასაგებად ფერდზე საფეხურებად განლაგებული ტერასებია მოსწორებული, რომლებზეც გამართულია რიყის ქვის საფუძველი, დაახლოებით 2,8 x 1,4 x 3,0 მ. ისინი ხის მორებითაა გამაგრებული. მათზე ალიზის აგურით (ზომები 52 x 52 x 12 სმ) ნაგები კედლებია ამოყვანილი. კედლის სიგანე 3,0 მ-ია. სასიმაგრო კედელში 50-50 მ-ის დაცილებით, ოთხკუთხა კოშკებია გამართული. გარე ზომა 7,0 x 7,0 მ-ია. ზოგიერთი კოშკის გათხრისას დადასტურებულია სართულმორისი გადახურვის დეტალები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოშკები სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. საფორტიფიკაციო სისტემის აგების თარიღის დადგენა დღევანდელი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ძნელია. თუმცა, აქვე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ სასიმაგრო სისტემა ფუნქციონირებდა ძვ. წ. III - I სს-ში (დანვ. იხ. ნიკოლაიშვილი, 1990, გვ. 2).

**უფლისციხე.** უფლისციხედ ნოდებული კლდოვანი ძეგლი მდებარეობს შიდა ქართლში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, კვერნაქის ქედის ერთ-ერთი სამხრეთი განტოტების კიდეზე. უფლისციხის კლდოვანი მასივი, რომელშიც ქვაბულებია გამოკვეთილი, სამკუთხა მოყვანილობისაა. ზღვის დონიდან მისი უმაღლესი წერტილი 577 მ-ზეა.

უფლისციხე კლდოვანი არქიტექტურის იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც ახასიათებს კლდოვანი მასივების ყოველმხრივ, კომპაქტურად განთავსებული ქვაბულებით ათვისება

(ტაბ. XVI). ის განსხვავდება ქარაფე-  
ბზე, სპონტანურად, ჯგუფურად ან  
ტერასულად გამოკვეთილ გამოქვაბ-  
ულთა რიგებისგან (იხ. ყიფიანი, 2002,  
გვ. 10). უფლისციხე, მისი არსებობის  
ადრეულ საფეხურზე, საისტორიო წყ-  
აროების მიხედვით, არსად ჩანს და-  
მოუკიდებელ საქალაქო ტერიტორიად.  
იგი ქალაქ კასპის კუთვნილია და მას-  
თან ერთად ქმნის რაღაც რეგიონს. ეს  
კარგად ჩანს "მოქცევაი"-ს მიხედვით-  
აც - „უფლისციხე კასპისა (ძველი ქარ-  
თული აგიოგრაფიული ..., 1963. გვ. 81).

მკვლევარები ხშირად ვარაუდო-  
ბენ, რომ უფლისციხე ის სიმაგრეა,  
რომელიც იცავდა კასპს. მაგრამ თვით  
კასპს, რომელიც საკმაოდ მოშორებუ-  
ლი უნდა ყოფილიყო ამ უკანასკნელის-  
აგან, ნამდვილად ექნებოდა თავისი სა-  
კუთარი, ქალაქის მზლუდავი კედლები  
და აკროპოლისიც. თანაც ცხადია, რომ  
უფლისციხე ვერანაირ სიმაგრედ ვერ  
გამოდგებოდა (ან თუნდაც ფორპოს-  
ტად) რომელიმე სხვა ქალაქისათვის,  
თუნდაც ის მის უშუალო სიახლოვეს  
წარმოვიდგინოთ. რადგან იგი არ მდე-  
ბარეობს არც გზათა და არც მდინა-  
რეთა შესაყართან (ვერ აკონტროლებს  
გზებსა და ხეობებს), არ წარმოად-  
გენს დომინანტს გარემოში და, თანაც,  
ვერნაქის ქედიდან მისი ფართობი ხე-  
ლისგულივით მოჩანს, ანუ თვითონაა  
კონტროლირებადი. უფლისციხე, რო-  
მელიც საუკუნეთა მანძილზე კლდო-  
ვანი არქიტექტურის კომპლექსად ჩამ-  
ოყალიბდა, ადრეული პერიოდიდანვე  
შემოსაზღვრა საფორტიფიკაციო სის-  
ტემით. ცხადია, რომ ამ სიმაგრის ფუნ-  
ქცია გამოქვაბულთა ერთობლიობის  
დაცვაა.

საუკუნეში მეფე არსუკი უფლის-  
ციხეში შესულა. მან „კასპი შეიპყრა და

უფლისციხე განაგო: (ძველი ქართული  
აგიოგრაფიული ..., 1963. გვ. 82). ამ  
ცნობაში საინტერესო ისაა, რომ კვლავ  
ერთად გვხვდება კასპი და უფლის-  
ციხე, როგორც ერთიანი სისტემა და  
გარდა ამისა, უფლისციხე მხოლოდ  
„განაგო“ არსუკმა. თუ უფლისციხე  
ის სიმაგრეა, რომელიც კასპს იცავს,  
მაშინ სწორედ ის უნდა დაეპყრო უპ-  
ირველესად (იხ. ბერძენიშვილი, 1977,  
გვ. 336). ვფიქრობთ, რომ ამ დროს მისი  
თავდაპირველი ფუნქცია იცვლება, რაც  
შესაძლოა ახალ ადმინისტრირებას გუ-  
ლისხმობდეს. ქართლის ცხოვრებისეუ-  
ლი ცნობა „არსუკმა ჰმატა სიმაგრესა  
უფლისციხისასა“ (იხ. ქ. ც., 1955. გვ.  
33), ალბათ, ამის დამადასტურებელი  
უნდა იყოს. ისე კი მან, მართლაც, რომ  
„ჰმატა“ უფლისციხეს ახალი კედლები,  
არქეოლოგიურად დასტურდება.

უფლისციხემ თავისი ხანგრძლივი  
არსებობის მანძილზე არაერთხელ იცვ-  
ალა ფუნქცია. პირველად უფლისციხე  
იქმნება როგორც მიცვალებულთა ქა-  
ლაქი (დანვრ. იხ. ყიფიანი, 2002, გვ. 5.  
და შმდე.; ყიფიანი, 2001, გვ. 16-23; შდრ.  
განსხვავებული აზრი - ხახუტაიშვილი,  
1998, გვ. 5; ყუბინაშვილი, 1961, გვ. 5;  
სანიკიძე, 1987, გვ. 5; ხიმშიაშვილი,  
2001, გვ. 24; Мелитаური, 1969, გვ. 16 და  
სხვ.).

საუკუნეშიდან, მეფე არსუკის  
დროს, უფლისციხეში, რომაული სამ-  
ყაროსათვის დამახასიათებელი ახალი  
ნიშნები შეიმჩნევა. უფლისციხეში ხდე-  
ბა ყველა, ან თითქმის ყველა, ქვაბუ-  
ლის თაღოვან სტრუქტურად გარდაქმ-  
ნა, იქმნება თერმები (აბანოები), ხდება  
საზეიმო კარიბჭის გამართვა. არსე-  
ბული ქვაბულის გადაკეთების ხარჯზე  
იქმნება სატრიუმფო თაღის მოდელი,

კამარები იფარება რომაულ კესონთა იმიტაციით და სხვ. აღსანიშნავია, რომ ეს სამუშაოები ბოლომდე ვერ მიუყვანიათ. შესაძლოა, უფლისციხე დროის რალაც მონაკვეთში რომაულმა სამხედრო შენაერთმა დაიკავა, ანდა ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადმოიღო რომაული ცხოვრების წესი. აღსანიშნავია, რომ დროის ეს მონაკვეთი მეტიმეტად ხანმოკლე იყო. შემდგომ კი, უფლისციხე ერთგვარი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრია (ძირითადად მზამზარეული, კლდეში გამოკვეთილი, ყაზარმებად ქცეული ქვაბულების გამო), ხან საცხოვრისი.

ამჟამად ჩვენი მიზანია უფლისციხის მხოლოდ ელინისტური ხანის თავდაცვითი სისტემის დახასიათება და განხილვა. ეს სისტემა უფლისციხეში კომბინირებულია ანუ შედგება კლდოვანი და არაკლდოვანი ნაგებობების ჯაჭვისაგან. სამწუხაროდ, უფლისციხის ფუნქციის ხშირი ცვლილებების გამო მისი ადრეული საფორტიფიკაციო ზოლი უკიდურესად ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

უფლისციხე, როგორც უკვე აღინიშნა, სამკუთხა, ქვაბულებით დაფარული კლდოვანი ბორცვია, რომელიც 3,2 ჰა-ს მოიცავს. ის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენაა მიმართული. I — მდინარე მტკვრის ერთ-ერთი ტოტი სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთიდან უშუალოდ საზღვრავდა უფლისციხეს. II — ჩრდილოეთიდან, თითქმის სწორხაზოვნად, უფლისციხე კლდის დანარჩენი მასივისაგან 8 მ-ის სიღრმისა და 6 მ-ის სიგანის „ღარით“ ისაზღვრება. III — დასავლეთის კიდე, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილს, ღრმა ქარაფი საზღვრავს, რომელიც 50 მ-ის სიღ-

რმისაა. უფლისციხის კლდოვანი მასივის გამოქარვა და რღვევა ძირითადად სწორედ ამ მხრიდან მიმდინარეობს ასე, რომ, მისი თავდაპირველი კონტური უცნობია. IV — აღმოსავლეთის საზღვარი უფლისციხის მთელს სიგრძეზე (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) 7-8 მ-ის სიღრმის ბუნებრივი „ღარი“, რომლის სიგანე 10-დან 20 მ-მდეა. ამ სამკუთხა ბორცვის ბუნებრივი საზღვრები ცხადია, ყველგან ვერ იქნებოდა იმდენად მკვეთრი და თავდაცვისათვის ეფექტური, რომ იგი სასიმაგრო ნაგებობებითა, თუ ხელოვნური ღარებით არ გაძლიერებულიყო (იხ. ყიფიანი, 2002, გვ. 16-24) (იხ. ტაბ. XVI).

**კარიბჭეები.** უფლისციხეში ოთხი კარიბჭე დასტურდება. ჩრდილო-დასავლეთის კარიბჭე გამართულია კლდოვანი მასივის დასასრულს. ჩრდილოეთიდან მას ოვალური კლდოვანი ბაქანი საზღვრავს, რომელიც ფუძეს წარმოადგენდა კომპისათვის. მასზე დადასტურებულია ბუდეები, კლდეში ნაკვეთი კომპის ფუძისათვის. თვით კარიბჭისაკენ მიმავალი გზა კლდეკარს წარმოადგენს. ალბათ, აქ უნდა ვივარაუდოთ კომპის მოპირდაპირე, სამხრეთის მხრიდანაც.

ჩრდილო-აღმოსავლეთის კარიბჭე, აგრეთვე, კლდოვანი მასივის დასასრულსაა გამართული. მისკენ 6 მ-ის სიგანის კლდოვანი გზა მიემართება. ამ კარიბჭის ჩრდილოეთით მეთვალყურე კომპის საძირკვლის ნყობაა შემორჩენილი (ტაბ. XIX,2); სამხრეთისა კი მხოლოდ კლდეში ნაკვეთი ბუდეებით იკითხება.

სამხრეთი კარიბჭე და მისკენ მიმავალი კლდეკარი სამხრეთ-დასავლეთი კიდიდან იღებს სათავეს. მისი სიგანე 1-1,5 მ-ია, რომლის ცენტრალური

არე ამოღარულია და წყლის სადინარია შექმნილი (ტაბ. XVII,2). ის ქვიშაქვის და კირქვის ფილებით ყოფილა გადახურული. კლდოვანი გზის შუა ნაწილში კლდეში ჩაკვეთილი ჭა გვხვდება რომლის დიამეტრი 4 მ-ია, ხოლო სიღრმე – 12 მ. (ტაბ. XVII,1). წყალსადინარი, რომელიც გზის შუაშია ამოღარული, ალბათ, საგანგებო არხით ჭისკენ მიემართებოდა. წყლის მსგავსი რეზერვუარები (სტრატეგიული მარაგისათვის) თუ ჭები, ძველი საქართველოს სხვა ქალაქებსაც ჰქონდა (მაგ., ვანს), რომელიც უფლისციხის ქის ანალოგიურად წყლით ამარაგებდა გარნიზონს. ასეთივე ჭები დასტურდება ლიკიის კლდოვან სამარხთა კომპლექსებში – ამიკანდაში, ლიშირაში, მირაში (იხ. Borchardt, 1975, გვ. 48).


ამ კლდოვანი გზის პირველი მონაკვეთი, ანუ ის ნაწილი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან მოემართება სამხრეთისაკენ (შემდეგ კი, ამ გზის მეორე მონაკვეთი მკვეთრად ჩრდილოეთისაკენ უხვევს), საფიქრებელია, რომ გვირაბში იყო გამოკვეთილი და ის გარედან, სამხრეთიდან და სამხრეთ“ დასავლეთიდან არ ჩანდა. აქ კლდოვან კედლებს ზოგიერთ მონაკვეთში გზის ორსავე მხარეს შერჩენილი აქვთ „ალღოვანება“, სასიარულო დონიდან 3 მ-ის სიმაღლეზე (იხ. Чубинашвили, 1957, გვ. 16). გზა შემდეგ კლდოვან კარიბჭეში შედის. აქ კლდე ორადაა დაკვეთილი გზის მიერ. ამ გზის ორივე მხარეს კი ხუთ-ხუთი სწორკუთხა ოთახია გამოკვეთილი იმგვარად, რომ ყოველი ოთახის კარი მოპირდაპირე სათავესო კედელს უპირისპირდება. ოთახებს ამჟამად აღარა აქვთ კლდოვანი ჭერი. ნაგებობათა ეს რიგები სადარა-

ვო სენაკებადაა მიჩნეული, რაც კაზემატების ფუნქციასაც გულისხმობს (იხ. სანიკიძე, 1986, გვ. 19).

ხსენებული კლდოვანი ნაგებობა (ტაბ. XVIII,1) ძველ აღმოსავლურ კაზემატებიან კარიბჭეთა მსგავსადაა შექმნილი. მაგ., კაზამეტებიანი კარიბჭეები ნაძორსა და გეზერში (იხ. Kleiss, 1990, გვ. 165, ტაბ. 3). ამგვარი სისტემა მცირე აზიიდანაც მრავლადაა ცნობილი (იხ. Borchardt, 1975, გვ. 76) (იხ. სქემები, ტაბ. XXV,2). უფლისციხის კაზემატებიანი კარიბჭე სწორკუთხოვან მიმართებაშია კურტინებთან. ამჟამად მხოლოდ მათი საფუძველია შემორჩენილი (იხ. ტაბ. XVIII,XIX) (ყიფიანი, 2001, გვ. 91).

**კურტინები.** უფლისციხის კურტინების კლდოვან მასივზე განთავსების სურათი ყველაზე უკეთ ნაქალაქარის აღმოსავლეთით იკითხება. კედლის სიგანე 4 მ. მაინცაა. ჩრდილოეთის კედელი ასევე 4 მ-ის სიგანისაა. ის ზუსტადაა დამორჩილებული მრუდხაზოვანი ქედის კონტურს. კაზემატებიანი კარიბჭის წინ საკმაოდ ნიველირებული კლდოვანი მოედანი საფორტიფიკაციო ლოგიკის მიხედვით უნდა შეიცავდეს დამატებით დამხმარე კედელს, ე. წ. პროტეიხიზმას.

ძვ. წ. IV-III სს-ის უფლისციხის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ერთობლიობა საკმაოდ კარგად გააზრებული და მძლავრი სისტემა ჩანს, რაც აისახა კარიბჭეთა, კოშკებისა და კლდეკარების გეგმარებაში. ამის მიხედვით, შეიძლება ისიც კი ვივარაუდოთ, რომ ამ კოშკებზე ბალისტებიც იყო განლაგებული. უფლისციხის ტერიტორიაზე არაერთი ქვის ჭურვია დადასტურებული. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ისინი მტრის მიერაა ნატყორცნი;



სურ. 26. ყუმბარა

მაგრამ ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ჭურვი, რომლის გამოთლა შუა გზაზეა მიტოვებული (სურ. 26). ცხადია, დაუსრულებელ ჭურვს არავინ ისროდა. ჭურვები მზადდებოდა სასიმაგრო ზოლის სიახლოვეს ქალაქის საზღვრებში გარნიზონის მიერ. საყურადღებოა, რომ მცირეაზიული კლდოვანი „მიცვალებულთა ქალაქებიც“ მძლავრი სასიმაგრო კედლებით იყო აღჭურვილი (დანვრლებით იხ. ყიფიანი, 2001. გვ. 187). საკულტო ქალაქს თავისი გარნიზონიც ჰყავდა და დაცვის სისტემაც ჰქონდა. ეს დოკუმენტურადაა დადასტურებული მაგ., ლიკიაში (იხ. Kjeldsen, Zahle, 1975, სურ. 8), რომელიც გარშემორტყმულია შთამბეჭდავი სასიმაგრო ზოლით. აქ ყველაფერი სახეზე გვაქვს — რთული კლდოვანი რელიეფი, კურტინები, სათვალთვალო და საარტილერიო კოშკები, ქონგურები, კარიბჭეები და საიდუმლო გასასვლელები, ცენტრში კი — სამარხეული კომპლექსები. ამ სასიმაგრო ზოლს, ისევე, როგორც უფლისციხისას, გარემოზე ბატონობის ფუნქცია არ ჰქონდა, ის მხოლოდ საკულტო ტერიტორიას იცავდა.

#### ვანის სასიმაგრო ნაგებობანი.


ვანის ძველი ქალაქი, თანამედროვე ქალაქ ვანიდან 0,5 კმ-ითაა დაშორებული და მის სამხრეთ-დასავლეთით, მდ.

რიონის მარცხენა შენაკადის, მდ. სულორის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ზღვის დონიდან 200 მ-ზეა.

ვანი, ძველი საქართველოს მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრია (დანვრლებით იხ. Lordkipanidze, 1992. გვ. 184-208; Lordkipanidze, 1986. გვ. 21-37; Lordkipanidze G., 1970). ქალაქი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაფერდებულ კლდოვან ბორცვზეა განფენილი. მისი მზლუდავი სასიმაგრო კედლები, რელიეფს მკაცრად არის დამორჩილებული. ქალაქის საზღვრებში პირობითად გამოყოფენ სამ ძირითად სამშენებლო არეს: ქვედა, ცენტრალურ და ზედა ტერასას. ზედა ტერასა ბორცვის დამამთავრებელი საფეხური და ამავე დროს ხევების გამყოფი სიმაღლეცაა. ძველი ქალაქის ფართობი 6 ჰა-ს მოიცავს, რაც საკმაოდ დიდი ფართობია (ტაბ. XI).

ქალაქის სასიმაგრო კედლები ხევებს მიჰყვება და მეტ-ნაკლები სიზუსტით იცავს მათ კონტურს. აქ საკვანძო ადგილებში, სადაც არსებობდა თვალთახედვის გაფართოების საჭიროება, კოშკებია გამართული. ძველი ქალაქის განფენილობა რთულ რელიეფსაა დამორჩილებული. მიუხედავად ამისა, სასიმაგრო სისტემა მთლიანად პასუხობდა იმ დროისათვის ელინისტურ ქალაქთა თავდაცვითი ზღუდეების აგების მოწინავე მოთხოვნებს, რაც საქალაქო სივრცის ირგვლივ გარშემოსავლელსაც გულისხმობდა, და რომელსაც ერთდროულად უნდა ეკონტროლებინა, როგორც გარე სანახები, ასევე შიდა, დასაცავი ტერიტორია (სურ. 27).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ვანში ქალაქის სამი კარია დადასტურებული. აქედან ორი კარიბჭეა, ხოლო ერთი — ქალაქის უკიდურეს და-



სურ. 27. ქალაქ "ვენის" საფორტიფიკაციო სისტემის რეკონსტრუქცია



საელეთ წერტილში, საიდუმლო კარი ანუ პოსტერნა. შესაძლოა, რომ კიდევ ერთი, საიდუმლო გასასვლელის შექმნა იყო განზრახული ჩრდილოეთის რვაკუთხა კოშკიდან კლდოვანი გვირაბის სახით, მაგრამ ეს სამუშაო ბოლომდე არ არის მიყვანილი.

**კარიბჭეები და პოსტერნა.** ჩრდილოეთის კარიბჭე — ნაგებობათა ეს კომპლექსი გამართულია კლდეკარში, რომელსაც ერთის მხრივ დასავლეთიდან დაშვებული კლდოვანი კედელი ქმნის, ხოლო მეორე მხრიდან, ანუ აღმოსავლეთიდან, ასევე კლდოვანი მასივი (ტაბ. XIII, 1, 3).

ძველი ვანის სასიმაგრო სისტემის ეს მონაკვეთი რთული ანსამბლია. საკუთრივ კარიბჭის გარდა, სადაც პილონებით ურთიერთგამიჯნული ორი კარია გამართული, ის მოიცავს ბჭის შიდა სივრცეს საკურთხეველთურთ, ნახევარწრიულ კოშკს, ე. წ. ყაზარმას, ანუ რამდენადმე გამოცალკეებულ კაზემატს, კაზემატებიან კურტინას, რვაკუთხა კოშკსა და ბჭის ჩრდილოეთ გაგრძელებას — კლდოვანი მასივის მსაზღვრავ კედელს. კარიბჭე იწყობოდა ქალაქის მფარველი ქალღვთაების ქანდაკებით (ტაბ. XIV). შემორჩა მისი კვარცხლბეკი და წარწერა (იხ. ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 148). ამ კარიბჭის ყველა ნაგებობა და მათი მთლიანობა რელიეფთან სრული შეთანხმებითაა შექმნილი (იხ. ლორდკიპანიძე, 1979, გვ. 199-201; ლორდკიპანიძე Г., 1978, გვ. 2; ლეჟავა, 1978, ტაბ. LXXXI).

განსაკუთრებულ ყურადღებას, უთუოდ, იმსახურებს პილონებით გამიჯნული კარი. ერთი მათგანი ვერტიკალურად დასაშვები კარი-ტიხარია — „პილე კატარაქტეს“-ი, რაც „სწრაფად

ქვემოთ დაშვებულ კარს“ ნიშნავს, მოგვიანებით ეს ტერმინი ლათინიზირებული „კატარაქტით“ იცვლება (იხ. Lawrence, გვ. 263). კატარაქტას არსებობა ძველი ვანის სასიმაგრო ზოლში, თავისთავად, მაღალი სამშენებლო დონის მაჩვენებელია. კატარაქტას გამართვა და ფუნქციონირება საკმაოდ რთულ მექანიკურ დანადგარებს საჭიროებს ბჭის ზედა სართულებში და სრულ ტექნიკურ გამართულობასაც. ის იმ ეპოქის საფორტიფიკაციო საქმის მიღწევად ითვლებოდა და მისი მოწყობა დიდ ხარჯებსაც მოითხოვდა. მცირე იყო იმ ქალაქთა რიცხვი, რომელთა სიმაგრეები კატარაქტით აღიჭურვებოდა. მაგალითად, არქეოლოგიურად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებიდან კატარაქტა მხოლოდ ქალაქ ქერსონესშია დადასტურებული (იხ. Гриневич, 1926, გვ. 44, სურ. 25), თუმცა კატარაქტის არსებობა ივარაუდება ზოგიერთ სხვა ქალაქსა და ფორტში (იხ. Толстиков, 1992, გვ. 63).

ჯერჯერობით, საბოლოოდ გარკვეული არ არის, როდის და სად გაიშართა პირველად კატარაქტა. ძვ. წ. IV ს-ში მას უკვე იყენებდნენ საომარ ოპერაციებში. ამის შესახებ ძვ. წ. I ს-ში ენეას ტაქტიკოსი მოგვითხრობს: „შესასვლელის თავზე მომზადებული უნდა იყოს კარი, მაგარი ჯიშის ხისაგან დამზადებული, რომელსაც რკინა ექნება გარშემოკრული, დაუშვით კარი, როცა მომხდური შემოიჭრება შიგ და მტრის ნაწილი განადგურდება“ (Toys, 1955, გვ. 25; Aeneas Tacticus, XXXIX). კატარაქტას იყენებენ ძვ. წ. 208 წელს სამხრეთიტალიაში, ქალაქსალაფასთან გამართულ ბრძოლებშიც, II პუნიკური ომის პერიოდში. ის განსაკუთრებით

ხშირად გამოიყენება გვიანელინისტურ სასიმაგრო სისტემებში (Winter, 1971, გვ. 265). მოგვიანებით მისი გამართვა კარიბჭეებში აუცილებლად მიაჩნია ვეგეციუსს (ვეგეციუსი IV, 4).


ვანის კატარაქტა გამართული ჩანს ბერძნული, იმ დროისათვის მონინავე, საფორტიფიკაციო საქმის ყველა მოთხოვნის საფუძველზე. აქ კატარაქტის ვერტიკალურად სამოძრაო ღარსა და იატაკს შორის 10 სმ-ის სიმაღლის შუალედი რჩება. ესაა ერთ-ერთი მოთხოვნა — ტიხარი არ უნდა ეხებოდეს ქვის იატაკს, რადგან არ მოერღვევს ბოლო. ის უნდა იყოს რკინის გარსაკრავით შემოსილი — გარსაკრავის ფრაგმენტები არქეოლოგიურად მიკვლეულ იქნა კარიბჭის გათხრებისას (იხ. ხოშტარია და სხვ., 1972. გვ. 157). წინგამოზიდული პილონების შემდგომ ფრთიანი კარი, მცირე კარი ანუ პილისი, იყო გამართული. იატაკის ფილაზე დასტურდება კარის დგარის მუდუ და მისი მოძრაობის კვალი — მუთხედი წრის ტოლი რადიალური ნაკანრები; მისი მიმდებარე სივრცე კი, კარიბჭის სამლოცველოა კედელზე მოდებული საკურთხევლით. სამწუხაროდ, კარიბჭის მხოლოდ დასავლეთი ნაწილია შემორჩენილი, მაგრამ იმდენად მეტყველი და უხვი კონსტრუქციული დეტალებით, რომ გეგმის რეკონსტრუქცია, საფიქრებელია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს (ტაბ. XIII, 1, 2).

კარიბჭეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან აკონტროლებს ნახევარწრიული კოშკი, რომელიც კურტინიდან საკმაოდ წინ არის გაზიდული. ის მხოლოდ დასაბრუნებელი კოშკია და არა ძირითადი. მას უძებლო სიმაგრის შემეტვენი გაეკონსტრუქციებინა მხოლოდ მარცხენა, ფა-

რით დაცული მხრიდან. ამიტომ მისი როლი კარიბჭის დაცვის პროცესში ნაკლებად ეფექტურია (იხ. ვიტრუვიუსი I, V, 2).

ლოგიკურად კარიბჭის ჩრდილო დასავლეთითაც კოშკი უნდა ყოფილიყო. ფართობი, სადაც შეიძლება, რომ ეს კოშკი ვივარაუდოთ, ჯერჯერობით არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აქ ჩანს კურტინის ფრაგმენტები ჩანს, რომელიც აუცილებლად უნდა კოშკით დასრულებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ტაქტიკურად კარიბჭის მონგრევა კლდის მასივიდან უმარტივესი საქმე იქნებოდა. კარიბჭის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილზე რომ მიდგმული იყო კედელი, ეს არქეოლოგიურადაც შეინიშნებოდა. ამ კედლის წყობა ორ ნაწილად იყოფა: აღმოსავლეთის მხარე, ე. ი. ის, რომელიც მტრის თვალთახედვის არეშია და გაშიშვლებული, კირქვის კვადრებითაა ამოყვანილი (გავიხსენოთ ფილონის რეკომენდაცია - „ყველაზე საშიშ ადგილებში მკვრივი ქვები უნდა გამოიყენონ“ (იხ. Аам, 1940, გვ. 45), ხოლო დასავლეთი ნაწილი, რომელსაც ედგმოდა კურტინა, ქვიშაქვით იყო ნაგები (ტაბ. XIV, 3). კურტინა სწორედ ედგმოდა და არ იყო მასში ჩაშენებული. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სისტემის ერთი ნაწილის რღვევას ურნალით (მაგ. კოშკისა) არ გამოეწვია მეორე ნაწილის დაზიანება (მაგ., კურტინისა) (იხ. Winter, 1971, გვ. 167).

ვანის ჩრდილოეთის კარიბჭის სისტემის რეკონსტრუქციას თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ მივიღებთ თავდაცვით სქემას, რომელიც ყველაზე მეტად ჩანს გავრცელებული ელინისტურ სამყაროში — ანუ კარიბჭე მოქცეულია



სურ. 28. ქ. „ვანის“ აღმოსავლეთი სასიმაგრო ზოლის რეკონსტრუქცია

ორ კომპლექსს შორის, რომელთაგან ერთს მთავარი დატვირთვა აქვს სქემაში და საგრძნობლად წინაა გაზიდული. ეს სქემა წარმოქმნიდა კარიბჭისაკენ მიმავალი გზის მრუდხაზოვნებას და ამდენად, კონტროლის მეტ საშუალებას იძლეოდა სიმაგრიდან; ამავე დროს აბრკოლებდა კედლის სარღვევი დანადგარების თავისუფალ გადაადგილებას კარიბჭისაკენ (იხ. სქემები ტაბ. XXV, 3) (კედლის სარღვევი მანქანების შესახებ იხ. Шперк, 1948, გვ. 76; ვიტრუვიუსი, X, XII; Болдырев, Боровский, გვ. 301; Греческие Полиоркетики, 1940. გვ. 385) და, რაც მთავარია, აიძულებდა მომხვედურს, როგორც ამას გვთავაზობს ფილონი და ვიტრუვიუსი, რომ კარიბჭემდე მისულიყო მარცხენა მხრიდან და ამრიგად, მარჯვენა, ფართო დაუცველი მხარე, მთლიანად კარიბჭის მარჯვენა მხრიდან დამცველი კომპლექსის მიუშვირა (იხ. Шперк, 1948, გვ. 138; ვიტრუვიუსი I, V, 2.).

ვანის აღმოსავლეთის კარიბჭის ამ არქიტექტურული კომპლექსის ეტაპობრივი აღწერილობანი გათხრების მიმდინარეობათა მიხედვით იხ. (ლორთქიფანიძე, ფუთურიძე და სხვ., 1974, გვ. 47, ტაბ. VII-X; Лордкипანიძე и др., 1987, გვ. 53-54).

ზემოთ აღწერილი კარიბჭისაგან განსხვავებით, ქალაქის აღმოსავლეთის შესასვლელი ტაძარ-პროპილეუმი (ტაბ. XV). აქ ნაკლებადაა ბუნებრივი დაბრკოლებანი (რელიეფი უფრო სწორია) და ამიტომ ნაგებობები ხელოვნური წინალობებითაა გაძლიერებული. ხსენებული ტაძარ-კარიბჭე კლდოვან მოედანზეა დასმული ისევე, როგორც ქალაქის თითქმის ყველა ნაგებობა (სურ. 28). მის ფუძეს დედაქანში ნაკვეთ ბუდეებში ჩასმული საძირკვლის ქვათლილები ქმნის. ის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენაა წარზიდული გრძივად, ხოლო უშუალოდ კარიბჭე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარესაა. კარიბჭის წინა ფართობი, როგორც აღინიშნა, არავითარ სერიოზულ ბუნებრივ წინალობას არ შეიცავდა. კარიბჭის ძირითადი სივრცე კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედიან ცენტრში ორი სვეტით (ადგილზე მხოლოდ ბაზისები შემოინახა). ეს სივრცე ამავე დროს ტაძარ-პროპილეუმის ძირითადი საკულტო-ცერემონიალური ერთეულიცაა. მასში შემავალი და მისგან გასასვლელი კარის ღიობები ამ დარბაზის დიაგონალურად მოპირდაპირე კუთხეებშია გამართული და, ბუნებრივად, არც ერთმანეთს უპირისპირდება და არც დარბაზის ცენტრს. მისი ასეთი გვემარება შესაძლოა საკულტო-ცერემონიალური სვლების სისტემით იყო


განპირობებული. კარიბჭეს დიპილონი  
 ანუ ორმაგი კარი უნდა ჰქონოდა. დარ-  
 ბაზს ჩრდილო-დასავლეთით მესამე  
 კარიც ჰქონდა, რომლითაც უკავშირდ-  
 ებოდნენ გრძივ მოედანს. ის ერთი  
 მხრივ კედლით იყო გამიჯნული ქალაქ-  
 ის შიდა ფართობისაგან, ხოლო მეორე  
 მხრივ კურტინით. ეს მცირე მოედანი,  
 ალბათ, შეწირულობათა დასასვენებელ  
 არეს წარმოადგენდა. ამ მხრიდან დარ-  
 ბაზს კურტინა ებმის შუალედური კედ-  
 ლის საშუალებით.

ხსენებული დარბაზის მომიჯ-  
 ნავე სათავსო, რომელიც მისგან ყრუ  
 კედლით იყო გამიჯნული, ბელელს  
 ჰგავს. მასში აღმოჩნდა კოლხური ქვე-  
 რები და ქოთნები, რომლებიც მარცვ-  
 ლეულით იყო სავსე. ეს მარცვლეული,  
 ალბათ, საკულტო ცერემონიალისთ-  
 ვის ან ქალაქის გარნიზონისთვის იყო  
 გამიზნული. ბელელის მომიჯნავე სა-  
 თავსოები, კურტინაში შექმნილ კაზე-  
 მატებს ჰგავს და უერთდება ქალაქის  
 სამხრეთიდან მზლუდავ სასიმაგრო კე-  
 დელს.


ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ  
 კუთხეში ფრიად შთამბეჭდავი ზომის  
 წყლის რეზერვუარია კლდეში ჩაკვეთი-  
 ლი (სურ. 29), რომელიც, ალბათ, გარ-  
 ნიზონისთვის წყლის მარაგით ივსე-  
 ბოდა. დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ  
 კუთხეს საფეხურებიანი საკურთხევე-  
 ლი ებმის, რომელიც 9 საფეხურისაგან  
 უნდა ყოფილიყო შედგენილი და ბაქა-  
 ნით სრულდებოდა (სურ. 30). საგანგე-  
 ბო არხით ნიაღვრის წყლები, დარბაზის  
 გავლით, ნაგებობის წინ, ჩრდილო-აღ-  
 მოსავლეთით გაჭრილ არხში ჩაედინე-  
 ბოდა. კარიბჭის წინ საფეხურები იყო  
 გამართული. დარბაზში იატაკზე ცეცხ-  
 ლის საკურთხეველი აღმოჩნდა.

დარბაზის სვეტთა განლაგება  
 მიანიშნებს იმაზე, რომ აქ, ალბათ,  
 ერთი იყო გამართული. ის ორფერდა  
 კრამიტის სახურავში უნდა ყოფილიყო  
 ამოზიდული. ნაგებობათა ხსენებული  
 კომპლექსი, ცხადია, ქალაქის საერთო  
 თავდაცვით სისტემაში იყო ჩართული.  
 კარიბჭეს შუალედური კედლით დაკა-  
 ვშირებული კურტინის მიმართულება  
 ქალაქის აღმოსავლეთით უცილობლად  
 გულისხმობს კოშკს, ის კი, კურტი-  
 ნას, ყველაფერი ეს — ჩრდილოეთის  
 კარიბჭის სისტემის რვაკუთხა კოშკ-  
 თან კავშირს. ქალაქის აღმოსავლეთის  
 სასიმაგრო ზოლის რეკონსტრუქცია,  
 კედლის მიმართულებითა და რვაკუთხა  
 კოშკის ერთ-ერთი ნახნაგის სიბრტყე-  
 ითაა ნაკარნახევი (სურ. 27), რომლის  
 კოშკის ნახნაგის სიგრძე თანხედება  
 კურტინის სიგანეს. მოცემული ნაგე-  
 ბობის სამხრეთიდან მსაზღვრავი კე-  
 დელი არქეოლოგიურად დადასტურე-  
 ბულ რთულ საინჟინრო ნაგებობაზე  
 მიგვანიშნებს (იხ. კომპლექსის რეკონ-  
 სტრუქცია, სურ. 28).

როგორც ზემოთ აღინიშნა, კარი-  
 ბჭის წინ არხია გაყვანილი. ის კლდე-



სურ. 29. ქ. „ვანის“ წყლის სტრატეგიული  
 ქა; გეგმა და ჭრილი.



**სურ. 30.** ქ. „ვანის“ აღმოსავლეთ სასი-  
მაგრო ზოლთან არსებული საფეხურიანი  
საკურთხეველის რეკონსტრუქცია

ვან ქანშია ამოკვეთილი, რომელიც სამხრეთით ხევს უერთდება. ამ არხის ძირში გამოვლინდა კედლის ნაშთი, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ მცირე ფეხურსაც, ხოლო ზედა ნაწილი სასიმაგრო კედელია. ამ ფეხურში შექმნილი სადინარის საშუალებით ხდებოდა წყლის ჭავლის მიმართვა. წყლის რეგულირებისათვის შექმნილი ეს მოწყობილობა, ალბათ, კურტინის ბაქნიდან იმართებოდა (არხების თავდაცვითი ფუნქციების შესახებ იხ. Lawrence, 1978. გვ. 271; Winter, 1963. გვ. 363). ამგვარად, ხსენებული კარი-ტიხარი, რომლის სამოძრაო ვერტიკალური ღარები წყლის ჭავლისათვის შექმნილი ლიობის ორსავე მხარესაა დადასტურებული, წყლის რეგულირების გარდა თავდაცვით ფუნქციასაც იძენდა. მისი ბოლომდე ანევისას წყლის ჭავლი ნივთიდან გამოიყვანდა ხევის გადაღაზვის მცდელობისას მომხდურ მეომრებს (იხ. შედარებითი სქემები, ტაბ. XXV, 4).

საიდუმლო კარი ანუ პოსტერნა ქალაქის უკიდურეს დასავლეთ ნაწილ-

ში დადასტურდა. ის იმ არეშია მოქცეული, სადაც ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთის ხევებს გაყოლილი სასიმაგრო კედლები იყრის თავს, ანუ ქალაქის ტერიტორიის უმაღლეს წერტილში. სამწუხაროდ, ნაქალაქარის ეს მონაკვეთი ცუდად არის შემორჩენილი (ტაბ. XII).

პოსტერნა ძირითადად კლდის-ქვება ნაგებობაა. მასში, კლდეში ამოკვეთილი გზით, დასავლეთიდან ხდებოდა შესვლა. უშუალოდ კარის ლიობის წინ მცირე მოედანია. კარის ლიობში შესვლა, ალბათ, ხის საფეხურებით ხდებოდა და აქედან კურტინის პირველ სართულზე გადადიოდნენ. ე. წ. საფეხურებიან საკურთხეველს (თუ ეს მართლაც საკურთხეველია და არა საფორტიფიკაციო ბაქანი) თვალთახედვისაგან სამხრეთი კედლის პარალელური კედელი იცავდა (იხ. კაჭარავა და სხვ., 1979. გვ. 37) (იხ. შედარებითი სქემები, ტაბ. XXV, 1).

**კურტინები.** ვანის ძველ ქალაქში ყველა კურტინა, როგორც ჩანს პირველი სართულიდანვე შეიცავდა კაზემატებს. ისინი განსაკუთრებით კარგადაა გამოვლენილი ჩრდილოეთ კარიბჭის სისტემაში ნახევარწრიულ და რვაკუთხა კოშკებსშორისი შუალედის სახით (ლორთქიფანიძე, ფუთურიძე და სხვ., 1976, გვ. 7), ნაქალაქარის ზედა ტერასაზე სამხრეთის ხევის გამყოლი კედლის ნაშთებით (ტაბ. XII, 1). ეს უკანასკნელი შიდა მხრიდან კონტრაფორსებსაც შეიცავს. ამ არეში კედლის 40 მ. სიგრძის უწყვეტი კვალია არქეოლოგიურად დადასტურებული. კედლის საერთო სიგანე 5 მ-ია. საძირკვლის მთელი სისტემა კლდოვან, დაფერდებულ რელიეფზე საფეხურისებურად


ნაკვეთ ბუდეებშია ჩასმული. კერძოდ, კედლის გარე პირი არ შემორჩა, ის ხევის კიდეზე იყო ამოყვანილი და ჩაიშალა. კაზემატებს ყოფს ტიხრები. კაზემატებში არქეოლოგიურად დადასტურდა დანახშირებული ძელები, ალბათ, სართულშუა კონსტრუქციის ნაშთები. აქვე, კედლის მთელ სიგრძეზე, კრამიტის და ალიზის ნაშალი აღმოჩნდა.

ქალაქის სასიმაგრო ზოლის ამ მონაკვეთში კურტიინის ზედა ბაქანი არქეოლოგიურად კონტრაფორსებით დასტურდება. ასეთი ბაქნები დამახასიათებელია ელინისტური ხანის იტალიისა და მცირე აზიის ქალაქებისათვის (Holland, 1950, გვ. 337); შედარებით იშვიათია ის კონტინენტური საბერძნეთისათვის (Thompson, Scranton, 1943, გვ. 346-348).

ვანის ძველი ქალაქის სასიმაგრო ნაგებობებში კედლები ძირითადად ალიზის აგურით იყო ამოყვანილი, რომლის ფუძესაც ქვათილებისაგან შედგენილი ცოკოლი წარმოადგენდა. მოცემულ მონაკვეთში ცოკოლის დიდი სიმაღლე არაა სავარაუდო, რადგან კედლები აქ კლდოვან და დაფერდებულ მონაკვეთზეა დასმული. ამგვარად, ალიზის კედლის წვიმის წყლისაგან დაცვა გარანტირებული იყო (იხ. Winter, 1971. გვ. 132) (სურ.31).

**კოშკები.** ჯერჯერობით ვანში სამი საფორტიფიკაციო კოშკია არქეოლოგიურად დადასტურებული — ჩრდილოეთის კარიბჭის სისტემაში ორი, ნახევარწრიული და რვაკუთხა, ხოლო ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ასევე რვაკუთხა კოშკი. ეს ფაქტი სრულიად ცხადად მეტყველებს იმას, რომ ძველი ვანის თავდაცვითი სისტემა შეიქმნა იმ ეპოქის ფორტიფიკაციის უკანასკ-

ნელ მიღწევათა საფუძველზე. ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 6 ჰა-ს დასაცავად ვანის სასიმაგრო სისტემაში ორი რვაკუთხა კოშკია ჩადგმული. ფილონ ბიზანტიელი, რომელიც ძვ. წ. III-II სს-ის ფორტიფიკაციის თეორიული საფუძველების ფუძემდებელია, მხოლოდ ექვსკუთხა კოშკებს განიხილავს (იხ. AAM, 1936. გვ. 47). ამ თვალსაზრისით ვანის თავდაცვის სისტემა, მხოლოდ ძვ. წ. II ს-ის მცირეაზიულ ქალაქ ისაურას შეიძლება შევადაროთ, სადაც რვაკუთხა კოშკი უშუალოდ კარიბჭეს იცავდა (იხ. Lawrence, 1978, გვ. 335. სურ. 77). ამიტომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ვანის სამივე კოშკი მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილია, სადაც საარტილერიო დანადგარებიც იდგებოდა. ამის დოკუმენტური საფუძველია ჩრდილოეთ კარიბჭის სისტემის რვაკუთხა კოშკთან მიკვლეული საყურადღებო აღმოჩენა. ეს არის კოშკის სარკმლის დამცავი ხის ფარის ბრინჯაოს გარსაკრავი. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ლურსმნები და სარტყელი (ტაბ. XXII,2). ამ დამცავი ფარის საშუალებით შეგვი-



სურ. 31. ქ. „ვანის“ სასიმაგრო ზოლის კურტიინას (№12) რეკონსტრუქცია

ძლია სარკმლის ზომა წარმოვიდგინოთ და დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ კომპკში, როგორც ისრის, ასევე ქვის ყუმბარების სატყორცნი დანადგარები იყო განთავსებული. ასეთი დამცავი ფარები ძირითადად სატყორცნი იარაღების დასაცავად იქმნებოდა (იხ. Ober, 1987, გვ. 579).

ქვის ყუმბარები, რომელიც მტრის მიერაა ნატყორცნი, ვანში არაერთ უბანზეა დადასტურებული. მათი აღმოჩენა იმაზე მეტყველებს, რომ ქალაქის ნგრევაში მათი როლი არცთუ უმნიშვნელოა. ყუმბარებით ჩაქცეულია კრამიტის სახურავები და დარღვეულია ალიზის კედლები.

მტრის მიერ ნატყორცნი ჭურვების ნაწილი დამზადებულია იმავე ჯიშის ქვისაგან, რითაც ქალაქი იყო აგებული (იხ. Lordkipanidze G., 1970, გვ. 33). ბუნებრივია, გამზადებული ჭურვების ტარებით ჯარი თავს არ შეიზღუდავდა. ჯარის მეთაურებისათვის წინასწარ იყო ცნობილი ის ქალაქები, რომლებიც ხანგრძლივ ალყას საჭიროებდა. ამიტომ ალყის დროს უახლოესი კარიერით სარგებლობდნენ ჭურვების დასამზადებლად. ჭურვების ტყორცნა ქალაქ ვანის მიმართულკებით, როგორც ჩანს, რამდენიმე საგანგებოდ შერჩეული ადგილიდან მიმდინარეობდა (იხ. ახვლედიანი, 2003, გვ. 7). იმავე ჯიშის ქვებისგან დამზადებული ჭურვების მარაგი ქალაქის დამცველებსაც ჰქონდათ. ნაქალაქარის დასავლეთ არეში, ე. წ. საფეხურებიან საკურთხველთან, რომელიც უთუოდ საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილია, ყუმბარების გროვები აღმოჩნდა (იხ. ხოშტარია, 1972, გვ. 91).

ვანის სამშენებლო ტექნიკის მიხედვით ნაგებობათა საძირკველი ძირითადად დედაქანში, საფეხურისებურად ნაკვეთ ბუდეებშია გამართული. ამას დაქანებული კლდოვანი რელიეფი აპირობებს. საძირკველის კვადრები ბუდეებში დამატებით ქვიშაქვის ანატკეცების, მკვრივი მასითაცაა გამყარებული. კირქვისა და ქვიშაქვის ანატკეცებს ანუ ნარჩენ მასას, რომელიც კედლის კვადრების დამუშავებისას წარმოიშვა, გარკვეული სამშენებლო დატვირთვა ჰქონდა. მაგალითად, კარიბჭის საფეხურები და იატაკის ფილები თიხით შეზავებულ კირქვის ანატკეცების ფენაზეა დასმული, ე. ი. ამ მასალით შექმნეს სუბსტრუქცია იქსადაც კლდოვანი ქანი ამის საშუალებას არ იძლეოდა (იხ. Kienast, 1991, გვ. 123-127).

ვანის სასიმაგრო ქვის კედლები წყობის ხასიათი როგორც ჩრდილოეთ, ასევე აღმოსავლეთ კარიბჭეში ფსევდოისოდომურია, თუმცა შიგადაშეს ისოდომური წყობის ნიშნებიც ჩანს. აგ. ზოგიერთ შემთხვევაში, წყობაში ტრაპეციული ფორმის ფილებიც გვხვდება. საერთოდ კი წყობის ამგვარი სისტემა ვანისაზღვრება, როგორც შერეულსტილი (იხ. Wrede, 1933, გვ. 62). ქვის კვადრები ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ არის მიჯრილი, დაცულია ნაკერთა სწორხაზოვნება (როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური). ნაკერებში შემავსებლად, კარგად განლექილი თიხის მასაა გამოყენებული.

ვანის ნაქალაქარზე კარიბჭეების და კურტიანების კედლები სამშენებლო კედლისორიმხარესაპირეკვადრებითაა ამოყვანილი, ხოლო მათ შორის სივრცე — სხვადასხვა დაუმუშავებელი ქვა

ბით, ანატკეცებით, თიხით და კერამიკის ნატეხებით არის შევსებული. ქვის კვადრები თუ საფასადე მხრიდან გულმოდგინედაა დამუშავებული და სწორკუთხედის ფორმისაა, სამაგიეროდ ის მხარე, რომელიც თვალთახედვაში არ ხვდება, თითქმის გაუთლელია. ქვის წყობაში, აგრეთვე, ვიწრო ჩანართების გამოყენების მრავალი შემთხვევა გვხვდება. ამ ქვებს საგანგებო ფუნქცია ჰქონდა. ისინი კონსტრუქციულ კავშირს ამყარებდნენ საპირე წყობასა და ქვის ხურდას შორის. კვადრების საფასადე მხარეები უმეტესად, მოჩარჩობულია (ოთხი, სამი და ხან ერთი მხრივ) და ცენტრალურ არეში გამოიყოფა ე. წ. ბალიშები (ტაბ. XXIV, 4). ამდაგვარი კვადრებით ნაგებ კედლებს რომაულმა სამყარომ „რუსტიკა“ უწოდა.

სხვაგვარადაა ნაგები ქალაქის ჩრდილოეთი კარიბჭის გარე პირი. აქ მკვრივი კირქვაა გამოყენებული და განსაკუთრებული სიმტკიცისათვის კვადრების 6-ვე ნახნავია დამუშავებული, რათა მომიჯნავე კვადრებთან ურთიერთმოჭიდების მაღალი ხარისხი შეიქმნას. ასეთი ხარისხი სრულებით არ იგრძნობა იმ კედლებზე, რომლებიც თვალთახედვის არეში ნაკლებად ხვდება და, თანაც, არც მათ სიმტკიცეს ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. მაგალითად, დარბაზისა და ბეღელის ურთიერთგამიჯნავი კედლის დარბაზის მხარის პირი ქვიშაქვის კვადრებითაა გულდასმით ნაგები, ხოლო ბეღლის მხრის პირი მცირედ დამუშავებულია.

ვანის სასიმაგრო ზოლის ნაგებობათა ურთიერთკავშირები (ანუ როცა კოშკი ებმის კარიბჭეს ან კოშკს ებმის კურტინა და ა. შ.) საფორტიფიკაციო

არქიტექტურაში გარკვეულ სამშენებლო კანონს ექვემდებარება. ის სრულიად განსხვავდება ნებისმიერი სხვა დანიშნულების კომპლექსის მშენებლობის წესისაგან. სასიმაგრო ნაგებობებში ორ მომიჯნავე სტრუქტურას, რომლებიც ფუნქციურად ერთმანეთისაგან განსხვავდება, არ უნდა ჰქონოდათ საერთო კონსტრუქციული ელემენტები. მაგ., კურტინის შემადგენელი კვადრი არ უნდა იჭრებოდეს კოშკის სტრუქტურაში და პირიქით. ამის შესახებ მიგვიითებენ ანტიკური არქიტექტურისა და სამშენებლო საქმის თეორეტიკოსები. ეს მოსაზრება სააღყო მანქანების დამანგრეველი ძალის გათვალისწინების შედეგად ჩამოყალიბდა. კერძოდ, კურტინის რღვევამ არ უნდა ჩაითრიოს კოშკი. ეს კი გარდაუვალია, თუ კურტინასა და კოშკს საერთო კვადრები აკავშირებს (იხ. Winter, 1971, გვ. 167).

ქალაქის ჩრდილოეთი კარიბჭის სისტემის კურტინა და რვაკუთხა კოშკის მიბმის არე არქეოლოგიურად კარგად გამოიკვთა (ლორთქიფანიძე, ფუთურიძე და სხვ., 1976, ტაბ. I). აქ კურტინა მიდგმულია კოშკზე და მათ შორის გარკვეული თხელი შრეც კი არსებობს. ტაძარ-პროპილეუმის სისტემაშიც იგივე სურათი ჩანს: კარიბჭისა და კურტინის მაკავშირებელი შუალედური კედელი არც ერთ მხარესთან არ შეიცავს ზიარ ქვებს.

ქალაქის სასიმაგრო სისტემის თითქმის ყველა ნაგებობაში განსაკუთრებული სიმტკიცისათვის რკინის სამაგრები იყო გამოყენებული. ისინი მხოლოდ ერთი სახეობის — II-ს მაგვარია და ჰორიზონტალური გადაბმისას გამოიყენებოდა. სამაგრები გამოყენე-



ბულია კარიბჭეთა კედლებში, იატაკის ფილებზე, საფეხურებზე და ა. შ. სამაგრის ეს ტიპი ძვ. წ. VI ს.-შია ნარმოშობილი (იხ. *Orlandos*, 1966, გვ. 104). ის ე. წ. მერცხლისკუდისებურ სამაგრებთან ერთად ყველაზე მეტადაა გავრცელებული ძვ. წ. III ს-ის შემდგომ. II-ს მაგვარი სამაგრის ბოლოები ჩასმულია ურთიერთმომიჯნავე ქვების ზედაპირებზე ჩაკვეთილ ბუდეებში (ტაბ. XXIV,3) და განმტკიცებულია ტყვიით. ამიტომ ის ვერტიკალურ დატვირთვისაც ქმნიდა. ხსენებული ტიპი ერთ დროს მერცხლისკუდისებურ ფორმასთან შეთავსებულიც კი გამოიყენებოდა, როგორც ერთგვარი გარდამავალი საფეხური (იხ. *Orlandos*, გვ. 109).

ნაქალაქარზე ალიზის აგურით შედგენილი ნყობები ხშირად არის არქეოლოგიურად დადასტურებული. მაგალითად, ტაძარ-პროპილევუმის კომპლექსში ალიზის აგურის ნყობა კარგად არის შემონახული (ტაბ. XXII,1). ნყობა აქ ტრადიციულია: კერძოდ, აგურებით შედგენილ თითოეულ რიგს ზემოდან ეფინება ასეთივე მეორე რიგი და ქვედა რიგის ყველა ვერტიკალური ნაკერი უსწორდება ზედა რიგის ცენტრალურ არეს. მათში ნყობის შეკავშირების მიზნით შიგადაშიგ განივად დაფენილი აგურებიც გვხვდება. ამგვარი ზომების აგური საქართველოში სხვაგან ჯერჯერობით არ დადასტურებულა. მათი სიგანე 37 სმ, სიგრძე 55 სმ, სიმაღლე 8-10 სმ-ია. ნყობაში გვხვდება აგრეთვე როგორც ნახევარი (37 x 27,5 x 10), ასევე მესამედი აგურიც — 37 x 18 x 10 (ტაბ. XXIV,5) (შდრ. *Щитников, Марченко*, 1984, გვ. 164). ალიზის ნყობაში კარგად ჩანს ხის კარკასი. აქ განივ ძელებს შორის მანძილი 1,30 მ-ია, ე. ი. ისინი ორი

მთელი და ერთი მესამედი აგურის შუალედებით იყო განთავსებული —  $55 \times 55 \times 18 = 128$  სმ.

აგურის ზომებთან დაკავშირებით საყურადღებოა ვიტრუვიუსის ტრაქტატის ის ნაწილი, რომელიც სწორედ ალიზს ეხება. იგი გამომწვარ აგურს არ ახსენებს. ვიტრუვიუსი ინფორმაციას კვადრატულ და სწორკუთხა აგურზე გვანვდის. კვადრატულში ბერძნული იგულისხმება, ხოლო სწორკუთხაში ლიდური, რაც რომაულს გულისხმობს. ვიტრუვიუსის მიხედვით აგურის სიგანედ აღებული უნდა იქნეს ერთი რომაული ტერფი — 0,296მ, -0,3მ, ხოლო სიგრძედ — 1,1/2 ტერფი. თუმცა მის მიერ მოტანილი აგურის ეს განზომილება ვანის აგურს არ შეესაბამება (იხ. ვიტრუვიუსი, II, III).

ვანის ძველი ქალაქის სასიმაგრო ზოლის ნაგებობანი თუ მთელ პერიმეტრზე არა, მის დიდ ნაწილზე მაინც, კრამიტით იყო გადახურული, რასაც არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს. კრამიტებში პროცენტულად ცოტაა ლარიანები — კალიპტერები. კრამიტებიანი გადახურვის კონსტრუქცია არატრადიციულია. ვანური ბრტყელი კრამიტი სწორკუთხა ფორმისაა, აკეცილი გვერდებით (იხ. ყიფიანი, 1991, გვ. 8; ლეჟავა, 1978, ტაბ. CIII).

სახურავის კალთაზე კრამიტთა დაფენილ მწკრივს მეორე რიგი ზემოდან ზურგშექცევით ეფინება (იხ. *Кыфтин*, 1950, გვ. 90). ქანობზე ზურგით დაფენილ კრამიტებს დაცურებისაგან რკინის კრამიტსამაგრები იცავდა (ტაბ. XXIV,2). ისინი მრავლადაა მიკვლეული ვანის ძველი ქალაქის ყველა ნაგებობასთან. კალიპტერები შედარ-

ებით იშვიათად გამოიყენებოდა. ისინი შესაძლოა კრამიტებისაგან შედგენილ სექტორთა ურთიერთმიჯრის არეებს ფარავდა. ამდაგვარად დახურული სახურავები, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სახის კრამიტით შედგენილი გადახურვა, უშუალოდ ხის კონსტრუქციას არ ეყრდნობოდა. ის ძირითადად მოტკეპნილ თიხაზე ლაგდებოდა (იხ. Trevor Hodge, 1960, გვ. 62; ტაბ. 15; Goldberg, 1983, გვ. 305).

ვანის ძველი ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის ჩრდილო და აღმოსავლეთი მონაკვეთების განადგურების და აღების შემდგომ, აქ მოკლე დროში განახლდა ცხოვრება. ქალაქის ქვედა ტერასის სასიმაგრო სისტემები აღარ აღუდგენიათ (იხ. Lordkipanidze, 1979, გვ. 215). სამაგიეროდ გაამაგრეს ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთი კიდე: ჩრდილოეთის რვაკუთხა კოშკი კვლავ ფუნქციონირებს, მაგრამ ძირითადი დატვირთვა ამჯერად კოშკის სხვა მონაკვეთს ეძლევა. მას კაზემატებიანი კურტინა მიემატება; ამავე სისტემაში ჩართეს განადგურებული, მონუმენტური მრგვალი ნაგებობაც. საფიქრებელია, რომ ტერასის მზლუდავი კედელი სამხრეთ-აღმოსავლეთითაც გაგრძელდა. ამის მონშობა გამოქვაბულთა კომპლექსის წინ მიკვლეული კაზემატებიანი ნაგებობა უნდა იყოს.

ვანის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო სისტემის ანაზომების ძირითადი მონაცემებია: 1. ჩრდილოეთის რვაკუთხა კოშკის დიამეტრი — 15 მ; 2. ჩრდილოეთის კარიბჭის სისტემის რვაკუთხა კოშკის დიამეტრი — 15 მ; 3. „ნახევარწრიული“ კოშკის რადიუსი — 6,50 მ; 4. ჩრდილოეთის კარიბჭის კა-

ტარაქტის სისქე — 20 სმ; 5. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კარიბჭეთა სისტემის კურტინათა სიგანე — 6 მ; 6. ჯებირის სიგანე — 3,60 მ; 7. ჯებირის კატარაქტის სისქე — 15 სმ; 8. ცისტერნის ზედაპირის დიამეტრი — 5 მ; 9. ცისტერნის გვერდები — 2 X 2 მ; 10. ცისტერნის სიღრმე (იგი ბოლომდე გათხრილი არაა. არქეოლოგიურად იგი 18 მ-ის სიღრმემდეა გამოვლენილი); 11. სამხრეთის კურტინათა სავარაუდო სიგანე — 5-5,5 მ.

ტაბულებზე ასახული რეკონსტრუქციის საფუძველია: ნაგებობათა არქეოლოგიურად გამოვლენილისტრუქტურები და საძირკველთა ნაშთები; ანტიკური ხანის თეორეტიკოსების წინადადებები და წერილობითი წყაროები; ნაქალაქარის რელიეფი; პარალელური მონაცემები. არქეოლოგიურად გამოვლენილი არქიტექტურის ნაშთთა რეკონსტრუქცია მეტ-ნაკლები დონით ყოველთვის შეიცავს ჰიპოთეტურობის გარკვეულ ხარისხს. ამდენად, ბუნებრივია, რომ რეკონსტრუქცია უნდა მივიღოთ, როგორც ზოგადი წარმოდგენა ნაგებობებზე. დეტალებს კი, რომლებიც არქეოლოგიურად არ დადასტურებულა, რეკონსტრუქციებში მხოლოდ დამხმარე როლი აკისრია. მაგ., იხ. ვანის ძველი ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის რეკონსტრუქცია (სურ. 27).

ვანის ძველი ქალაქი სამკუთხა ბორცვზე იყო განდგენილი. მისმა ფორმამ და დახრის ხარისხმა განაპირობა ის საფორტიფიკაციო სისტემა, რომელიც შექმნილია მაშინდელი სამყაროს მონიწვევ მიღწევათა საფუძველზე. ეს ჩანს რელიეფის თავდაცვის თვალსაზრისით გააზრებაში, ნაგებობათა ტიპებში

(რვაკუთხა და ნახევარწრიული კოშკები, კაზემატივებიანი კურტინები და სხვ.), სამშენებლო ტექნიკაში, მექანიკურ დანადგარებში (კატარაქტები), სატყორცნ მანქანებში და ა. შ. ასეთი მძლავრი სისტემის განადგურება შეეძლო მხოლოდ დიდი სამხედრო ძალის მქონე არმიას, რომელსაც ხანგრძლივი სააღყო მოქმედების გამოცდილება ჰქონდა და იმ დროისათვის განვითარებულ სააღყო მანქანებსაც ფლობდა. სხვა თუ არაფერი, ვანში ურნალის, სასიმაგრო კედლების სარღვევი საგანგებო მანქანის პირია ნაპოვნი. ბუნებრივია, სხვა გზით ის აქ ვერ მოხვდებოდა, რომარა ქალაქის ასაღებად გამიზნული საბრძოლო ოპერაციები.

ვანის ფორტიფიკაცია წარმოადგენს სასიმაგრო სისტემის იმ ტიპურ ნიმუშს, რომლის დანიშნულებაც კონკრეტული, შემოსაზღვრული ტერიტორიის დაცვა ყველა იმ დროისათვის ცნობილი მიღწევის გათვალისწინებით.

ვანის საფორტიფიკაციო სისტემის მშენებლობის ეტაპების და ნგრევის ქრონოლოგიის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს (დანვრილებით იხ. Хошгари, 1962, გვ. 75; ლორთქიფანიძე, 1996; Лордкипანიძე Г., 1971, გვ. 64; Дундуа, 1987, გვ. 127; გამყრელიძე, 1993, გვ. 67-70).

**ეშერის ძველი ქალაქის სასიმაგრო სისტემა.** ეს ნაქალაქარი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის საყურადღებო ურბანული ძეგლია. არქეოლოგიური მონაცემებით საქალაქო ცხოვრება აქ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა ძვ. წ. VI ს-დან ძვ. წ. I ს-ის ჩათვლით (იხ. Шамба, 1980, გვ. 9).

ეშერა ქალაქსოხუმიდან დასავლეთით 10 კმ-ის დაშორებით, მდინარე გუმისთის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ქალაქი განფენილი იყო სოფელ ქვემო ეშერის მიმდებარე ბორცვზე. ზღვის სანაპიროდან ბორცვი 1 კმ-ითაა დაშორებული და 4 ჰა-ს მოიცავს. მისი უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 113 მ-ზეა. აქ სასიმაგრო ზოლის ორი მონაკვეთია გამოვლენილი, ნაქალაქარის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს და ჩრდილო-აღმოსავლეთით (ტაბ. XX). ფრაგმენტულობის მიუხედავად საკმაოდ ბევრ ინფორმაციას შეიცავს. სასიმაგრო სისტემა, ჩანს გარკვეული ცოდნითაა დაქვემდებარებული რელიეფს. კოშკები ამოზიდულია რელიეფისა და, შესაბამისად, კურტინათა გარდატეხის არეებში. ჯერჯერობით, არქეოლოგიურად ამ ნაქალაქარის სამი კოშკია შესწავლილი. აქედან ორი სწორკუთხაა, ხოლო ერთი ხუთკუთხა. სწორკუთხა კოშკები კურტინებისაგან გარე მხარეს საგრძნობლად არის გაზიდული.

I კოშკი. ხუთკუთხა მოყვანილობისაა, ოდნავ გაზიდულია კურტინის საზღვრიდან და გარე კონტურით თითქმის მის ტენილობას იმეორებს. ის ერთგვარად დაფარული კოშკია. მისი ფუნქცია განსაკუთრებულია — აკონტროლებს და იცავს დასავლეთ კედელთან შექმნილ საიდუმლო კარს.


II კოშკი. სწორკუთხაა, კურტინათა გადაკვეთის არიდან საგრძნობლად წინ გაზიდული. კურტინათა ეს გვემარება ფაქტობრივად კლდოვანი რელიეფის მოყვანილობის გამეორებაა. ეს სქემა მეორდება ნებისმიერ იმ საქალაქო სივრცის საზღვარზე, სადაც კლდოვანი კედლების მახვილი კუთხით გარდატეხა ხდება (იხ. სქემები, ტაბ. XXV, 6). ამ კოშკის ფუნქცია სრულიად განსხ-

ვაგებულება I კოშკისაგან. მისი გრძივი კედლები აკონტროლებს კურტინებს, წინა მხარე კი — გარე ტერიტორიას. კოშკის მასივში მის სამხრეთ-დასავლეთ არეში, შექმნილი სწორკუთხა გეგმის მქონე სივრცე კიბის უჯრედისათვის გამართულსა ჰგავს. კოშკის მასიური კედლები მის მრავალსართულიანობაზე მიგვანიშნებს.

III კოშკი. სწორკუთხა გეგმის მქონეა და შედარებით მცირე ზომისაა. სასიმაგრო ზოლში მისი მნიშვნელობა შედარებით ნაკლებია; წინაც ნაკლებადაა გაზიდული და კურტინათა რიგში შუალედის როლს ასრულებდა.

ქალაქ ეშერის კურტინების მძლავრ კედლებზე კონტრფორსებია მიშენებული. კონტრფორსები დიდი ზომისაა, კურტინის სიგანე მიაწინებს იმას, რომ ის შეიცავდა ზედაპირზე გრძივ სასიარულო-სამეთვალყურეო ბაქანს და კაზემატებსაც. მის სივრცეში დადასტურებული სწორკუთხა გეგმის მქონე უჯრედი II კოშკში არსებულის ანალოგიურია.

ქალაქის საიდუმლო კარი (პოსტერნა) — გამართულია სასიმაგრო კედლის ჩრდილოეთის მხარის ცენტრალურ არეში, იმ შუალედში, რომელიც შექმნილია I კოშკსა და კურტინას შორის. შიდა მხრიდან მას ფარავს კურტინის გამყოლი ზღუდე. პოსტერნა ქალაქის სასიმაგრო სისტემის აუცილებელი ელემენტია (იხ. Winter, გვ. 234). თავისი გეგმარებით ეშერის საიდუმლო კარი კარგად შენიღბულ ნიმუშს წარმოადგენს. ის გამართულია გარედან ძნელად მისადგომ წერტილში. მისი მეთვალყურე კოშკი თითქმის არ გამოიყოფა კურტინის ტეხილიდან; როგორც ჩანს, პოსტერნა გასაიდუმლოებული იყო თვით მოქალაქეთათვისაც. ცნობილი არ არის, თუ რა ფარავდა მას გარე მხრიდან. მაგრამ ის კი ცხადია, რომ დღის მანძილზე მას დაფარავდა კოშკის ჩრდილო-დასავლეთის კუთხიდან დაცემული ჩრდილი (იხ. რეკონსტრუქცია, სურ. 32).



სურ. 32. ქალაქ „ეშერის“ ჩრდილოეთი სასიმაგრო ზოლის რეკონსტრუქცია

ეშერაში გამოვლინდა თავდაცვითი არხი. ის გამართული ყოფილა ნაქალაქარის სამხრეთ საზღვართან დავაკებულ ფართობში, რაც სავსებით ლოგიკურია. ვინაიდან, რა სიძლიერისაც არ უნდა იყოს კოშკები და კურტინები, დამატებითი წინააღმდეგობის გარეშე, ვაკეზე, შეტევით, მით უმეტეს თუ საბრძოლო ოპერაციებში საალყო მანქანებიც მონაწილეობს, მათი გარღვევა შედარებით ადვილად ხდება. ამიტომ სპეციალური არხი 6 მ. სიგანისა და 1,5 მ. სიღრმისა იყო. ნაქალაქარის კარიბჭე არაა გათხრილი, მაგრამ ის სწორედ არხის წინააგავარაუდო.

ეშერის ნაქალაქარზე სამშენებლო ტექნიკის მიხედვით კურტინათა და კოშკთა კედლებში ვერტიკალურად 4 ფენა გამოიყოფა: 1. დედაქანი ნაგებობათა ფუძისათვის. 2. კირქვის ანატკეცებისაგან ფორმირებული სუბსტრუქციის ფენილი. 3. მსხვილი რიყის ქვებისაგან შედგენილი ზეძირკველი. აქ შემაკავშირებლად თიხის ხსნარია გამოყენებული. წყობაში შიგადაშიგ მეორადი გამოყენების ქვიშაქვის რუსტირებული კვადრებია ჩართული. 4. ალიზის აგურით ამოყვანილი კედლები. რიყის

ქვისაგან შედგენილი ცოკოლი. რიყის მსხვილი ქვებისაგან შედგენილია კედლის გარე და შიდა წყობანი. მათ შორის სივრცე ამოვსებულია თიხით, სხვადასხვა ზომისა და ჯიშის ქვებით, კერამიკის ნატეხებით. ალიზის წყობაში ხის ძელებიცაა ნახმარი.

ეშერის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო სისტემის ანაზომთა ძირითადი მონაცემები: I და II კოშკებს შორის მანძილი, ანუ კურტინის სიგრძე — 30 მ, I კოშკის უდიდესი სიგრძე 11 მ, უდიდესი სიგანე 11,5 მ; I სართულის ფართობი  $\approx 30$  მ<sup>2</sup>; კედლების სისქე: სამხრეთისა 3 მ, დასავლეთისა — 2,20 მ, ჩრდილოეთისა — 1,60 მ, აღმოსავლეთისა — 3,50 მ. II კოშკის სიგრძე — 12 მ, სიგანე — 8,5 მ. კედლების სისქე — 2,40 მ, კიბის უჯრედის ფართობი — 8 მ<sup>2</sup>; შიდა ფართობი — 10,25 მ<sup>2</sup>; კურტინა — წინა კედლის სისქე 3 მ, უდიდესი სიგანე — 7,20 მ. პოსტერნა — სიგანე — 1,90 მ. III კოშკის სიგრძე  $\approx 10$  მ, სიგანე — 1,5 მ. კედლების სისქე — 2,20 მ.

ეშერას ძველი ქალაქის სასიმაგრო ზოლი არქეოლოგიური და სტრატოგრაფიული მონაცემებით ძვ. წ. II-I სს-ით თარიღდება.

ანტიკური ხანა საქართველოში დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს – ძვ. წ. VI – ახ. წ. IV სს. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოში განსხვავებული თანაფარდობით საომარი იარაღის სხვადასხვა სახეობა ვითარდება, რომელთა მახასიათებლების გამოყოფამ საშუალება მოგვცა თითოეულ სახეობაში გაგვეჩრია ძირითადი ტიპები და განგვესაზღვრა, შეიარაღების რომელი ფორმაა დამახასიათებელი მოცემული ეპოქის ამა თუ იმ საფეხურისათვის. ძირითადი წყარო კვლევისა არის არქეოლოგიური მასალა — შეიარაღების კონკრეტული საგნები და მათი გამოსახულებანი სხვადასხვა ნივთებზე. ამასთან, მოხმობილი გვაქვს წერილობით წყაროებში დაცული ცნობები ქართველური მოსახლეობის შეიარაღების შესახებ. ანტიკური ხანის საქართველოში ვხვდებით შეიარაღების როგორც შეტევით, ისე თავდაცვით კატეგორიებს. შეტევითი იარაღის სახეობებიდან არქეოლოგიურ ძეგლებში წარმოდგენილია შუბი, საბრძოლო ცული, სატევარი, მახვილი, მშვილდისარი და შურდული.

**შუბები.** შეტევითი შეიარაღების სატყორცნ-საძგერებელი იარაღის ერთ-ერთ სახეობას განეკუთვნება შუბი. შუბი შედგება შუბისპირისა და ტარისაგან. შუბის კლასიფიკაციისას ამოსავალია შუბისპირი, რომელიც, თავის მხრივ, შედგება მასრისაგან და ორღესული საძგერებლისაგან, რომელსაც აქვს წვერი და მხრები – მასრიდან საკუთრივ პირზე გარდამა-

ვალი მონაკვეთი (ტაბ. XXXII, 11). შუბის აღწერისათვის გამოყოფილია შემდეგი მახასიათებლები: პირის ფორმა (მასრის გარეშე) — მოყვანილობა და მასრაზე მისი გადასვლის კონტური. ამის მიხედვით ვღებულობთ შემდეგ სახესხვაობებს: 1. მასრა თანდათან გადადის ვიწრო პირზე, რომელსაც წვერისკენ თანაბრად დავიწროებული სწორი გვერდები აქვს. ესაა ე.წ. ვიწროპირიანი შუბისპირები (ტაბ. XXX, 1). 2. პირს აქვს წაგრძელებული რომბის ფორმა (ტაბ. XXXII, 4-7). 3. მასრა თანდათან გადადის პირზე, რომელსაც მრუდი გვერდები აქვს და უდიდეს სიგანეს პირის შუა ნაწილში აღწევს, ვიწროვდება პირის სიგრძის ბოლო მესამედში. ესაა ე.წ. „ლანცეტური“ ტიპის პირი (ტაბ. XXXII, 2). 4. პირს აქვს მომრგვალებული მხრები; სწორი, წვერისკენ თანდათან დავიწროებული გვერდები; უდიდეს სიგანეს მასრისკენ აღწევს (ტაბ. XXXII, 3). 5. პირს აქვს გვერდშეზნექილი სამკუთხედის მოყვანილობა (ტაბ. XXXII, 8).

განივკვეთის მიხედვით ნებისმიერი ზემოხსენებული მოყვანილობის შუბისპირი რომბულგანივკვეთიანია, ანუ ცენტრალურქედიანი (ტაბ. XXXII, 1) და ცენტრალურლიღვიანი, ანუ როცა ქედი წარმოადგენს მასრის გაგრძელებას (ტაბ. XXXII, 4). იშვიათად გვხვდება ბრტყელი, თითქმის უქედო შუბისპირი. შუბის მასრა ანტიკურ ხანაში უმეტესად ქემოთ გაფართოებულია – კონუსური; გახსნილი ან შეკრული, მრგვალგანივკვეთიანი. გახსნილი მასრა უზრუნველყოფს შუბისპირის ტარზე მორგე-

ბას; ზოგჯერ მას ერთი ან რამდენიმე სამანქნო ნახვრეტი აქვს.

შუბისპირის იერს განსაზღვრავს თანაფარდობა მასრასა და პირს შორის, უდიდეს სიგანესა და სიგრძეს შორის. თუ მასრა შუბის საერთო სიგრძის ნახევარზე მეტია, მაშინ შუბისპირი ე. წ. გრძელმასრიანია (ტაბ. XXXII,7). ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოყვანილობის შუბი. ხოლო, თუ პირის სიგრძე ორჯერ აღემატება მასრის სიგრძეს, ეს გვაძლევს გრძელპირიან შუბისპირს (ტაბ. XXXII,6). ფართოპირიანია შუბისპირი, რომლის უდიდესი სიგანე ბევრად აღემატება მასრის სიგანეს (ტაბ. XXXII,3,5), ხოლო ვიწროპირიანია იმ შემთხვევაში, როცა მისი უდიდესი სიგანე ტოლია ან ოდნავ აღემატება მასრის სიგანეს (ტაბ. XXXII,1,7).

ერთ-ერთ ჯგუფს ქმნის ე. წ. ვიწროპირიანი შუბისპირები. მათ აქვთ ვიწრო და გრძელი პირი, რომელსაც წვერისკენ თანაბრად დავიწროებული სწორი გვერდები აქვს; კონუსური, გახსნილი მასრა, რომელიც თანდათან გადადის ვიწრო პირზე და მისი სიგანე ცოტათი თუ აღემატება მასრის სიგანეს (ტაბ. XXXII,1).

ამ ტიპის შუბისპირები აღმოჩენილია: წითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის სამარხებში, რომლებიც ძვ. წ. VII-V, VI-V სს-ით თარიღდება (№№2, 4, 28, 88 - Трапш, 1969, ტაბ. VI,12<sub>2</sub>; XXI<sub>11</sub>-ის ტიპისა), ისინი მასრაგახსნილებია, რომბულ ან ცენტრალურლილვიან განივკვეთიანი. სიგრძე მერყეობს 25 - 36,5 სმ შორის. წითელ შუქურასვე უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხში, რომელიც ძვ. წ. V ს-თაა დათარიღებული მასში აღმოჩენილი ატიკური შავლაკიანი სკიფოსისა

და ბრინჯაოს სანურის მიხედვით (Tr., 1969, გვ. 269, ტაბ. XXXVI<sub>6</sub>); სამარხში აღმოჩენილი შვიდი შუბისპირიდან ექვსი ვიწროპირიანია, სიგრძე მერყეობს 26-40 სმ შორის. მეშვიდე შუბისპირი მკაფიოდ გამოხატული მხრებისა და მეტად გრძელი პირის გამო წაგრძელებულრომბისებრიანი ტიპის გრძელპირიან ვარიანტს მიეკუთვნება (Tr., 1969, ტაბ. XXXVI<sub>13</sub>). გუადიხუს სამაროვანზე, უმცროსი ჯგუფის სამარხებში (№№ 1, 8, 38, Tr., 1969, ტაბ. XXXIII<sub>7-12, 8, 4</sub>), რომლებიც ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება. სოხუმის მთაზე, შემდეგ სამარხეულ კომპლექსებში - № 2-ში, 5 ზუსტად ერთნაირი ნიმუში, და № 6-ში (კალანდაძე, 1953, გვ. 29. ტაბ. VIII<sub>3</sub>, 7, ტაბ. IX<sub>19</sub>), სიგრძე მერყეობს 24,5-34 სმ-ს შორის. ვანის ნაქალაქარზე, № 2 და № 9, ე.წ. მეომრის სამარხებში, რომელთაგან პირველი ძვ. წ. III ს-ით, ხოლო მეორე ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, გვ. 203, სურ. 175). მათ აქვთ რომბული განივკვეთი და განსხვავებული სიგრძე (თუ სტანდარტი): 33 სმ, 37 სმ, 40 სმ, 47 სმ. ყველა შეკრულმასრიანია. კრამიტით გადახურულ დაბლაგომის სამარხში (2 განსხვავებული სიგრძე - 33, 37 სმ), რომელიც ძვ. წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება (თოლორდავა, 1976, ტაბ. 117, გვ. 76). ამ ტიპის შუბისპირები ანტიკურ ხანამდეც არის ცნობილი.

წითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის სამარხებში აღმოჩენილი 35 შუბისპირიდან 18 ნიმუში მიეკუთვნება ჩვენთვის საინტერესო ხანას. ისინი ორ ძირითად სახეს განეკუთვნება: 1) მკაფიო კუთხოვანი მხრებიანი, ანუ ე. წ. წაგრძელებული რომბის ტიპი-

სა (სამარხები №№№ 4, 9, 14, 82, 83, 84, 85, 88) და 2) ვინროპირიანი (სამ. №№№ 2, 4, 14, 28, 88); ეს სამარხები ძვ. წ. VII-VI სს-ის ფარგლებში თავსდება (იხ. Квирквелия, 1981, გვ. 5). ეს სამაროვანი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმის გამო, რომ როგორც ჩვენთვის საინტერესო ხანაში, ისე წინამორბედ ეპოქაში (ძვ. წ. VIII-VII სს). გვხვდება ერთი ტიპის შუბისპირები, რითაც დგინდება, რომ ეს ფორმები წინა პერიოდიდან მოდის. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ძვ. წ. VIII-VII სს-ის კომპლექსები, სადაც რკინის შუბისპირები ბრინჯაოს შუბისპირებთან ერთად გვხვდება (№№ 43, 56, 63, Тр., 1969, ტაბ. X; XXI<sup>5,11</sup>; XIII), საიდანაც ჩანს, რომ ვინროპირიანი და წაგრძელებული რომბის ფორმის შუბისპირები წინამორბედი ფორმაა და მათ ადგილობრივ ნიადაგზე განვითარების შესახებ შეიძლება საუბარი. ასე რომ, შეიძლება ვთქვათ, რომ წითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის სამარხების მონაცემების მიხედვით ძვ. წ. VI-V სს. ვინროპირიანი და წაგრძელებული რომბის ფორმის შუბისპირები თანაარსებობს და ამასთან, ორივე ფორმა წინა ეპოქიდან მოდის. № 4 სამარხში, რომელიც ძვ. წ. VI-V სს მიეკუთვნება, ერთადაა ფართოპირიანი რომბულ-განივკვეთიანი და ვინროპირიანი შუბისპირები (Тр., 1969, ტაბ. VI<sub>12, 13</sub>; Лордкипანიძე Г., 1978, გვ. 54).

მაშასადამე, ზემოთ განხილული შუბისპირები განვითარების პირველ ეტაპს, ძვ. წ. VI-V სს განეკუთვნება.

შემდგომი ეტაპია ძვ. წ. IV-III სს. სოხუმის მთის ის სამარხეული კომპლექსები, რომლებიც შუბს შეიცავს, ადრე დათარიღებული იყო ძვ. წ. V-IV (სამარხები № 2, 5, 6), V-III (სამარხები

№№№ 4, 8, 9) და III-II (სამარხი № 3) საუკუნეებით (კალანდაძე, 1953, გვ. 29), მოგვიანებით რკინის ცულების ევოლუციის საფუძველზე და ამ სამარხების სხვა ძეგლებთან სინქრონიზაციის გზით (ეშერის სამარხში ანალოგიურ ცულებთან ერთად ნაპოვნი ამფორისა და ამფორისკის მიხედვით) № 2, 3, 4, 6 და 8 სამარხეული კომპლექსები ძვ. წ. III-II სს-ით დათარიღდა (მდრ. Лордкипანიძე Г., 1978, გვ. 53; Квирквелия, 1981, გვ. 7).

ვინროპირიანი შუბისპირები სპეციალურ ლიტერატურაში „ამიერკავკასიურ ტიპად“ მოიხსენიება (Хазанов, 1971, გვ. 48, ტაბ. XXVII<sup>9,10</sup>); აქ იგულისხმება როგორც ჩვენს მიერ „ვინროპირიანად“ განსაზღვრული ნიმუშები, ასევე ჩვენი კლასიფიკაციის წაგრძელებულ რომბისპირიანი ტიპის ვინრო ვარიანტიც. საქმე ეხება ე. წ. სკვითურ და სარმატულ არქეოლოგიურ კულტურებში აღმოჩენილ შუბისპირთა ერთ ჯგუფს: ვინროპირიანი, მეტ-ნაკლებად გამოკვეთილ მხრებიანი ტიპის შუბისპირები, მასრაგახსნილები, ცნობილია დნეპრისპირეთიდან, ძვ. წ. IV-III სს სამარხებიდან (Петренко, 1967, გვ. 48, ტაბ. 36<sub>13, 14, 15</sub>); მათ შორის ჩერტომლიკის ცნობილი სამარხიდან (Археология СССР, 1985, ტაბ. 31-37). ასევე გვხვდება ეს ტიპი ე. წ. სარმატულ კულტურაში (Хазанов, 1971, გვ. 48, ტაბ. XXVII<sup>9</sup>), სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობს. ამ ტიპის შუბისპირები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც არის აღმოჩენილი (Арх. СССР, 1985, ტაბ. 99<sub>26</sub>). ასე რომ, ე. წ. ამიერკავკასიური ტიპი შუბისპირისა კავკასიაში უწყვეტად ჩანს საუკუნეთა მანძილზე. მართლაც, ვინროპირიანი რკინის შუბისპირები,



როგორც წითელი შუქურას მასალების მიხედვითაც ჩანს, ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ხანაში გვხვდება. ამას შეიძლება თლიას სამაროვნის სამი რკინის შუბისპირიც დაემატოს, რომელიც ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრით და ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება (Техов, 1980, გვ. 59; სურ. 5, 10, 14). ასე რომ, ანტიკურ ხანაში გავრცელებული ვინროპირიანი შუბისპირები წინა პერიოდის ანალოგიური ტიპიდან შეიძლება განვითარებულიყო და გარკვეული ტრანსფორმაციით დიდი დროის მანძილზე ეარსება. ვინროპირიანი შუბები გვხვდება მეოტურ სამარხებშიც, სადაც, დასავლეთ საქართველოს კომპლექსების ანალოგიურად, ერთ სამარხში რამდენიმე შუბია ფიქსირებული (Арх. СССР, 1985, ტაბ. 93<sub>48, 11</sub>). დევე ჰუიუკის სამაროვანზე, ძვ.წ. V-IV სს. სამარხებში აღმოჩენილ შუბისპირებს შორის ვინროპირიანი ნიმუშებიც არის (Moorey, 1980, გვ. 60, ტაბ. 9-10, № 167, 168).

ცალკე დგას შუბისპირები, რომელთაც წაგრძელებული რომბის ფორმა აქვთ. მასრა ყოველთვის კონუსურია, მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი, იშვიათად – შეკრული. წაგრძელებული რომბის ფორმის შუბისპირები განივკვეთისა და პროპორციების მიხედვით განსხვავებულ ვარიაციებს გვაძლევს. იმ შემთხვევაში, როცა პირის უდიდესი სიგანე ტოლია ან უმნიშვნელოდ აღემატება მასრის სიგანეს, გვაქვს წაგრძელებულრომბისებრი შუბისპირის ტიპის ვინროპირიანი ვარიანტი. მასრა, ჩვეულებრივ, საერთო სიგრძის ნახევარია ან ნაკლები (ტაბ. XXXII,4). ამავე დროს ამ შუბისპირებს შორის გვხვდება გრძელმას-

რიანი (ტაბ. XXXII,7) და გრძელპირიანი (ტაბ. XXXII,6) ნიმუშები.

წაგრძელებული რომბის ფორმის შუბისპირების ვინროპირიან ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ერთი ნაწილი იმ შუბისპირებისა, რომლებიც აღმოჩენილია წითელ შუქურას სამაროვნის ე.წ. უფროსი ჯგუფის შემდეგ სამარხებში: №№ 4, 9, 14, 88, 82, 83, 84 (Тр., 1969, ტაბ. VI<sub>13</sub>; XXI<sub>15</sub>; გვ. 137). მათ მხრებს აქვთ აშკარად გამოკვეთილი კუთხე, რომბული ან ცენტრალურლილვიანი განივკვეთი და გახსნილი კონუსური მასრა; სიგრძე მერყეობს 15, 25 - 36 სმ შორის. აღნიშნული სამარხები ძვ.წ. VII-V სს. ფარგლებში თავსდება (წითელი შუქურას უფროსი ჯგუფის ქრონოლოგიის შესახებ იხ. ქვემოთ).

წითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხში (ძვ. წ. V ს) ნაპოვნი შუბისპირიც ამ ჯგუფთან უნდა ვახსენოთ; მას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი მხრები და ძალზე გრძელი, ვინროპირი (საერთო სიგრძე 62 სმ), ცენტრალურლილვიანი განივკვეთი (Тр., 1969, გვ. 209, 271, ტაბ. XXXVI<sub>13</sub>) და კონუსური მასრა (ტაბ. XXXII,6). ამავე სამარხში იყო ექვსი ე.წ. „ვინროპირიანი“ შუბისპირი, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი. აქ საინტერესო ისაა, რომ ერთ სამარხში შვიდი შუბისპირი იყო. ასეთივე გრძელპირიანია ეცოს № 72 სამარხის შუბისპირი. ამ ტიპის შუბისპირები ნაპოვნია სოხუმის მთაზე №№ 6, 8, 11, 12 სამარხეულ კომპლექსებში (კალანდაძე, 1953, გვ. 33, ტაბ. IX<sub>16,17,18</sub>; გვ. 34, IX<sub>3</sub>, X<sub>4</sub>; გვ. 51, IX<sub>2,3</sub>). ყველა ერთი ტიპისაა, ე.წ. წაგრძელებული რომბის ფორმის, ცენტრალურლილვიან განივკვეთიანი, მასრაგახსნილი. სხვაობას არ გვაძლევს პროპორციებში,

სიგრძე მერყეობს 20-40 სმ შორის. აღნიშნული სამარხეული კომპლექსები ძვ. წ. IV-III სს. თარიღდება (Квирквелия, 1981, გვ. 5). ამ ჯგუფის შუბისპირები ნაპოვნია ასევე ეშერის ნამოსახლარზე, ძვ. წ. III ს. სამარხში (Шамба, 1980, გვ. 48, ტაბ. XIV<sub>1</sub>), რომბულგანიკვეთიანი, გახსნილ კონუსურმასრიანი, 30 სმ სიგრძისა. გუადიხუს სამაროვნის უფროსი ჯგუფის სამარხებში — №№ 2, 7, 8, 11, 13, 19, 23, 31 (Tr., 1969, გვ. 62; სურ. 3<sub>3</sub>; სურ. 6<sub>4,5,6</sub>, ტაბ. II<sub>2</sub>). ე.წ. უმცროსი ჯგუფის სამარხებს შორის ამ ტიპის შუბისპირები ვერ მოვიძიეთ. ეს სამარხები ძვ.წ. VI-IV სს თარიღდება (Квирквелия, 1981, გვ. 7).

ასეთი შუბისპირები ნაპოვნია ვანის ნაქალაქარზე, № 9 სამარხში, რომელიც, როგორც ითქვა, ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება. მათ ნაგრძელებული რომბის ფორმა და ცენტრალურლიღვიანი განიკვეთი აქვთ, ისინი ოთხი განსხვავებული სიგრძისაა: 21,5 სმ; 29 სმ; 33 სმ; 40 სმ. ამ სამარხში 53 შუბისპირი იყო. აქედან 30 ე. წ. ვინროპირიანთა სახეობას მივაკუთვნეთ და მათშიაც დადგინდა ოთხი განსხვავებული სიგრძე: 33 სმ, 37 სმ, 40 სმ, 47 სმ; ორი განსხვავებული ტიპის შუბისპირის ოთხი განსხვავებული „სტანდარტის“ არსებობა ერთ სამარხში მიგვანიშნებს მათ განსხვავებულ ფუნქციაზე. ამათგან ნაწილი მასრაგახსნილია, ნაწილი – მასრაშეკრული. დიდი ზომისანი, როგორც წესი, მასრაგახსნილებია. შუბისპირის მასრის სახეობა – მასრაგახსნილი, მასრაშეკრული — შუბისპირების გამოყვედვის ტექნოლოგიურ პროცესზეა დამოკიდებული: მასრაშეკრული შუბისპირების შემთხვევაში გახურებული ნამზადისაგან მასრის

გამოყვედა ხდებოდა სპეციალური სახვრეტი სამარჯვით. მასრაგახსნილი შუბისპირებისთვის კი სამასრე-სამარჯვზე შემოიჭედებოდა ლითონი (თავაძე დასხვ., 1976, გვ. 217). ამავე ტიპის შუბისპირები ნაპოვნია ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთი სასიმაგრო ზოლის გაღვენის კედელთან, ძვ. წ. I ს-ის ალიზის კედლის ნანგრევების ქვეშ – მასრაშეკრული, ცენტრალურლიღვიანგანიკვეთიანი და კარიბჭესთან, ნრიული კოშკის ძვ. წ. I ს-ის ნანგრევების თავზე (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 181, სურ. 137<sub>7</sub>; 138<sub>1</sub>; 155<sub>2,3,5,6</sub>). ყველა ერთი ზომისაა, 21-21,5 სმ სიგრძისა. აქვე იყო სამი მომრგვალებულპირისკიდიანი, განიკვეთში ცენტრალურლიღვიანი შუბისპირი, იმავე ზომის, რაც ამ ფორმათა თანაარსებობაზე მიგვანიშნებს. დაბლაგომის ე. წ. კრამიტით დახურულ მდიდრულ სამარხში, რომელიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება, აღმოჩენილია შუბისპირი, მასრაგახსნილი, განიკვეთში ცენტრალურლიღვიანი, 22 სმ სიგრძისა (თოლორდავა, 1976, გვ. 76, სურ. 117<sub>3</sub>). ამავე ჯგუფის შუბისპირებია აღმოჩენილი ითხვისის № 2 სამარხში, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით თარიღდება (Lordkipanidze, 2001, გვ. 176), მათ აქვთ მკვეთრი კუთხეები მხრებთან, გახსნილი მასრა და ცენტრალურლიღვიანი განიკვეთი; 20-24 სმ სიგრძისანია (Jordkipanidze Г., 1978, ტაბ. IX<sub>5</sub>, გვ. 84).

ბეშთაშენის სამაროვანზე, № 10, 6, 22, 15, 33, 32, 48, 41, 55 სამარხებში (მენაბდე, დავლიანიძე, 1968, ტაბ. XI<sub>353</sub>; XII<sub>401,402,382</sub>; XIII<sub>458,459</sub>; XIV<sub>477,503</sub>; XV<sub>533</sub>) აღმოჩენილ შუბისპირებს რომბული განიკვეთი და მეტ-ნაკლებად გამოკვეთი-

ლი მხრები აქვთ (დავლიანიძე, 1983, ტაბ. VI<sub>1, 4-6, 7-10</sub>). ზოგი ნიმუშის მიკუთვნება მკაფიოდ გამოკვეთილმხრებიანი (ე. წ. ნაგრძელბუღი რომბისებრი) ტიპისათვის პირობითია, რადგან ისეა დაზიანებული, რომ პირის კონტურის განსაზღვრა ჭირს. სიგრძე მერყეობს 20-26,7 სმ შორის. მათ შორის გვხვდება ერთი ე. წ. გრძელპირიანი ვარიანტი, ანალოგიური ეცოს № 72 სამარხის და ნითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის №№1 სამარხისა (სამარხი № 55, მენაბდე, დავლიანიძე, 1968, გვ. 139, ტაბ. XV, № 533), 26,4 სმ-ის სიგრძისა. სამაროვანი ძვ.წ. V ს-ით თარიღდება. ამ ტიპის შუბისპირები ასევე აღმოჩენილია კუმისის სამაროვანზე, რომელიც ბეშთაშენის სამხრეთი უბნის სამაროვნის თანადროულია და კეთის სამაროვანზე, რომელიც ბეშთაშენის სამაროვნის ანალოგიურად ძვ. წ. V ს-ით თარიღდება (დავლიანიძე, 1983, გვ. 38, ტაბ. VI<sub>1</sub>). გომარეთის სამაროვანზე, ქვაყუთში, რომელიც, როგორც მთლიანად სამაროვანი, პარალელური მასალით ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება (დავლიანიძე, 1983, გვ. 139, 170, ტაბ. XVI<sub>2</sub>), ქედი სუსტად აქვს გამოხატული, 35,3 სმ-ის სიგრძისაა.

ბეშთაშენის სამაროვნის მაგალითის მიხედვით ძვ. წ. V ს-ში შუბისპირების ორი სახეობა თანაარსებობს: I — ე.წ. ნაგრძელბუღი რომბის ვინოპირიანი (რომელსაც ქვედა მხარეს მეტ-ნაკლებად მკვეთრად გამოხატული კუთხეები აქვს, ტაბ. XXXII, 4) და II - პირფართო, მომრგვალებულმხრებიანი (ანუ ისეთი, რომლის განიერი ქვედა ნაწილი მომრგვალებულია) და განიკვეთში ცენტრალურლიღვიანი (ტაბ. XXXII, 3).

ამავე ტიპის შუბისპირები აღმოჩენილია ეცოს სამაროვანზე, №№ 23, 41, 72 სამარხებში, ძვ. წ. IV-III სს. (მატბერაშვილი, 1999, ტაბ. 1, 5, 6). ამათგან № 41 სამარხისა გრძელმასრიანია და მოკლე რომბულთავიანი (სიგრძე 19,5 სმ, მასრისა 11 სმ, თავისა 865 სმ), ხოლო № 72 სამარხისა გრძელპირიანია (31 სმ სიგრძისა, პირის სიგრძე — 22 სმ, მასრისა - 9 სმ). შავსაყდარას სამაროვანზე, ორი ნაგრძელბუღი რომბისებრი შუბისპირი, რომელთაგან ერთი მასრაშეკრულია, ცენტრალურლიღვიანი განიკვეთით, 24 სმ სიგრძისა, მეორე კი გრძელმასრიანია, ცენტრალურლიღვიანი განიკვეთით, 15 სმ სიგრძისა. სამაროვანი ძვ.წ. V-III სს. თარიღდება (Тушишвили и др., 1987, გვ. 17, ტაბ. XXVII<sub>6, 15</sub>). ყანჩათის სამარხში, სადაც ექვსი შუბისპირიდან ერთი ნაგრძელბულრომბისებრიპირიანია (გაგოშიძე, 1964, გვ. 52-53, ტაბ. XI<sub>36</sub>), გრძელმასრიანი, ცენტრალურლიღვიანი განიკვეთით, 21 სმ სიგრძისა. ეს სამარხი ძვ.წ. IV ს-ის დასასრულითა და ძვ. წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება (Lordkipanidze., 2001, გვ. 180-182). კამარახევის სამაროვანზე, №№ 131 სამარხში, რომელიც ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება, ერთი ნიმუშია, მასრაგახსნილი, მკაფიო კუთხეებით მხართან (ჯღარკავა, 1982, სურ. 1385). ციხედიდის სამაროვანზე, № 15 ქვაყუთში, ძვ. წ. IV-III სს. (Апакидзе и др., 1987, გვ. 47, ტაბ. XCIV<sub>3</sub>). ნაგრძელბუღი რომბისებრი შუბისპირების გრძელმასრიანი სახესხვაობანი ნაპოვნია ნაცარგორას სამაროვანზე, №№ 78, 49, 93, 351, 479 სამარხებში, განიკვეთში ცენტრალურლიღვიანები (ს. № 78, 479, 93, 351) და რომბულგანიკვეთიანი (ს. № 49).

ეცოს სამაროვანზე (თეთრიწყაროს რ-ნი) აღმოჩენილია თერთმეტი შუბისპირი. 120 გათხრილი კომპლექსიდან იარაღს შეიცავდა 37. შუბისპირები აღმოჩენილია №№ 23, 41, 55, 59, 72, 80, 86, 94, 96, 120 სამარხებში, რომლებიც ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება (შატბერაშვილი, 1999). საყურადღებოა, რომ ეცოს სამარხებში სატყვარი და მახვილი არ არის ნაპოვნი.

ეცოს სამაროვანზე შუბისპირთა რამდენიმე ნაირსახეობაა ნარმოდგენილი (№№ 86, 120, 96, სამარხების შუბისპირები დაშლილია და ფორმა არ ისახვლვრება): წაგრძელებული რომბისებრი თავისი გრძელმასრიანი და გრძელპირიანი ვარიანტებით (ტაბ. XXXII, 6-7) და ე. წ. მომრგვალებულმხრებიანი ფართოპირიანი (ს. № 80, ტაბ. XXXII, 3), რაც იმის მაუწყებელია, რომ ძვ. წ. IV-III სს. ეს ფორმები თანაარსებობს.

როგორც ზემოთ ითქვა, წაგრძელებულრომბისებრი მოყვანილობის შუბისპირებს შორის არის ისეთები, რომელთა უდიდესი სიგანე ბევრად აღემატება მასრის სიგანეს (ტაბ. XXXII, 5), რაც წაგრძელებულრომბისებრ ფართოპირიან ნიმუშს გვაძლევს. მათ, როგორც წესი, ცენტრალურლიღვიანი განივკვეთი აქვთ.

ამდაგვარი შუბისპირები აღმოჩენილია: ეცოს სამაროვანზე, ძვ. წ. IV-III სს სამარხებში №№ 55, 59, 82, 94 (შატბერაშვილი, 1999, ტაბ. 3, 4), 20-22 სმ სიგრძისა. ვარსიმანთკარის სამაროვანზე (ძვ. წ. V-IV სს.), №№ 3, 5, 9, 12 სამარხებში, ერთიც — შემთხვევითი აღმოჩენა ( ნითლანაძე, 1983, გვ. 52, ტაბ. XVIII, 1; XIX, 1; XXI, 4; XXIII, 3, 4). სიგრძე მერყეობს 10-35 სმ შორის. ვარსი-მანთკარის სამაროვანი თანადროულ

სამარხებს მოიცავს და პარალელური მასალის საფუძველზე ძვ. წ. V-IV სს-ით არის დათარიღებული (ნითლანაძე, 1983, გვ. 75). ამ ტიპის შუბისპირი უფლისციხეშიც აღმოჩნდა ძვ. წ. IV სს-ის დასასრულით დათარიღებულ კომპლექსში (ყიფიანი, 2000, გვ. 74). ნაცარგორაზე ამგვარი შუბისპირი №№ 104, 84 სამარხებშია ნაპოვნი (№№ 353, 292), 35-38 სმ სიგრძისა (ტაბ. XXXII, 5). ირკვევა, რომ წაგრძელებულრომბის მოყვანილობის ფართოპირიანი ნიმუშები ჯერჯერობით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი და ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება. საყურადღებოა, რომ ამ ტიპის შუბისპირები კავკასიის ალბანეთში ძვ. წ. IV-III სს-ში გვხვდება — შემახაში, რუსტოვში (Халилов, 1985, გვ. 94-95, 98, ტაბ. I<sub>26,27</sub>).

კიდევ ერთ ნაირსახეობას გვაძლევს შუბისპირები, რომელთა მასრა თანდათან გადადის პირზე. ამ უკანასკნელს მრუდხაზოვანი გვერდები აქვს და უდიდეს სიგანეს პირის შუა ნაწილში აღწევს, ვინროვდება პირის სიგრძის ბოლო მესამედში, მასრა გახსნილია, კონუსური (ტაბ. XXXII, 2).

ამ ტიპის შუბისპირები აღმოჩენილია გუადიხუს სამაროვნის ძვ. წ. VI-IV სს. შემდეგ სამარხებში: №№ 2, 7, 23, 19 და 8 (Тр., 1969, გვ. 62, სურ. 3-ის 2, 6-ის 2 და 3, ტაბ. II<sub>1,2,3,10</sub>; XXXIII<sub>6</sub>); სოხუმის მთაზე, № 9 სამარხში, სადაც სამი, ზუსტად ერთნაირი, მაგრამ სამი განსხვავებული ზომის შუბისპირი აღმოჩნდა შესაბამისი სამი მუჯირით (კალანდაძე, 1953, ტაბ. IX<sub>7,12</sub>). ამ ტიპის შუბისპირები ნაპოვნია კამარახევის სამაროვანზე, ძვ. წ. IV-III სს-ის სამარხებში (სამარხები №№ 6, 11, 24; ჯღარკავა, 1982, გვ. 144, 148, სურ. 71, 951, 976) და ეშერაში (იხ.

Арх. СССР, 1985, ტაბ. 140<sub>6</sub>).

მსგავსი შუბისპირები დნებრისპირეთში ძვ. წ. V ს-ში ჩნდება და ძვ.წ. V-IV სს-თვისაა დამახასიათებელი: პირის კიდეებს მრუდი კონტური აქვთ, მოკლე მასრა (Петренко, 1967, გვ. 48, 54; ტაბ. 36-ის 1, 2, 3). ასევე, ამ ტიპისად შეიძლება მივიჩნიოთ ვოლგისპირეთის მრუდკონტურიანი პირის მქონე შუბისპირები (იხ. Хазанов, 1971, ტაბ. XXIV<sub>5,7,8</sub>; XXV<sub>1,3</sub>; XXVI<sub>4</sub>); ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში ძვ.წ. დასასრულის საუკუნეებითა და ახ.წ. დასაწყისით თარიღდება (Хазанов, 1971, გვ. 46-47). მათ მოკლე მასრა აქვთ, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, ირგვლივი ლილვი აქვს ბოლოზე შემოვლებული. ჩრდილოეთ კავკასიის სიძველეთა შორის ძვ. წ. III-I სს-ით დათარიღებულ კომპლექსებშიც გვხვდება მსგავსი შუბისპირები (Арх. СССР, 1985, ტაბ. 110<sub>6</sub>).

ასე რომ, ზემოთ მოხსენებული შუბისპირები საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. VI-III სს-შია გავრცელებული.

აღსანიშნავია, რომ კამარახევის სამაროვანზე ნაპოვნია შუბისპირები, რომელთა დაცულობა არ იძლევა ტიპის განსაზღვრის საშუალებას. ასეთია ოცდაერთი ნიმუში. ვიცით მხოლოდ, რომ ყველა მასრაგახსნილია და თარიღდება ძვ.წ. V-III სს-ით (ჯღარკავა, 1982, გვ. 169).

ცალკე ტიპშია გაერთიანებული შუბისპირები, რომელთაც აქვთ მომრგვალებული მხრები; სწორი, წვერისკენ თანდათან ან მკვეთრად დავიწროებული გვერდები; ამ ტიპის შუბისპირები უდიდეს სიგანეს მასრისკენ აღწევს. მასრა ღრუა, კონუსური, გახსნილი (ტაბ. XXXII,3); განივკვეთის მიხედვით გვხვდება ცენტრალურილივიანი და რომბულგანივკვეთიანი; პრო-

პორციების მიხედვით რამდენიმე ვარიანტს გვაძლევს – გრძელმასრიანი; ფართოპირიანი; ვიწროპირიანი.

ყველაზე ადრეული ნიმუშები ამ ტიპის შუბებისა აღმოჩენილია წითელი შუქურას და გუადიხუს უფროსი ჯგუფის სამარხებში; წითელი შუქურას სამაროვანზე ასეთი შუბისპირი აღმოჩენილია № 4 სამარხში, სადაც მასთან ერთად წაგრძელებული რომბის ფორმის ფართოპირიანი ნიმუშიცაა წარმოდგენილი (Тр., 1969, ტაბ. VI<sub>12-13</sub>). ეს სამარხი ძვ. წ. VI-V სს-ითაა დათარიღებული. გუადიხუს უფროსი ჯგუფის სამარხი № 7, სადაც ამ ტიპის შუბისპირია აღმოჩენილი, ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება (Квирквелия, 1981, გვ. 7).

ბეშთაშენის სამაროვანზე 5 ასეთი შუბისპირი გვაქვს, №№ 2, 7, 6, 35 და 36 სამარხებიდან. აქედან № 7 სამარხის ნიმუში ფართოპირიან და გრძელმასრიან ვარიანტს მიეკუთვნება. ეს სამარხები, როგორც ითქვა, ძვ. წ. V-IV სს-ით თარიღდება. ასეთივე შუბისპირები გვხვდება ეცოს სამაროვანზე, № 80 და № 2 სამარხში; ფართოპირიანი ცენტრალურილივიანი (შატბერაშვილი, 1999, ტაბ. 1, 5, 6) — ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევარის სამარხებში. ისინი მკაფიოდ ფართოპირიანებია, მომრგვალებული მხრებით (ტაბ. XXXII,3). ამ ტიპისაა ვარსიშაანთკარში აღმოჩენილ შუბისპირთაგან ერთი, რომელიც ძვ. წ. V-IV სს-ით თარიღდება, როგორც მთელი სამაროვანი და აქ საყურადღებოა, რომ მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირი მკაფიოდ ფართოპირიან, წაგრძელებულრომბული მოყვანილობის ნიმუშებთან თანაარსებობს (წითლანაძე, 1983, ტაბ. XVIII, 8, 508). ანალოგიური ფორმის შუბისპირებია ნაპოვნი

ყანჩაეთის ძვ. ნ. IV ს-ის დასასრულისა და ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისის სამარხში (გაგოშიძე, 1964, გვ. 52, № 34, 35; იხ. . Lordkipanidze, 2001, გვ. 182). ყანჩაეთში სულ 4 შუბისპირი იყო, აქედან სამის პირისამარხში ჩადების წინ საგანგებოდ იყო მოხრილი. ამ ტიპის შუბისპირების სიგრძე მერყეობს 25-36,5 სმ შორის. მსგავსი შუბისპირებია ნაპოვნი სანთას სამაროვანზე, № 1, 2 ქვაყუთებში, ორი № 1 სამარხში და ერთი - № 2 სამარხში. ეს სამარხები ძვ. ნ. V-IV სს-ით თარიღდება (გაგოშიძე, 1982, გვ. 41, ტაბ. IV, 1<sub>2,3</sub>, ტაბ. V, II-3). ასეთივე შუბისპირია ნაპოვნი თაშბაშის სამაროვნის № 3 სამარხში, ქვაყუთში, რომელიც ძვ. ნ. V-IV სს-ით თარიღდება სანთის ქვაყუთების მსგავსად (გაგოშიძე, 1982, გვ. 57, ტაბ. VIII, III<sub>1</sub>). მომრგვალებულმხრებიანი ექვსი შუბისპირი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე; აქედან სამი — ჩრდილო-დასავლეთი სასიმაგრო ნაგებობის გათხრებისას, ძვ. ნ. I ს-ის ალიზის კედლის ნანგრევებში. ისინი შეკრულმასრიანებია, აქვთ ცენტრალურლიღვიანი განივკვეთი (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 182; თავაძე და სხვ., 1976, გვ. 215, ტაბ. 138,1; 155, 1-6); შემდეგი სამი შუბისპირი კი აღმოჩნდა თორმეტსაფეხურიან საკურთხეველთან „საგანძურში,” რომელიც ძვ. ნ. I ს-თა დათარიღებული (ფირცხალავა, ყიფიანი, 1986, გვ. 75, სურ. 55, 1-3). ზომით ექვსივე ერთნაირია - 21-21,5 სმ სიგრძისა. ამ ტიპის შუბისპირები გვიანანტიკური ეპოქისთვისაც ჩანს დამახასიათებელი, ისინი უმეტეს შემთხვევაში შეკრულმასრიანებია და შედარებით დიდი ზომებით გამოირჩევიან — 35-45 სმ. ამ ხანის მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირები ნაპოვნი როგორც

დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — არაგვის ხეობაში — ჟინვალის, წიფრანისძირისა და ნეძიხის სამაროვნებზე, ახ. ნ. II-IV სს (ჩიხლაძე, 1999, გვ. 70, ტაბ. XX, 352. VI, VII), კლდეეთის სამაროვანზე, ახ. ნ. II ს-ის სამარხებში (ლომთათიძე, 1957, გვ. 149, ტაბ. XXI, 2 ა-დ, სურ. 29), ფერეთაში, გორაში, ჩხორონწყუში, ახ.ნ. II-1 სს. კომპლექსებში (ხარაბაძე, 2004, გვ. 165, ტაბ. I, 1-2), ძვერში ახ.ნ. II ს-ის სამარხში (ფუთურიძე, 1959, ტაბ. V, 10-11), მოდინახეს სამაროვანზე, ახ.ნ. IV ს-ის სამარხებში (ნადირაძე, 1975, გვ. 59, ტაბ. XX, 1-2), ეს უკანასკნელი აღჭურვილია რკინისავე ოთხკუთხაგანივკვეთიანი ე. ნ. სამხრეულით, რომელიც შეკრულ მასრაზეა მიმაგრებული და განკუთვნილია შუბისპირის ტარზე მოსარგებად. როგორც ვხედავთ, მომრგვალებულმხრებიანი და სწორპირისკიდიანი შუბისპირები დიდ ქრონოლოგიურ შუალედს მოიცავს — ძვ. ნ. VI-1 სს. ახ. ნ. IV სს. და სხვა ტიპის - ნაგრძელებულრომბისებრპირიანი ნიმუშებთან ერთად გვხვდება. ისინი მსგავსია ჩრდილოეთ კავკასიაში (Виноградов, 1972, ტაბ. 47<sub>1,2</sub>), ვოლგისპირეთში (Хазанов, 1971, ტაბ. XXIV, 1, 2, 5, 6, 7) ნაპოვნი შუბისპირებისა.

მომრგვალებულმხრებიანი და ცენტრალურლიღვიანგანივკვეთიანი შუბისპირები ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი დიდ ტერიტორიაზე და ტრანსკავკასია ამ მხრივ გამოწკიცის არ წარმოადგენს. ისინი ხშირად გვხვდება ანტიკურის წინარე ხანაში და ჩანს, რომ ეს ფორმა შუბის არსებობის ყველა ეპოქაში იყო ცნობილი.

ზემოგანხილულ შუბისპირთაგან სრულიად განსხვავებულ ტიპს ჰქმ-

ნიან შუბისპირები, რომელთაც გვერდ-შეზნექილი სამკუთხედის ფორმა აქვთ (ტაბ. XXXII,8). მათ აქვთ გრძელი და ვიწრო, კონუსური, გახსნილი მასრა, რომელიც პირს მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი უერთდება. სამკუთხა პირის ქვედა გვერდის შეზნექილობით ორი ნვეტიანი „ფრთა“ მიიღება, რომელიც შუბისპირს ნაგრძელებული დიდი ისრის იერს აძლევს (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 181). ზოგჯერ სამკუთხედის ქვედა გვერდი მკვეთრად, კუთხითაა შეზნექილი და ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ შუბისპირს აქვს გვერდ-შეტეხილი სამკუთხედის ფორმა (ტაბ. XXXII,9). მათზე შეიმჩნევა ქედი. ამ ტიპის შუბისპირების სიგრძე მერყეობს 21-27 სმ შორის, ფრთებსშორისი მანძილი საშუალოდ 5 სმ-ია, პირის სიგრძე 13-14 სმ; მასრის სიგრძე 13 სმ-სა და 17 სმ-ს შორის ვარირებს, რომელიც ხშირად ნაკლულია.

ამ ტიპის შუბისპირები აღმოჩენილია სოხუმის მთის № 2 და 5 სამარხ-ეულ კომპლექსებში (კალანდაძე, 1953, ტაბ. VIII, 8, 22); ვანის № 2 სამარხში (Хоштариа, 1979, გვ. 115; ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 181, სურ. 137, 1-3); დაბლაგომის სამარხში (თოლორდავა, 1976, სურ. 117). სოხუმის მთის № 2 კომპლექსი, როგორც ითქვა, ძვ. წ. V-IV სს-ის მიჯნითა და ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. სოხუმის მთის № 5 კომპლექსი კი, რომლის რკინის ინვენტარი მსგავსია სოხუმის მთის № 2 კომპლექსის იარაღისა (იდენტური სატევარი, ცული, სამკუთხაპირიანი შუბისპირი), მათ სინქრონულობაზე მიგვანიშნებს. ამავე დროს, სოხუმის მთის № 3 კომპლექსი, რომელიც № 5 სამარხის ანალოგიურ ცულს შეიცავს

(კალანდაძე, 1953, ტაბ. VIII), ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება შავლაკიანი კანთაროსის მიხედვით (Thompson, 1934, გვ. 315, 319; სურ. 5.29; Иванов, 1963, გვ. 196).

რაც შეეხება დაბლაგომის ე. წ. მდიდრულ სამარხს, რომელშიც სამკუთხაპირიანი შუბებია, ამ სამარხის შემადგენლობაში მყოფი ნივთები აკონკრეტებენ სამკუთხაპირიანი შუბების თარიღს: ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნა და ძვ. წ. III ს-ის დასაწყისი (თოლორდავა, 1976, გვ. 76-77). ძვ. წ. III ს-ით თარიღდება ასევე ვანის № 2 სამარხი (Хоштариа, 1979, გვ. 115; ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 181).

შეზნექილგვერდიანი სამკუთხედის ფორმის შუბისპირები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. VI საუკუნიდან ჩნდება და განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ძვ. წ. IV-III სს-ში დნეპრისპირეთის დიდ ყორღანებში (Петренко, 1967, გვ. 49, ტაბ. 36-ის 16-22; ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 181). სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტიპის შუბისპირებს ხელშუბისპირებად მოიხსენიებენ (Петренко, 1967, გვ. 49).

საყურადღებოა, რომ ვანის № 2 სამარხში სამკუთხაპირიანი შუბი აღმოჩენილია რკინის ბექთარის ფრაგმენტებთან ერთად, რაც მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ სამარხი მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანს ეკუთვნოდა (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 181). გარდა ამ ტიპის შუბისპირებისა, ამავე სამარხში იყო ორი ე. წ. ვიწროპირიანი შუბისპირი, ეს ფაქტი სოხუმის მთის № 2 და დაბლაგომის მდიდრულ სამარხშიც ფიქსირდება — ერთდროულად ერთ სამარხში რამდენიმე შუბისპირია — ვიწროპირიანი, სამკუთხაპირიანი და ნაგრძელებულრომბული.

სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც ითქვა, სამკუთხაბრძოლის შუბისპირებს ხელშეუბისპირებად მიიჩნევენ. რთული განსასაზღვრია, თუ რომელია „მძიმე საძგერებელი“ ან „მსუბუქი სატყორცნი“ შუბი. ერთი რამ კი ცხადია, რომ ერთსა და იმავე კომპლექსში განსხვავებული ტიპის შუბისპირების აღმოჩენა მათ გარკვეულ ფუნქციონალურ დატვირთვაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამკუთხაბრძოლის შუბები დასავლეთ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი ძვ. წ. IV-III საუკუნეებში და ვინაობრიანი და წაგრძელებული რომბისებრი შუბების პარალელურადაა ხმარებაში.

როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, ანტიკური პერიოდის განმავლობაში შუბი ძირითადი საბრძოლო იარაღია საქართველოში. სხვა სახის იარაღთან შედარებით შუბისპირები რიცხობრივად პირველ ადგილზეა, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე თითოეულ კომპლექსში. ამასვე გვიდასტურებს წერილობითი წყაროები — ანტიკური ეპოქის სხვადასხვა ეტაპზე, სადაც კი ქართველური მოსახლეობის შეიარაღების ხსენებაა, ყველგან ფიგურირებს შუბი. ძვ. წ. V საუკუნეში, ჰეროდოტესა და ქსენოფონტის ცნობების თანახმად, შუბები აქვთ კოლხებს, სასპერებს, მოსხებს, მოსინიკებს, ხალიბებს, (ჰეროდოტე, VII, 76, 78, 79, გვ. 435; ქსენოფონტი, IV, 3-4, გვ. 75, IV, 7, 15-16, გვ. 81-82, IV, 8-7, გვ. 87, V, 2, 22, გვ. 95, V, 4, 12-14, გვ. 100, V, 4, 25, გვ. 103). ძვ. წ. I ს-ში სტრაბონის ცნობით შუბოსნები არიან იბერები (სტრაბონი, XI, 4-5, გვ. 133). შუბოსან იბერებს, რო-

გორც განსაკუთრებით ძლიერ მეგრძოლებს, ახსენებს პლუტარქე ძვ. წ. I საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით (ლუკულუსი, 31).

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში რამდენიმე შუბი იდება ერთად, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, სადაც თითო სამარხში თითო შუბია წარმოდგენილი, ან, იშვიათად, ორი. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ კომპლექსში შუბის სამარხში ჩატანების გარკვეული წესი შეინიშნება. მაგალითად, ვანის № 9 სამარხში მეომარს სამი მხრიდან ჰქონდა შემონყობილი 53 შუბი, ხოლო № 2 სამარხში შუბები წვერებით ერთ მხარეს — დასავლეთისაკენ იყო მიმართული (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, გვ. 202; Хоштария, 1979, გვ. 116). ვარსიმეანთკარის № 3 სამარხში შუბი ვერტიკალურად იყო ჩარჭობილი (წითლანაძე, 1983, გვ. 54), ხოლო გუადიხუს უფროსი ჯგუფის № 19 და ყანჩაეთის სამარხებში საგანგებოდ მოღუნული შუბისპირები დაფიქსირდა, რაც დაკრძალვის თავისებური რიტუალითაა ახსნილი (Tr., 1969, გვ. 63; გაგოშიძე, 1964, გვ. 52). ეს ფაქტი თრიალეთში გვიანი ბრინჯაოს ხანაშიცაა ცნობილი (Куртин, 1941, გვ. 66), სამთავროს სამაროვანზე კი ძვ. წ. VIII-VII სს. კომპლექსებში გვხვდება (აბრამიშვილი, 1957, გვ. 140). შუბები დამტვრეული სახით თავსდებოდა ყუბანისპირეთში გათხრილ სამარხებშიც (Хазанов, 1971, გვ. 45).

როგორც ზემოთაც ითქვა, ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ტიპის შუბის თანაარსებობა ერთსა და იმავე ხანაში, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ ერთ სამარხში ერთი ტიპის, მაგრამ მკაფიოდ განსხვავებული ზომის შუბი-



სპირების არსებობა. მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ვანის № 9 სამარხი (ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი), სადაც სახეზეა ვინროპირიანი და წაგრძელებულრომბისებრი შუბისპირები ოთხი განსხვავებული ზომისა. მსგავს მოვლენას ვხვდებით სოხუმის მთის № 6 სამარხშიც (ძვ. წ. IV-III სს.), ნითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხში (ძვ. წ. V ს.), დაბლაგომში (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი). ის, რომ ერთ მეომარს რამდენიმე სახის შუბს ატანდნენ სამარხში, გვკარნახობს აზრს შუბების განსხვავებულ ფუნქციაზე. შედარებით მსუბუქი შუბები სატყორცნი შეიძლებოდა ყოფილიყო, სხვა — საძგერებელი. არის აზრი, რომ ვინროპირიანი შუბები გამიზნული იყო აბჯრის გასარღვევად და ქვეითი ლაშქრისთვის მოსახერხებელი იქნებოდა შეჯავშნულ ცხენოსანთან შესაბამელად (Хазанов, 1971, გვ. 48). საყურადღებოა, რომ საქართველოში ჭარბობს სწორედ ვინროპირიანი შუბები.

ქართველური მოსახლეობის შუბების მრავალფეროვნებაზე მოგვითხრობენ ნერილობითი წყაროებიც. ჰეროდოტე და ქსენოფონტი არა მხოლოდ ასახელებენ ქართველური მოსახლეობის შეიარაღების კატეგორიებს, არამედ ხშირ შემთხვევაში მათ აღწერას გვთავაზობენ. ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხებს ჰქონდათ „მოკლე შუბები“ — ხოლო მოსხების „შუბის წვერები გრძელი იყო“ (VII, 78-79), ხალიბებში კი „თითოეულს ორი შუბი ეპყრა“ (VII, 76). იგივე ხალიბებს, ქსენოფონტის მიხედვით, „ეკავათ ხუთი წყრთის სიგრძის შუბები, რომელთაც მხოლოდ თითო შუბისპირი ჰქონდათ“ (IV, 7, 15-16). ამ ცნობაში ხაზგასმუ-

ლია განსხვავება ბუნიკიანი შუბისაგან, რომელიც ქსენოფონტს ხვდება პირიქითელ მოსინიკებთან — მათ ეკავათ „მარჯვენა ხელში ექვსწყრთიანი შუბი, რომელსაც თავში წვეტი ჰქონდა, ბოლოში კი სფერო“ (V, 4-12). თუ გავითვალისწინებთ, რომ წყრთა 45 სმ ტოლია (მიქელაძე, 1967, გვ. 28), ეს ყოფილა 2,70 მ. სიგრძის შუბი, რომელსაც თავში აქვს შუბისპირი, მეორე ბოლოზე კი სფერული ბუნიკი.

მოსინიკების შეიარაღებაში ქსენოფონტი, თვითმხილველი ამ მოვლენებისა, მკვეთრად მიჯნავს სატყორცნ შუბს საძგერებლისაგან და ასე ახასიათებს მას — მოწინააღმდეგემ მათ „დაუშინა შუბები. სხვებსაც ჰქონდათ შუბები, მაგრამ იმდენად მსხვილი და გრძელი, რომ კაცი ძნელად თუ შეძლებდა მის ტარებას. ამ შუბებით ცდილობდნენ ისინი ელინების მოგერიებას ხელჩართულ ბრძოლაში“ (V, 4-25). არქეოლოგიურ მონაპოვარში ჩვენ ვერ ვარჩევთ შუბისპირებს შორის სატყორცნ და საძგერებელ ნიმუშებს, მაგრამ ასეთი უთუოდ იქნებოდა. ძვ. წ. V საუკუნისათვის, წყაროების ზემომოტანილი ცნობების დროისათვის, ჩვენ გვაქვს შემდეგი ტიპის შუბისპირები — ვინროპირიანი, წაგრძელებულრომბისებრი, მომრგვალებულმხრებიანი ნიმუშები თავისი გრძელპირიანი და მოკლეპირიანი ვარიანტებით. ასეთივე სურათია მომდევნო საუკუნეებშიც. აქედან პირველი ჯგუფის შუბისპირები, როგორც ზემოთაც ითქვა, ძვ. წ. III ს-ის ჩათვლით მხოლოდ გავრცელებული და ისიც ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოში. წაგრძელებულრომბული და მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირები მთელი ანტიკური ეპოქის

მანძილზე გვხვდება პირის მოკლე და გრძელი, ვიწრო და ფართო ვარიანტებით. მრუდგვერდებიანი ნიმუშები ძვ. წ. VI-III სს. გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო შეზნექილგვერდიანი სამკუთხედისებრპირიანი შუბისპირები საქართველოში ჩნდება ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს და გვხვდება ძვ. წ. IV ს-ის დასასრულითა და ძვ. წ. III ს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. უკანასკნელი ტიპის შუბები მხედრის შეიარაღებადაა მიჩნეული (Арх. СССР, 1985, გვ. 93, ტაბ. 31, 38).

შუბის დანიშნულებაზე წარმოდგენას შეგვიქმნიდა შუბის სიგრძე, რასაც მოკლებული ვართ შუბის ტარების შემოუნახაობის გამო. გრძელი შუბები უპყრიათ ხელთ ბოსფორის აკლდამების კედლებზე გამოსახულ მხედრებს, ასევე ფრესკებსა და რელიეფებზე წარმოდგენილ ირანელ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსნებს (Хазанов, 1971, გვ. 49). საქართველოში, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, არ ჩანს მასშტაბურად მძიმედ შეიარაღებული მხედრობა. ვგულისხმობთ სხვა კულტურებთან შედარებით ცხენის ჩონჩხისა და ცხენის აკაზმულობის სიმცირეს საქართველოს კომპლექსებში.

შუბი საქართველოში მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში ძირითადი საბრძოლო იარაღია და შუბისპირის ფორმისა და პროპორციების მიხედვით ხუთ განსხვავებულ ტიპს გვთავაზობს თავისი ვარიანტებით.

**საბრძოლო ცულები.** შეტევითი შეიარაღების სახეობას განეკუთვნება ცული, რომელიც გამოიყენებოდა შეტევითი ხელჩართული ბრძოლისას. ხის ტარზე დაგებული რკინის ეს იარაღი

შედგება ყუისაგან, სატარე ხვრელისა და პირისაგან (ტაბ. XXXIII, 4). საქართველოში ანტიკურ ხანაში გავრცელებული რკინის საომარი ცულების კლასიფიკაციისათვის ამოსავალია ცულის ნაწილების მოყვანილობა, განივკვეთი და პროპორციები. მისი აღწერისას გამოყოფილია შემდეგი მახასიათებლები: ცულის ყუა შეიძლება იყოს მოკლე ან გრძელი, ოთხკუთხა ან მრგვალგანივკვეთიანი, ყუის თავი დაბრტყელებული ან გამობერილი. სატარე ხვრელი შეიძლება იყოს ოვალური ან მრგვალი, სატარეს პროფილი გვერდიდან შეიძლება იყოს შესქელებული, მკაფიოდ გამოყოფილი, კუთხოვანი.

ცულის პირი შეიძლება იყოს ასიმეტრიული, რაც ნიშნავს, რომ სატარედან პირი არათანაბრად ფართოვდება (ტაბ. XXXIII, 1,3), და სიმეტრიული, ანუ პირი სატარედან თანაბრად ფართოვდება ორივე მხარეს (ტაბ. XXIII, 2). ცულის იერს განსაზღვრავს თანაფარდობა საერთო სიგრძესა და პირის უდიდეს სიგანეს შორის, რის მიხედვითაც ვლებულობთ ფართოპირიან ნიმუშებს, როცა პირის სიგანე უახლოვდება ან უტოლდება ცულის საერთო სიმაღლეს (ტაბ. XXXIII, 2) და ვიწროპირიან ნიმუშებს, რომელთა პირის სიგანე საერთო სიგრძეზე ნაკლებია ორჯერ ან მეტჯერ (ტაბ. XXXII, 3). ცულის სატარედან უშუალოდ პირზე გადასვლის ხასიათის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ცულის პირს სატარე ვიწრო ყელით უერთდება (ტაბ. XXXIII, 1).

ზემოხსენებული მახასიათებლების მიხედვით გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი: პირველისათვის დამახასიათებელია მოკლე ოთხნახნაგა ყუა — ე. წ. ჩაქურჩისებრი; ყუის თავი დაბრტყე-

ელებული; სატარე ხერელი ოვალურია; პირი ასიმეტრიულია, სატარედან არათანაბრად ფართოვდება; პირის სიგანე ცულის საერთო სიმაღლის ნახევარია ან ნაკლები (ტაბ. XXXIII, 3). ამ ტიპის ცულები აღმოჩენილია: გუადიხუს უფროსი ჯგუფის №№ 1, 2, 7, 8, 13, 31, 32 კომპლექსებში (Tr., 1969, გვ. 56, ტაბ. II-6, 9, 11; სურ. 6); ზომები ვარირებს 14,5 სმ x 7 სმ, 12,5 სმ x 5,5 სმ შორის. ყველა ერთი ტიპისაა, რამდენადმე განსხვავებულია № 7 კომპლექსის ეგზემპლარი (Tr., 1969, სურ. 4, 3), რომელსაც აქვს დავინროებული ყელი და გაფართოებული პირი (სიმაღლე — 15 სმ, სიგანე — 8 სმ). ნითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის №№ 4 და 38 კომპლექსებში (Tr., 1969, გვ. 183, ტაბ. XIX-10, 11), 12,5-13,5 სმ სიგრძისა და 5,5-6 სმ სიგანის. სოხუმის მთაზე, №№ 10 და 12 სამარხებში (კალანდაძე, 1954, ტაბ. IX, 13; XI, 1). ეშერაში (Шамра, 1980, ტაბ. XII, 4). დაბლაგომში (Куфтин, 1950, გვ. 36, ტაბ. 11, 1, 2; დავლიანიძე, 1983, გვ. 52). ძვერულჰესში (ჩხარის რ-ნი), ელინისტური ეპოქის სამაროვნიდან (Куфтин, 1950, გვ. 198, სურ. 53-7). ქუთაისში; კერზუში (დავლიანიძე, 1983, გვ. 52). ბრილში (გობეჯიშვილი, 1952, გვ. 99, ტაბ. XV). ბეშთაშენში, სამხრეთი უბნის № 49 ქვაყუთში, მანგლისში, № 3 აკლდამაში; გომარეთში, 11,5 სმ სიგრძისა და 5 სმ სიგანისა. ასურეთში, სანთაში, № 2 ქვაყუთში (დავლიანიძე, 1983, გვ. 50, 139; ტაბ. VII, 17, 23; XVI, 6). ეცოს სამაროვანზე (შატბერაშვილი, 2003, გვ. 121, ტაბ. III, IV, VI), №№ 69, 72, 95, 107 კომპლექსებში. რაც შეეხება პირველი ჯგუფის ტიპის ცულების შემცველი კომპლექსების თარიღს, გუადიხუს, ნითელი შუქურას და ბეშთაშენის კომ-

პლექსები ძვ. წ. VI-V სს. თარიღდება (Квирквелия, 1981, გვ. 6; დავლიანიძე, 1983, გვ. 114). გომარეთის ცული თითქმის იმეორებს ბეშთაშენისა და მანგლისის, ასურეთის, სანთის ცულების ფორმებს, მაგრამ შედარებით გვიანი ხანით თარიღდება პარალელური მასალით — ძვ. წ. IV-III სს. ასეთივეა ეცოს რკინის ცულებიც, რომლებიც ძვ. წ. IV-III სს-ით დათარიღებულ კომპლექსებშია აღმოჩენილი (შატბერაშვილი, 1999, გვ. 63, ტაბ. 58). ამ ცულებს შორის ერთს, № 72 სამარხისას, უკვე ემჩნევა ძვ. წ. III-II სს-ის ცულებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია — მოკლე, ვიწრო ყუა, ასიმეტრიულად გაფართოებული პირი, დავინროებული წელი.

ე.წ. ჩაქუჩისებრყუიანი საომარი ცულის ჩვენს მიერ განხილული ტიპი, ითვლება, რომ ე. წ. ბრინჯაოს კოლხური ცულის ერთ-ერთი ტიპის განვითარების შედეგად მიღებული ფორმაა (Tr., 1969, გვ. 58). საქართველოს გარეთ მსგავსი ცულები ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიიდან, ნესტოროვოს სამაროვნის სამარხში (Крупнов, 1960, გვ. 277, სურ. 45; 21, 7).

ამ ტიპისაა აგრეთვე რკინის ცულები, რომლებიც ლურისტანშია აღმოჩენილი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის სამარხებში: ბარდ-ი ბალის ნეკროპოლის № 54 სამარხი — ძვ. წ. 1000-750 წწ. თარიღდება, ხოლო შალა შური-ს № 1 სამარხი, სადაც მსგავსი ცულები იყო აღმოჩენილი, ძვ. წ. 750 წ. (Vanden Berghe, 1973, სურ. 19, 27).

რკინის საომარი ცულების მეორე ტიპისთვის დამახასიათებელია მოკლე ყუა, ყუის თავი დაბრტყელებული ან გამობერილი; სატარე ხერელი ოვალურია, გვერდიდან მკვეთრად გამოყო-

ფილი; სატარეს პირი ვინრო ნელით უერთდება, შემდეგ კი უცებ ფართოვდება და საკმაოდ განიერ პირს ჰქმნის, რომელიც ზოგჯერ ცულის საერთო სიმაღლეს უტოლდება. პირი მეტწილად ასიმეტრიულია, გვხვდება სიმეტრიულპირიანი ნიმუშებიც (ტაბ. XXXIII, 1,2). ამ ტიპის ცულებისთვის დამახასიათებელია ის, რომ სატარე ხვრელთან ჰორიზონტალური გაზიდულობანი ჩნდება. ამ დეტალით ცული ტარზე მორგებულია და მდგრადობას იარაღი ტარიანად უკეთ ინარჩუნებს. ესაა ერთგვარი დიზაინური სიახლე ცულის ტექტონიკური სრულყოფის გზაზე. სწორედ ეს ნიშანი განაპირობებს ამ ტიპის თავისებურებას ვინრო ნელთან და განიერ პირთან ერთად (ტაბ. XXXIII, 1).

ამ ტიპის ცულები აღმოჩენილია სოხუმის მთის №№ 2, 3, 4, 5, 6 და 8 კომპლექსებში (კალანდაძე, 1953, ტაბ. VIII, 1; 10, 11, 17, 20; IX, 1, 15), სიმაღლე მერყეობს 12-17 სმ-ს შორის, სიგანე № 6, № 3 სამარხების ცულებისა სიგრძეს აღემატება, ხოლო № 2 სამარხის სიმეტრიულპირიანი ცულის პირის სიგანე საერთო სიმაღლის ტოლია: 12 სმ x 12 სმ (ტაბ. XXXIII, 2).

ასეთია გუადიხუს უმცროსი ჯგუფის სამარხების (№№ 1, 7, 8, 38, 39, 49) რკინის ცულები, ექვსივე ერთი ტიპისაა (Tr., 1969, გვ. 242, 247, 260, ტაბ. XXXIII, 6, 7, 11). სიმაღლისა და სიგანის თანაფარდობა — 14,5 x 13 სმ, 14 x 12 სმ; ახვევ ეშერის რკინის ცულები (Шамна, 1980, გვ. 47, ტაბ. XII-XIII), გუდაუთის რაიონში ნაპოვნი (Воронов, 1969, ტაბ. XXXVI, 2), მდ. ბესლეთის ნაპირზე და ბომბორაზე აღმოჩენილი რკინის ცულები (Воронов, 1969, ტაბ. XXXVI, 6,

4; გვ. 53). ამ ტიპის რკინის ცული, სიმეტრიულპირიანი, ყანჩაეთის სამარხშია აღმოჩენილი (გაგოშიძე, 1964, გვ. 52, ტაბ. XI, 33), 11,2 სმ x 10,1 სმ თანაფარდობისა.

ვანში, ძვ. წ. II-I სს. ფენაში, ნაპოვნი რკინის ცული, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ზემოაღწერილი ცულებისაგან. მისი ყუა ვინროა და შედარებით მალალი, მრგვალგანივკვეთიანი (ზემოგანხილული ცულების ყუა ყოველთვის ოთხნახნაგაა) და პირის კიდეები შეზნექილობის შემდეგ ნაკვეთილად ეშვება ბასრი კიდისაკენ (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 182; სურ. 140, 1).

ამ ტიპის ცულების დათარიღება შესაძლებელია სოხუმის მთის № 2 კომპლექსში აღმოჩენილ შავლაკიანი სკიფოსით — ძვ. წ. V-IV სს. (კალანდაძე, 1953, გვ. 27, ტაბ. XI, 1). ანალოგიური შავლაკიანი სკიფოსი ოლინთოდან და აპოლონიიდან ძვ. წ. V-IV სს-ის მიჯნითა და ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (Robinson, 1950, გვ. 302, 308; № 575, 576, 580; Иванов, 1963, გვ. 202-203, ნახ. 78, 498). სოხუმის მთის № 3 კომპლექსში აღმოჩენილია კანთაროსი, რომელიც ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება ათენის აგორასა და აპოლონიის ნეკროპოლის ანალოგიების საფუძველზე (Thompson, 1934, გვ. 315, 319; სურ. 5., 29, გვ. 320; Иванов, 1963, გვ. 196, ნახ. 77, № 480). გუადიხუს უმცროსი ჯგუფის №№ 1, 38 და 39 სამარხებში აღმოჩენილი ცულები ატიკური შავლაკიანი კოტილეს მიხედვით ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება (Tr., 1969, გვ. 242, 260). ეშერის სამარხის მიხედვით, სადაც ამფორა და ამფორისკია დამათარიღებელი, ამ ცულების თარიღად

ძვ. წ. III-II სს. მიიჩნეის (Квирквелия, 1981, გვ. 7).

შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტიპის ცულები, როგორც ასიმეტრიულ, ისე სიმეტრიულპირიანები, ძვ. წ. V-IV სს-ის მიჯნაზე ჩნდება და ძვ. წ. III-II სს-ის ჩათვლით არსებობს. ყველა ზემოგანხილული რკინის ცული განეკუთვნება ე. წ. ჩაქუჩისებრყუიანი საომარი ცულების სახეობას. I ჯგუფის რკინის ცულები დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. VI-V სს-ში გვხვდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, ძვ.წ. V ს-ის გარდა (ბეშთაშენი, მანგლისი), ძვ.წ. IV-III სს-ის კომპლექსებშიც დასტურდება (ეცო, გომარეთი). II ჯგუფის ცულები კი მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული ძვ. წ. IV-III სს.

I ჯგუფის ცულებს პარალელები საქართველოს ფარგლებს გარეთ ეძებნება ჩრდილო კავკასიის თანადროულ მასალებში და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებზე მახლობელი აღმოსავლეთიდან (მაგ. ლურისტანში). II ჯგუფის ცულების მსგავსი საქართველოს ფარგლებს გარეთ ჯერჯერობით არ არის.

ზემოთ განხილული ცულების დანიშნულება საბრძოლოა. იარაღის ეს სახეობა გამოიყენებოდა შეტევითი ხელჩართული ბრძოლისას. ცნობილია მეომრის ქვის ქანდაკება, ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრისა, რომლის მიხედვით წარმოდგენა იქმნება საომარი ცულის ტარების წესზე: ცული მეომარს მარჯვენა გვერდზე ჰკიდია, ქამარზეა მიმაგრებული ტარით ქვემოთ (იხ. Мелюкова, 1952, გვ. 126, 128, სურ. 39). რკინის საომარ ცულს, როგორც მოსინიკების შეიარაღების კომპონენტს, ახსენებს ქსენოფონტი „ანაბასისში“ (V, IV, 13).

რკინის საომარი ცულები ტრანსკავკასიაში ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. ადრეულ ნიმუშებს ახასიათებს მაღალი ყუა, ვიწრო პირი და წაგრძელებული პროპორციები; ასეთია სამთავროს, თლიას, ბრილის, ყულანურხვას, დვანის და ა. შ. რკინის ცულები (Квирквелия, 1981, გვ. 7). ჩვენს მიერ განხილული რკინის ცულები უკვე ის ეტაპია მათ განვითარებაში, როცა ყუა მოკლდება, ფართოვდება პირი და ფორმირდება სატარეს გვერდითი მხარე. ამავე დროს, ჩვენს მიერ I ტიპში გაერთიანებული ცულები ბრინჯაოს კოლხური ცულის ერთ-ერთი ტიპის განვითარების შედეგად მიღებულ ფორმადაა მიჩნეული. იბადება კითხვა, როგორ მოხდა, რომ დროის მოკლე მონაკვეთში — ძვ.წ. VII ს-ის პირველ ნახევარში „ბრინჯაოს კოლხური ცულიდან“ განვითარებული რკინის ცულის ყუა ჯერ დაგრძელდა რკინის „ჩაქუჩისებურყუიანი საომარი ცულების“ სახით, ხოლო შემდეგ, ძვ. წ. VI-V სს-ში დამოკლდა. იქნებ, გრძელყუიანი რკინის ცულები დამოუკიდებელი ფორმაა, ხოლო დაბალყუიანი რკინის ცულები, ძვ. წ. VI-V სს-სა, რომლებიც ბრინჯაოს კოლხურ ცულებსა ჰგვანან, სწორედ რომ ბრინჯაოს კოლხური ცულების ნიადაგზეა შექმნილი? ამაზე თითქოს მიგვანიშნებს ერგეტის № 4 სამარხის ინვენტარი, ძვ. წ. VII ს-სა, სადაც ბრინჯაოს ცულებს ჰგავს გვერდით წარმოდგენილია რკინის მსგავსი ცულები (პაპუაშვილი, 1998, გვ. 13). რკინის ეს ცულები სწორედ რომ შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენს მიერ I ჯგუფში გაერთიანებულ ცულთა წინამორბედ ფორმად.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, რკინის საბრძოლო ცული ძვ. წ. III-II სს-ის ჩათვლითაა პოპულარული საქართველოში და ძვ. წ. I ს-თვის ქრება.

**სატევრები და მახვილები.** მახვილი, ისევე როგორც სატევარი, მშვილდთან და შუბთან ერთად ინდივიდუალური საბრძოლო შეტევითი იარაღის მთავარი სახეობაა, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაში გამოიყენებოდა. სატევარი და მახვილი შედგება ტარისაგან, რომელიც თავის მხრივ იყოფა ტარისთავად და ტარის ღეროდ, პირისაგან და ვადისაგან (ტაბ. XXXVI-XXXVII). ამ ნაწილების არსებობა და მათი მოყვანილობა საფუძვლად უდევს საქართველოში გავრცელებული სატევრებისა და მახვილების კლასიფიკაციას.

მახვილი და სატევარი შეიძლება იყოს ორპირლესული (უპირატესად ასეთებია) და ცალპირლესული. თვითოეული მათგანი შეიძლება იყოს ტარისთავიანი და ყუნწიანი.

ტარისთავიანი რკინის სატევრებსა და მახვილებში ერთი სახეობაა, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ბრტყელი ტარის ღერო; ბრტყელი, განიერი, წვერისკენ თანდათან დავიწროებული პირი; დაქანებული მხრები; სუსტად გაფორმებული ტარისთავი. სიგრძე ამ ნივთებისა 60-85 სმ, სიგანე კი 5,5-6 სმ შორის მერყეობს. ისინი აღმოჩენილია: სოხუმის მთის № 8 სამარხში (კალანდაძე, 1953, გვ. 34, ტაბ. IX<sub>2</sub>); გუადიხუს უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხში (Tr., 1969, გვ. 249, ტაბ. XXXIII<sub>1</sub>), ვანის ნაქალაქარის № 9 სამარხში (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, გვ. 211, სურ. 174; Лордкипаниძე Г., 1978, ტაბ. VIII<sub>6</sub>). ზემოხსენებული სამარხეული კომპლექსები, როგორც არაერთხელ

ითქვა, ძვ. წ. IV-III სს-ის ფარგლებში თავსდება. ასე რომ მახვილების ეს სახეობა ძვ. წ. IV-III სს-თვისაა დამახასიათებელი და ჯერჯერობით მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გვხვდება (ტაბ. XXXVII, 1,4).

ანტიკურ ხანაში საქართველოში გავრცელებულ სატევრებსა და მახვილებს შორის არის ნიმუშები, რომლებიც სპეციფიკური მორფოლოგიური ნიშნებით ხასიათდება. საქმე ეხება სატევრებისა და მახვილების თავისებური ფორმის ვადას, რომელსაც ე. წ. სკვითოლოგიურ გამოკვლევებში „პეპლისებურს“, „გულისებურს,“ ან „თირკმლისებურს“ უწოდებენ და თუ ჩვენ მის აღწერას გეომეტრიულ ფორმებზე დავიყვანთ, ოთხი შეზნექილი რკალის სხვადასხვა კომბინაციას მივიღებთ. ამ თავისებური ფორმის ვადის მქონე სატევრებსა და მახვილებს, როგორც ცნობილია, აკინაკებს უწოდებენ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. აკინაკები ძირითადად წარმოდგენილია საქართველოს ნივთიერ კულტურაში ძვ. წ. VII-VI სს. დათარიღებულ ძეგლებზე, მოგვიანებით კი შედარებით იშვიათად გვხვდება.

სოხუმის მთის სამარხებიდან ცნობილია სამი აკინაკი — №№ 2, 4, 5 კომპლექსებში. აქედან ორი (№№ 2 და 5) ერთი ტიპისაა: აქვთ ბრტყელი ტარის ღერო, შუაში თითქოს დავიწროებული. ტარისთავი სეგმენტისებრგანივკვეთიანია, აზის ოვალური კოპი (ტაბ. XXXVI, 3). მათი სიგრძე 43-45 სმ შორის მერყეობს (კალანდაძე, 1953, ტაბ. VIII<sub>1</sub>, 21). ამდგვარი იყო გუადიხუს უმცროსი ჯგუფის № 8 სამარხის მახვილიც (Tr., 1969, 2, ტაბ. XXXIII<sub>2</sub>). სამივე მახვილს აახლოებს აღმოჩენის არქეოლოგიუ-

რი კონტექსტი: ერთი და იმავე ტიპის ცული და სამკუთხაპირიანი შუბისპირი, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ისინი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. III ს. დასაწყისით თარიღდება (Квирквелия, 1981, გვ. 7). კავკასიის არქეოლოგიურ მასალებში მსგავსი ნიშნების მქონე აკინაკები ძვ. წ. V ს. თარიღდება (Виноградов, 1972, გვ. 102, ნახ. 2, 3, 18, 19, 31, 1, 44, 1).

სოხუმის მთის № 4 კომპლექსის სატევარს (სიგრძე 29,5 სმ) აქვს ტარისთავი, რომლის შვერილების ბოლოები ფრინველის თავის გამოსახულებებითაა დასრულებული (ტაბ. XXXVI, 7). ტარის ღერო სადაა, ზემოთკენ გაფართოებული. პირი სამკუთხაა, ვიწროვდება წვერისკენ (კალანდაძე, 1953, ტაბ. VIII<sub>19</sub>). ზუსტი ანალოგია ამ სატევარს არ ეძებნება (შდრ. Знруева, 1952, გვ. 104, ტაბ. XXI<sub>20</sub>). სოხუმის მთის № 4 სამარხის სატევრის ცალკეული დეტალების მოყვანილობა ხსნის მისი დათარიღების საკითხს: ძვ. წ. V ს-ში ჯერ კიდევ არის ხმარებაში შვერილებიანტარისთავიანი და ე. წ. პეპლისებურვადიანი ნიმუშები, ხოლო ძვ.წ. V ს-ის დასაწყისში ჩნდება ე.წ. ცხოველსახოვანი შვერილები (Мелпокова, 1964, გვ. 60). პეპლისებრი ვადა კი ძვ. წ. V ს-ის დასასრულს ე. წ. ცრუ-სამკუთხა მოყვანილობის ვადით იცვლება. ასე რომ პეპლისებრი ვადისა და ცხოველსახოვანი შვერილების თანაარსებობის ხანაა ძვ. წ. V საუკუნე, უკიდურეს შემთხვევაში, ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისი. სოხუმის მთის სამარხი № 4-იც ამ ხანას უნდა მივაკუთვნოთ. აკინაკისებურია ნითელი შუქურას სამაროვნის უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხში აღმოჩენილი მოკლე სატევარიც (Tr., 1969, გვ. 268,

ტაბ. XXXVI<sub>5</sub>), რომლის სიგრძეა 17,5 სმ, სიგანე 2,7 სმ და რომელიც მიწაში საგანგებოდ ჩარჭობილი აღმოჩნდა. ბრინჯაოს საწურითა და ატიკური შავლაკიანი სკიფოსით სამარხი ძვ. წ. V ს-ით თარიღდება (Tr., 1969, გვ. 269).

საყურადღებოა, რომ სოხუმის მთის, გუადიხუს უმცროსი ჯგუფისა და ნითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის სამაროვნებზე სატევრები და მახვილები ცოტაა შუბისპირებთან შედარებით. ასეთივე სურათია ვანის ნაქალაქარზე. ნიმუშად გამოდგება მეომრის № 9 სამარხი, სადაც ხუთი ათეული შუბისპირია ნაპოვნი და ერთი მახვილი. თუმცა, ეს მოვლენა შეიძლება ფუნქციისა და ხმარების წესის გამოხატულებათა, როცა სატყორცნი იარაღი მეომრის მიერ იკარგება, წელზე შეზღუდული კი მასთან რჩება.

ცალკე უნდა ვახსენოთ ცუდად შემონახული მახვილები, რომელთა აღწერა და მით უფრო ტიპის განსაზღვრა შეუძლებელია მათი დაცულობის ხარისხის გამო. ჩვენთვის ასეთ შემთხვევაში სტატისტიკაა საინტერესო. ასეთია კამარახევის სატევრები, რომლებიც ძვ.წ. IV-III სს თარიღდება (ჯღარკავა, 1982, გვ. 163, სურ. 1177, 1178, 966, 1005). ყველა ეს ნივთი დეფორმირებულია; მთავარი კი ისაა, რომ ამ სამაროვანზე, სადაც 25 რკინის შუბისპირია, სულ სამი მახვილია წარმოდგენილი №№ 24, 67 და 8 სამარხებში. აქვეა ნაპოვნი ერთი რკინის ცალპირა იარაღი, 51 სმ სიგრძისა, № 6 კომპლექსში, რომელიც ზოგადად, ძვ. წ. V-III სს. არის დათარიღებული (რამიშვილი, 1959, გვ. 23, 32, ტაბ. X<sub>1</sub>).

ცალპირლესული მახვილები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზეა

აღმოჩენილი, ისე ცუდადაა შემონახული, რომ ტიპის განსაზღვრა ჭირს. მაინც შევეცადეთ გაგვემიჯნა ტარიანი და ყუნწიანი ეგზემპლარები. ტარიანი ცალპირლესილი მახვილები აღმოჩენილია: გუადიხუს უმცროსი ჯგუფის № 7 კომპლექსში, რომელიც ძვ. ნ. IV-III სს. თარიღდება (Квирквелия, 1981, გვ. 7); ეშერაში (Шамба, 1980, გვ. 47), ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხში; ყანჩაეთში (გაგოშიძე, 1964, გვ. 51, ტაბ. XII<sub>32</sub>); ითხვისში; შრომის უბანში (გობეჯიშვილი, 1952, გვ. 29).

ცალკეა ნითელი შუქურას სამაროვნის უმცროსი ჯგუფის № 3 სამარხის ცალპირლესული მახვილი, რომელსაც ტარის ნაცვლად აქვს ყუნწი: ის რკინისაა, აქვს სქელი სწორი ზურგი, მრგვალგანივკვეთიანი, ვიწრო ტარის ღერო, რომელზეც სხვა მასალის ტარი ჰქონდა შემოვლებული. ვადასთან ორი ლურსმანი აქვს ხის ფირფიტის დასამაგრებლად. 35 სმ სიგრძისაა, თითქმის პარალელურგვერდიანია, ბასრი პირი მოხრილია მხოლოდ წვერისკენ. სიგანე 5,2 სმ-ია (Tr., 1969, გვ. 270, ტაბ. XXXVII<sub>14</sub>).

ცალპირლესულ მახვილებს ხშირად ბერძნულ მახაირებთან აიგივებენ (Лордкипანიძე Г., 1978, გვ. 89; გაგოშიძე, 1964, გვ. 51; გობეჯიშვილი, 1952, გვ. 29). ცალპირლესული მახვილები ჩრდილო კავკასიაშიცაა ნაპოვნი და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც (Мунчаев, 1963, გვ. 111, სურ. 23; Сокольский, 1954, გვ. 130). რამდენად გამართლებულია ცალპირლესული მახვილების მაინცდამაინც ბერძნულ მახაირასთან დაკავშირება, ძნელი სათქმელია, მით უფრო, რომ კავკასიაში ძვ.ნ. VII-VI სს-ში ფართოდაა

გავრცელებული დიდი ზომის რკინის მოხრილი დანები, რომელთაც, ადვილი შესაძლებელია, საფუძველი დაუდეს სატევრის ამ ფორმას. ბერძნული მახაირა სრულიად გარკვეული ტიპოლოგიური ნიშნებით ხასიათდება. საბერძნეთში მახაირას დამახასიათებელი ტარი ჰქონდა: ნაგრძელებული, შეუკრავი რგოლის ტიპისა; ცალპირა იყო, განიერი, შუა ნაწილში გაფართოებული პირიანი; ბლაგვი მხარე შესქელებული იყო. ყოველთვის არ იყო მოხრილი; ტარი ხშირად ფრინველის თავის ნისკარტმოხრილი სახით იყო წარმოდგენილი. მახაირებზე პირია მოხრილი, ტარის მიმართ კი სწორია. ქარქაშები იყო ხისა, ტყავ ან ლითონგადაკრული. ატარებდნენ თასმით, რომელიც მხარზე იყო გადაებული და ქარქაშს უერთდებოდა, იშვიათად იმაგრებდნენ ქამარზე (Сокольский, 1954, გვ. 130). როგორც ვხედავთ, საქართველოში დადასტურებული ცალპირლესული მახვილების მახაირასთან სრულ მსგავსებაზე საუბარი არ შეგვიძლია იმიტომ, რომ არ იკითხება სწორედ ის დეტალები, რომლებიც განმსაზღვრელია. გამონაკლისია ითხვისის ნიმუში (Лордкипანიძე Г., 1978, გვ. 90, ტაბ. VIII<sub>6</sub>).

ცალკე ჯგუფშია გაერთიანებული სატევრები და მახვილები, რომელთაც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „ტარგოლიან მახვილებს“ უწოდებენ სპეციფიკური ტარისთავის გამო, რომელსაც რგოლის ფორმა აქვს, მრგვალ ან ოვალურგანივკვეთიანი, დაახლ. 4-4,5 სმ დიამეტრისა (ტაბ. XXX-VII, 6-7). ის ცალკე მზადდებოდა რკინის ან ბრინჯაოს მავთულისაგან და შემდეგ მიემაგრებოდა ტარის ღეროზე. ტარის ღერო ბრტყელია, სწორი, განივკვეთში



ოთხკუთხა, როგორც წესი, ხის გარსაკრავიანი, რომელიც ტარის ღეროზე რკინის მანქვლით მაგრდებოდა. ვადა ამ ტიპის მახვილებს სწორი აქვს, ოდნავ სცილდება მახვილის მხრებს. პირი ორპირლესულია, ვინროვდება სიგრძის ბოლო მესამედში. ხშირად ხის ქარქაშის ანაბეჭდები აქვს შერჩენილი.

ამ ტიპის მახვილები აღმოჩენილია ძვერში. ეს მახვილები ახ. წ. II ს. თარიღდება (ფუთურიძე, 1959, ტაბ. V<sub>12</sub>). ერთი ამ ტიპის მახვილი აღმოჩენილია ძვერულჰესის მშენებლობის დროს (Куртин, 1950, გვ. 198). ტარგოლიანი ტიპის მახვილები აღმოჩენილია: ლიაში (ნითლანაძე, 1973, გვ. 70); ბორში; ჩხორონყუს რ-ნის სოფ. ხაბუმეში; ინაშაურში და სოფ. ზედა გორაში (ხარაბაძე, 2003, გვ. 165, ტაბ. II). ზედა გორისა და ინაშაურის მახვილები პარალელური მასალის მიხედვით ახ. წ. I-II სს. თარიღდება; ოთხი ტარგოლიანი მახვილი ცნობილია ჩხარიდან (ხარაბაძე, 2003, გვ. 165). ოთხი ტარგოლიანი მახვილი აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე №№ 282, 383, 499 და 525 სამარხებში. მათ ბრინჯაოს ტარისთავი აქვთ და ვინრო რკინის ტარის ღერო, რომელსაც ხე ჰქონდა შემოკრული, ხეს კი სპირალურად გარსშემოეცლებოდა ბრინჯაოს თხელი სალტე. სიგრძე 80 სმ აღწევს. ეს სამარხები ახ. წ. II-IV სს-ით თარიღდება (ჩიხლაძე, 1999, გვ. 68, ტაბ. XX-XXI).

საქართველოს ფარგლებს გარეთ ტარგოლიანი მახვილები საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება, აღმოსავლეთ ევროპიდან ჩინეთამდე (Хазанов, 1971, გვ. 5). ისინი ვოლგისპირეთში ძვ. წ. III ს-დან გვხვდება და ძვ. წ. III-II, II-I სს-ის სამარხებში მასო-

ბრივად ვრცელდება. განსაკუთრებით ხშირია ჩრდილო კავკასიასა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში (ტამანის ნ-კ-ზე) ძვ. წ. I ს-დან მოკიდებული ახ.წ. I-II სს ჩათვლით (Хазанов, 1971, გვ. 10). ცნობილია ტარგოლიანი მახვილების გამოსახულებანი რელიეფებსა და ფრესკებზე ახ. წ. II-V სს-ში (Хазанов, 1971, გვ. 11). ტრანსკავკასიაში ისინი მინგეჩაურშიც გვხვდება (Казиев, 1960, გვ. 25, ტაბ. XXXV<sub>1,5</sub>).

საყურადღებოა, რომ საქართველოში მხოლოდ ტარგოლიანი მახვილებია ნაპოვნი, რომელთა სიგრძე 60-82 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 5,5-7 სმ შორის, მაშინ, როდესაც ჩრდილო კავკასიაში 40-50 სმ სიგრძის სატევრები ქარბობს (Хазанов, 1971, გვ. 5).

კიდევ ერთი ტიპი ორპირლესული სატევარ-მახვილებისა ხასიათდება იმით, რომ ამ ჯგუფის ნიმუშებს არა აქვთ ლითონის ტარისთავი (ტაბ. XXXVI, 1,2,4,5). მათ აქვთ სწორი ვადა, პირი ვინროვდება ბოლო მესამედში და წვეტიტ მთავრდება. ტარი პირთან ერთადაა გამოჭედილი და მასზე ხის გარსაკრავებია შემოვლებული. ამ ტიპის სატევრები და მახვილები გვიანანტიკური ხანისთვისაა დამახასიათებელი. ისინი აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე, ახ. წ. II-IV სს. სამარხებში (ჩიხლაძე, 2003, გვ. 131, ტაბ. I), არმაზისხევის პიტიანშთა II-III სს. სამარხებში, სადაც სატევრები, როგორც ინსიგნიები, ოქროს გარსაკრავებითაა შემკული (აფაქიძე და სხვ., 1955, ტაბ. I-III). ასეთივეა მოდინახეს IV ს. სამარხების სატევრები (ნადირაძე, 1975, გვ. 59, ტაბ. XX, XI, 1-2); აგრეთვე სატევრები და მახვილები კლდეეთის (ლომთათიძე, 1957, გვ. 132, სურ. 26), ზემო ავჭალის, ჩხორონყუს

კომპლექსებიდან (ჩიხლაძე, 2003, გვ. 131). საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ ტიპის სატევრები და მახვილები ცნობილია ბოსფორსა და ჩრდილო კავკასიაში, სადაც ისინი იარაღის ნამყვანი ფორმაა ახ. ნ. II საუკუნიდან და განსაკუთრებულ პოპულარობას აღწევს III-IV სს-ში (Сокольский, 1954, გვ. 162, ტაბ. IX; Хазанов, 1971, გვ. 15, ტაბ. X-XI).

როგორც ვხედავთ, სატევრები და მახვილები სხვადასხვა თანაფარდობით მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე ჩნდება საქართველოს ნივთიერ კულტურაში და შეიძლება ითქვას, რომ ყოველ ქრონოლოგიურ ეტაპს გარკვეული ტიპი შეესაბამება.

**მშვილდ-ისარი.** საქართველოში ანტიკურ ხანაში მშვილდ-ისრის არსებობაზე ძირითადად მიგვანიშნებენ ისრისპირები, ვინაიდან როგორც მშვილდის ხის საფუძველი, ასევე მისი ლარი დროთა განმავლობაში მინაში იშლება. მშვილდის კონსტრუქციის მთავარი პრინციპი უხსოვარი დროიდან მოდის. როგორც ეთნოლოგიური მასალებიდან ჩანს, მისი ძირითადი ნაწილი — ხის საფუძველი — საგანგებოდ შერჩეული და შემდეგ დამუშავებული ხის ტოტისაგან მზადდებოდა. მას ორივე ბოლოზე ლარის დასაჭიმად განკუთვნილი ამოღარული ნაჭდევეები, ე.წ. კილონი აქვს. ლარი მსხვილი რქოსანი საქონლის ტყავისა ან მყესებისა იყო. მშვილდის შუა, შემსხვილებული ნაწილია სახელური, რომლის აქეთ-იქით ამალღებული ნაწილები მშვილდის მხრები, ანუ იგივე ვოზანებია. სწორედ მათზე მოდის ვველაზე დიდი დატვირთვა. ითვლება, რომ სახელურის სისქე ზრდის მხრების ღრეკადობას (ელიაშვილი, 1959, გვ. 27).

ხშირად მშვილდს სახელურსა და ბოლოებზე უკეთდებოდა ძვლისა და რქის გარსაკრავები. ასეთი შუა და კიდურა ძვლის გარსაკრავები მრავლადაა ნაპოვნი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში (Хазанов, 1971, გვ. 28-32). მსგავსი დეტალები საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში ჯერჯერობით ამოცნობილი არ არის. ანტიკურ ხანაში საქართველოში გამოსახულებების მიხედვით გვაქვს მარტივი (ტაბ. XXXIV, 16), ე.წ. სეგმენტის ფორმის (გომის სახმისზე — იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 43, ტაბ. I), და შედგენილი (ტაბ. XXXIV, 15), ორგზის მოხრილი ტიპის (არაგვისპირის № 13 სამარხის ვერცხლის სურებზე — იხ. რამიშვილი, 1999, სურ. 2-3). სტრაბონის ის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ იბერთაგან ისინი, ვინც მთაში ცხოვრობენ, სკვითებისა და სარმატების მსგავსად აღიჭურვებიან (XI, 3, 3), უფლებას გვაძლევს შეეჩერდეთ ე.წ. სკვითურ-სარმატულ მშვილდებზე. მით უფრო, რომ როგორც ქვემოთ დავინახავთ, საქართველოში ნაპოვნ შესაბამისი ხანის ისრისპირებს შორის არის მცირე ზომის ისრისპირები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს მსუბუქი, მცირე ზომის, ორგზის მოხრილი შედგენილი მშვილდი, რომლის ხის საფუძველი რამდენიმე ნაჭრისაგან შედგებოდა. მისი სახელური და ბოლოები არალუნგადი უნდა ყოფილიყო, ხოლო მხრები — დრეკადი (Хазанов, 1971, გვ. 29). ამ ტიპის მშვილდი მრავალი ხალხის კულტურაში იყო გავრცელებული — ევრაზიის სტეპებსა და წინა აზიაში, განსაკუთრებით პოპულარული კი ირანულ სამყაროში იყო (Хазанов, 1971, გვ. 29).

მშვილდზე მიგვანიშნებს აგრეთვე ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული დეტალი, რომელიც მშვილდის ტყავის ან ხის ბუდის — გორიტის — ზედაწვერზე მაგრდებოდა. ესაა ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებული სტილიზებული ზოომორფული ფირფიტა, რომელსაც გამოწეული კიდის გასწვრივ ნახვრეტები გასდევს (ტაბ. XXXIV, 17). ასეთი ფირფიტები აღმოჩენილია ივრისპირების № 1 და № 2 სამარხებში (მამაიაშვილი, 1980, გვ. 110, ტაბ. XXX, 11 და XXXI, 5). ეს სამარხები ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება (მამაიაშვილი, 1980, გვ. 113). ანალოგიური ფირფიტა ბოგვისხევის სამაროვნის ქვაყუთშია აღმოჩენილი (თუშიშვილი, 1986, სურ. 11). ასეთივე ნივთები ნაპოვნია ჩრდილოეთ სირიაში — დევე ჰუიუკის II ჰორიზონტში, რომელიც ძვ. წ. V-IV სს-ით თარიღდება (Moory, 1980, გვ. 66, ტაბ. 10, 217, 218), აზერბაიჯანში (Дьяконов, 1956, სურ. 46), სამარიაში და ოლიმპიაში (Baitinger, 1999, გვ. 131, სურ. 8-9). როგორც ითქვა, ბრინჯაოს ეს ფირფიტები მშვილდის ბუდის ზედა კიდეზე მაგრდებოდა. ამ დეტალს ვხვდებით პერსეპოლისის რელიეფებზე, სადაც მერვიდმეტე დელეგაციის ყოველ წევრს (მეჯინიბის გარდა) — სპარსსა და მიდიელს, ამდაგვარი დეტალით დაგვირგვინებული გორიტები უპყრიათ ხელთ (Baitinger, 1999, გვ. 133, სურ. 6-7). დევე-ჰუიუკში ამ ფირფიტების აღმოჩენას ირანელების დანატოვრად მიიჩნევენ (Moory, 1980, გვ. 66). გამოსახულებების მიხედვით ასკვნია, რომ ეს იყო შედგენილი, მოკლე, ორჯერ მოხრილი მშვილდი, რომელიც ინახებოდა კომბინირებულ ბუდეში, სადაც ისრებიც ეწყო. ასეთი მშვილდები

ჰქონდათ მხედრებს და მათი ისრებიც, შესაბამისად, მსუბუქი იყო — ბრინჯაოს მასრიანი, სამფრთიანი პატარა ისრისპირები (Moory, 1980, გვ. 66). საყურადღებოა, რომ ივრისპირების სამარხებში განხილული ბრინჯაოს ფირფიტებთან ერთად ნაპოვნი იყო ძვლისა და ბრინჯაოს მსუბუქი ისრისპირები (მამაიაშვილი, 1980, ტაბ. XXX, XXXI), რომელთა ტიპოლოგიაზეც ქვემოთ უფრო დანვრილებით შევჩერდებით.

როგორც უკვე ითქვა, ორჯერ მოხრილი მშვილდის გამოსახულებას ვხვდებით, ვერცხლის სურებზე, რომლებიც არაგვისპირის № 13 სამარხში არის აღმოჩენილი (რამიშვილი, 1998, გვ. 71, სურ. 2 და 3). ერთზე ირმებზე ნადირობის სცენაა, ხოლო მეორეზე — ტახებზე ნადირობის სცენა. სურები იბერიაში დამზადებულადაა მიჩნეული, ახ. წ. III ს-ის 50-იან წლებში. სცენები ნადირობის ამსახველია, და არა ბრძოლისა, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა თვით ფაქტი გვიანანტიკური ხანის იბერიაში გარკვეული ტიპის მშვილდის არსებობისა. გამოსახულების პროპორციების მიხედვით, ხსენებული მშვილდები დიდი ზომისაა, რაც ძვ. წ. ბოლო საუკუნეებიდან რთული, შედგენილი მშვილდებისათვის დამახასიათებელი ნიშანი ხდება (Хазанов, 1971, გვ. 31).

საქართველოში, ანტიკური პერიოდის მანძილზე, რომელიც თითქმის ათასწლეულს მოიცავს, სხვადასხვა სახის ისრისპირები გვხვდება. ისარი შედგება ისრისპირისაგან, რომელიც შეიძლება იყოს ბრინჯაოსი, რკინისა ან ძვლისა და ისრის ტარისაგან, ხის ლეროსაგან. არქეოლოგიურ მასალაში ისრისპირს ხშირად ხის ნაშთი აქვს

შერჩენილი. საკუთრივ ისრისპირი შედგება მასრის ან ყუნწის და თავისაგან. მისი მახასიათებლებია მასრის არსებობა-არარსებობა ან ყუნწისა და თავის ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს ორფრთიანი, სამფრთიანი, სამნახნაგა, ოთხნახნაგა და ბრტყელი — კიდებ-მომრგვალებული ან ე. წ. ოვალურ-რომბული ფორმის (ტაბ. XXXIV). უმასრო ისრისპირები განიკვეთის მიხედვით არის ოთხნახნაგა, სამნახნაგა და სამფრთიანი.

ოთხნახნაგა, პირამიდული ფორმის, მრგვალლრუიანი ისრისპირები ყველა ძელისაა. სიგრძე მერყეობს 3,2-6,6 სმ შორის. სიგანე — 0,7-0,9 მმ შორის. ყოველ ნახნაგს ფუძესთან სამკუთხა ფორმის ამონაჭერი აქვს (ტაბ. XXXIV, 1,2). ამ ტიპის ისრისპირები აღმოჩენილია ივრისპირების № 1 და № 2 სამარხებში (მაშიაიშვილი, 1980, გვ. 106, 113, ტაბ. XXX,4; XXXXI, 6-7), რომლებიც ძვ. წ. IV ს-ითაა დათარიღებული. ამავე ტიპის ისრისპირები ნაპოვნია ენაგეთის სამაროვანზე (თეთრინყაროს რ-ნი), № 1 ქვაყუთში, რომელიც ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს ლაგმისა და ვერცხლის თასის მიხედვით (მარლიშვილი, 1992, გვ. 28, 69; ტაბ. XXI,8). ივრისპირების სამარხებიდან მომდინარე ძელის ისრისპირებიდან ორს ერთ-ერთ ნახნაგზე ლათინური N-ის მაგვარი ნიშანი აქვს ამოკანრული (ტაბ. XXXIV, 2). ამ ტიპის ისრისპირების მსგავსი ნიმუშები ცნობილია ძვ.წ. V ს-ის სამარხებიდან (Смирнов, 1964, სურ. 12, 3a-3), ისინი გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში (ერთეულების სახით), ყაზახეთსა და ირანში (Cleuziou, 1997, გვ. 189, 194; სურ. 1.20; სურ. 2). ფიქრობენ, რომ ისინი აქემენიდთა შეიარაღებაში შედიოდა (Cleuziou, 1997, გვ. 197).

შემდეგი ჯგუფია უმასრო, მრგვალლრუიანი სამნახნაგა ისრისპირები, ბრინჯაოსი; მათთვის დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად შეჭრილი ნახნაგის ფუძე (სიგრძე - 2,5-3 სმ), ნახნაგებზე ქვემოთ — ნახვრეტები (ტაბ. XXXIV, 10). ისინი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, მეომრის № 9 სამარხში (Lordkipanidze, 2001, სურ. 17-7), სადაც ისინი სამარხის მთელ ტერიტორიაზე იყო მოხენული, ხოლო ორ ადგილას მიჯრით ენყო გარკვეული წესრიგით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი სხვა ტიპის ისრებთან ერთად ტყავის ან ხის ბუდეში - კაპარჭში ელაგა (30 ცალი). ამ ტიპის ისრისპირები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძვ.წ. IV-III სს-ის კომპლექსებიდანაა ცნობილი (Мелюкова, 1964, ტაბ. 9, A, 2-3; K-2). ფიქრობენ, რომ ისინი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის გარდა გავრცელებულია კავკასიაში, ყაზახეთში, თურქმენეთსა და ირანში (Cleuziou, 1997, გვ. 194, სურ. 2, სურ. 1.-19). ვანის № 9 სამარხში ისრისპირებთან ნაპოვნი იყო ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ორნამენტისანი ფრაგმენტები, რომელიც დაიშალა. შესაძლოა, ის კაპარჭის გარსაკრავი ყოფილიყო (ლორთქიფანიძე და სხვ., 1969, გვ. 211).

ბრინჯაოს მრგვალლრუიან ისრისპირებს შორისაა სამფრთიანი ისრისპირები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაშვებული ფრთების ნვერების მიხედვით იძლევიან ვარიაციებს (ტაბ. XXXIV, 7, 11, 12). ისინი აღმოჩენილია ვანის № 9 სამარხში (Lordkipanidze, 2001, სურ. 17-9-11) და ციხედიდის ხევის სამაროვნის ძვ.წ. IV ს-ის სამარხში (სიგრძე 2,5-4 სმ). ამ ტიპის ბრინჯაოს ისრისპირები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ. წ. IV-III სს-ის კომპლექსებს შორის

(Мелюкова, 1964, ტაბ. 9, В- 3,3; К-6; Л-1,2; М-2; Н-8), და ასევე ჩრდილო კავკასიის ძვ.წ. IV ს-ის კომპლექსებიდან (Смирнов, 1964, სურ. 49, О<sub>9</sub>; 3а). ძვ.წ. IV-III სს-ში მათ ვხვდებით ყაზახეთსა და ირანშიც (Cleuziou, 1997, სურ. 1.<sub>4-5</sub>; სურ. 2).

მრგვალღრუიანი ისრისპირების განსაკუთრებული სახეობაა ე. წ. „ტყვიისებრი“ ძვლის ისრისპირები (ტაბ. XXXIV, 3), რომელთაც კონუსური ფორმა აქვს (სიგრძე მერყეობს 2,1-3,5 სმ შორის; დმ. — 0,6-0,8 სმ). ასეთი ისრისპირები ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ. წ. IV-III სს-ის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი (Мелюкова, 1964, ტაბ. P. 2,3).

რაც შეეხება მასრიან ისრისპირებს, ყველაზე გავრცელებული ტიპი მასრიან ისრისპირთა შორის არის ბრინჯაოს სამნახნაგა (ტაბ. XXXIV, 6, 8) და სამფრთიანი (ტაბ. XXXIV, 4, 5) ეგზემპლარები. სამნახნაგა, მოკლემასრიანი ბრინჯაოს ისრისპირები (2,5-3 სმ სიგრძისა) ერთეულების სახით გვხვდება კულტურულ ფენებსა და სამარხებში. ისინი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 179), რომლებიც ძვ. წ. V-IV სს-ით თარიღდება; ითხვისის სამარხში (გაგოშიძე, 1968, გვ. 35, ტაბ. 1, 4, 5); ქუთაისში (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 179, სქ. 48). ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კომპლექსებში ასეთი ძვ. წ. VI-V და V-IV-III სს-ში გვხვდება (Мелюкова, 1964, ტაბ. 7, Г-7, ტაბ. 8. Л<sub>2</sub>; ტაბ. 9. Н<sub>10</sub>); ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთში ისინი ძვ.წ. IV ს-დან ჩნდება (Смирнов, 1964, სურ. 47,3, სურ. 51,2ა, 10ა). მსგავსი ისრისპირები ბერძნულ სამყაროშიცაა ცნობილი და მათი

აღმოჩენები ირანთან ომს უკავშირდება.

მასრიან ისრისპირებს შორისაა ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირები, დეზიანი და უდეზო, რომლებიც ძვ. წ. V-IV სს-ის სამარხებში გვხვდება (ტაბ. XXXIV, 4,5). ისინი აღმოჩენილია: ივრისპირების № 1 და № 2 სამარხებში (მამაიაშვილი, 1980, ტაბ. XXX,6; XXXI,8); გომარეთის სამაროვანზე (დავლიანიძე, 1983, გვ. 138, ტაბ. XVI,1); სიონში, № 4 ქვაყუთში (მენაბდე, კილურაძე, 1981, გვ. 83, ტაბ. XIX,3); დალის მთის ყორღანული ველის სამარხის თავზე; ნასტაკისის ნამოსახლარზე; ჭალის სამაროვანზე; ციხიანას სამაროვანზე, № 6 სამარხში; სამადლოში (Гагоშიძე, 1979, გვ. 36, ტაბ. XIII, 228); ალგეთის მდიდრულ სამარხში (დავლიანიძე, 1976, გვ. 118, ტაბ. X-XIII), კუმისში (Давлиანიძე, 1977, გვ. 122, სურ. 2). ანალოგიური ისრისპირები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და ჩრდილო კავკასიის ძვ.წ. V-IV სს-ის კომპლექსებიდან (Мелюкова, 1964, ტაბ. 8, К<sub>1-9</sub>, ტაბ. 8. В<sub>6</sub>, Т<sub>1-3</sub>; Смирнов, 1964, სურ. 51,3ა).

მასრიან ისრისპირთა შორისაა პირამიდულთავიანი ბრინჯაოს ისრისპირები. მათ აქვთ მოკლე თავი და მრგვალგანივკვეთიანი გრძელი მასრა (ტაბ. XXXIV, 6). სამი ასეთი ისრისპირი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. V-IV სს-ის კულტურულ ფენაში (ლორთქიფანიძე გ., 1976, სურ. 136, 11,3), ერთიც მეომრის სამარხში (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, სურ. 175). ისინი 6 სმ სიგრძისაა, პარალელუბი ეძებნებათ ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძვ. წ. IV-III სს-ის ძეგლებს შორის (Мелюкова, 1964, ტაბ. 9, В<sub>6</sub>, С<sub>1-4</sub>).

ამავე დროს მასრიან ბრინჯაოს ისრისპირთა შორის გვხვდება ორ-

ფრთიანი ისრისპირებიც, შედარებით იშვიათად, რადგან ორფრთიანობა ადრეულობის მაუნყებელია და ორფრთიანი მასრიანი, მასრაზე დეზიანი ან უდებო ცალები V-IV სს-ში ნაკლებად ჩანს. ასეთები ნაპოვნია სამადლოს აკლდამაში და, როგორც ფიქრობენ, ძველი ნივთი საკიდ-ამულეტად არის ქცეული ძვ. წ. III ს-ში (Гагошидзе, 1979, გვ. 38, ტაბ. XIII, 23).

ყუნწიანი ისრისპირები ყველა რკინისაა. ესაა სამფრთიანი, განიერპირიანი ნიმუშები, რომლებიც აღმოჩენილია: ვანში, კულტურულ ფენაში, 4 სმ სიგრძისა (ლორთქიფანიძე გ., 1976, ტაბ. 136, 11, 2). ასეთი ტიპის ისრისპირები ნაპოვნია კლდეეთის სამაროვანზეც, ახ. წ. II ს-ის სამარხში (ლომთათიძე, 1957, სურ. 30) დიდი ხნის მანძილზე იყენებდნენ გვიანელინისტური ნიმუშებისაგან განსხვავებით, კლდეეთის ცალები თითქმის ორჯერ დიდია. ანალოგიური რკინის ყუნწიანი ისრისპირები ძვ. წ. IV ს-დან ჩნდება ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთში, ხოლო ინტენსიურად ვრცელდება ძვ. წ. II ს-ის შემდეგ, საქართველოს ნიმუშების ანალოგიურად (Хазанов, 1971, ტაბ. XIX, XX, გვ. 35-37, 40; Смирнов, 1964, სურ. 48, 46-3). დიდი ზომის ისრისპირები, როგორც ითქვა, დიდ მშვილდს შეესაბამება. ამავე კონტექსტში უნდა ვახსენოთ რკინის ისრისპირების კიდევ ერთი სახეობა, გრძელყუნწიანი, ქედიანი, ბრტყელი ნიმუშები (ტაბ. XXXIV, 13, 14); ისინი ვანის ნაქალაქარიდანაა ცნობილი, 6,5-7 სმ სიგრძისა (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 180, სურ. 136, 11, 4). ამ ისრისპირებს თანადროულ მასალაში ანალოგები არ ეძებნებათ.

თვალში საცემია, რომ სოხუმსა და მის მიდამოებში, სადაც არქეოლოგიურ კომპლექსებში იარაღის რამდენიმე ფორმაა თავმოყრილი — შუბი, სატევიარი და მახვილი, ცული — არ არის ისრისპირები. სადაც კი ისრისპირების მთელი სერიებია წარმოდგენილი, კომპლექსი მეტ-ნაკლებად მდიდრულია და მასში ძვირფასი ლითონის ნაკეთობები გვხვდება. ეს ეხება ძვ. წ. V-II სს. როგორც ჩანს, მოგვიანებით მშვილდისარი ქართველური მოსახლეობის შეიარაღებაში პოპულარული ხდება. გვაქვს ანტიკურ მწერალთა ცნობები ქართველური მოსახლეობის მიერ ისრების ხმარების შესახებ (სტრაბონი, დიონ კასიოსი).

**შურდული.** საქართველოში ანტიკურ ხანაში, როგორც ამას მონაცემები მოწმობს, შურდულიც გამოიყენებოდა. მარტივი კონსტრუქციის ეს ქვის სასროლი იარაღი წარმოადგენდა ორად მოკეცილ სალტეს ან ბანარს, რომელსაც შუაში ბრტყელი ნაწილი ჰქონდა ქვის ჩასადებად და სასროლად (ტაბ. XXXIV, 19, 20). ეს იყო უძველესი და ადვილად ხელმისაწვდომი იარაღი, რომელიც ანტიკურ სამყაროშიც ფართოდ გამოიყენებოდა (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 176).

საქართველოში, ანტიკური ხანის სამოსახლეობის ნანგრევებში, ხშირად ჩნდება 4-6 სმ დიამეტრის მრგვალი მოყვანილობის რიყის ქვები, რომლებსაც შურდულით ტყორცნიდნენ. ათეულობით ასეთი საშურდულე ქვა ნაპოვნია ვანის ნაქალაქარზე, ძვ. წ. IV-I სს. ფენებში და ნაქალაქარის კარიბჭესთან; ასევე ძვ. წ. III ს-ით დათარიღებული მეომრის სამარხის (№ 2) თავზე. საყურადღებოა, რომ ამ სამარხთან

ისინი ნაპოვნია ბრინჯაოს საჯავშნე ფირფიტებთან ერთად (Хоштариа, 1979, გვ. 117). ანაკოფიაში ასეთი ქვები სასიმაგრო კედელთან, ძვ.წ. III-II სს-ით დათარიღებულ ფენაში გამოვლინდა (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 175). შურდულის ქვების აღმოჩენები საკმაოდ ხშირია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ანტიკური ხანის კომპლექსებში და ფენებში. ისინი მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ლაშქრის კუთვნილ შეტევით სატყორცნ იარაღად ითვლება (Арх. СССР, 1984, გვ. 188, ტაბ. XXX, XXXIV).

თავდაცვითი შეიარაღების კატეგორიებიდან ანტიკური ხანის საქართველოში დადასტურებულია ბექთარი, მუზარადი, ფარი და წვივსაფარი-კნემიდები.

**ბექთარი.** ბექთარი წარმოდგენილია აბჯრის იმ სახეობით, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ ლითონით გამყარებულ ჯავშანს (Черненко, 1968, გვ. 15 და შემდ.); სახელდობრ, ეს არის ლითონის ფირფიტებით დაფარული სამოსი (ტყავისა ან ქსოვილისა). საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე ნაპოვნია ლითონის (ბრინჯაოსა და რკინის) პატარა ზომის ფირფიტები როგორც ცალკეული ფირფიტების სახით, ასევე ნატეხებად შეკრული. ფირფიტებს სხვადასხვა მოყვანილობა აქვთ, ძირითადად წარმოდგენილია წაგრძელებული ფორმის (2,5 x 1,8 სმ) ფირფიტები, რომელთაც ზედა მხარე სწორი აქვთ, ქვედა — მომრგვალებული, ხოლო ზედა კიდეზე ნახვრეტებია ფირფიტის ტყავის ან ქსოვილის საფუძველზე დასამაგრებლად (ტაბ. XXXVIII, 1,2). ასეთი ფირფიტები აღმოჩენილია: ვანის ნაქალაქარზე, მეომრის № 2 სამარხთან გამოვლენილ

კულტურულ ფენაში, რომელიც ძვ. წ. IV სს-ით თარიღდება (Хоштариа, 1979, გვ. 116; ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 175). ისინი ბრინჯაოსგანაა დამზადებული. ამავე სამარხთან ასამდე ბრინჯაოს ფირფიტა აღმოჩნდა, სხვადასხვა ზომისა და პროპორციებისა, რომლებიც ძირითადად შემდეგი პარამეტრებისაა: 2,8 x 2,8 სმ; 3,7 x 2 სმ; 2,8 x 2,2 სმ; 2,5 x 1,8 სმ; სისქე — 1 მმ; ზედა გვერდი სწორი აქვთ, ქვედა — მომრგვალებული. მათ, როგორც წესი, ოთხი ნახვრეტი აქვთ — სამი ზედა კიდის გასწვრივ და ერთი — გვერდზე; ეს ფირფიტები ფორმის, ნახვრეტების რაოდენობისა და დამუშავების მიხედვით უშუალო ანალოგებს პოულობენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძვ. წ. IV-III სს. კომპლექსების საჯავშნე ფირფიტებს შორის (Черненко, 1968, გვ. 29, სურ. 8, 11). ისინი ასევე გვხვდება ყუბანისპირეთში (Хазанов, 1971, გვ. 59, ტაბ. XXX, XXXI). ფირფიტების განსხვავებულ ზომებთან კავშირში უნდა ითქვას, რომ ერთი და იგივე ბექთარი შეიძლება სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფირფიტებისგან შედგებოდეს. საყურადღებოა, რომ ვანის № 2 სამარხის ბრინჯაოს საჯავშნე ფირფიტების ზედაპირი საგანგებოდ გლუვია და დამუშავებული; ასე აპრილებდნენ ბრინჯაოს, და არა რკინის ფირფიტებს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც ძვ. წ. IV ს-ში (Черненко, 1968, გვ. 23).

რკინის სამოცი ცალი მთელი და დაზიანებული საჯავშნე ფირფიტა აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. V-IV სს-ის კულტურულ ფენაში. აქაც, ფირფიტის ზედა მხარე სწორია, ქვედა მომრგვალებული. აქვთ ერთი, ორი ან სამი ნახვრეტი (ყველაზე ხშირად ორი)

ტყავის საფუძველზე დასამაგრებლად. სისქე — 1 მმ; პარამეტრები — 2 ან 2,4 x 1,1 სმ (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 183, სურ. 139).

რკინის საჯავშნე ფირფიტების დიდი რაოდენობა იყო აღმოჩენილი საირხის ნაქალაქარზე, № 8 აკლდამაში (ნადირაძე, 1990, გვ. 52, ტაბ. XXXI<sub>6</sub>), რომელიც ძვ. წ. IV ს-ის შუახანებით თარიღდება (ნადირაძე, 1990, გვ. 58). ნაპოვნია რამდენიმე ათეული ფრაგმენტი, რომელიც თავის მხრივ ასეულობით და ათეულობით სხვადასხვა ფორმის ფირფიტას შეიცავს. ფირფიტები ჩაუანგულია და ნატეხებადაა შეკრული. გაირჩევა ოთხკუთხა ფორმისა, ქვედა მხარეს მომრგვალებული, ზემოთ სწორი, ზედა კიდეთან და ზოგჯერ გვერდზე ნახვრეტებიანი. ზოგ ნატეხზე ოქროს მძივებია შერჩენილი.

ფირფიტებით დაფარულ ბექთარს არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს (Черненко, 1968, გვ. 131 და შემდ.). ტყავის ჯავშანზე, რომელიც მსხვილფეხა პირუტყვის ტყავის მშრალი დამუშავების გზით მზადდებოდა, დაკერებული იყო ლითონის (ბრინჯაოს ან რკინის) ფირფიტები. ბრინჯაოსა და რკინის ფირფიტებს საგანგებო მაკრატლისმაგვარი იარაღით გამოჭრიდნენ ხოლმე ლითონის ფურცლისაგან; ზოგჯერ ეს დაუდევრად ხდებოდა, ხშირად ამით აიხსნება არათანაბარი კონფიგურაცია ფირფიტებისა. ამის შემდეგ ფირფიტა იხვრიტებოდა და საფუძველზე მაგრდებოდა ტყავის თასმებით. ასეთი საფარით დაფარულ ჯავშანს ლიტერატურაში ქერცლისებურს უწოდებენ. ერთ ჯაჭვის პერანგს ათასობით ასეთი პატარა ფირფიტა სჭირდებოდა (ტაბ. XXVIII, 2). ცნობილია

შემთხვევები, როცა გაუძარცვავ ყორღანშირამდენიმეთასიასეთისაჯავშნე ფირფიტა იყო ნაპოვნი (Черненко, 1968, გვ. 25). ფირფიტებიან ჯავშანს, როგორც ითქვა, დიდი ხნის ისტორია აქვს. ის დამონმებულია ძვ. წ. XVI-XV სს-დან ეგვიპტეში, სირიასა და მესოპოტამიაში როგორც ცალკეული ფირფიტების, ასევე მთლიანი ჯავშნის სახით. ამასთან მათი გამოსახულებები წარმოდგენილია რელიეფებზე, ფრესკებზე, მათ შესახებ მოგვითხრობს წყაროები (Черненко, 1968, გვ. 131, სურ. 66-71). ჩვენთვის საინტერესო ხანაში ლითონის ფირფიტებით დაფარული ჯავშანი ცნობილია აქემენიდურ ირანში, სადაც ასევე მომრგვალებულბოლოიანი და ზემოთ გახვრეტილი ფირფიტებია ნაპოვნი (Черненко, 1968, გვ. 138, სურ. 72). ითვლება, რომ ტრანსკავკასიაში ლითონის ფირფიტებით გამყარებული ჯავშანი ასურეთიდან და ურარტუდან გავრცელდა, სადაც ის ძალიან პოპულარული იყო.

საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე არა გვაქვს საჯავშნე ფირფიტების ისეთი კოლექცია, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნიდა თვით ჯაჭვის პერანგის ტიპზე, მის აგებულებაზე, ზომებზე და ა.შ., როგორც ეს, ვთქვათ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშია წარმოდგენილი (Черненко, 1968, გვ. 37 და შემდ., სურ. 17, 18, 24, 27). ამ ტიპის ძეგლების სიმცირეც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ჯავშანი ტყავისა ან სელისა იყო და ამიტომ არ შემოინახა. ხომ ახსენებენ ბერძენი მწერლები ქართველურ მოსახლეობას, რომელთაც სელის აბჯრები ჰქონდათ (იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 42). ქსენოფონტის „ანაბასისში“ ნათქვამია, რომ



მოსინიკებს „ეცვათ ტილოს მოკლე ქიტონები,“ ხალიბებს კი „ჰქონდათ სელის აბჯრები, მუცლის ქვედა ნაწილანდე. ხოლო ქვემოთ მჭიდროდ დაგრებილი თოკები“ (IV, 7, 15). სტრაბონის მიხედვით კი „ალბანელებს აქვთ ტყავის აბჯრები იბერების მსგავსად“ (XI, 4, 5).

ამავე კონტექსტში მეტად საინტერესოა სოფ. გომთან აღმოჩენილი ვერცხლის ყანწ-რიტონი, რომელზედაც გამოსახულ ორ მეომარს (ერთი შუბითა და ფარით, ხოლო მეორე მშვილდ-ისრითაა შეიარაღებული), შესაძლოა, ტყავის უმკლავებო სამოსი, ალბათ, შეჯავშნული ფილეტი აცვია (გამყრელიძე, 2002, გვ. 42, ტაბ. 1<sub>1,2</sub>).

**ფარები.** თავდაცვითი შეიარაღების კატეგორიას განეკუთვნება ფარი. საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე შედარებით იშვიათია ფარის აღმოჩენის შემთხვევები. მათი მცირერიცხოვნება ნაწილობრივ შეიძლება იმით აიხსნას, რომ ფარი ტყავგადაკრული ხისა იყო, ტოტებისაგან დანსული და მიწაში არ შემოინახა. სამაგიეროდ, გვაქვს ლითონისაფარიანი ნიმუშები, რომელთა გარსაკრავების მიხედვით საქართველოში ანტიკურ ხანაში რამდენიმე სახის ფარი გაირჩევა: მთლიანად ლითონის ფურცლით დაფარული; ლითონის სარტყლებით ანუ ვინრო ფურცლებით დაფარული; ლითონის უმბონებიანი. ეს რაც შეეხება ფარების აგებულებას. ხოლო ფორმა ფარისა, მისი მოყვანილობა, ყოველთვის არ ისაზღვრება თვით საფუძვლის ცუდად შემონახულობის გამო. მაგრამ არის გამოსახულებანი, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის ფარის მოყვანილობაზე.

საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე დადასტურებულ ფარებს შორის ყველაზე ადრეულია წითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის № 7 სამარხში აღმოჩენილი წრიული ფარი, რომელიც ჩვენამდე ბრინჯაოს თხელი (0,5-1,0 მმ) სამფენიანი ფირფიტის სახითაა მოღწეული. ფირფიტა წარმოადგენს ფრთავაშლილი არნივის გამოსახულებას. ის ჭედვითაა გამოყვანილი. მის კიდეს წყვილ-წყვილად დატანილი ნახვრეტები გასდევს ხის საფუძველზე დასამაგრებლად. ფიქრობენ, რომ ეს არის ჰოპლიტური, ანუ არგოსული ფარის ბრინჯაოს გარსაკრავი, რომელიც ძვ. წ. 600-450 წწ. შეიძლება დათარიღდეს (კვირკველია, 2001, გვ. 34, სურ. 3, 10, 11, 12).

ასევე ჰოპლიტური, ბერძნული ტიპის ფარის ბრინჯაოსფირფიტოვანი დეტალებია ნაპოვნი ახულ-აბაას სამარხის ნივთებს შორის, რომელიც ხის ფარის ნაშთებადამიჩნეული (კვირკველია, 2001, სურ. 1, გვ. 32). შემორჩენილია ხის ფარის (დიამეტრი 80-90 სმ) ბრინჯაოს გარსაკრავის ფრაგმენტები: I. გარეთა კიდის თხელი ფირფიტები, ორნამენტირებული რელიეფური წნულის ხუთი რიგითა და წნულში ჩართული ბურცობებით, რომელიც ორნამენტაციის კარგად ცნობილი სახეობაა ანტიკურ სამყაროში — ე. წ. გიოში და II. მრგვალი ცენტრალური ნაწილი, ე. წ. გული (დიამეტრი 29 სმ), რომელსაც კიდებებზე შემოუყვება პანია ლურსმნების წყება და აქვს ოთხი ბრტყელი კავი, თითქოსდა გარეთა ბრინჯაოს რგოლთან დასამაგრებლად განკუთვნილი. ჭრილში ჩანს, რომ ფარი გამობერილი იყო, ხოლო ორნამენტირებული კიდებრტყელი ჰქონდა. ახულ-აბაას

კომპლექსი, რომლის შემადგენლობაშიც ეს ფარი იყო, ძვ. წ. IV ს-ის დასასრულით თარიღდება (კვირკველია, 2001, გვ. 32).

ზემოგანხილული მრგვალი ფარები წარმოადგენენ ბერძენი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მეომრის შეიარაღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს — ე. წ. ჰოპლიტურ ფარს (რომელიც იყო წრიული, შუაში გამობერილი). მათ უნდა ჰქონოდათ ხის საფუძველი, რომელიც გარედან ბრინჯაოს გარსაკრავით იყო დაფარული. ასეთ ფარებს შიგნიდან მარყუჟი ჰქონდათ მკლავის გასაყრელად, ხოლო კიდესთან — ტყავის სახელური, ხელის ჩასაგდებად.

მთლიანად ლითონის ფურცლით დაფარულ სახეობას განეკუთვნება ასევე ეშერის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნახევარწრიული ბრინჯაოს ფურცელი, რომელსაც გარეთა, წრიული კიდე შეკეცილი აქვს, ხოლო მოპირდაპირე, სწორ კიდეზე — გამჭოლი ნახვრეტები (4 ც.) ლურსმნებისათვის; ასეთივე ნახვრეტებია (2 ც.) მრუდი კიდის გასწვრივ (Шамба, 1980, გვ. 50, ტაბ. XVI,) ხის საფუძველზე დასამაგრებლად. ივარაუდება, რომ ესაა ერთი ნახევარი ოვალური მოყვანილობის ხის ფარის გარსაკრავისა (ტაბ. XXXV, 1). ის ძლიერ დაზიანებულ მდგომარეობაში იქნა ნაპოვნი ნაყარში. საფუძველი მისი ამ ფორმის ფარის გარსაკრავად მიჩნევისა არის გვიანელინისტური ხანის ბოსფორში ნაპოვნი მეომრის ტერაკოტული გამოსახულებანი წაგრძელებული ოვალის ფორმის, შუაში გამყოფზოლიანი, ფარებით (Шамба, 1980, გვ. 50, ტაბ. XVI,). ასეთი ორი ნახევრისგან შედგენილი ოვალური ფარი, ოღონდ

სარტყლებისგან და არა ერთიანი ფურცლისაგან შედგენილი, ნაპოვნია ჩრდილოეთ კავკასიაშიც, რომელიც ძვ. წ. IV-III სს. თარიღდება (იხ. Черненко, 1968, გვ. 107, სურ. 57,4).

ლითონისსაფარიანი ფარების ნაირსახეობაა ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი წრიული ფორმის დისკოთი დაფარული ნიმუშები. ასეთი სამი ნიმუში გვაქვს: ერთი კამარახევის № 27 ქვებით გადახურული ორმოსამარხიდან, რომელიც ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება (ჯღარკავა, 1982, გვ. 50, სურ. 1024) და ორი ვარსიშაანთკარის ძვ.წ. IV სს-ის №№ 65 და 18 სამარხებიდან (მუხიგულაშვილი, 1986, გვ. 60, ტაბ. XXIV; გვ. 67, ტაბ. II). კამარახევიში აღმოჩენილი, 2 მმ სისქის წრიული ფორმის დისკოს (დიამეტრი 27-30 სმ) შუაში ნახევარსფერული ამოზურცული უმბონი აქვს (დიამეტრი 5 სმ), ხოლო დისკოს კიდე შემკულია ნვრილი, მძივისებური, ამოტვიფრული ორნამენტით (ტაბ. XXXV, 6). კიდეზე, მისგან 1,5 სმ დაშორებით, ორი ნახვრეტია. ვარსიშაანთკარის № 65 სამარხის ფარს (დიამეტრი 30 სმ) შუაში დეკორატიული, რელიეფური, სხივისებური ხაზებით შედგენილი ორნამენტი აქვს.

ლითონისსაფარიანი ფარების კიდევ ერთი ნაირსახეობაა რკინის ფურცლებისაგან შედგენილი და ბრინჯაოს მავთულით (თუ სარტყლით) შეკრული გარსაკრავით დაფარული ხის (ან ტყავგადაკრული ხის) ფარის ნაშთი, რომელიც ვანის ნაქალაქარის № 9, მეომრის სამარხში იყო აღმოჩენილი. ფარი დაყანგულია და დეფორმირებული, მისი მოყვანილობა არ ისაზღვრება. ფარი იდო მეომრის ფერხთით, ფარავდა შუბისპირებს (ლორთქიფანიძე და

სხვ., 1972, გვ. 211, სურ. 164). ასეთი ფარები, რომელთა გარსაკრავი რკინის ფურცლებისაგან შედგებოდა და ბრინჯაოს მავთულით იყო შეკრული, ჩრდილო შავიზღვისპირა სტეპების კომპლექსებიდან არის ცნობილი. ვანის ფარი მსგავსებას ავლენს ვოლკოვცის № 2 ყორღანის ფარის რკინისფირფიტოვან გარსაკრავთან, რომელსაც ტყავის საფუძვლის ფრაგმენტები აქვს შერჩენილი (Черненко, 1968, გვ. 109, სურ. 56,2). ყორღანი ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება. ვანის ნაქალაქარის № 9 სამარხი თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით (ლორთქიფანიძე, 1969, გვ. 25). ლითონისსარტყლებიანი გარსაკრავები, ლითონისვე მავთულით შეკრული, მხოლოდ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ფარებისთვისაა დამახასიათებელი (გამონაკლისია ერთი აღმოჩენა ბულგარეთის ტერიტორიაზე — Черненко, 1968, გვ. 110). ბრინჯაოს შემაკავშირებელი მავთული კი ერთგვარ შემკულობასაც წარმოადგენდა.

საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან ცნობილია ფარის წრიული, ლითონის (ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის) გულები, იგივე უმბონები, სხვადასხვა პროფილის (კონუსური, ნახევარსფერული) ბურცობითა და ირგვლივი კიდით. ჩვენ არ ვიცით, რა კონფიგურაციისა იყო თვით ფარი, რადგან უმბონის წრიულობა არ ნიშნავს ფარის წრიულობას (გამყრელიძე, 2002, გვ. 41).

ნახევარსფერულ ბურცობიანი ბრინჯაოს ხუთი უმბონი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, თორმეტსაფეხურიან საკურთხეველთან გამართულ ძვ. წ. II-I სს. საცავ-საგანძურში. ყველა ერთი ტიპისაა, ნახევარსფერული

მოყვანილობის შუა ნაწილს ირგვლივ ბრტყელი კიდე შემოუყვება (ტაბ. XXXV, 4). ბურცობს ცენტრში ნახვრეტი აქვს. ერთ მათგანს ცენტრში, გამოზიდულ ნაწილზე, ბრინჯაოს პატარა ლურსმანი აქვს მიკრული ხის საფუძველზე დასამაგრებლად (დიამეტრი 10 სმ, ბურცობისა — 7 სმ, სიმაღლე — 3 სმ). უმბონებს შიდა მხარეს დანახშირებული ხის ნამცეცები ჰქონდათ მიკრული, ხოლო მათი აღმოჩენის ადგილას უხვად ჩნდებოდა დამწვარი ხის ფრაგმენტები. უმბონები აღმოჩენილი იყო ნაგებობის იმ ადგილას, სადაც რკინის იარაღი იყო თავმოყრილი — სამი სატევარი და სამი მახვილი (ფირცხალავა, ყიფიანი, 1986, გვ. 75, სურ. 55, გ). ასე რომ, აღმოჩენის კონტექსტი მხარს უჭერს უმბონის ფარის კუთვნილად მიჩნევას.

სამი უმბონი აღმოჩნდა ყინვალის სამაროვანზე ახ. წ. III-IV სს-ის სამარხებში (ტაბ. XXXV, 3). ვერცხლის ნიმუშები მხედრის ტანისამოსის სამკერდულადაა განსაზღვრული (ჩიხლაძე, 1999, გვ. 68).

რკინის კონუსურბურცობიანი უმბონი ნაპოვნია მოდინახეს № 8 სამარხში (ნადირაძე, 1975, გვ. 49, 58, ტაბ. XX<sub>1</sub>): კონუსური ფორმის ბურცობს გარშემოუყვება 2 სმ სიგანის თხელი კიდე, რომელზეც ორი მანჭვალაია შემორჩენილი ერთმანეთის საპირისპირო მხარეს; მანჭვლები აქვთ შემორჩენილი ჩამოტეხილ ნაპირებსაც. როგორც ჩანს, ამით უმბონი ხის ან ტყავის საფუძველზე მაგრდებოდა. სამარხი ახ. წ. IV ს-ით თარიღდება (ნადირაძე, 1975, გვ. 58).

ძალიან ხშირად სამარხებსა და კულტურულ ფენებში ჩნდება ლითონის (ბრინჯაოს, რკინის) პატარა მოგრძო ფირფიტები, რომელთაც ბე-

ქთარის კუთვნილად მიიჩნევენ და უმეტესწილად ასეც არის (ამის შესახებ მონაცემები იხ. საჯავშნე ფირფიტების აღწერაში); მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ისინი ზოგიერთ შემთხვევაში ქერცლისებურსაფარიანი ფარების იყოს. ასეთი ფირფიტებით უნდა იყოს დაფარული მხედრის ფარი სოლოხას ცნობილ სავარცხელზეც (იხ. Черненко, 1968, სურ. 21).

როგორც დავინახეთ, ანტიკური ხანის საქართველოში ფარი, ინდივიდუალური თავდაცვითი შეიარაღების ეს კატეგორია, არცთუ ისე იშვიათი იყო. სიმცირე კონკრეტული აღმოჩენებისა მასალის ცუდი შემონახულობით შეიძლება აიხსნას. ამას გარდა, ლითონით დაფარულ ფარებს უმეტესად ნარჩინებული მეომრები ატარებდნენ (გამყრელიძე, 2002, გვ. 42).

ფარი რომ ანტიკური ხანის საქართველოს მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი შეიარაღების კატეგორია იყო, ამას მოწმობს ფარის გამოსახულებანი, რომლებსაც ვხვდებით: სამადლოში აღმოჩენილ ჭურჭლებზე, სადაც ხუთი წრიული ფარია წარმოდგენილი (Гагошидзе, 1981, გვ. 20, სურ. 227, 233-234) და სოფ. გომში აღმოჩენილ სასმისზე (ტაბ. XXXV, 5), რომელზეც ორი ერთნაირი ფარია გამოსახული — ოთხკუთხა, რომელსაც მარჯვენა ზედა კუთხე ამოჭრილი აქვს გამოსახედად (იხ. გამყრელიძე, 2001, გვ. 41, სურ. 1-2). საყურადღებოა, რომ ფარი ვერტიკალური ხაზებითაა დაყოფილი ვიწრო ზოლებად და ზემოდან და ქვემოდან ორი ჰორიზონტალური სარტყლითაა შეკრული. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფარის ის სახეობა, რომელიც ვანის № 9 სამარხშია დადასტურებული

— რკინის ფურცლებისაგან შედგენილი და ბრინჯაოს მავთულით შეკრული გარსაკრავით დაფარული ხის ფარი.

ყველა ის კომპლექსი, რომელშიც ფარი აღმოჩნდა, თუ დაზიანებული არაა, გამორჩეულია და მფლობელის მაღალ სოციალურ სტატუსზე მეტყველებს. მეტად საყურადღებოა, რომ ბერძნულ წერილობით წყაროებში მოხსენებულია ქართველური მოსახლეობის შეიარაღებაში ფარები (იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 41): ჰეროდოტეს ცნობით, „კოლხებს ჰქონდათ გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები“ (VII, 79; VII, 78). ქსენოფონტის „ანაბასისში“ ნათქვამია, რომ მოსინიკების მეომრებს „ყოველს ხელში ეკავა სუროს ფოთლისნაირი ფარი, ხარის თეთრი ბენვიანი ტყავით დაფარული“ (V, 12). ასევე ხალიბებთან ის მოიხსენიებს ხარის ტყავისაგან გაკეთებულ ფარებს (IV, 7, 22). სტრაბონთან ვხვდებით ცნობას, რომ იბერებს აქვთ ტყავის ფარები (XI, 4, 5).

**მუზარადები.** თავდაცვითი შეიარაღების ისეთი კატეგორია, როგორცაა მუზარადი, საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე იშვიათად გვხვდება. საქმე ეხება ლითონის მუზარადებს. საქართველოში აღმოჩენილი ამ ხანის ლითონის ყველა მუზარადი იმპორტია და განეკუთვნება ე. წ. ქალკიდური, ჰოპლიტური მუზარადის ტიპს. მათ აქვთ ნახევარსფერული ფორმა, შუბლის არეში „ისრისებური“ შეღრმავება, აქვთ ცხვირსაფარი და ყბისსაფარი. საქართველოში ამ ტიპის ბრინჯაოს მუზარადები აღმოჩენილია: სოხუმთან, ახულ-აბაას ბორცვზე, ორი ნიმუში (ტაბ. XXX, 3) (Воронов, 1991, გვ. 225, სურ. 3, 1-2; Kvirvelia, 1995, სურ. 4); ქუთაისთან; სოფ. კობ-

თან (Лордкиपანიძე Г., 1978, ტაბ. V<sub>3,4</sub>), ქ. ლანჩხუთთან (ტაბ. XXIX) — ყველგან თითო ნიმუში (გამყრელიძე, 2002, გვ. 43). რომაული ტიპის ნახევარსფერული მუზარადი (ტაბ. XXIX, 5) აღმოჩნდა კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონში, სოფ. ზემო ქედში (იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 43). ხელთა გვაქვს ექვსი ლითონის მუზარადი, ხუთი ბერძნული და ერთი რომაული წარმომავლობისა. მუზარადის გამოსახულებას ვხვდებით ზემოთ არაერთხელ ნახსენებ სოფ. გომის ვერცხლის სასამისზეც, სადაც ოთხივე მეომარს თავზე ნახევარსფერული მუზარადი ახურავს. საყურადღებოა, რომ ოთხივე მუზარადს ცხვირსაფარი აქვს, ხოლო სამზე თითქოს ყბისსაფარი გაირჩევა (ტაბ. XXX, 1). პირველი და მეორე მეომრის მუზარადებს შუბლთან სარტყელი მოუჩანთ, ისეთები, როგორსაც რომის რესპუბლიკის ეპოქაში უკეთებდნენ სიმტიციცისათვის (გამყრელიძე, 2002, გვ. 43).

სოფ. გომის სასამისი და წერილობითი წყაროები მოწმობს, რომ როგორც ძველი კოლხეთის, ასევე იბერიის მეომრებისათვის მუზარადი თავდაცვითი შეიარაღების აუცილებელ ნაწილს შეადგენდა. სიმცირე აღმოჩენებისა, მეომრის აღჭურვილობის სხვა კატეგორიების ანალოგიურად, იმით უნდა აიხსნას, რომ ისინი ტყავის, ხის ან რაიმე სხვა მასალისა იყო, რომელიც მიწაში არ შემოინახა. ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ „კოლხებს და მოსხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ“ (VII; 79, 78). სტრაბონი იბერებისა და პომპეუსის ბრძოლისდროინდელი ამბების აღწერისას აღნიშნავს, რომ იბერებს ტყავის მუზარადები ეხურათ (XI, 4, 5).

**კნემიდები.** მეომრის ჯავშნის ნა-

წილს შეადგენდა ლითონის სანვივე, რომელიც მეომრის ფეხს იფარავდა მუხლიდან ტერფამდე. სანვივეები, ანუ კნემიდები, წმინდა ბერძნული აღჭურვილობის ნაწილია. საქართველოში ანტიკური ხანის ძეგლებიდან ცნობილია სამი წყვილი. ისინი ბრინჯაოსია, ძირითადად ერთი ტიპისა: მუხლი და კუნთები რელიეფურადაა გამოყოფილი, სიგრძეზე გასდევს რელიეფური ქედი, შესაძლოა, სიმტიციცისათვის (ტაბ. XXXV, 2). ქვედა კიდე შესქელებულია, გარეთაა განეული; მთელ პერიმეტრს გასდევს სამი არალრმა პარალელური ხაზი და აქვს ნახვრეტები, ზოგჯერ — სარჩულზე და ზოგჯერ — ფეხზე დასამაგრებლად. მათი სიგრძე 30 - 35 სმ შორის მერყეობს. ორი წყვილი ბრინჯაოს კნემიდებისა ახულაბას ბორცვზეა ნაპოვნი; ერთი — ძვ. წ. IV ს-ის სამარხის ნაშთებს შორის, ხოლო მეორე — სამაროვნის ტერიტორიაზე (Воронов, 1991, სურ. 2, 1-2; 3; Kvirkevelia, 1995, სურ. 4). მესამე წყვილი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე № 9, ე. წ. მეომრის სამარხში, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით არის დათარიღებული. ამ სამარხში სიახლეა ის, რომ მეომრის ფეხის ჯავშანი მას იცავდა მუხლის ზემოთაც; ნაპოვნია ბრინჯაოს ე.წ. საბარკულები (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, გვ. 203, სურ. 172-173). ეს საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, სადაც კარგადაა ცნობილი კნემიდები, საბარკულები საერთოდ არ გვხვდება. ასეთი დეტალი აბჯრისა იშვიათია ანტიკურ სამყაროშიც და ითვლება, რომ ბრინჯაოს საბარკულები სიძვირის გამო მეომართა ძირითადი მასისათვის მიუწვდომელი იყო (Черненко, 1968, გვ.

122). საინტერესოა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ქართულ ლაშქარში ფეხის მთლიანად ლითონის ორნაწილიანი ჯავშნით დაფარვა გავრცელებული ჩვეულება იყო (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 27, სქ. 94). თავდაცვითი აღჭურვილობის ეს სახეობა - კნემიდები, ძვ.წ. VII ს-თვის ჩამოყალიბებულ ფორმად ითვლება და კლასიკურსა და ელინისტურ ეპოქებში არსებითი ცვლილებების გარეშე არის ხმარებაში (Черненко, 1968, გვ. 155). საყურადღებოა, რომ ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით ქართველურ ტომებს, ხალიბებს, ჰქონიათ კნემიდები (IV, 7, 16; გამყრელიძე, 2002, გვ. 42).

ასეთია თავდაცვითი შეიარაღების ელემენტები ანტიკური ხანის საქართველოში. თავისთავად შეიარაღების ამ კატეგორიის არსებობა მეტყველებს მფლობელის მაღალ სოციალურ სტატუსზე. ყოველი კომპლექსი, რომელიც თავდაცვითი შეიარაღების ერთ ან რამდენიმე ელემენტს შეიცავდა, იარაღისა და სხვა კომპონენტების სიმდიდრით გამოირჩევა. ლითონის თავდაცვითი შეიარაღების ნიმუშები საქართველოში წინარეანტიკური ხანიდან არის ცნობილი, ასეთებია ბემთაშენის № 13 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს მუზარადი (Куртин, 1941, ტაბ. XL) და ე. წ. ასურულ-ურარტული ტიპის მუზარადი პრიმორსკოეს დარღვეული სამარხიდან (Kvirkvelia, 1995, გვ. 78). შემდგომი ეტაპია ძვ. წ. VI საუკუნე, რომელიც ნითელი მუქურას № 7 სამარხის პოპულატური ფარის ბრინჯაოს არწივისგამოსახულებიანი ემბლემითაა წარმოდგენილი. მომდევნო ხანაში, ძვ. წ. IV-III სს-ში, უკვე სახეზეა ფარები და მათი გარსაკრავები (ახულ-აბაა, ეშერა, ვანი,

მოდინახე, კამარახევი, ვარსიმაანთკარი, შინვალი), ქალკიდური ტიპის და რომაული მუზარადები (ახულ-აბაა, ქუთაისი, კოხი, შუხუთი, ზემო ქედი), კნემიდები (ახულ-აბაა, ვანი) და ბექთარის ფირფიტები (ვანი, საირხე).

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მეომრის სამარხი (№ 9) კარგი ილუსტრაციაა წარჩინებული პირის დამარხვის წესისა; აქ წარმოდგენილია შეტევითი და თავდაცვითი შეიარაღების ერთობლიობა: მიცვალებულს სამი მხრიდან შემოწყობილი ჰქონდა რკინის სხვადასხვა სტანდარტის შუბისპირები, რომელთა რაოდენობა 53-ს აღწევს. ასევე რკინის სატევარი და მახვილი. რკინისა და ბრინჯაოს ისრისპირები მიმოფანტული იყო სამარხის მთელ ფართობზე, ხოლო ორგან მიჯრით იყო ჩანყობილი გარკვეული წესრიგით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი ტყავის ან ხის კაპარჭში ეწყო. თავდაცვითი შეიარაღება წარმოდგენილია რკინის ფარით, რომელიც მეომარს ფერხთით ედო, და ქვედა კიდურების ბრინჯაოს ჯავშნით - კნემიდებითა და საბარკულეებით, რაც იშვიათი მოვლენაა ბერძნულ სამყაროშიც მისი სიძვირის გამო. ამ სამარხში დაკრძალული პიროვნების მაღალი სოციალური სტატუსი სამარხში ჩატანებული ოქროსა და ვერცხლის ინვენტარითაც დასტურდება.

**საბრძოლო ეტლები.** საზოგადოების სამხედრო ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი მოწმობაა საბრძოლო ეტლების არსებობა. ანტიკური ხანის საქართველოში არქეოლოგიურ აღმოჩენათა ეს კატეგორია შემდეგი სახით გვაქვს წარმოდგენილი: ორი კონკრეტული ეტლის ნაშთები უფლისციხიდან; ეტლის ბრინჯაოს მოდელი გოხებიდან; რელიეფის ფრაგმენტი ეტ-

ლის ნაწილის გამოსახულებით ვანის ნაქალაქარიდან (ტაბ. XXXI).

უფლისციხის არქეოლოგიურ მასალაში, რომელიც ბოლოდროინდელ გამოკვლევებში ძვ. წ. IV საუკუნის სამარხის ინვენტარად არის მიჩნეული, ნაპოვნია ორი — „დიდი“ და „მცირე“ ეტლის ფრაგმენტები. დიდი, ანუ „სამეფო ეტლი“ შემდეგი ნაწილებით არის წარმოდგენილი: ბორბლები — ფერსოს რკინის გარსაკრავის ნატეხები, ლურსმნები, სარჭები, ღერძი, წრიული საგდულები, მანის ფუძეების გარსაკრავები, რკინის ხელნა (იხ. ყიფიანი, 2000, გვ. 80, სურ. 40-56). ეს იყო საბრძოლო-ცერემონიალური ორბორბლიანი მსუბუქი ეტლი, რკინის პროტექტორებიანი რვამანიანი ბორბლებით, ე. წ. აღმოსავლური ტიპისა (ტაბ. XXXI, 2A). პროტექტორებიანი ბორბლების არსებობა მოწმობს ეტლის პრაქტიკულ დანიშნულებას.

რაც შეეხება „მცირე ეტლის“ ფრაგმენტებს, აქ წარმოდგენილია ფერსოს რკინის საღტე, ლურსმნები, მანჭელები, სარჭები. ისინი ასევე ორბორბლიანი მსუბუქი ეტლის ნაწილებადაა განსაზღვრული, ხოლო თვით ეტლი - ეტლის მოდელად არის მიჩნეული მცირე ზომებისა და უპროტექტორო ბორბლების გამო (ყიფიანი, 2000, გვ. 80, 87, სურ. 32-39, 79-80).

საბრძოლო ეტლის სხმული ბრინჯაოს მოდელი ნაპოვნი იყო თეთრინყაროს რაიონში, ადგილ გოხებში (სიგრძე 19 სმ, სიმაღლე 8 სმ); ესაა ორბორბლიანი, ორცხენშებმული ეტლი, აქვს ორად გაყოფილი ქვირული ძარა (ანუ „ყუთი“), რომელიც უკან ღიაა, ხელნა; ცილინდრულ სარქველებიანი და ათმანიანი ბორბლები. ბორბალს აქვს

გვერდითი ცელი, რომელიც საბრძოლო მოქმედებების დროს ცელავდა მტრის გარემოცვას (ტაბ. XXXI, 1). ამ ტიპის ეტლები ითვლება ეტლის კლასიკურ ტიპად, რომელიც ძვ. წ. VII-IV სს-ში გავრცელებული იყო ბერძნულ სამყაროში (Jordkipანიძე, Kიპიანი, 1999, გვ. 197).

ეტლის გამოსახულებიანი კირქვის ფრაგმენტი ნაპოვნია ვანის ნაქალაქარზე, რომელიც ძვ. წ. II-I სს. თარიღდება (ჭყონია, 1986, გვ. 95). ეტლის ბორბლები პროტექტორებიანია (ტაბ. XXXI, 2); ეს დეტალი აღმოსავლური ეტლებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ოთხმანიანი ბორბალი მას უფრო ანტიკურ სამყაროსთან აკავშირებს.

ამრიგად, როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, ანტიკური ხანის საქართველოში მმართველი — არისტოკრატიული წრეების სამხედრო საქმეში გარკვეული ადგილი ეკავა საბრძოლო ეტლს.

ეტლის არსებობა ბუნებრივია ცხენსაც გულისხმობს. მაგრამ, როგორც არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, შეკაზმული ცხენი ანტიკური ხანის საქართველოში მხოლოდ წარჩინებულ მეომრებს ჰყავდათ. რაც შეეხება მხედრობას, როგორც დამოუკიდებელ სამხედრო ძალას, არქეოლოგიური მონაცემებით არ ჩანს მისი აქტიური, მასშტაბური სამხედრო მოქმედებები ადრეანტიკურ ხანაში. დაბეჯითებით თქმა ძნელია, ჰქონდა თუ არა ახ. წ. I ს-მდე საქართველოში მხედრობას ჩამოყალიბებული სამხედრო გვარეობის ფუნქცია ბრძოლების დროს. ძვ. წ. VI-III სს-ის სამარხეული კომპლექსები, რომლებშიც ცხენის თანადამარხვა დასტურდება (წითელი შუქურა, საირხე,

ვანი, ითხვისი, ყანჩაეთი, არდასუბანი, შავსაყდარა, ალგეთი, ახალგორი, ივრისპირი, ალაზნისპირი), ხშირ შემთხვევაში არ შეიცავენ საბრძოლო იარაღს. ასე მაგალითად, საირხეში შვიდი ცხენიანი სამარხიდან შეიარაღება (ბექთარი და ისრისპირები) მხოლოდ ერთში — № 8 სამარხში დადასტურდა (ნადირაძე, 1990, გვ. 30). შავსაყდარა II-ის სამარხებიდანაც ერთი იყო საბრძოლო იარაღის (შუბისპირი, სატევარი) შემცველი — № 6 ქვისსამარხი (მარგიშვილი, 1992, გვ. 6, 12-15). საბრძოლო იარაღი ახლდა ასევე წითელი შუქურას (სამარხი № 8), ითხვისის, ყანჩაეთის, ენაგეთის, არდასუბნის, ივრისპირის, ალაზნისპირის სამარხების განსვენებული, რომლებსაც შეკაზმული ცხენი ჰქონდათ ჩატანებული (გაგოშიძე, 1964, გვ. 79; მარგიშვილი, 1992, გვ. 68; მამაიაშვილი, 1980, გვ. 104; *Лордкипანიძე Г.*, 1978, გვ. 88). ალგეთში, ვანში, საირხეში და შავსაყდარა II-ში (ერთი იარაღიანი და ცხენიანი თანადამარხვის გამოკლებით) სამარხებში იარაღი არ აღმოჩენილა, აქ ცხენებისა და მათი აკაზმულობის ჩაყოლება დაკრძალვის წესის შემადგენელი ელემენტია და ყველა ეს სამარხი, „მდიდრული“ თავისი ინვენტარით, დანიანაურებული, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელ პირთა კუთვნილია (მარგიშვილი, 1992, გვ. 79, 87). მხედრის სამარხებს ვხვდებით გვიანანტიკურ ხანაში — კლდეეთში, ყინვალში ახ. წ. II-IV სს. სამარხებში (ლომთათიძე, 1957, გვ. 19, სურ. 2; გვ. 155, სურ. 32, ტაბ. XXII).

ანტიკური ხანის საქართველოს (ძვ. წ. VI-ახ. წ. IV სს.) შეიარაღების ყველა სახეობის ერთიანობაში განხილვის შედეგად მეტ-ნაკლებად სრული სურა-

თი გამოიკვეთა. გაირკვა, რომ აღნიშნულ ხანაში ქართველური მოსახლეობა ფლობდა როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი შეიარაღების კომპონენტებს. შეტევითი ხასიათის იარაღიდან მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე წამყვანია შუბი, რომელიც ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით ხასიათდება. ასევე მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმარობენ სატევარსა და მახვილს, თუმც აქვე უნდა ითქვას, რომ ისინი საყოველთაოდ, ყოველ არქეოლოგიურ კომპლექსში არ გვხვდება ანტიკური ხანის ნებისმიერ ეტაპზე. ასევე ჩნდება მშვილდ-ისარი მთელი ეპოქის განმავლობაში ისრისპირების სახით, თუმც პროცენტულად საკმაოდ ჩამორჩება იარაღის სხვა კომპონენტებს — არქეოლოგიურ კომპლექსებში შედარებით იშვიათია ისრისპირთა სერიები. რაც შეეხება საბრძოლო ცულს, ის საკმაოდ პოპულარული იარაღია ძვ. წ. VI-II სს-ში, რის შემდეგაც ხმარებიდან გამოდის. თავდაცვითი შეიარაღების ელემენტებიდან ანტიკური ხანის საქართველოში გვხვდება ბექთარი, ფარი, მუზარადი და წვივსაფარი-კნემიდები. შემორჩენილია მხოლოდ ლითონისგან დამზადებული და ე. წ. ლითონით გამყარებული ნიმუშები (ძვ. წ. V-III სს-ისა), მაგრამ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქნებოდა ხისა და ტყავის თავდაცვითი შეიარაღების ნივთებიც, რომლებიც მიწაში არ შემოინახა. თავისთავად ლითონის თავდაცვითი შეიარაღების არსებობის ფაქტი მფლობელის მაღალ სოციალურ სტატუსზე მეტყველებს. ყოველი არქეოლოგიური კომპლექსი, რომელიც თავდაცვითი შეიარაღების ერთ ან რამდენიმე ელემენტს შეიცავს,



ინვენტარის სიმდიდრით გამოირჩევა და მაღალი სოციალური წრის პიროვნების კუთვნილად ითვლება.

იმ არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, რომელიც ძველი საქართველოს მოსახლეობის, ან ცალკეული სამხედრო შენაერთების წევრთა შეიარაღების სისტემას ასახავს, ჩანს, რომ იმ დროის საქართველოში მეომარი სრულადაა აღჭურვილი, ჩანს ასევე უპი-

რატესი იარაღიც (შუბი) და დამხმარე იარაღთა კომპლექსებიც. ეს სიტუაცია აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელთაც ანტიკური ხანის სამხედრო საქმე დღის წესრიგში აყენებდა.

როგორც ჩანს, ანტიკური პერიოდის საქართველოში, შეტევისა და თავდაცვის იმ დროისათვის მონინავე, გარკვეულწილად, თავისებური შეიარაღება ჰქონდათ.

## დამონეხული ლიტერატურა

### BIBLIOGRAPHY

- აბრამიშვილი გ., ზაქარაია პ., ციციშვილი ირ., 2000, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000.
- აბრამიშვილი რ., 1957, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX A- და XXI -B, 1957, გვ. 115-140.
- ალექსიძე ზ., 1984, ცხოვრება ფარნავაზისა, ჟურ. „მნათობი“, 1984, თბ., № 12, გვ. 152-157.
- აპიანე, 1959, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959.
- აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., 1955, მცხეთა I, თბ., 1955.
- აფაქიძე ან., 1963, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
- ახვლედიანი დ., 2003, ლოდსატყორცნების ჭურვები ვანის ნაქალაქარიდან, აკც-ს ჟურ. ძიებანი, დამატება IX, იბერია-კოლხეთი, საქ. ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული № 1, თბ., 2003, გვ. 7-13.
- ბარამიძე რ., 1992, ფარნავაზმან ძლიერ ჰყო ქვეყანა თვისი, თბ., 1992.
- ბერაძე თ., 1967, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1967, გვ. 135-141.
- ბერძენიშვილი ნ., 1964, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.
- ბერძენიშვილი ნ., 1977, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1977.
- ბერძენიშვილი მ., 1969, ქ. ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.
- ბოჭორიშვილი ლ., 1946, ოქრომჭედლობა სვანეთში, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“, თბ., 1946, № 5, გვ. 284-285.
- ბოხორაძე ალ., 1963, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III ტ., თბ., 1963, გვ. 27-28.
- ბრაგვაძე ზ., 1990, კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონების (ყვირილის ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, თბ., 1990, № 4, გვ. 137-150.
- გაგოშიძე იულ., 1964, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
- გაგოშიძე იულ., 1982, თრიალეთის სამაროვნები. კატალოგი, თბ., 1982.
- გაგუა გ., 1988, კოლხეთის აგროკლიმატური რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა, თბ., 1988.
- გამყრელიძე ალ., 1959, ახლად აღმოჩენილი ლათინური წარწერა ფარსმან მეფისა, ჟურ. „ცისკარი“, თბ., 1959, № 9, გვ. 135-139.
- გამყრელიძე ალ., 1973, ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1973.
- გამყრელიძე ალ., 1982, წერილები, თბ., 1982.
- გამყრელიძე გელა, 1982, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982.
- გამყრელიძე გ., 1985, აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის ... სერია, თბ., 1985, № 3, გვ. 86-99.

**გამყრელიძე გ., 1985ა,** ანტიკური ხანა თუ იბერიულ-კოლხური ხანა, კრებ. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III, თბ., 1985, გვ. 123-126.

**გამყრელიძე გ., 1987,** ნყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, თბ., 1987, № 1, გვ. 98-117.

**გამყრელიძე გ., 1988,** ნყალქვეშ მოქცეული არქეოლოგიური ძეგლები, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1988, № 4, გვ. 44-50.

**გამყრელიძე გ., 1989,** მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, თბ., 1989, № 2, გვ. 59-69.

**გამყრელიძე გ., 1993,** ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1993.

**გამყრელიძე გ., 2001,** ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), კრებ. ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები; აკც-ს „ძიებანის“ დამატებანი IV, თბ., 2001, გვ.26-32.

**გამყრელიძე გ., 2002,** ვერსია ბრძოლის სოფუციანი ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ. გომიდან, აკც-ს ძიებანი, № 10, თბ., 2002, გვ. 39-49.

**გამყრელიძე გ., 2002,** კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), გამომც. „ლოგოსი“, თბ., 2002.

**გაფრინდაშვილი გ., 1961,** ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო ნარწერა თრეხვის ქვაბებიდან, საქ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების ჟურ. „მომამბე“, თბ., 1961, № 1, გვ. 239-262.

**გეორგიკა, III, 1936** (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), თბ., 1936.

**გეორგიკა, II, 1965** (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), თბ., 1965.

**გიორგაძე გ., 1986,** არმაზის ბილინგვა; „ფარნავაზი“ თუ „ფარნავაზიანი“, ჟურ. „მნათობი“, თბ., 1986, № 10, გვ. 151-159.

**გიორგაძე გ., 1999,** ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., გამომც. „ლოგოსი“, 1999.

**გობეჯიშვილი გ., 1952,** არქეოლოგიური გათხრები საბჭ. საქართველოში, თბ., 1952.

**გოზალიშვილი გ., 1965,** მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965.

**გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ., 1973,** დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V ტ., თბ., 1973, გვ. 17-38.

**გუგუშვილი პ., 1954,** მარცვლეული მეურნეობა საქართველოში და ამიერკავკასიაში, თბ., 1954.

**დავლიანიძე ც., 1983,** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983.

**დიონ კასიოსი, 1966,** ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ნ. ლომოურმა, თბ., 1966.

**დუნდუა გ., 1974,** „იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში“, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, თბ., 1974, № 2, გვ. 146-159.

**დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ., 1977,** მონეტები ვანიდან, კრებ. ვანი, III ტ., თბ., 1977, გვ. 119-152.

**ელიაშვილი ვ., 1959,** მშვილდოსნობა, თბ., 1959.

- ვანი I, კრებ. (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თბ., 1972.
- ვანი II, კრებ., თბ., 1976.
- ვანი III, კრებ., თბ., 1977.
- ვაშაკიძე ვ., 1991, ელინისტური ხანის ქართლის სოციალური ისტორიიდან, თბ., 1991.
- ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
- ზაქარაია პ., 1981, ნოქალაქევი 1973-77 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, თბ., 1981, გვ. 77-119.
- თავაძე ფ., საყვარელიძე თ., ინანიშვილი გ., 1976, ვანში აღმოჩენილი რკინის ნივთების კვლევის შედეგები, ვანი II, 1976, გვ. 215-220.
- თოლორდავა ვ., 1976, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, 1976, გვ. 68-78.
- თოლორდავა ვ., 1980, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.
- თუშიშვილი ნ., 1970, ბოგვისხევის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, „მაცნე“, ისტორიის ... სერია, № 3, 1970.
- ინაძე მ., 1961, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“, XXVI ტ., თბ., 1961, № 6, გვ. 783-790.
- ინაძე მ., 1986, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, , თბ., 1986, № 4, გვ. 32-53.
- ინაძე მ., 1987, ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“ (ისტ.... სერია), თბ., 1987, № 4, გვ. 46-67.
- ინაძე მ., 1994, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
- იოსელიანი ა., 1973, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973.
- კალანდაძე აღ., 1954, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954.
- კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ., 1979, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე. ვანი IV, თბ., 1979.
- კახიძე ამ., 1971, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბ., 1971.
- კახიძე ამ., 1975, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათუმი, 1975.
- კეცხოველი ნ., 1959, საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., 1959.
- კვიციანი გ.გ., 1976, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976.
- კვიციანი გ.თ., 2001, ჰოპლიტური ფარები კოლხეთში, ძიებანი, № 7, 2001, გვ. 32-40.
- კორძახია მ., 1961, საქართველოს ჰავა, თბ., 1961.
- ლამბერტი არქანჯელო, 1938, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.
- ლანჩავა ომ., 1975, ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, თბ., 1975.
- ლეჟავა გ., 1978, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები. თბ., 1978.
- ლომთათიძე გ., 1957, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.
- ლომოური ნ., 1955, კლავდიოს პტოლემეაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.
- ლომოური ნ., 1981, ნოქალაქევი-ციხე-გოჯი, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I ტ., თბ., 1981, გვ. 18-47.

**ლორთქიფანიძე გ., 1976, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, კრებ. ვანი II, თბ., 1976, გვ. 167-190.**

**ლორთქიფანიძე გ., 1979, სამხედრო საქმის ისტორიისათვის ანტიკური ხანის კოლხეთში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები (ისტ. ხელ...), ტ. 205, თბ., 1979, გვ. 95-107.**

**ლორთქიფანიძე ოთ., 1957, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მომავალი გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. „მომბე“, XIX, თბ., 1957, № 3, გვ. 377-384.**

**ლორთქიფანიძე ოთ., 1963, ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, თბ., 1963, გვ. 97-106.**

**ლორთქიფანიძე ოთ., 1966, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.**

**ლორთქიფანიძე ოთ., 1968, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968.**

**ლორთქიფანიძე ოთ., 1972, ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), კრებ. ვანი, I ტ., თბ., 1972, გვ. 7-42.**

**ლორთქიფანიძე ოთ., 1977, ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), კრებ. ვანი, III ტ., თბ., 1977, გვ. 13-27.**

**ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა., 1972, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, 1972, გვ. 198-239.**

**ლორთქიფანიძე ოთ., 1976, არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, თბ., 1976, № 2, გვ. 110-128.**

**ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ლეჟავა გ., ლორთქიფანიძე გ., მათიაშვილი ნ., ჭყონია ან., მჭედლიშვილი ბ., 1976, 1970-1976 წლებში ვანში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ვანი II, თბილისი, 1976.**

**ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ან., 1981, ძვ.წ. VI-IV სს. კოლხური კერამიკა ვანიდან, კრებ. ვანი V, თბ., 1981.**

**მამაიაშვილი ნ., 1980, სკვითურინვენტარიათა სამარხები იორ-ალაზნის აუზიდან. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, IV, 1980, გვ. 103-115.**

**მამულაძე შ., კახიძე ამ., ხალვაში მ., 2001, რომაელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კრებ. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, X, თბ., 2001, გვ. 163-177.**

**მამულია გ., 1979, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979.**

**მარგიშვილი ს., 1992, ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან, თბ., 1992.**

**მელიქიშვილი გ., 1965, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.**

**მელიქიშვილი გ., 1978, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზების შესახებ, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, თბ., 1978, № 3, გვ. 54-63.**

**მენაბდე მ., დავლიანიძე ც., 1968, თრიალეთის სამაროვნები. კატალოგი I, თბ., 1968.**

**მიქელაძე თ., 1967, ქსენოფონტის ანაბასისი; ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ), თბ., 1967.**

**მუსხელიშვილი დ., 1977, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977.**

**მუხიგულაშვილი ნ., 1986, ვარსიშანთკარის სამაროვნის ბრინჯაოს ფარები, არქეოლოგიური ძიებანი, VI, თბ., 1986, გვ. 67-75.**

- ნადირაძე ჯ., 1975, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
- ნადირაძე ჯ., 1990, საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990.
- ნაკაიძე ნ., 1980, ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები დაჭრილების სამაროვნიდან, კრებ. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 28-41.
- ნიკოლაიშვილი ვ., 1990, ძველი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია ახალ აღმოჩენათა შუქზე, თბ., 1990.
- ორბელიანი სულხან-საბა, 1966, თხზულებანი, ტ. IV<sub>2</sub>, თბ., 1966.
- პაპუაშვილი რ., 1998, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის, აკც-ს ძიებანი, № 1, 1998, გვ. 43-57.
- პლუტარქე, 1957, პარალელური ბიოგრაფიები (თარგმანი აკ. ურუშაძისა), თბ., 1957.
- რამიშვილი რ., 1959, კამარახევის სამაროვანი, მასალები საქ. და კავკასიის არქ., II, თბ., 1959, გვ. 5-52.
- რამიშვილი ქ., 1999, ნადირობის სცენები არაგვისპირის ვერცხლის სურებზე, აკც-ს ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 71-75.
- სანიკიძე თ., 1987, უფლისციხე, თბ., 1987.
- სანიკიძე ლ., 1956, პონტოს სამეფო, თბ., 1956.
- საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია (რედ. გ. პაიჭაძე), თბ., 1993.
- საქართველოს არქეოლოგია, I, თბ., 1991, გვ. 50-69.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I ტ., თბ., 1970.
- სახაროვა ლ., 1976, ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბ., 1976.
- ურუშაძე აკ., 1964, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.
- ფირცხალავა მ., 1978, სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის. საქ. არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978, გვ. 31-51.
- ფლავიუს არიანე, 1961, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ნ. კეჭელმაძემ), თბ., 1961.
- ფუთურიძე რ., 1959, გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. მასალები საქ. და კავკასიის არქ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 54-94.
- ქავთარაძე გ., 1985, ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985.
- ქავთარია გ., 1999, ფარნავაზი, თბ., 1999.
- ქ.ც. - ქართლის ცხოვრება, I ტ., ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
- ყაუხჩიშვილი თ., 1951, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.
- ყაუხჩიშვილი თ., 1957, სტრაბონის გეოგრაფია; ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ), თბ., 1957.
- ყაუხჩიშვილი თ., 1962, მემონის ჰერაკლის ისტორიის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 34, თბ., 1962, გვ. 137-193.
- ყაუხჩიშვილი თ., 1965, შიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.
- ყაუხჩიშვილი თ., 1969, ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, კრებ. აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ., 1969, გვ. 186-190.
- ყაუხჩიშვილი თ., 1976, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
- ყაუხჩიშვილი თ., 1976-7, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, დიოდორე სიცილიელი (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ), თბ., 1976-7.

- ყაუხჩიშვილი თ.**, 1977, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1977.
- ყაუხჩიშვილი თ.**, 1987, ვანის ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, კრებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987, გვ. 131-143.
- ყაუხჩიშვილი თ.**, 1998, ახალი ბერძნული წარწერა არმაზციხე-ბაგინეთიდან (II), ხელოვნების სახ. მუზეუმის კრებ. „ნარკვევები“, თბ., 1998, გვ. 11-14.
- ყაუხჩიშვილი თ.**, 1999, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, დასავლეთი საქართველო, თბ., 1999.
- ყიფიანი გ.**, 1991, ნიშანთა ფუნქციის შეცნობისათვის კოლხურ და იბერიულ კრამიტებზე, თბ., 1991.
- ყიფიანი გ.**, 1995, ანტითეზური გამოსახულებანი, ხელოვნების სახ. მუზეუმის ნარკვევები, I, თბ., 1995, გვ. 10-21.
- ყიფიანი გ., ამაშუკელი ნ.**, 1995, კოლხური და ფრიგიული სახლები, თბ., 1995.
- ყიფიანი გ.**, 1996, ძველი ვანის ზუროთმოძღვრება, „ძველის მეგობარი“, თბ., № 2. 1996.
- ყიფიანი გ.**, 1999, უფლისციხის განადგურებული ქვაბულები. ნარკვევები V. თბ., 1999.
- ყიფიანი გ.**, 2000, უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი (კატალოგი და შენიშვნები). არქეოლოგიური ჟურნალი I, საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმი, თბ., 2000, გვ. 74-95.
- ყიფიანი გ.**, 2000, ბრინჯაოს ქვირულ ბალათათა ატრიბუციის საკითხები, კავკასიის მაცნე № 1, 2000, გვ. 80-91.
- ყიფიანი გ., გავაშელი ედ.**, 2000, წინამურის ველის კოშკურა სახლი, მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი, IV სამეცნიერო სესიის ანგარიშები, თბ., 2000.
- ყიფიანი გ.**, 2001, უფლისციხის უადრესი კარიბჭე. ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები. „ძიებანი“, დამატებანი, IV. თბ., 2001.
- ყიფიანი გ.**, 2002, უფლისციხე. თბ., 2002.
- ყიფიანი გ.**, 2003, მცხეთის სასოფლო-სამეურნეო უბანი (წინამური). იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, თბ., 2003. № 1.
- შარდენი ჟან**, 1975, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (თარგმნა მ. მგალობლიშვილმა), თბ., 1975.
- შატბერაშვილი ვ.**, 1999, ეცოს სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხი, აკც-ს ძიებანი, № 3, 1999, გვ. 57-60.
- შატბერაშვილი ვ.**, 2003, ძვ.წ. IV-III სს. საბრძოლო იარაღიანი სამარხები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან, აკც-ს ძიებანი, დამატებანი, IX, იბერია-კოლხეთი, თბ., 2003, გვ. 118-129.
- შპაიდელი მ.**, 1985, კავკასიის საზღვარი; I ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, თბ., 1985, № 1, გვ. 134-140.
- ჩარკვიანი მ.**, 2002, ექ. თაყაიშვილის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე, აკც-ს ჟურ. ძიებანი, № 10, თბ., 2002, გვ. 57-61.
- ჩიხლაძე ვ.**, 1999, არაგვის ხეობა ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ფინვალის სამაროვნის მასალების მიხედვით). ავტორეფერატი ისტ. მეცნ. კანდ-ის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.
- ჩიხლაძე ვ.**, 2003, გვიანანტიკური ხანის მეომრის სამარხი ფინვალის სამაროვნიდან. აკც-ს ძიებანი. დამატებანი, IX, იბერია-კოლხეთი. საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, თბ., 2003, გვ. 130-135.

- ჩოლოყაშვილი კ., 1954**, ქართული საბრძოლო იარაღი, ფარი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-ნ, თბ., 1954, გვ. 227-253.
- ციციშვილი ირ., 1955**, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955.
- ცკიტიშვილი გ., 1964**, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 71-106.
- ძველაია მ., 1973**, კოლხეთის დაბლობი, თბ., 1973.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (რედ. ილ. აბულაძე), ნ. I, თბ., 1963.**
- ნერეთელი გ., 1942-3**, არმაზის ბილინგვა, „ენიმკის“ მოამბე, XIII, თბ., 1942-3, გვ. 1-83.
- ნერეთელი გ., 1958**, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1958.
- ნერეთელი კ., 1992**, შენიშვნები არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტზე, თბ., 1992.
- ნითლანაძე ლ., 1973**, არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. ლიაში. ძმ. № 33, თბ., 1973, გვ. 66-72.
- ნითლანაძე ლ., 1983**, ვარსიმეანთკარის სამაროვანი. კრებ. ჟინვალის არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1983.
- ჭყონია ან., 1981**, ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულები, კრებ. ვანი VI, თბ., 1981.
- ჭყონია ან., 1986**, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 93-121.
- ხაზარაძე ნ., 1984**, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბ., 1984.
- ხარაბაძე ს., 2003**, ახ. ნ. I-II სს-ის სამარხი სოფელ ზედა გორადან (ვანის რ-ნი). აკც-ს ძიებანი. დამატებანი, IX, იბერია-კოლხეთი. საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, თბ., 2003, გვ. 164-169.
- ხახუტაიშვილი დ., 1964**, უფლისციხე I, თბ., 1964.
- ხახუტაიშვილი დ., 1970**, უფლისციხე, თბ., 1970.
- ხიმშიაშვილი კ., 2001**, უფლისციხის ზოგიერთი ქვაბოვანი კომპლექსის ფუნქციისათვის. Analecta iberica, თბ., 2001.
- ხოშტარია-ბროსე ედ., 1996**, ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1996.
- ხოშტარია ნ., 1972**, ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. ვანი I, თბ., 1972.
- ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურძე რ., ლეჟავა გ., 1972**, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს, ვანი I, თბ., 1972.
- ჯავახიშვილი ალ., 1958**, ხაიმის განძი, ჟურ. მნათობი, თბ., № 3, 1958, გვ. 149-157.
- ჯავახიშვილი ივ., 1960**, ქართველი ერის ისტორია, I ტ., თბ., 1960.
- ჯანაშვილი ალ., 1963**, საქართველოს ცხოველთა სამყარო, III, თბ., 1963.
- ჯანაშია ს., 1952**, შრომები, II ტ., თბ., 1952.
- ჯანაშია ს., 1959**, შრომები, III ტ., თბ., 1959.
- ჯანელიძე ჭ., 1991**, საქართველოს ბუნებრივი გარემო ქვის ხანაში, საქართველოს არქეოლოგია, I, თბ., 1991, გვ. 50-69.
- ჯაფარიძე ვ., 1977**, ძველი ვარდციხე „ვარდიგორა“, კრებ. ძეგლის მეგობარი, თბ., 1977, № 46, გვ. 43-50.
- ჯაფარიძე ვ., 1990**, ანტიკური ხანის შორაპნის (სარაპანისი) ახალი არქეოლოგიური მონაცემები, თბ., 1990.
- ჯიბლაძე ლ., 1997**, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997.



- ჯღარკავა თ., 1982, კამარახევის სამაროვანი. კრებ. მცხეთა VI, თბ., 1982.
- ჰეროდოტე, 1975-1976, „ისტორია“, თარგმანი თ: ყაუხჩიშვილისა, თბ., I, 1975, II, 1976.
- Аам. Архитектура античного Мира, Материалы и документы по истории архитектуры. Составили В. П. Зубов и Ф. А. Петровский, М., 1940.
- Агбунов М., 1987, Античная лоция Черного моря, М., 1987.
- Аноним Византийский, 1940, Инструкции по полиоркетике (по осадному искусству), Вестник древней истории, М. 1940, № 3-4 (12-13), с. 425-453.
- Античные государства Северного Причерноморья (ред. Кошеленко Г., Кругликова И.), Арх. СССР, М., 1984.
- Анчабадзе Г., 1990, Источниковедческие проблемы военной истории Грузии, Тб., 1990.
- Апакидзе А., Николаишвили В., Гиунашвили Г., Манджгаладзе Г., Дзениладзе М., Садрадзе В., Давлианидзе Р., Глonti Н., 1985, Археологические раскопки в Мцхета и ее округе, ПАИ в 1982 г., Тб., 1985, с. 44-46.
- Апакидзе А. и др., 1987, Археологические раскопки в Мцхета в 1984 г. ПАИ, Тб., 1987.
- Аполлодор, 1940, Полиоркетика (Искусство осады городов), Вестник древней истории, М. 1940, № 3-4 (12-13), с. 394-413.
- Аракелян Б., 1976, Очерки по истории искусства древней Армении, Ереван, 1976.
- Армянская география VII вв., издал К. Патканов, С.-Петербург, 1877.
- Археология СССР, 1984, Античные государства Северного Причерноморья, МИА, М., 1984.
- Археология СССР, 1989, Степи европейской части СССР в скифо-сарматское время, МИА, М., 1989.
- Атлас Грузии, Тб., 1964.
- Афиней, 1940, О машинах, Вестник древней истории, М., 1940, № 3-4 (12-13), с. 414-424.
- Берадзе Т., 1989, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.
- Бикерман Э., 1985, Государство Селевкидов, М., 1985.
- Блаватский В., 1953, История античной расписной керамики, М., 1953.
- Блаватский В., 1954, Очерки военного дела в античных государствах Северного Причерноморья. М., 1954.
- Болдырев А., Боровский Я., 1948, Фортификация, кн. Эллинистическая техника, М.-Л. 1948.
- Бузаид Фавстос, 1953, История Армении, Ереван, 1953.
- Велишский Ф., 2000, Быт и нравы древних Греков и Римлян, М., 2000.
- Верейский Флавий Ренат, 1940, Краткое изложение военного дела, Вестник древней истории, Мос. 1940, № 1 (10), с. 217-293.
- Виноградов В., 1972, Центральный и Северо-восточный Кавказ в скифское время (VII-IV вв. до н.э.), Грозный, 1972.
- Витрувий, 1936, Десять книг об архитектуре, М., 1936.
- Военная археология (ред. В. Массон), С.-Петербург, 1998.
- Воронов Ю., 1969, Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969.
- Воронов Ю., 1975, Тайна Цебельдинской долины, М., 1975.
- Воронов Ю., 1979, Ахул-Абаа – поселение античного времени в окрестностях Сухуми. Материалы по археологии Абхазии, Тб., 1979, с. 32-36.
- Воронов Ю., 1980, Диоскуриада-Сébastopolis-Цхум, М., 1980.
- Воронов Ю., 1991, Новые материалы античной эпохи из окрестностей Диоскуриады. – СА, 1, 1991, с. 225-234.

- Вылканов А., Данов Х., Маринов Х., Владев П., 1983, Черноморские лиманы и лагуны, сб. Черное море, Лен., 1983.
- Гагошидзе Ю., 1979, Самадло, Тб., 1979.
- Гагошидзе Ю., 1981, Самадло, Каталог, Тб., 1981.
- Гамкрелидзе Г., 1977, К изучению древнеколхидских оборонительных сооружений, Сообщение Академии наук Грузии, 88, Тб., 1977, № 2, с. 501-514.
- Гамкрелидзе Г., 1992, К археологии долины Фасиса, Тб., изд. "Мешниереба", 1992.
- Гвинчидзе Г., 1978, Нововыявленный некрополь древней столицы Западной Грузии Цихе-Годжи-Археополиса, Тб., 1978.
- Голенко К., 1964, Денежное обращение Колхиды в римское время, Л., 1964.
- Греческие Полиоркетики (Аполлодор. Афиней. Аноним Византийский). Вестник древней истории, 1940, III-IV.
- Гриневич К., 1926, Стены Херсонеса Таврического, Вып. I. Симферополь. 1926, ст. 44-45. рис. 25.
- Дандамаев М., 1985, Политическая история Ахеменидской державы, М., 1985.
- Дельбрюк Г., 1937, История военного искусства; В рамках политической истории, II, Мос., 1937.
- Джандиери М., 1988, Деревянное здание V в. до н.э. на Ванском городище, Сб., Местные этно-политические объединения Причерноморья в VII-IV вв. до н.э., Тб., 1988, с. 234-245.
- Джанелидзе Ч., 1980, Палеогеография Грузии в голоцене, Тб., 1980.
- Древнегреческо-русский словарь (сост. Дворецкий И.), т. I, Мос., 1958.
- Дундуа Г., Лордкипанидзе Г., 1985, Грузия и Митридат VI, сб. Причерноморье в эпоху эллинизма, III симпозиум в Цхалтубо, Тб., 1985, с. 601-608.
- Дундуа Г., 1987, Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.
- Дьяконов И., 1956, История Мидии, М.-Л., 1956.
- Есаян С., 1966, Оружие и военное дело Древней Армении (III-I тыс. до н.э.), Ереван, 1966.
- Жмодилов А., 1998, Этапы развития фаланги, сб., Военная археология, С.-Петербург, 1998, с. 89-92.
- Збруева А., 1952, История населения Прикамья, МИА, 30, 1952.
- Иванов Т., 1963, Античная керамика от некрополя на Аполония. Аполония. Разкопките в некрополя на Аполония през 1947-1949 г., София, 1963.
- Инадзе М., 1968, Причерноморские города Древней Колхиды, Тб., 1968.
- Инадзе М., 1988, К интерпретации Эшерской греческой надписи, Кавказско-Ближневосточный сборник, VIII, Тб., 1988, с. 148-158.
- История Еврейского народа, т. I, М., 1914.
- Казиев С., 1960, Археологические раскопки в Мингечауре, Баку, 1960.
- Каланадзе Д., Голенко К., 1957, К вопросу о происхождении колхидок, ВДИ, М., 1957, № 4, с. 88-95.
